# კაცობაძღინი

## სახალხო საექიმო წიგნი

გამოცემა მეორე

 КУТАИСЪ
ТИПОГРАФІЯ ЖУРНАЛА «МЦКЕМСИ» (П. Д. ГАМБАШИДЗЕ),
1893

# სახალხო საქიმო წიგნი,

# პარაშადინი.

შედგენილი

დეკანოზის დავით ღამგაშიძის მიერ.

2066

გამოცემა მეორე დამატებით.

ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили

КУТАИСЪ
ТИПОГРАФІЯ ЖУРНАЛА «МЦКЕМСИ» (П. Д. ГАМБАШИДЗЕ).
1893

*Дозвол. цензурою, Тифлисъ 19 Февраля 1891 г.*

# წინასიტყვაობა კარაბადინის მეორე გამოცემისა.

ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენგან შედგენილი და გამოცემული საექიმო წიგნი **კარაბადინი** სასარგებლო იქნებოდა ხალხისათვის. მართლაც ჩვენი იმედი გამართლდა. რომ ჩვენმა მცირე შრომამ ხალხს სარგებლობა მოუტანა, ამას მოწმობს მრავალი მადლობის გრძნობით სავსე წერილები, რომელნიც ჩვენ მივიღეთ ამ წიგნის შესახებ სხვა-და-სხვა პირთაგან და საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდგან.

კარაბადინის პირველი გამოცემა სრულიად გაიყიდა და მთხოვნელები კი ბევრი აღმოჩნდა ამ წიგნისა. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ჩვენი ნასწავლი ქართველი ექიმები ამდენი ხნის განმავლობაში უკეთეს საექიმო წიგნს გამოსცემდნენ ხალხისათვის, მაგრამ მოვსტყუვდით! ამისათვის ჩვენ შეუდექით კარაბადინის მეორედ გამოცემას, რომელსაც და-

უმატეთ დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალვბის მოვლაზე, სასარგებლო დარიგება ორსულ და მშობიარე დედაკაცთათვის და ახალ დაბადებულ ბავშვთა მოვლის შესახებ. ამ დამატების დაბეჭდის ნებართვის მიღებამ კავკასიის საექიმო რჩევამ არა მცირე დრო და შრომა მოითხოვა ჩვენგან. მაგრამ ღვთის მადლით, ყველაფერი კეთილად დამთავრდა. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ეს კარაბადინი დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს განსაკუთრებით მიყრუებულ სოფლებში, სადაც ნასწავლი ექიმი არ მოიპოვება და ამიტომ შორეული ადგილიდამ ექიმის მოყვანამდე ავადმყოფი კიდეც კედება. იმედია, სამლედელოება ამ საექიმო წიგნის საშუალებითაც დაიხსნის თავიანთ სულიერ შვილთა სნეულების დროს დიდი ხარჯისა და გაჭირვებისაგან. ამით სულიერნი მწყემსნი ერთის მხრით აღასრულებენ თავიანთ დიდ მოვალეობას და მეორეს მხრით დაიმსახურებენ მამობრივ სიყვარულს და დიდ პატივისცემას თავიანთ სამწყსოთაგან.

დეკ. დ. ლამბაშიძე.

18 $\frac{31}{I}$ 93

# წინასიტყვაობა პირველი გამოცემისა.

რაა უძვირფასესი ამ ქვეყანაზე კაცისათვის? ჯან-მრთელობა. რომელი სწავლაა საჭირო ჯანმრთელობის დაცვისათვის? სამკურნალო სწავლა... მაგრამ აბე გასინჯეთ, რომ ეს საჭირო სწავლა სხვა სწავლაზე უფრო ნაკლებ არის გავრცელებული!...

რამდენად სამწუხარო და სასაცინოა, რომ ვარსკვლავთ მრიცხველმა საკმაოდ იცის თავის საგანი და სხვა-და-სხვა გამოკვლევით ტყობილობს წინ-და-წინ ჰაერის ცვლილებას, მზის და მთვარის დაბნელებას და სხვა ამგვარ ზეციურ მოვლინებათა, მაგრამ დღევანდელი მიღებული ცუდი საჭმელი რას უზამს მას ხვალ, ის კი არ იცის!...

წარმოიდგინეთ, რამდენია ისეთი ღვთის-მეტყველები და მქადაგებლები, რომელნიცა კაცისაგან

ულილავ არსებაებს სულ ცალ-ცალკე ჩამოგითვლიან და მრთელს დაბადებას ზეპირად მოგიყვებიან, მაგრამ თავის სხეულის აგებულებაზე ერთ სიტყვას ვერ გეტყვიან!...

შეხედეთ, საწყალს სოფლის გლეხს, რომელსაც თავის ვამჭრიახი მუშაობით და ოფლით ორის წლის სარჩო მოჰყავს ერთად, მაგრამ საექიმო სწავლის უვიცობით ხშირად ოხრად რჩება ყოველივე!..

ჩემის აზრით არც ერთი საგნის უცოდინარეობით არ ისჯება კაცი ამ ქვეყანაზე ისე, როგორც სამკურნალო (მედიცინის) სწავლის უცოდინაროებით.

ამისათვის ეს სწავლა ყოველ წოდების ხალხში უნდა იყოს მიღებული და გავრცელებული და მარტო ექიმის საიდუმლოებას იგი არ უნდა შეადგენდეს. მაგრამ ყველგან, საუბედუროდ, რაც სასარგებლო არის კაცისათვის, მასზე უფრო ნაკლე არის ყურადღება მიქცეული!...

დღეს ექიმობის სწავლა იქამდისინ არის მისული, რომ დიდ შენწეობას მისცემს ხალხს ავათმყოფობის დროს, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ ქართველებს იმისთანა კაცები არ გვყავს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ხალხს დაეხმაროს და სამკურნალო სწავლა ჩვენს ენაზე მათში გაავრცელოს...

როდესაც ვხედავთ ათი-ათასობით სოფლის ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას და ტანჯვას,

სხვა-და-სხვა უბრალო სნეულებათაგან, გული ჰკვნესის და გაკვირვებული ჩემ თავს ვეუბნები: ნუ თუ სულ ასე ნიადაგ უნდა იტანჯებოდეს ხალხი, განსაკუთრებით სოფლისა, სხვა-და-სხვა სნეულებათაგან? ნუ თუ სულ ასე საიდუმლოდ უნდა დარჩეს სამსხვა საგნების ხალხისათვის? ნუ თუ სამკურნალო სწავლა სასარგებლო არ არის, რომ ასე გამორიცხულია მისი სწავლა სასწავლებლიდგან? ნუ თუ სხვა საგნების სწავლა უფრო სასარგებლო არის ჩვენი ხალხისათვის სამკურნალო სწავლაზე? ნუ თუ მარტო ექიმების სწავლა ეყოფა და დაკმაყოფილებს მთელს დანარჩენს ხალხ.? მაგრამ სად არის ამ კითხვებზე პასუხის გამცემი?!.. მრავალი ილაპარაკეს მასზე, რომ სამკურნალო ცოდნა საზოგადოთ ყველა პირთა კუთვნილებათ გამხდარიყო, მაგრამ ამას დახვდა და ხვდება წინ ათასნაირი მიზეზები. ამ მიზეზების წყალობით სამკურნალო სწავლა დაფარულია. უმეტესი ნაწილი ხალხისათვის და მარტო ექიმების საკუთრებას შეადგენს...

რუსულ ენაზე თუმცა კი არიან გამოცემულნი სხვა-და-სხვა კარაბადინები და სახალხო სამკურნალო წიგნები, მაგრამ ჩვენი ხალხი სულ მოკლებულია ამისთანა ცოდნას. ნათქვამია გაჭირვებული კაცი ხავსს ეპოტინებოდაო,—ისე ემართება საწყალ ჩვენ ხალხს. ავადმყოფობის დროს ექიმს, რომ ვერ პოულობენ

მკითხავებთან მირბიან და მათგან მოელიან ავადმყოფის მორჩენას!.. ან კი როგორ მოუთმინოს გულმა გულგრილად უყუროს ავადმყოფის ტანჯვას? ის მზად არის, რომ ყოველი ღონის ძიება იხმაროს ავადმყოფის მოსარჩენად, მაგრამ რა საშუალება იხმაროს საწყალმა არ იცის. ხშირად თავისი გულკეთილობით ხმარობს იმისთანა წამალს და საშუალებას, რომლითაც ავადმყოფს დღეს უმოკლებს და საფლავში აგდებს!..

დიდი ხნიდამ ველოდებოდი ჩვენი ნასწავლ-ექიმებისაგან, რომ ისინი გამოსცემდნენ სახალხო სამკურნალო წიგნებს, რომლითაც დიდ სარგებლობას და შემწეობას აღმოუჩენდნენ ჩვენ ხალხს, განსაკუთრებით სოფლისას; მაგრამ ჩემი იმედი ყოველთვის იმედათ დარჩა და დღემდის არ კმაყოფილდება. ზოგი ამისთანა ჩვენნი ნასწავლნი ექიმნი ისე გაიტაცა ამ წუთი-სოფლის ცხოვრებამ, რომ ჩვენი სოფლის ხალხის გაჭირვებული მდგომარეობა სულ დაავიწყებინა მათ...

გამოუთქმელმა ჩვენი ხალხის უბრალო ავადმყოფობისაგან წარმოდგენილმა ტანჯვამ აღძრა ჩვენში აზრი და მომდომილება ამ სამკურნალო წიგნის შედგენისა.

მართალია ამისთანა წიგნი ვრცლად და დაწვლილებით უნდა იყოს შედგენილი, მაგრამ რადგან

დღეს ჩვენში სრულებითაც არა მოიპოვება რა მსგავსი ამისა, ვგონებ, ეს ნამეტანი და უსარგებლო არ იქნეს... *)

რუსულ ენაზე, როგორც ვსთქვით ზემოთ, მრავალნი არიან გამოცემულნი კარაბადინები და სამკურნალო წიგნები, მაგრამ ყველა ამ წიგნებს ერთი დიდი ნაკლულევანება აქვსთ. ხშირად ამ წიგნებში მარტო სნეულების აღწერა და წამლების ხმარებაა მოყვანილი მათ მოსარჩენად. კაცის აგებულებაზე და გიგიენურ სწავლაზე ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი. ამისთანა კარაბადინები, ჩემის აზრით, რამდენიც უნდა გაავრცელონ, ავადმყოფობას ისინი ვერ შეამცირებენ და დიდ სარგებლობას მათგან ვერ ნახავს ხალხი. ხშირად უცოდინარ კაცს უნდა ვსთქვათ ენებასაც აძლევს ამისთანა კარაბადინები.

პირველად ყველაზე საჭირო და სასარგებლო არის კაცმა იცოდეს, თუ როგორ უნდა დაიცვას თავისი ჯანმრთელობა, რომ ავად არ გახდეს. ეს ნაწილი სამკურნალო სწავლისა უპირველესია სხვაზე

*) არის ერთი ქართული კარაბადინი შედგენილი რუსულ ენაზე 1802 წელსა და გადათარგმნილი ექიმი კლაპიტანოვისაგან 1824 წელსა ქართულს ენაზე. ამ კარაბადინს დღეს სულ დაკარგული აქვს მნიშვნელობა, რადგან ძლიერ წინ წაიწია მას აქეთ სამკურნალო სწავლამ.

ავტორი.

და ყველაზე ნამეტნავად სასარგებლო და საადვილო.

წარმოიდგინეთ, თოფის წამალი გაქვსთ სადმე შენახული; რომ თოფის წამალი უვნებელად შეინახოთ და არ დაგეწვასთ უეცრად, დიდი სწავლა და დარიგება ამას არ უნდა. უნდა გაფრთხილებული იყო, რომ ცეცხლი წამლის ახლო არ მიიტანო, თორემ თოფის წამალი ერთი ნაპერწკალით აიფეთქებს და უბედურებას შეგვამთხვევს; მაგრამ თუ ეს შენ არ იცი, ანუ იცი, მაგრამ მაინც გაუფრთხილებლად იქცევი და ცეცხლი ჩავარდა წამალში მთელი ქვეყანა, რომ დაეხვიოს ველარას უშველის.

ჩემის აზრით ასეა ავადმყოფობის საქმეც. თუ კაცი გაფრთხილებულია და ყველა გიგიენური დარიგება თავის ჯანმრთელობის დასაცველად იცის და ასრულებს, ის ძნელად გახდება ავად.

ხშირად საექიმო მცირე სწავლით და დარიგებით კაცი ძლიერ საშიშო სნეულებას, და ხშირად სიკვდილსაც, აშორდება, მაგრამ თუ მან არ იცის გიგიენა და სწავლა ჯანმრთელობის დაცვისა, ანუ იცის, მაგრამ წინააღმდეგად იქცევა ბევრს იწვალებს და ხანდისხან ყველა ექიმებიც რომ დაეხვიონ მაინც ვერ მოარჩენენ.

ამისთვის პირველი ადგილი ჩემის აზრით სამკურნალო საგნებში უთუოდ გიგიენურ სწავლას და

ლარიგებას უნდა ეჭიროს, ე. ი., იმ სწავლას, რომელიც ჯანმრთელობის დაცვას ასწავლის.

ამისთვის კიდევ უსაჭიროესი არის ცოდნა კაცის ტანის აგებულებისა და ცხოვრებისა.

მაგრამ მოხდება, რომ რამდენიც უნდა ვეცადოთ და ჯანმრთელობას გავუფრხილდეთ, მაინც ზოგიერთ გადამდებ ავადმყოფობას ვერ ავცილდებით. აქ საჭიროა არის კაცმა იცოდეს ავადმყოფი კაცის ტანის მდგომარეობა, მიზეზი ავადმყოფობის გაჩენისა და მისი წამლობა. ამ სახით ყოველ სამკურნალო წიგნებში, ჩემის აზრით, უნდა იყოს სწავლა: ა) როგორ არის კაცის ტანი აგებული და როგორ მოქმედობს იგი. ბ) როგორ უნდა დაიცვას კაცმა ტანი ავადმყოფობისაგან. გ) რა არის ავადმყოფობა, რისგან წარმოსდგება იგი და როგორ გაიგლის და დ) რა საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ ავადმყოფი სნეულების ტანჯვისა და სიკვდილისაგან დავიხსნათ, რა საშუალებით და როგორ მომზადდებიან იგინი.

ამ ზემო თქმულის სიტყვების კვალად ეს სამკურნალო წიგნი განიყოფება ოთხ ნაწილად:

პირველ ნაწილში იქმნება მოყვანილი მოკლე სწავლა კაცის აგებულებაზე და ცხოვრებაზე ფიზიოლოგიიდამ და ანატომიიდამ.

მეორე ნაწილში იქმნება მოყვანილი, გიგიენური დარიგება დი სწავლა ჯანმრთელობის დაცვაზე.

მესამე ნაწილში იქმნებიან აღწერილნი სხვა-და-სხვა შინაგანი და გარეგანი ავადმყოფობაები და მათი წამლობა. ამაშიევე იქმნება მოყვანილი სხვა-და-სხვა სასარგებლო დარიგებაები: წყალში დამხჩვალთა, გაყინულთა და სხვა ამისთანა მიმკვდარებულთ მოსაბრუნებლად.

მეოთხე ნაწილში იქმნებიან აღწერილნი წამლები, მათი მომზადება, თვისება და ხმარება.

ამ წიგნიდამ, რასაკვირველია, არავინ არ უნდა მოელოდეს სხვა-და-სხვა საიდუმლო ავადმყოფობაების და წამლების გამოკვლევას.

ამ წიგნის შედგენის დროს მე უმთავრესად ეხელმძღვანელობდი სხვა-და-სხვა გამოჩენილი ექიმების თხზულებაებით. ზოგიერთი ადგილები პირდაპირ არიან გადმოთარგმნილნი და დაბეჭდილნი.

მე ყოველისფერი ღონისძიება ვიხმარე ამ წიგნის შედგენის დროს, რომ ეს საექიმო წიგნი მდაბალი ხალხის ადვილ გასაგებად და სასარგებლოდ შედგენილიყო. რამდენად აღვასრულე მე ჩემი ხურვილი, ამის გადაწყვეტა მიმინდვია მკითხველისათვის.

იმედია, რომ ბოლოს ვინმე უკეთეს სახალხო სამკურნალო წიგნს გამოსცემს, მაგრამ ეს ასე ყოფილა და იქნება ყოველთვის: ვაჟ-კაცად თავის დროში არავინ დაბადებულა!..

იმედი მაქვს, რომ თუ ყველას არა, ეს ჩემი

შრომა, რამოდენიმეს მაინც ააცილებს უბრალო სნეულებისაგან წარმოდგენილ ტანჯვას, და ზოგ-უდროო დროს სიკვდილს და საფლავში ჩასვლასაც და ეს იქმნება ჩემი უდიდესი დაჯილდოებაც. *)

*) ეს წიგნი იყო განხილული კავკასიის საექიმო რჩევისაგან საზოგადო ექიმების სხდომაზე და ნება დართულია 26 იანვრიდან 1879 წელს № 47.

ავტორი.

სახალხო საქმიო წიგნი,

# კარაგალინი

## ნაწილი პირველი.

ფიზიოლოგიური და ანატომიური კაცის ტანის აგებულების და ცხოვრების მოკლე აღწერილობა და სწავლა.

---



ჩ ო ნ ჩ ხ ი.

კან გადამძვრალი კაცის ტანი.

შუაზე გაჭრილი თირკმელი (ჭაჭა).

თავის ტვინი

კუჭი.



ფილტვები.



ნაწლავები.

# მოკლე სწავლა ფიზიოლოგიიდამ ⁄ ანატომიიდამ საზოგადოდ კაცის ტანის აგებულებაზე.

---

საზოგადოდ კაცის ტანის უმთავრესი ნაწილი არის სამი: თავი, ტანი და ხელ-ფეხი, კიდურები. ეს სამი ნაწილი კიდევ სხვა-და-სხვა ნაწილებისა და ორგანებისაგან შესდგება. თვითეულს ამ სამს ნაწილს აქვს თავისი საკუთარი ძვლები, ძარღვები, კუთები და სამუშაო იარაღები.

მთელ კაცის სხეულში 258 სხვა-და-სხვა ცალკე ძვლებია.

ჩვენი თავის ქალა შესდგება შვიდი ძვლისაგან; ეს ძვლები არიან: ა) შუბლისა, ბ) და გ) საფეთქლებისა, დ) და ე) ორი კეფისა, ვ) სათხემე და ზ) დაწყებითი პირის სახის ძვლებია თორმეტი. უმთავრესნი არიან: დაწვები, რომელნიც არიან თვალს

ქვეშ ლოყებზედ ამამჯდარნი, ცხვირისა, ცხვირის ხტილი, ქვევითი და ზევითი ყბის ძვალი.

ტანი შესდგება ხერხემლის და წიბოების ძვლებისაგან. ამისთანა ძვლები კისერზე შვიდია, ზურგზე თოთრმეტი, წელზე ხუთი და კიდევ ბოლოზე სამი; გვერდის წიბოების ძვლები თოთრმეტ-თოთრმეტი აქვს კაცს თითო მხარეზე. ერთი ძვალი მკერდზე არის წინ, რომელსაც ეძახიან გულის ფიცრის ძვალს. ტანზე არის კიდევ მაჯების ძვლები, რომელნიც აწყვიან წელს ქვევით ორსავე მხარეს.

კიდურებს უძახიან ხელ-ფეხებსა. ხელი შესდგება ბეჭის ძვლისა, მხარის ძვლისა და ორის წინა მხარის ძვლისაგან; პატარა ძვალთაგან, რომელნიც არიან წინა მხარის და მაჯას შუა და მაჯისაგან. მაჯას აქვს ხუთი თითი და თითო თითი სამი პატარა ძვლისაგან არის შედგენილი ცერის თითს გარდა, რომელიც ორის ძვლისაგან შესდგება.

Oითოეული ფეხი შესდგება გრძელი ძვლისაგან — ბაყვი, ანუ წვივისაგან, მუხლის ძვლისაგან და ფეხის ჩანჩხისაგან. ფეხი ძირს იწყობა ქუსლის ძვლითა და თავდება თითებითა.

ეს ძვლები ზოგან ძლიერ მაგარი არიან, ზოგან დაშუტნული და არა მაგარი და ზოგან ხტილიანი. ეველა ეს ძვლები ლენტის მსგავსი ხორცებით, — კუთებით არიან ერთი-ერთმანეთზე გადაბმულნი, რომლის საშუალებით ჩვენ ასე ადვილად ვხმაროთბთ ძვლებს

მოძრაობის დროს ძვლებმა რომ ერთი-ერთმანეთს არ დაუწყოს წასმა, თავზე ხტილები აქვსთ. ოკრი ძვლის თავი ერთ ბუდეშია და შიგ წებოიანი წყალი არის დაბუგებული, ცილის მსგავსი. ამას ის დანიშნულება აქვს ძვალთათვის, რაც ურმის ღერძისათვის საპონს, ანუ ქონს. ეს წყალი დაბუგებულია ნიადაგ ამ ბუდეში. როდესაც ეს წყალი მოიმატებს, ანუ მოიკლებს, მაშინვე სახსრები ასტკივდება კაცს.

ჩვენი სხეულის ყველა ხვლებს გარეშემო აქვს შემოკრული მაგარი კანი, რომლის საშუალებით ძვლები სისხლისაგან იღებენ თავის საზრდოს.

ჩვენი სხეული უბრალო ხორცისაგან კი არ შესდგება, როგორც გვგონია ჩვენ, არამედ მრავალ კუთებისაგან (მუსკულებისაგან). კუთები სულ ცალ-ცალკე არიან ჩვენს სხეულში დაწყობილნი და თვითეულს სხვა-და-სხვა დანიშნულება აქვს მოძრაობისათვის. ამისთანა მუსკულები ჩვენს ტანში ითვლება ხუთასამდინ. მუსკულების საშუალებით შეგვიძლიან ჩვენ აღვასრულოთ სხვა-და-სხვა მოძრაობა. ამ მუსკულებში ხმელი, შეშა ძარღვებიც არის, სისხლის მატარებელიც, ქონიც და სხვ. კუთებს იმისთანა თვისება აქვსთ, რომ კიდევაც მოიხუჭებიან და კიდევაც გაიწევიან. მაგალითებრ: კაცს, რომ ფეხის აღება უნდოდეს ზევით, თუ თეძოს უკანა კუთი არ მოხუჭა და წინა კუთი არ გაჭიმა, არ შეუძლიან ეს მოახერხოს და აგრეთვე სხვა მოძრაობაც. მუსკუ-

ლებს კან გადაძრობილ კაცის სხეულზე ძლიერ კარგად შეამჩნევთ. მოძრაობანი ამ მუსკულებით ზოგი ჩვენის ნებით წარმოსდგებიან და ზოგი ჩვენს უნებურად. ბარეგანი მოძრაობა ხელ-ფეხის ან სხვისა ზოგნი ჩვენის მომდომებით მოხდებიან, ზოგნი კი ჩვენს უნებურად და გაუგებლად. მაგალ.: წელები ნიადაგ მოძრაობაში არიან, გული, კუჭი და სხვ. ყველა მომძრაობა მარტო მუსკულებისაგან არ შესრულდება, მომძრავი ძარღვებისაგანაც კი სრულდება მოძრაობა.

ჩვენს ტანში დაქსელილი არიან ერთნაირი შეშა, ხმელი მომძრავი და საგრძნობელნი ძარღვები. ტანში ფრჩხილებს და ძვლებს გარდა ვერ მონახავს კაცი ისეთ ადგილს, ნემსის წვერი დაადვას და ეს ძარღვები არ იყოს იქ. ჩვენი აზრი ყველა ჩვენი ტანის სხეულზე ამ **ხმელს ძარღვებს** გააქვს და ამძრევენ ჩვენს სხეულს ისე, როგორც ტელეგრაფისტს ტელეგრაფის მართულების საშვალებით მეორე ადგილას გადააქვს ამბავი: თუ ეს ძარღვი მოშლილია, რამდენიც უნდა მოინდომოს კაცმა, მაინც არაფერი მოძრაობის შესრულება არ შეუძლიან. როდესაც კაცის რომელიმე სხეული დაშბლაში ჩავარდება, იმ ნაწილში ყოველიფერი მოძრაობა დადგება.

**საგრძნობელი ძარღვები** სხვა არის და მომძრავისა სხვაა. ხშირად მოძრაობა აქვს კაცს, მაგრამ გრძნობა სრულებით არა აქვს. ხან გრძნობა აქვს

მაგრამ მოძრაობა დაკარგული აქვს. გრძნობის და მოძრაობის ძარღვები თავის და ხირხიმლის ტვინიდამ იწყებიან. როდესაც ეს ძარღვები მოშლილი აქვს ვისმეს, უთუოდ თავის და ხირხიმლის ტვინის ტკივილისაგან უნდა იყოს. მოძრაობას ეს ძარღვები სიკვდილის შემდეგაც არ ჰკარგვენ კარგა ხანამდინ. შემდეგ რომ ელეკტრონის ძალა შეუშვა კაცის სხეულში, მკვდრის სხეული ათასნაირ მოძრაობას დაიწყებს, მაგრამ როდესაც ხორცი ლპობაზე მიდგება, მაშინ დაეკარგება ეს თვისება.

ის ძარღვები, რომელნიც დაიწყებიან და გამოდიან ხირხიმლის ტვინიდამ, მოძრაობენ ჩვენს უნებურად. მაგალითებრ: გულის მოძრაობის დაყენება ჩვენ არ შეგვიძლიან, რამდენიც უნდა ვისურვოთ. ეს ძარღვები და კუთები, მუსკულები დიდის ვარჯიშობით მოიპოებენ საოცარ ნიჭს, რომ ჩვენ ნებაზედ მოქმედობდნენ. რამდენი შრომა უნდა მიიღონ, რომ პატარა ბავშვს სიარული და ფეხზე დგომა ასწავლონ! აგერ ბოლოს, დიდი ვარჯიშობის შემდეგ კუთები დაიწყებენ მუშაობას ბავშვის სურვილისამებრ. დაბადებიდამ არავის არ დაჰყვება იმისთანა ნიჭი, რომ თავის სურვილისამებრ ყველანაირი მოძრაობა აასრულოს, თუ ბოლოს არ შეაჩვია მუსკულები. რამდენიც უნდა ისწავლოს კაცმა და ავარჯიშოს თავის ხელების მუსკულები, რომ ფორტეპიანო ანუ სხვა დასაკრავი დაუკრას!...

შეხედეთ ერთი კარგ მოთამაშეს; დიდი ხნის ფეხების კუთების (მუსკულების) ვარჯიშობით, როგორ გასაკვირლად მოძრაობს მისი ფეხები? შეხედეთ გიმნასტიკებს. რა გასაკვირველ მოძრაობას ასრულებენ? ყველა ამაებს იმით ასრულებენ, რომ დიდხანს ავარჯიშეს და ასწავლეს თავის კუთებს გასაკვირველი მოძრაობა.

თუ ეს მოძრავი კუთები ძლიერ გაცხარებულ ნიადაგ მოძრაობაში არიან, მაშინ სულ დაჰკარგავენ მოძრაობის ძალას და დამბლაში ვარდებიან, გახმებიან და დასუსტდებიან. თუ ზომიერად მოძრაობენ და თავ-თავის დროზე მოძრაობასაც ასრულებენ და კიდევაც ისვენებენ, მაშინ იგინი უმეტესად მაგრდებიან და კარგათაც იზრდებიან.

ჩვენი ტანის მუსკულები ნიადაგ მუშაობენ, ვზივართ ჩვენ, დავდივართ, თუ ზეზე ვდგევართ. კაცი რომ სწორეთ ფეხზე იდგეს, მას შრომა უნდა. ზოგი კაცის ტანი იმდენათ დაიღლება ზეზე დგომით, რომ სიარული ურჩევნია ზეზე დგომას.

კაცი არის ცხოველი და გონიერი არსება. ამისთანა არსებისათვის საჭირო არის სხეულის სხვა-და სხვა მოწყობილება და იარაღები სიცოცხლისათვის და გონების გასახსნელად. თუ ამისთანა საჭირო იარაღები კაცის სხეულში ბევრია, მაგრამ ყველა კი ერთი და იმავე საგნის —სიცოცხლისათვის არიან დანიშნულნი. ეს იარაღები და მოწყობილებანი

ძლიერ ნაზი და სათუთნი არიან, ამიტომაც ძლიერ დაფარულ ადგილებში იმყოფებიან. ბონების იარაღი არის **ტრაქეიში** — ხაბში. ყველამ ვიცით, თუ რა სათუთი არის ტვინი. ამიტომაც იმისთანა ადგილი აქვს გამორჩეული ამ იარაღს, რომ გარედამ ძლიერ დაცულია მაგარი ძვლებით. ყველაზე უპირველესი საჭირო იარაღი ჩვენის ცხოვრებისათვის და ბონების გასახსნელად არის ტვინი. მეორე იარაღი არის სასუნთქავი მოწყობილობა — ფილტვები, რომელნიც მკერდში არიან. მესამე უმთავრესი იარაღი არის სისხლის მატარებელი ჩვენს ტანში — გული. მეხუთე იარაღია შარდის სადენი — თირკმელი. სხვაც მრავალნი არიან ამისთანა იარაღები ჩვენს ტანში, მაგრამ ჩვენ მარტო კაცის სხეულის ამ ხუთ უმთავრესს იარაღებზედ, ორგანებზე ვილაპარაკეთ და ორიოდე სიტყვას კიდევ სხეულის კანზე ვიტყვით, რადგან ამის ცოდნა მიუცილებელად საჭირო არის ყოველი კაცისათვის.

---

## თავი პირველი.

### თავის და ხირხიმლის ტვინი და ნერვები.

მთელი ჩვენი სხეული ისე არის ერთნაირი შეშა, ხმელი ძარღვებით, (ნერვებით) დაქსელილი, როგორც მთელი სახელმწიფო ტელეგრაფის მართულებით.

ტელეგრაფის მართულებს ცალკე არაფერი მნიშვნელობა არა აქვსთ, თუ ერთი მეორეზე არ არიან გადაბმულნი. ძარღვები ჩვენის თავის და ხირხიმლის ტვინიდამ იწყებიან და არიან დაქსელილნი ჩვენს ტანში. ამ ძარღვებს ორი დანიშნულება აქვსთ. ერთნაირი ძარღვები კაცის ტანიდამ მიიღებენ ბრძანებას და ასრულებენ ერთი მეორის გადაცემით, მეორე ნაირი ძარღვები კი გარედამ ატყობინებენ ამბავს ტვინს. მაგალითებრ: ფეხზე შეგცივდა, ამას მაშინვე ძარღვი შეატყობინებს ჩვენს ცნობას. ბეის აღება და გადაგდება გვინდა, ამისი ბრძანება კი ტვინიდამ გამოვა და ასრულდება.

ამას გარდა არიან კიდევ ისეთი მგრძნობიარე ძარღვები, რომელნიც ატყობინებენ ტვინს გარეგან მოქმედებას და მოძრაობას. წარმოიდგინეთ კაცი, ბნელ ოთახში დამწყვდეული. ის ვერაფერს ვერ გაიგებს, თუ გარეშე მყოფმა კაცმა არა გააგებინა რა. ეაცი ისეთი არსება არის, რომ ყოველს საათში სიფრთხილე მართებს. ამისათვის ღმერთმა მისცა მას ყარაულების მსგავსი სხვა და-სხვა გრძნობა, რომ ეს გრძნობა არ ჰქონდეს კაცს, ის დიდხანს ვერ იცოცხლებს. მიდის კაცი და წინ უშველებელი ხრამია, ანუ კლდე, რომელზედაც უნდა გადავარდეს, მაგრამ თვალი ხედავს. თვალიდამ ეს ამბავი შეიტყობა ჩვენი ცნობისაგან და კაცი უკან ბრუნდება. ეაცი მივიდა და გაჩერდა იმისთანა ადგილას, სადაც მყრა-

ლი და შხამიანი ჰაერი დგას; თვალით ვერ ხედავს, მაგრამ ამას მაშინვე შეატყობინებს ყნოსვის გრძნობა ჩვენს ცნობას და ამ ადგილს კაცი არ ეკარება. მიდის კაცი სადმე და პირ-და-პირ იმისა მოდის ცოფიანი ძაღლი, კაცი ვერ ხედავს მას, ისეთ ადგილს დგას. აგერ შორიდამ უძახიან მას, გაუფრთხილდეს თავს, წინ ცოფიანი ძაღლი შეხვდება. ამ აშბავს ატყობინებენ კაცს სმენის ძარღვები და კაცი თავის თავს უფრთხილდება. მოუტანეს რამე ცუდი საჭმელი კაცს, თუ ენის გრძნობა არა აქვს მოშლილი, ჩვენი ცნობა შეიტყობს მწარე-საჭმელი, თუ ტკბილი და კაცი არ მიიღებს ამისთანა საჭმელს. ბნელს ღამეში წავაწყდით რაღაცა საგანს, მაგრამ არ იხედება, არც სუნი უდის; ჩვენს ცნობას კი უნდა შეიტყოს, რა ნივთია იგი. ამისათვის ჩვენ შევახებთ მას ხელს და შეხებით ვცდილობთ შევიტყოთ, თუ რა ნივთი ვნახეთ.

ეს ზემოდ თქმული ჩვენი ტვინის და ცნობის ყარაულები და მოსამსახურეები არიან ხუთნი: ხედვა, სმენა, ყნოსვა, გემოვნება და შეხება. კაცი ამ გრძნობათ ვერ დააფასებს, სანამ არ დაეკარგება და არ მოეშლება იგინი. თვითეული ეს გრძნობა ისე საკვირველად არის აშენებული და მოწყობილი, რომ, როდესაც კარგა დაკვირვებით განიხილავ მას, გაოცებულს ენა გიდუმდება და სიტყვის გამოთქმას ვეღარ ახერხებ ..

თუ რომელიმე გრძნობა მოიშალა, მაშინ სხვას დაადგება ჯაფა და იმისი ძალა თითქმის სულ მეორე გრძნობაში გადავა. მაგალითებრ: კაცს თუ თვალი დაუდგა, ისე გაეხსნება მას შეხების გრძნობა, რომ მეტი ალარ შეიძლება.

როგორც კუთები, (მუსკულები) ისე ნერვები ნამეტანის მოძრაობით იღლებიან, მაგრამ კაცი ნიადაგ გაფრთხილებული უნდა იყოს, რომ ზომიერად ამუშავოს ეს ნერვები და ხმაროობდეს სასარგებლო საქმელს.

---

## თავი მეოთხე.

## სუნთქვა და სასუნთქავი იარაღი.

უცოდინარის კაცის აზრით სუნთქვა ვითომ დიდი საჭირო არ არის ჩვენი სიცოცხლისათვის. სუნთქვას დავიწყებთ ჩვენ როგორც დედის მუცლიდამ დავიბადებით და უკანასკნელ სულის ამოსვლამდე სულ ვსუნთქავთ. ჩვენ შეგვიძლია რამდენიმე ხანი უქმელად და უსმელად გავსძლოთ, მაგრამ ხუთი წამი რომ ჰაერი არ შეეისუნთქოთ, არ შეგვიძლიან ვიცოცხლოთ; არა თუ ხუთი წამი სამი წამიც კი კმარა, რომ სულ ამოუღებელად კაცი მოჰკვდეს. ზოგს კი ჰგონია, რომ სული ჩვენი პირიდამ გამო-

დის ნიადაგ და გარედამ თუ ჩადის ჩვენს ფილტვში, ეს არ იცის! თუ სამ წამს ვერ გაესძლებთ ამოუსუნთქმელად, მაშ ძლიერ საჭიროა ყოფილა ჩვენი ცხოვრებისათვის სუნთქვა? რასაკვირველია, ძლიერ საჭიროა არის. მკითხველი იკითხავს, რისთვისაო? აი რისთვის. ჩვენს სხეულში ორნაირი სისხლის მატარებელი ძარღვებია. ერთნაირ ძარღვებს არტერიებისას გულიდამ გააქვს სისხლი ჩვენს ტანში და თავ-თავის ნაწილს ურიგებს სხეულში: ძვალს თავისას, ხრტილს თავისას, ძარღვებს თავისას და სხვ. მეორე ძარღვები (ვენის ძარღვები) ჰკრეფენ ჩვენი ტანიდამ წამხდარ სისხლს და უგროებენ გულში თავს. გულიდამ სისხლის მასრები ფილტვში გამოდენის ამ წამხდარ სისხლს. აქ რომ წმინდა ჰაერს მოვისუნთქავთ, იმ ჰაერში ერთი ნაწილი ჰაერისა, სახელდობ ჟანგ-ბადი, (კისლეროდი) გასწმენდს ამ წამხდარ სისხლს და ფილტვი ისევ გულისკენ გაუშვებს სხვა სისხლის მილებით ამ გაწმენდილ სისხლს. გული ისევ არტერიის ძარღვებით ტანში გაგზავნის ამ გაწმენდილ სისხლს და წამხდარს ისევ ამ რიგათ მოუგროვებს თავს, რომელზედაც ჩვენ ქვემოთ კიდევ დაწვლილებით ვიტყვით.

სასუნთქავი იარაღები ისე არიან მოწყობილნი, როგორც სამჭედურის საბერველები. ფილტვებიც ორია და ისე გაიყოფა, როგორც საბერველი. ფილტვი უბრალო ხორცის ნაჭერის მსგავსი არ არის. ის ისეა დაფენჯრული და იმდენი პატარა ბუშტები აქვს შიგ-

ნით, რომ არ შეიძლება მისი დათვლა. ფილტვი, კაცის იქმნება იგი, თუ ცხოველის, როგორც ბუშტი ისე გაიბერება. შიგნიე რომ პატარა ბუშტებია, წვრილი მასრები, ისინი გულიდამ გამოსული სისხლით ივსებიან.

მს ბუშტები, ანუ წვრილი ბეწური მასრები, ისე თხელი არიან, რომ სისხლს კი არ გაუშვებენ გარეთ, მაგრამ ის ნაწილი ჰაერისა, ესე იგი, ზემოთ რომ ვსთქვით, მჟავბადი (კისლოროდი) შევა და გასწმენდს ამ მასრებში გულიდამ გამოსულს უწმინდურს სისხლს. რაც წამხდარი და მავნებელი სინოტიე იქნება ფილტვებში, ჰაერის მსგავსად გამოვა პირიდამ. პირიდამ გამოსული ჰაერი წამხდარია და სასუნთქავად ალარ ვარგა. ჩვენი პირიდგან გამოსული ჰაერი რომ შეკრიბოს კაცმა რამეში და ბოლოს იმ ჰაერში ჩიტი დაამწყვდიოს, ჩიტი მალე მოკვდება; ამისათვის არის ცუდი, როდესაც მრავალნი პირნი ერთ პატარა ოთახში სუნთქავენ.

ჰაერს რომ მოვისუნთქავთ, ის მკერდში კი არ ჩადის, როგორც ზოგს ჰგონია, ფილტვებში ჩადის. ფილტვები ცალკე თავის საკუთარ ბუდეში არიან ჩადებულნი. ძუჭისა და ნაწლავებისაგანაც განიყოფებიან ერთნაირი გარსით, კანით. ჩვენი მკერდი ისეა მოწყობილი, რომ ხან გაიშლება და ხან მოიფხუწება, მოიკუჭება. ბაშლის დროს არ შეიძლება, რომ ჰაერი არ ჩავიდეს ფილტვში და როდესაც მო-

იფხუწება, მაშინ გარეთ გამოვა წამხდარი ჰაერი. ეს მკერდის მოძრაობა ჩვენდა უნებურად სწარმოებს, მაგრამ ჩვენც შეგვიძლია მოუჩქაროთ, ანუ ძლიერ ღრმათ ჩავისუნთქოთ და ამოვისუნთქოთ. როდესაც უკანასკნელ დროს კაცს ფილტვის მუშაობა დაუდგება, კაცი მაინც თავს ეძალება, რომ როგორიმე გზით ჰაერი მოსწიოს და ჩაისუნთქოს, და ამისათვის პირს აღებს ჰაერის მოსაწევად. ზოგიერთს ჰგონია, რომ მაშინ სული ამოდის პირიდამ მომაკვდავსაო. ზოგი ისე უგუნურია, რომ ამ საწყალს მამაკვდავს ტუჩზე ხელს აფარებს, იქნება სული არ ამოუვიდეს ცოტა ხანს მაინცაო!!...

ფილტვი მკერდში ორად განიყოფება: მარჯვენივ სამი ნაჭერია ერთი-ერთმანეთზე თითქმის შეწყობილი და მარცხნივ ორი. აქვე მარცხენა გვერდით არის გული. მარჯვენა მხარის ფილტვი უფრო დიდია და ნამეტნავადაც სრულდება იქით სუნთქვა.

სუნთქვა სხვა-და-ახვა პირთა სულ სხვა-და-სხვა ნაირი აქვსთ. ტან-მრთელი მოზდილი პირი წამში თორმეტიდამ ოცამდინ ამოისუნთქებს. ძუძუ-მწოვარი ბავშვი—ორმოცამდინ ამოისუნთქებს და ჭაბუკი—ოცამდინ.

სიცილი, ტირილი, ცხვირის დაცემა, მთქნარება, სლოკინი, ოხვრა, წოვა და სვრეშა სასუნთქავი იარაღების საშუალებით მოხდება. ესეები სხვა კი არაფერი არის, სხვა ნაირად მოხერხებული ამოსუნთქვაა.

ჩვენ რაც ვსთქვით, იქიდგან სჩანს, რომ ჩვენი სუნთქვა რიგიანი რომ იყოს, საჭირო არის წმინდა ჰაერი, რომელშიაც ურევია ბევრი მჟავ-ბადი (კისლერადი); საჭირო არის, რომ ჰაერი თავისუფლად და გაუჭირვლად ჩადიოდეს ჩვენს ფილტვში და იქიდამ წამხდარი ჰაერიც თავისუფლად ამოდიოდეს; საჭირო არის, რომ სისხლის მოძრაობა თანასწორი იყოს მთელს ტანში.

---

## თავი მესამე.

## საჭმლის და სასმლის იარაღები და მათი მონელების წარმოება (პროცესი).

ჩვენ აქვილაპარაკებთ მასზე, თუ რისთვის ვსჭამთ, რა უნდა ვსჭამოთ და ვსვათ, ანუ როგორ უნდა ვსჭამოთ და ვსვათ?

მე ვიცი, რომ ბევრი კიდევაც გაიცინებს, ამას რომ წაიკითხავს. მე მივხვდი და შევიტყე თქვენი აზრი, მკითხველო. აი რა თქვით თქვენ თქვენს გულში: «სწორედ ამის დამწერს მოსცლია და საქმე რომ გამოლევია, წერას შესდგომია, რაღა დიდი სწავლა-და ლაპარაკი უნდა ამის შეტყობას, თუ რისთვის, რა და როგორ უნდა ვსჭამოთ და ვსვათ? ჭამა მინდა და კიდევაც ვსჭამ; რაც შემხვდება, იმას ვსჭამ,

მარხვის დღეში სამარხვოს და ხსნილში—სახსნილოს ჩავიდებ პირში და გადავყლაპავ!“ ხომ ეს გაიგლეთ, მკითხველო, გულში? აბა ყური დამიგდეთ კარგად და რაც გითხრათ, დაიხსომეთ და ამ შენს გულში გამოთქმული სიტყვების გამოაშკარავება კიდევაც შეგრცხვება ბოლოს...

ჩვენ რომ გავიგოთ რისთვის, რა და როგორ უნდა ვსჭამოთ და ვსვათ, საჭირო არის ვიცოდეთ ჩვენის ტანის აგებულებაც და ისიც, რასაც აქვს ჩვენს სიცოცხლეზე დიდი გავლენა.

ჩვენის ტანის აგებულება ძლიერ ემსგავსება სახლის აშენებას. ყველამ ვიცით, რომ სახლის აშენებისათვის მრავალი სხვა-და-სხვა მასალაები არრან საჭიროენი. მაგალითებრ: აგური, ფიცრები, რკინა, შუშა, ქვა, მიწა, კირი, წყალი და სხვ. ეს მასალები უნდა დავამზადოთ. ბოლოს, შენების დროს აგურს ვიხმართ კედლებში და ბუხრებში, ქვებს და კირს ბალავერში, ხეებს და ფიცრებს იატაკისა და მერჩისათვის, კრამიტს სახურავათ, რკინას—რაზა კოჭებათ და სხვ. ბოლოს ამ მასალეებიდამ გაკეთდება კარგი თბილი სახლი, რომელშიაც მესაძლო იქნება კარგად ცხოვრება. ეს ჩვენი გაკეთებული სახლი სულ ნიადაგ კი არ დარჩება, ისიც დაძველდება: ანუ კირი ჩაბოლვინდება კედელზე, ანუ ფიცარი დალპება, ანუ სახურავი დაძველდება, და თუ ეს წამხდარი ადგილები არ შევაკეთეთ, შენობა გაფუჭდება და სულ დაინგრევა. ამიტ

მსგავსია კაცის სხეულის შენობა და ცხოვრებაც. კაცის სხეული სხვა და-სხვა თოთხმეტი ცალკე მარტივი სხეულისაგან შესდგება. კაცის ტანში არის რკინა, გოგირდი, ფოსფორი, წყალი, შაქარი, ქონი, სახამებელი, იოდი, მარილი და სხვ. ეს ნაწილები, რამდენიც ბუნებისაგან არის დანიშნული კაცის სიცოცხლისათვის, ანუ რაც საჭიროა, იმდენი უნდა იყოს. ამ სხვა-და სხვა ჩვენის ცხოვრებისათვის საჭირო სხეულებს იღებს ჩვენი ტანი სხვა-და სხვა საჭმელებიდამ. თუ ყველა ნაწილები ზომით არიან ჩვენს სხეულში და როდესაც ამ მასალას მოვინელებთ ორთქლით, ანუ სხვაფრივ, შემდეგ მიდის ახალი ჩვენს ტანში, მაშინ ფიქრი არ უნდა გვქონდეს ავათ გახდომისა. მაგრამ თუ ამ სხვა-და-სხვა ნაწილებმა მოიჭარბეს, ანუ მოიკლეს და ჩვენი ტანი საჭმლით არ იღებს რომელიმე მათგანს, მაშინ ჩვენი სხეული მოიშლება და ავად გავხდებით. თუ მრავალი ნაწილი ამისთანა სხეულებისა ერთბაშათ მოაკლდა ჩვენს ტანს, მაშინ მიუცილებელი არის კაცის სიკვდილიც. კაცის სისხლი რომ ხიმიკურად გაარჩიეს სწავლულებმა, შიგ ნახეს ყველა ეს თოთხმეტი მარტივი სხეული. ავათმყოფის სისხლს ნიადაგ რომელიმე ამ ზემოხსენებულ სხეულთაგანი აკლია, ხან ბევრი, ხან ცოტა.

როგორც სახლის აშენებისათვის დაუმზადებელი ქვები, აგურები, ფიცრები, კირი, რკინები და სხვა.

არ ვარგა, ისე ჩვენი სხეულისათვის არ ვარგა, თუ მიღებული საჭმელისაგან ეს საჭირო ნაწილები არ დამზადდა და ისე დამზადებული ჩვენი ტანის სისხლში არ გაერია. ამისათვის ჩვენს ტანში არის ცალკე ამის მოწყობილება, საჭმელის მისაღები და მოსანელებელი ორგანები, ანუ იარაღები. ეს იარაღები არიან: პირი, საყლაპავი ყრონჭი, კუჭი და წელები. ამათში დამზადდება მიღებული საჭმელი და სასმელი.

სახლის ასაშენებელი მასალები რომ მოამზადო, ისიც კი უნდა იცოდე, რა და რა არის საჭირო; რომელი ხე, რომელი ქვა და მიწა. ეგრეთვე კაცმა უნდა იცოდე, რომელი საჭმელი არის ჩვენთვის სასარგებლო და რომელი მავნებელი. ზოგიერთი კაცი თუ იაფათ ყიდულობს სახლისათვის მასალას, დამპალიც რომ იყოს იგი, არ დაეძებს, მაგრამ სახლი ცუდი აშენდება და არ ივარგებს. ზოგმა არ იცის სახურავათ რა არის კარგი, ანუ აგურის მიწა რომელია კარგი და რომელი არა. ესეევ ითქმის სასმელ-საჭმელზე. ზოგიერთი იაფად ყიდულობს ცუდ საჭმელ-სასმელს და ჰგონია, რომ მოგებულია! ზოგმა სულ არ იცის, რომელი საჭმელი არის სასარგებლო და რომელი საზიანო ჩვენის ტანისათვის.

პირველად უნდა მივაქციოთ ყურადღება სასარგებლო საჭმელს და უნდა ესცდილობდეთ, რომ ის საჭმელი მოვიპოვოთ, რომელიც ჩვენი ტანისათვის

20066

არის საჭირო. სიძვირეზე არ არის, მაინცა-და-მაინც, დამოკიდებული საჭმელის კარგი თვისება. ერთი გირვანქა ხორცი ჩვენში ღირს რვა—ათი კაპიკი და ერთი გირვანქა დამჩიჩული და წამხდარი ხმელი თევზი ღირს ორ აბაზად. თევზში ფულიც ბევრი მიდის და ცუდი საჭმელიც არის. ხორცში ცოტა გეხარჯება და უფრო სასარგებლოც არის თევზზე. ასე უანგარიშო ფასი არის დადებული დროთა ვითარებისაგან ხიზალალაზე და სხვა ამგვარ საჭმელებზე. მომზადებული საჭმელი რომ პირში ჩაიდება, ამ დროიდამ დაიწყებენ საჭმლის იარაღები, ანუ ესრეთ ვსთქვათ, აპპარატები მათზე მუშაობას. პიუველად პირში უნდა დაიღეჭოს საჭმელი კარგად, რომ კუჭმა უფრო ადვილად მოხარშოს. საჭმელის დასაღეჭათ ღმერთს მიუცია კაცისათვის კარგი მაგარი კბილები, რომელთა საშუალებით, რაც უნდა მაგარი საჭმელი იყოს, დაღეჭავს; რომ ენა არ გექონდეს პირში, საჭმლის დაღეჭა ძლიერ ძნელი იქნებოდა. მაგრამ ენა, როგორც კარგი ნიჩაბი, პირში ჩადებულ საჭმელს ხან ერთ გვერდზე შეუგდებს კბილებს შუაში და ხან მეორე გვერდზე; როდესაც კარგა დაიღეჭება საჭმელი, ბოლოს ენა მოუყრის თავს, დაიდებს დაღეჭილ ლუკმას და წაიღებს ყრონჭისაკენ. ლუკმის მიახლოვების დროს სასუნთქავ ყრონჭს სარქველიკით თავდასაბურავი დაეფარება, რომელიც თვითონ აქეს მოწყობილი და ლუკმა გაღლეა საყლა-

ბავ ყრონჭში. ამ ყრონჭს ისეთი საკვირველი თვისება აქვს, რომ კაცი თავდალმაც დაჭკიდო, მაინც ლუკმა კუჭისკენ წავა. საყლაპავი ყრონჭი დალეჭილ საჭმელს გადასცემს კუჭს. ლუკმა რაც უნდა მშრალი იყოს პირში ჩადებული, არ შეიძლება, რომ იგი პირში გამოსულმა ნერწყვა არ დაასველოს. ენის ძირის სიახლოვეს ორი პატარა კვინტლებია, რომლიდამაც საჭმლის დასასველებელი ნერწყვი გამოდის და ეს ძლიერ ეხმარება საჭმლის გადაყლაპვას.

კუჭში ჩასული საჭმელი უნდა მოიხარშოს. ზოგი საჭმელი მალე მოიხარშება, ზოგი გვიან. ლორის ხორცი, ხმელი თევზი და ამისთანა სხვა მაგარი საჭმელი უფრო გვიან იხარშება, ვინემ რძე, ქათმის ხორცი და ცხვრისა. საჭმელი კუჭში კუჭის ერთ-ნაირი წვენით იხარშება. ეს კუჭის წვენი ხორცს და სხვა-და-სხვა საჭმელს ისე დაშლის, რომ რძესავით გახდის ორი-სამი საათის შემდეგ და მოუნელებელ საჭმელს ძნელად გაუშვებს წელებში. ძვალიც რომ იყოს, კუჭის წვენი მაინც სულ დაშლის შას და წვნათ აქცევს. კაცის კუჭს დიდი გარჩევა არა აქვს იმ ცხოველების კუჭისაგან, რომლნიც მცენარეებსაც სჭამენ და ხორცსაც.

ყველა საჭმლის ნაწილს ვერ მოერევა ხან-დისხან კუჭის წვენი. მაგალითებრ: იგი ქონს ვერ დაშლის, მაგრამ ამის დასაშლელად ღმერთს სხვაც რამ გაუჩენია. ღვიძლზე ერთი პატარა ბუშტი არის დაკ-

რული, რომელშიაც ნალველი არის. ამ ნალველიდამ ერთი მილი მიდის და იქ შეიყრის თავს, სადაც კუჭიდამ საჭმელი წვრილ წელში გადავა. აქ თუ დაუშლელი საჭმელი, განსაკუთრებით, ქონი, მიდის, მაშინვე ნალველი გადაესხმება და წვრილ წელებში რძის მსგავს წვნად გარდაიქცევა; თუ არავის სჯერა ეს ჩემი სიტყვა, აიღოს ძაღლის, ანუ ღორის ნალველი და ერთი პატარა სტაქანი გაავსოს; მერე ჩადოს შიგ პატარა ქონი და მაშინ შეიტყობს ამას. ქონი რძესავით გაიქნება ამ ნალველში ცოტა ხნის შემდეგ.

ზოგიერთი კაცი იმდენად უგნურია, რომ ხშირად კუჭი ასწავლის ხოლმე ჭკუას. ზოგი გაუმაძღარი იმდენს სჭამს, რომ კუჭში აღარ ეტევა, ამასთან მოუსვამს ღვინის სმას ხელს. კუჭს გაუჭირდება საქმე და იქამდის მივა, რომ გაცხარდება და მიღებულ ნამეტან საჭმელს პირისაკენ გამოაგზავნის ამ სიტყვებით: «კმარა, უგნურო, სულელო, შემდეგისათვის შეინახე»... ზომიერ ჭამაში თითქმის ყოველი ცხოველი სჯობია კაცს. ნუ იფიქრებთ, რომ ცხოველმა იმდენად მომეტებული წყალი დალიოს, რომ პირიდამ ასაქმოს!

ხშირად კუჭი დასუსტებული არის და უკან დაბრუნება საჭმლისა არ შეუძლიან. მიღებული საჭმელი ამ მიზეზით დიდხანს რჩება კუჭში. მაშინ სძებნიან ექიმებს, რომელნიც დიდის გაჭირვებით ამ დარჩენილ საჭმელს ანუ პირიდამ გამოაგდებინებენ,

ან უკანა კარიდამ. რამდენი ფული იხარჯება მარტო ასე უზომოდ მილებული საჭმლის მონელებაზე და ძალით გარედ გამოყვანაზედ?! ათასობით კაცი დედამიწაზე თითქმის ასე უზომო ჭამისაგან სნეულდება ამდენივე კაცობრიობა სნეულდება და კიდევაც კვდება, რომ ვერა უშოვია რა თავისი კუჭის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად!

კუჭიდამ დაშლილი საჭმელი და სასმელი გადავა წვრილს წელებში; ეს წვრილი წელები თორმეტ-ჯერ არის მიხვეულ-მოხვეული ძაფის შვილოსავით მუცელში კუჭ-ქვემოდამ; ბოლოს დაიწყება მსხვილი წელი. წამოყვება საპარსავიდამ და ამოვა მარჯვენა გვერდით კუჭამდის; გადიხრება, წავა ძირს და მიადგება უკანა კარს. უკანა კარი ერთი სიტყვით თავი არის ამ წელისა; მაშასადამე საჭმელის იარალი რომ ცალკე გამოიღოს კაცმა და გაშალოს, რამდენიმე საჟენზე გაიწევა. წვრილ წელებს ბადესავით აქვს ერთი მხრით შემოყოლებული ძარღვები. ეს ბადესავით დაქსელული ძარღვები ბოლოს სულ ერთ ძარღვში იყრიან თავს, წელს რომ გაჭრი, შიგნივ რალაცას ტუნტულივით სითხელეს ნახავ. ეს რომ გასადიდებელ შუშაში ჩადო და გახედო, სულ სხვათ გეჩვენება. შიგნიდამ ამ წვრილ წელებს პატარა ძუძუს თავებივით აქვს დაკიდული უთვალავი მასრები. როცა კუჭში მოხარშული საჭმელი და სასმელი გამოივლის ამ წელებში, წვრილ წელში მოიცდის. აქი-

დგან წურბლებივით ამოსწოვენ ეს ძუძუს მსგავსი მასრები, რაც სასარგებლო არის ტანისათვის. ბარე-დამ რომ დაქსელული ძარღვები აქვს ამ წვრილ წე-ლებს, მათი საშუალებით ერთდება ერთად და ვენის ძარღვის ძალით გულში ჩადის. იქიდამ ფილტვებში გამოდის; აქ ჰაერით იწმინდება ის და წავა მთელს ტანში. სადაც გაივლის, ძვალი თავის მასალას იტოვებს, ხტილი თავისას, ქონი თავისას, ხორცი თავისას და ეგრეთვე სხვა.

რაც არ ვარგა სისხლის მოსამზადებლად, ის გადადის მსხვილ წელში და აქედამ გარეთ გადის. ბევრია ისეთი ნივთები, რომელნიც საჭმელს შეჰყვე-ბიან, მაგრამ მათი მონელება კუჭს არ შეუძლია. ამისთანა ნივთებს კაცი სულ დაუშლელად ინელებს. მაგალითებრ: ხილის კურკები, ვაშლის კანი, შვინდის და ბლის კურკები, ყურძნის მარცვლის და სხვა. ამისთანა ხილის ჩურჩები დაუშლელად გადიან გარეთ. ამისთანა მაგარი, ძნელად მოსანელებელი და უსარ-გებლო ნივთი არ უნდა მივიღოთ ხოლმე, ამისათვის რომ ხშირად ამისთანა ნივთებისგან დიდი მუცლის ტკივილი აუტყდება კაცს.

მავიმეოროთ კიდევ მოკლეთ ლუკმის მოგზაუ-რობა. პირველად საჭმელი იღეჭება პირში. აქედამ ნერწყვ შერეული გადადის საყლაპავ ყრონჭში. ამას იქით თვითონ მიდის საჭმელი და ჩვენ, არა თუ არ შეგვიძლიან მოხმარება, ვერც კი ვგებულობთ, თუ

რა ემართება მას. ძუჭში საჭმელი დაიშლება კუჭის წვენით და გადადის წვრილ წელში. აქ იმას შეერევა ნაღველი და წვრილი წელის წვენი, იგი მოიხარშება და რძესავით იქცევა. აქედამ კარგი წვენი წვრილ წელის მოწყობილობით და სხვა-და-სხვა ძარღვების საშუალებით შევა გულში, აქედამ გავა ფილტვში და გაწმენდილი დარიგდება ტანში. მაგარი და არა სასარგებლო საჭმელი გადავა დიდ წელში და იქიდამ გარეთ გადის.

ჩვენს მუცელში ყოველთვის ქარი არის. ეს ქარი, ანუ ნერწყვთან ერთად ჩადის კუჭში, ანუ თვითონ საჭმლის ხარშვის, დამაჭრების დროს გაჩნდება. ზოგი საჭმელი დაშლის დროს ბევრ ქარს აჩენს კუჭში და ამისთანა საჭმელებს უნდა ერიდოს კაცი, რადგან ეს ქარი, როდესაც იგი ნამეტანია მუცელში, ძლიერ აწუხებს კაცს.

---

## თავი მეოთხე.

### სასხლის ტრიალი.

### სისხლის შედგენილობა.

სისხლი წითელია. როგორც ტანიდან გაუშვებენ, ისე წითლად შედგება; ამ შემდგარ ნივთიერებას გარდა დარჩება მოყვითალო წყალი. როცა სისხლს

გამოუშვებენ, მაშინვე რომ ცოცხით აურიოს იგი კაცმა რამდენსამე ხანს და შემდეგ ცოცხი ამოიღოს, ცოცხზე შენიშნავს დაკიდებულს ძაფებსა. სისხლი რომ გასწურო ქალალდში და მერე ერთი წვეთი აიღო და ძალიან გამადიდებელს შუშაში ჩახედო, შენიშნავ, რომ ამ წვეთში მოავალი წითელი მარცვლებია. ეს წითელი მარცვლები რომ არ იყოს სისხლში, არც წითელი ფერი ექნება მას. ცოცხზე რომ ძაფები მოეკიდნენ, იმაა ეტყვიან ქსელურსა, რომლისაგანაც კეთდება ხორცის ძაფები და მასთან ხორციცა. ეს ქსელული გამდნარია სისხლში. მინამ ის ტანშია, და როგორც ტანიდამ სისხლს გამოუშვებენ, ჰაერის ზედ მოქმედებით ქსელურ ძაფებათ იქცევა და ძირს დაილეკება. ის ძაფ-ძაფათ ერთი-ერთმანეთზე ვარდება და თან სისხლის მარცვლებს ჩაიყოლებს; იმიტომაც სისხლიდან შემდგარს ნივთიერებას მოჭირებული წითელი ფერი აქვს. სისხლშია აგრეთვე ცილა (კვერცხისა), ქონის წვეთები, ცოტაოდენი შაქარი და მადნეულება, მაგალითებრ: რკინა, მარილი, კირი და სხვ. ეს მადნეულობა სისხლში გამდნარია ისე, როგორც წყალში შაქარი გაადნო.

ეს სახით სისხლი ორ უმთავრეს ნაწილისაგან არის შემდგარი: მოყვითანო წყლისაგან, რომელსაც ვეძახით წალას, ანუ წრბოლსა და სისხლის მარცვლებისაგან, რომელნიც ღებავენ სისხლს წითლათა.

წალაში ანუ წრბოლში გამდნარია: ქსელები,

ცილა და ზემოხსენებულნი მადნეულობანი. ახლა სისხლი რომ საჭმლიდან გაკეთებულს წალას ანუ წრბოლს შევადაროთ, დავრწმუნდებით, რომ სიხლში წითელი მარცვლებია და იმიტომაც მოყვითანო ფერი აქვს მასს.

---

## სისხლის მატრიალებული ორგანები ანუ იარაღები.

სისხლის სატრიალებლად ტანშია გული და გულიდგან გაბნეული ტანში სისხლის მილები ან მასრებია. ეს მილები სამგვარი არიან: ერთ გვარს ჰქვიან არტერია, მეორეს ვენა და მესამეს ბეწვური მასრები. ვინც თავის მაჯას და ხელებს დაჰკვირვებია, ის უეჭველად შენიშნავდა მათზე წვრილ ცისფერს ძარღვებსა. ამისთანა მასრებში სდგას შავი სისხლი და ეძახიან ვენას. ეს ცისფერი ძარღვები, ანუ ვენები არ ფეთქავენ. რომელი მასრებიც ფეთქავენ, ისინი თვალით არ იხედებიან, უფრო ღრმად არიან ჩამჯდარნი ხორცში და ამისთანა მასრებს ეტყვიან არტერიებსა. არტერიებში, ანუ მფეთქავ ძარღვებში წმინდა წითელი სისხლია. ბეწვური მასრები ისე წვრილები არიან, რომ კაცის თვალით არ იხედებიან, თუ გამადიდებელი შუშის საშუალებით არ დაინახე. ბული მდებარეობს გულ-გვაძში, მარცხნივ მხარეზე. ბული განი-

ყოფება ოთხ უჯრად. ოორი ქვედა უჯრა დიდებია და ორი ზედა უჯრა პატარაები. ამათა ჰქვიან გულის ყურები და ქვედა დიდ უჯრებს კუჭუკები. ერთი მარცხენა კუჭუკა არის და მეორე მარჯვენა; აგრეთვე ერთი მარცხენა გულის ყურეა და მეორე მარჯვენა.

მარჯვენა კუჭუკა მარჯვენა გულის ყურთან შეერთებულია კარებითა, რომელსაც ეძახიან სახურავებსა. აგრეთვე მარცხენა კუჭუკა მარცხენა გულის ყურთან შეერთდება სახურავებითა, რომელნიც ხან იღებიან და ხან იკეტებიან. არც კუჭუკეები და არც გულის ყურები ერთმანეთთან არ შეერთდებიან.

მარცხენა კუჭუკიდამ გამოდის ერთი დიდი მასრა, ანუ თავი არტერია, ამ უფროს არტერიას ეტყვიან აორტას. ეს მილი ანუ მასრა რაც უფრო გულს შორდება, ისე უფრო სივრ ტოტებათ დაიყოფება და გაიბნევა ტანში. ბოლოს მეორე რიგისა და მესამე რიგის ტოტები ისე წვრილ ტოტებათ დაიყოფებიან, რომ ამ ტოტებს კაცი თვალით ველარ ხედავს და ეძახიან ბეწვურს მასრებსა. ბეწვური მასრები ყოველგან იმყოფებიან. ისეთს ადგილს ვერ ნახავ კაცის ტანზე, რომ ბეწვური მასრა ათასობით და მილიონობით არ იყოს გაბნეული. შემდეს ეს ბეწვური მასრები ერთი-ერთმანერთთან შეერთდებიან და შეადგენენ კიდევ სხვილს მილს, ანუ მასრებს, რომელსაც ეძახიან ვენებს. ეს ვენები ერთმანეთთან შეერთდებიან და შეადგენენ უმთავრეს ვენას, რომელიც

მობრუნდება და მარჯვენა გულის ყურში ჩაერთვის. მარჯვენა კუჭუკიდამ გამოდის კიდევ ერთი დიდი მილი, რომელსაც ჰქვიან ფილტვის არტერია. ამიტომ რომ ეს არტერია დაიყოფება ბეწვურ მასრებათ ფილტვში. შემდეგ ეს ბეწვური მასრები ისევ შეერთდებიან ერთ დიდ მასრათ, რომელიც გამოდის ფილტვებიდან და ჩაერთვის მარცხენა გულის ყურში. ამ მასრას ჰქვიან ფილტვის ვენა.

მკითხველი შენიშნავდა, რომ მასრები, რომელნიც გამოდიან კუჭუკებიდგან და იფანტებიან სხეულშიდ ბეწვურ მასრებათ, შეადგენენ არტერიებსა, ხოლო ის მასრები, რომელნიც ბეწვური მასრების შეერთებით კეთდებიან და ჩაერთვიან გულის ყურში, არიან ვენები. არტერიებს გააქვთ სისხლი გულიდამ ტანში და ვენებს მიაქვს ისევ ეს სისხლი გულში. ამ სახით სისხლი ტრიალებს კაცის ტანში და აკეთებს ორს სიმრგვალეს, რომელიც იწყება მარცხენა კუჭუკიდგან, ივლის მთელს კაცის ტანს და მობრუნდება ისევ მარჯვენა გულის ყურში. მეორე სიმრგვალეა პატარა. ის იწყება მარჯვენა კუჭუკიდგან, გაივლის ფილტვებს და მობრუნდება მარცხენა გულის ყურში.

სისხლი ძალიან ჩქარა სდის კაცის ტანში. სამი წამის განმავლობაში სისხლი რამდენჯერმე შემოტრიალდება ტანში, სტოვებს ახალს მასალას ტანის საზრდელად და თავის დენაში აშორებს ტანსა დაძველებულს, წამხდარს ნაწილებსა.

რა ამოძრავებს სისხლსა, ან რა ატრიალებს მას ასე ჩქარა კაცის ტანშიჟ ბული.

ბულს აქვს ერთი თვისება, ის ხან შეიფხუწება ხოლმე და ხან გაიშლება; მაგრამ ისე, რომ როცა ორი გულის ყური ერთბაშათ შეიფხუწებიან, მაშინ კუჭუკები ერთბაშათ გაიშლებიან და როდესაც კუჭუკები შეიფხუწებიან, მაშინ გულის ყურები გაიშლებიან, კუჭუკების შეფხუწვის დროს, რაც იმათში სისხლია, ან გულის ყურებში უნდა გავიდეს და ან არტერიებში. ბულის ყურში ვერ გავა, ამიტომ რომ იქ სახურავები დაეკეტებიან. მაშასადამე არტერიებში უნდა გამოვიდეს. მართლაც არტერიის სახურავები გაიღებიან და სისხლი არტერიებით გამოდის ტანში და სტოვებს იქ ტანის მარგებელ მასალას: ქსელურს, ცილას, კირს, რკინას, შაქარს, ქონს და სხვ. ამ მასალებისაგან კეთდება ხორცი, ძვალი, ქონი და სხვა. შემდეგ ბეწვურ მასრებში სისხლი ხდება, იმიტომ რომ სისხლი წამხდარს ნაწილებს უფრო-და-უფრო ბევრს გამოჰკრებს ტანიდან და მობრუნდება ვენებით გულის ყურში, რომელნიც ამ დროს გაიშლებიან და გაივსებიან სისხლითა, გაშლისთანავე გულის ყურები შეიფხუწებიან; სისხლი ან ისევ ვენებში უნდა დაბრუნდეს და ან კუჭუკებში უნდა გავიდეს. ვენის სახურავები ისეა მოწყობილი, რომ გულის ყურების შეფხუწვაზე მიიკეტებიან და კუჭუკების სახურავები გაიღებიან; ამის გამო სისხლი ავსებს კუჭუკებს. ამის

შემდეგ კუჭუკები მოიფხუწვიან და ფილტვის არტერიით სისხლი გადის ფილტვებში, სადაც ჰაერის ამოსუნთქვით აშრობს იმის წამხდარს ნაწილებს და ამ რიგათ გაკეთებულს სისხლსა ფილტვის ვენა უბრუნებს გულსა, რომ იქიდგან ხელახლა მორწყოს მან და ასაზრდოვოს კაცის ტანი. ეს მოკლე მოთხრობა სისხლის ტრიალზე და მის სატრიალებელ ორგანოებზე.

მარტო ამითაც შეუძლია გაიგოს მკითხველმა, თუ რამდენად უგუნურია ის კაცი, რომელიც ვენის ძარღვიდამ ბრალიან და უბრალო მიზეზებისა გამო სისხლს უშვებს. ძაცს იქნება კლავი სტკივა. მაშინვე გაჩნდება დალაქი თავის ნეშტრით, სჭრის ვენის მასრას და უშვებს სისხლს. რა იცის მან, თუ საცოდავს მისს მსხვერპლს ამით ის დღეს უმოკლებს და არ სარგებლობს!... ზოგიერთი იმდენად უგუნურია, რომ რამდენმაც უნდა იდინოს სისხლმა, არ შესწყვეტს მასს. მაგრამ ბუნების კანონი, რომელიც კაცის სიცოცხლეს იცავს, ეხმარება ამ გაჭირვებაში კაცს. ძაცს თავ-ბრუ დაესხმის და ამ დროს სისხლის ტრიალი ცოტა შესწყდება. ამ დროს საცა ძარღვია გაჭრილი, სისხლი შედედდება და შედედებული სისხლი პროპკასავით დაუცობს თავს ამ გაჭრილ ძარღვს. ბოლოს კაცი გრძნობაში მოვა, სისხლის დენაც შესწყდება. რამდენი ამისთანა შემთხვევაა? ბუნებას უნდა რომ კაცი მოარჩინოს, მაგრამ თვითონ კაცი

და ხანდის-ხან ექიმიც ხელს უშლიან და ავათმყოფს ძალათი საქმეს უჭირვებენ!...

სოფლის დალაქები და ექიმები, რომ არ უნდოდეს ავათმყოფს, მაინც სისხლს გამოუშვებენ. ეს წამლობა აფუჭებს, ასნეულებს ტანს და ხშირად შეიძლება, რომ კიდეეაც მოჰკლას ავათმყოფი. ავათმყოფობა სისხლის მეტობით კი არა—ნაკლებობით გაჩნდება. როცა საჭირო არის და სასარგებლო სისხლის გამოშვება, იქ საუბედუროდ არც კი ფიქრობს ვინმე სისხლის გაშვებაზე!...

---

## თავი მეხუთე.

### თირკმელი, შარდის მომზადება და დენა.

რაც სისხლში უვარგისი ნაწილებია, ფილტვებიდგან ამოსუნთქვის დროს ლაზივით ამოდიან, კანში—ტენისა და ოფლის მსგავსად და თირკმელებიდგან—შარდის მსგავსად.

თირკმლების ფორმა ყველამ იცის; კაცის თირკმლები იმ დიდი ცხოველების თირკმლებს გვანან, რომელთაც საჭმელათა ვხმაროობთ. კაცს, როგორც სხვა ცხოველს, ორი თირკმელი აქვს. ისინი მუცლის სილრმეში მდებიარებენ, მუცლის ფარს ქვემოდამ კუჭსა და წელებს უკან ზურგის ძვლის

ორსავე მხარეს, სწორეთ იმ ალაგს, რომელსაც წელს ეძახიან. ᲧᲝᲕᲔᲚ თირკმელს ორი გვერდი აქვს: ერთი იმათგანი სწორე და გამობერილია; მეორე კი შედრეკილია, რომელიც ზურგის ძვალთან მდებარებს. ᲐᲛ შედრეკილებასა აქვს ამოჭრილი ადგილი, საიდგანაც იწყობიან გრძელი აფსვიანი მილები; ყოველ თირკმელზე თითოა. ᲘᲡ მილები თირკმელის ამოჭრილის ადგილიდგან რომ იწყობიან, ქვევით მიდიან წყვილათ ზურგის ძვლის დაყოლებაზე შარდის ბუშტამდინ, სადაც ნახვრეტითა თავდებიან.

ᲗᲘᲠᲙᲛᲚᲔᲑᲗᲐᲜ ბევრი სისხლით სავსე მახრებია. სისხლი ფილტვებში რომ გაივლის ხოლმე, უვარგის ნაწილებს იმაში უშვებს, თითქო იწურებაო, გაწმენდილი სისხლი აქედგან მთელ ტანში გადის; წყალში კი თირკმლების უწმინდურობა ითქვეფება და თირკმლებიდგან მილებით შარდის ბუშტში გადის ეს ტანისთვის უვარგისი სითხელე.

შარდის ბუშტი, რომლის შინაგანი ცოტათი ჭურჭელს ჰგავს, მდებარებს მუცლის ქვევით ნაწილში, სწორეთ იმ ალაგას, სადაც თმა ამოდის. ᲗᲣ ცარიელია, გაპრტყელებულია ხოლმე და ცოტა ადგილიც უჭირავს და თუ შარდით სავსეა, მაშინ მაღლა იწევს და მდებარებს ზეით კარგათ მოშორებით თმაზედ. შარდი ბუშტიდამ კიდევ გამოდის გარეთ აფსვიანი მილი, რომელშიაც ტანიდგან გარეთ შარდი გამოვიდეს. ᲐᲛ მილს ჰქვიან შარდის სათავე და თავდებ ალისსილ ნახვრეტით.

ყველა სითხელის ნამეტნავი, რომელსაც სასმელათა ეხმაროობთ, სისხლიდგან თირკმელში სწვეთს და შარდათა ხდება. ამის გამო ყველამ იცის, რომ რამდენსაც კაცი ბევრსა სვამს რასმე, იმდენი მომეტებულად შარდზე გადის; და როგორც უვარგისი სისხლის ნაწილები ტანიდგან სითხელის მსგავსათ შარდითა და ოფლით შორდებიან. მაშ ეს ორი განყოფილება ერთმანეთს ენაცვლებიან, ე. ი. თუ ოფლი ძლიერ გამოგვდის, უეჭველათ, შარდზე ცოტას გავდივართ; თუ შარდზე მომეტებულათ გავდივართ, მაშინ ოფლი ცოტა მოგვდის. მართლათაც, სწორეთ ესე ზვემართება ხოლმე. სიცხეში, როდესაც ტანი სულ ოფლშია, შარდზე კაცი გვიან გადის; ზამთარში კი, როდესაც კანი მშრალათ გვაქვს, შარდზედ მალმალე გავდივართ.

თირკმლებიდგან შარდი შარდის მილებით წვეთით ჩადის შარდის ბუშტში; აქ დროებით გროვდება და სანამ კარგათ არ გაივსება, მანამდინ გარეთ არ გამოვა, ამიტომ რომ იმ ალაგს, სადაც შარდის სათავეა, არიან პატარა კუთები; ისინი ყოველთვინ შეკმუშვილნი არიან და ფარვენ შარდის სათავეში შარდის გასავალსა. როდესაც ბუშტში სითხელე კარგა ბლომათ მოგროვდება, ეს კუთები გაიწევენ, კარს აგანიერებენ და შარდიც გარეთ გამოდის.

შარდს თავისი ფერი და სუნი აქვს, რომელიც ყველამ იცის. შარდი რომ ჭურჭელში დიდხანს

იდგეს, აგურის ფერს დაიდებს. აქ ცუდი არაფერი არა არის რა, ამიტომ რომ, რაც უნდა უსნეულო კაცის შარდი იყვეს, უეჭველად იმაში ყოველთვის მიწის ნაწილები უნდა ერიოს, რომელნიც ჩვენს სისხლში ბევრია.

Ციების სნეულების დროს შარდი ყოველთვის მოსქოა, და პირდაპირ აგურის ფერი აქვს. სხვა-დასხვა შიგნეულის ანთების დროს შარდი კიდევ მოსქოა, ძნელად და ცოტ-ცოტად გამოდის და წითელი ფერი აქვს. სხვა სნეულების დროს, რომელზედაც თავის დროზე ვიტყვით, და აგრეთვე გულის შფოთობის, შეშინების, ანუ ძალიან სიხარულის დროს შარდი ძალიან თხელი და წყლიანია, ხშირად და ბევრიც გამოდის. ხან-დის-ხან შარდში სისხლი მოჰყვება, ხან კაცი მარტო სისხლის შარდზე გადის. ეს ნიშნავს თირკმელების ანუ შარდის ბუშტის სნეულებას. ამგვარი სნეულება უნდა ექიმმა გაიგოს და მოარჩინოს. ხან-დის-ხან კუთები, რომელნიც ჰკრუნჩხვენ შარდის ბუშტის კარებსა, მაგრად არ ჰფარავენ ლულის შესავალს, და შარდი ყოველთვის თავისუფლად, კაცის უნებურად, გარედ გამოდის. ეს ბავშვებს დაემართებათ ხოლმე სხეულის სისუსტისაგან, ხნიან კაცებს კი—გარყვნილი ცხოვრებისაგან და ხერხემლის ტვინის ავადმყოფობისაგან. მშობლები შვილებს ამას რომ შეამჩნევენ, ცდილობენ მუ-

ქარობით და წრთვნით გადააჩვიონ, მაგრამ ეს გიჟობისა და ცელქობის საქმე არ არის, არამედ სნეულებისა, რომელიც სიფრთხილით უნდა მოარჩინონ. ამისთანა მუქრობისა და წრთვნისაგან ხან-დის-ხან უბედურება ხდება ხოლმე. რომელ ბავშვსაც ეს ნაკლულევანება სჭირს და ამაზედ მშობლებისაგან დაშინებულნი არიან, ისინი ღამით ლულას შიგნით შეიწევენ. მართლადაც შარდი გარედ ველარ გამოდის, გროვდება ბუშტში და შეიძლება, რომ ამან გახეთქოს ბუშტი და ბავშვი მაშინვე მოჰკვდეს.

---

## თავი მეექვსე.

## ჩვენი სხეულის კანი.

კაცის სხეულზე გარეშემო არის გადაკრული კანი, რომელშიაც ურიცხვი პატარა ოფლის გამოსადენი მასრებია. ეს კანი კაცის სხეულისათვის დიდად საჭირო არის. ეს კანი იცავს ჩვენს სხეულს სხვა-და-სხვა მოქმედებათაგან, მაგალ.: სინოტიავისა, სიცივისა, სიცხისა და სხვათაგან. კანისაგან დაუცხრომელად გამოდის გარეთ სისხლიდამ სხვა-და-სხვა წამხდარი და მოჭარბებული ნივთები: წყალი ოფლით, ანუ ორთქლით, რომელიც დიდი სასარგებლო არ არის ტანში, მთელი და კარზის

სისხლის მოსამზადებლად. ოთქლის მსგავსად ჩვენის სხეულიდამ უსარგებლო წვენი სულ ნიადაგ გამოდის. ყოველს ოც-და-ოთხს საათში კაცის ტანიდამ ორთქლის მსგავსად გამოდის ორ ფირვანქა წყლამდინ; ჩვენ რომ ვერ ვხედავთ ამას, დიდათ გვიკვირს, მაგრამ ამისი შეტყობა ადვილი არის. ნასადილევს რომ კაცი სასწორზე შესვა და იმდენი გირები დააწყო, რომ სასწორი გასწორდეს, სამი საათის განმავლობაში უთუოდ გირები დასძლევენ და კაცი მაღლა წავა.

კანი როგორც გარეგანი მავნებელი მოქმედებისაგან იფარავს ჩვენს სხეულს, ეგრეთვე შინაგანი მომხდარი ვნებისაგანაც. კანის საშუალებით ჩვენი სისხლი და სხვა ამისთანა სასარგებლო წვენი არ დაიქცევა. კანით ჩვენ შევიტყობთ სხვა-და-სხვა საგანს, შეხების გრძნობით. ეს გრძნობა ყველგან ერთნაირი არ არის. ტუჩებით და ხელის თითებით უფრო გამოვიცნობთ საგანს. ზურგის კანით კი ვერაფერს ვერ გავიგებთ. კანის საშუალებით არიან ჩვენს სხვა-და-სხვა ადგილებზე თმები გამოსული და ეგრეთვე ფრჩხილები. თუ კანი კარგ საზრდოს არ იღებს სისხლიდგან და სნეულად არის, მაშინ არც თმებს დაეყრება სიკეთე.

კაცის სხეულის კანი სამ ნაწილად განიყოფება. ერთი ნაწილი სულ ზემოდ არის გადაკრული, რომლის გადაძრობის შემდეგ გამოჩნდება თვით წითელი

კანი და ერთი პირი კან ქვეშ არის. ზემო კანის პირში არც სისხლია და არც ნერვები. როგორც ზემოდ ვსთქვით, თუ კაცის სხეულის კანი კარგად არ იზრდება და სნეულად არის, იქ თმა არ ამოვა. ეს იმიტომ რომ თმის ძირები კანში არიან ჩანერგულნი და იქიდგან იღებენ საზრდოს. ეთასნაირი გამოგონებული თმის ამოსასვლელი საშუალება მელოტი, ბელატი კაცისათვის სულ მოტყუება არის!...

კაცის ხორცის კანზე უთვალავი ოფლის გამოსადენი მილები არიან. უბრალო თვალის შეხედვით ვერც კი დავინახავთ მათ. თუ გინდა შეიტყო ეს მილები, კაცს რომ ოფლი გამოუვა ტანზე, უნდა გასინჯო და შეიტყობ მათ რიცხვს. ეს პატარა მასრები ამისთანა ოფლისა და სხვა მოჭარბებულის და მავნებელის წყლების გამოსაშვებად არიან მოწყობილნი. მაგრამ გარედამაც კი შეიწოვენ შიგნით სინოტიავეს და სხვა წყლის-ნაირ ნივთებს. თუ ეს მასრები მოშლილი არის ჩვენს ტანში და ოფლი თავისუფლად ვერ გამოდის გარედ, მაშინ ჩვენი ტანის სიმრთელეც კარგს მდგომარეობაში არ არის.

ხშირად კაცი, როდესაც მასს კანის ამ პატარა მასრებიდამ ოფლი გამოდის, ცივდება. სიცივის დაკვრისაგან ეს მასრები სულ იკეტებიან; ამით შიგნიდამ ოფლის დენა შეწყდება. მავნებელი წყალი მოაწვება ამ ადგილს, მაგრამ რადგან გამოსასვლელი მილები დაკეტილია, ვერ გამოდის. მართლა, ეს გაცივებუ-

ლი ადგილი ასტკივდება კაცს. თუ მკერდში მოხდა ეს სიცივის დაკვრა და ოფლის შეწყვეტა, კაცს ხველება აუვარდება. თუ თავში მოხდა—თავი ასტკივდება და ანთებაც გაუჩნდება. თუ მთელ ტანზე მოხდა, მთელ ტანზე სიცხე გაუჩნდება. ეს გაცივება ორ-ნაირად გათავდება, ანუ უნდა გამოლპეს ის ადგილი და მავნებელი და აყროლებული ოფლი გარედ გამოვიდეს, ანუ ამ მასრებმა ისევე უნდა დაიწყონ მუშაობა. აი რატომ ხმაროობენ ოფლის სადენ წამლებს გაცივების დროს. ამ საშვალებით დიდი ხნის დაგუბებული ოფლი ერთბაშათ გამოდის ბევრი და კაციც რჩება. აი რისთვის არის საჭირო და სასარგებლო ტანის სისუფთავე და გაცივების მორიდება.

ჩვენს ტანში ბევრი ორგანები, იარაღები არიან, რომელთაც სულ სხვა-და-სხვა დანიშნულება აქვსთ, მაგრამ ყველაზე არ შეიძლება აქ ლაპარაკი. ამისათვის რომ, მარტო ამათი აწერა შეადგენს ერთს დიდ წიგნს. რაცა ვსთქვით, ისიც კი კმარა, რომ უფრო კარგად გაუფრთხილდეთ ჩვენს თავს კარგათ-მყოფობის დროს, და შესაფერად მოუაროთ თავს ავათ-მყოფობის დროს; ამასთან სხვა სნეულებასაც შემწეობა აღმოვუჩინოთ.

სახალხო საექიმო წიგნი,

# პარაბადინი.

ნაწილი მეოთხე.

საჭირო და სასარგებლო სწავლა და დარიგება

## ჯანმრთელობის დაცვაზე.

# შესავალი.

## რა საგანია გიგიენა?

გიგიენა არის ერთი ნაწილი სამკურნალო სწავლისა, რომელიც ასწავებს ჯან-მრთელობის დაცვას.

ქვეყანაზე არიან ისეთი ნივთები, ურომლოდაც კაცს არას გზით არ შეუძლია სიცოცხლე. ამისთანა ნივთები არიან მაგალითებრ: ჰაერი, წყალი, საჭმელი და სხვანი. არიან სხვა რამეებიცა, რომელნიც თუმცა იმდენად საჭირონი არ არიან, როგორც ჰაერი, წყალი და საჭმელი, მაგრამ, მაინც, ძლიერ საჭირონი არიან ჯან-მრთელობისათვის. ამისთანანი

არიან მაგალითებრ: ტანის-ბანა, ტანის სამოსი, სისუფთავე, გონებითი მუშაობა, სხეულის მოძრაობა და სხვანი. ცხოვრება, მართალია, შეუძლია კაცს უამათოდაც, მაგრამ როდესაც ამისთანა ტანის მოთხოვნილებასაც აღასრულებს კაცი, მაშინ უმეტესად ტან-მრთელად იქნება იგი და მისი ცხოვრებაც სწორი. ერთი ამ ზემო მოყვანილთაგანი ნივთი თუ აკლია კაცს, ცხოვრებით იქნება იცხოვროს, რასაკვირველია, მაგრამ ხშირად ამისთანა მოკლება ასნეულებს კაცის ტანს.

ამას გარდა არის კიდევ იმისთანა ნივთები, რომელნიც სასიკვდინენი არიან კაცთათვის, როგორც მაგალ.: საწამლავები, დამპალი, მყრალი ჰაერი, ხაშმი და სხვანი; აგრეთვე მავნებელია უზომოდ მოხმარება ჩვენი გონებითი ნიჭისა, რომლის სწორი და ზომიერი ხმარება ძლიერ სასარგებლო არის კაცისათვის.

ყველა ამისთანა ნივთთა ზედ-მოქმედება და გავლენა ჩვენს ტანზე განიხილებიან გიგიენურ სწავლაში. მაშასადამე გიგიენა ყოფილა ისეთი სწავლა, რომელიც გვასწავებს ჩვენ, თუ როგორ უნდა განვაშოროთ ჩვენი თავი სხვა-და-სხვა ნივთების ცუდ-მოქმედებას, რას უნდა ველტოდეთ, რომ ტან-მრთელად ვიცხოვროთ და როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ერთის მოკლებით მეორეთი ვისარგებლოთ. ეს სწავლა ყველასთვის იმდენად საჭირო არის, რამდე-

ნადაც ყველას ჰსურს ცხოვრება და ჯან-მრთელობა.

ბიგიენური სწავლა განიყოფება ორ ნაწილად: კერძოობითად და საზოგადოდ. კერძოობითი გიგიენური სწავლა არის ისეთი ცოდნა, რომლითაც კაცმა უნდა შეიტყოს, თუ როგორ ისარგებლოს მის ვარეშემო მყოფი საგნებით და საკუთარი თავის ნიჭითა, ტანის აგებულების და გარემოების შესაფერად. საზოგადო გიგიენურ სწავლას აქვს მიზნად და საგნად მთელი საზოგადოების ტან-მრთელობის დაცვა.

## თავი პირველი.

## რამოდენიმე სიტყვა კაცზე.

კაცი არის არსება გონიერი, გონიერი ცხოველი. ამ ახსნაში ორივე სქესი იგულისხმება და საზოგადოდ მთელი კაცობრიობა.

ყველა ცხოველებში მხოლოდ ერთს კაცს აქვს ნიჭი მინიჭებული ღვთისაგან, რომ სწორედ დადგეს ფეხზე. მხოლოდ ერთს კაცს შეუძლია, რომ თავის აზრი გარდასცეს მეორეს სხვა-და-სხვა სახითა და ხმითა. მარტო ერთს კაცს შეუძლია, რომ იცხოვროს ყოველ ადგილას. ერთი სიტყვით, კაცი არის უფალი ქმნილებათა ზედა. სხვა ყველა ცხოველები ან ერიდებიან და გარბიან კაცისაგან, ან უმორჩილდებიან მასს და მსახურებენ. რომ კაცი არის შექმნილი ღვთისაგან, ამას ამტკიცებს ის, რომ მას მხოლოდ ერთს აქვს ნიჭი მიცემული გამოიკითხოს

თავის შემქმნელი და ნიადაგ ეცადოს მიაღწიოს უკანასკნელ სისრულემდი.

რა არის კაცის ცხოვრება? კაცის ცხოვრება ნიადაგ ბრძოლაა კაცის სიცოცხლის ხელის მწყობელ და დამარღვეველ მოქმედებათა წინააღმდეგ. მრავალი რამ არის ბუნებაზე, რომელთაც კაცის სუსტ ტანზე ცუდი მოქმედება აქვს; ხან ჰაერი მოქმედებს კაცზე ცუდათ; ხან მიწიდან ასულ დამპალ ჰაერს უნდა ერიდოს კაცი, რომ არა ავნოს რა მას; ხან სხვა-და-სხვა ცუდი სურვილი და მონდობილებანი აღელვებენ მას და არღვევენ მის ცხოვრებას. ხშირად ესენი დღესაც უმოკლებენ კაცს ამ ქვეყანაზე.

ფიზიოლოგიური მხრით კაცში თითქმის ყველას იმას ნახავ, რასაც ხედავ უმაღლეს განყოფილებათა ცხოველებში.

ძალი თავის ნაყოფს, თესლს, ცხრა თთვეს ზიდავს და ბოლოს შობს ერთს ბავშვს, მაგრამ იშვიათად ხდება ხოლმე წინააღმდეგი, როგორც სტატისტიკური გამოანგარიშებისაგან სჩანს, სამოც-და-ათ ორსულ ქალში ერთი შობს ხოლმე ტყუპს. შვიდი-ათას ორსულ ქალში ერთი შობს ხოლმე ერთად სამს; ორმოც-და-ათი-ათას ორსულებში ერთი შობს ოთხ ბავშვს, და რამოდენიმე მილიონში—ერთი შობს ხუთ ბავშვს.

ძალების შვილოსნობა გრძელდება ოც-და-ხუთი წლის განმავალობაში, სახელდობრ: თუთხმეტი წლი-

დამ ორმოცამდის და ორმოც-და-ხუთამდის. ბამოანგარიშებული არის, რომ ორმოც-და-ათ ნაგვირგვინებ ქალში ერთი გამოდის უნაყოფო, უშვილო.

მაგრამ ზოგს ერთობ ბევრი ბავშვები ეყოლება ხოლმე. ერთ რუსს პირველი ცოლის ხელში ეყოლა სამოც-და-ცხრა შვილი, ოც-და-შვიდ დაორსულებაზე. მეორე ცოლის ხელში ეყოლა თვრამეტი შვილი თვრამეტს დაორსულებაზე; და სრულიად ოთხმოცდა შვიდი შვილი ჰყვანდა. ოთხმოც-და-სამი შვილი ცოცხალი იყო თურმე, როდესაც მამა მათი სამოცდა-თვრამეტი წლის იყო.

ეხლა მივაქციოთ ყურადღება კაცის ცხოვრების და სიკვდილის სტატისტიკურ გამოანგარიშებას.

დღეს ყოველ გვარს ხალხში კაცი სცხოვრობს სამოც-და-ათი ან ოთხმოცი წელიწადი: წარღვნამდის კაცი ნამეტანი ხანი სცხოვრობდა; ამისათვის რომ მაშინ საზრდოც ბევრი იყო და ბუნების იმდენი მაენებელი მოქმედებაც არ იყო, რასაც დღეს ვხედავთ და ვგრძნობთ. ალარც ის ძველი თავისუფალი დრო არის!... ქალი კაცზე უმეტეს ხანს ცხოვრობს. მაგრამ ძლიერ გასაკვირველია, რომ ხანგრძლივი ცხოვრება უმეტესად კაცებში მოიპოვება, ვინემ ქალებში. მაგალითად ერთ შვეიცარიელს ას-ოთხმოცი წელიწადი გაუძლია და ერთ ბოლანდიელს ას-ოთხმოცდა-ექვსი წელი. *)

---

*) მე ვიცი ზიგიერთი გლეხები, რომელნიც ას-ოცი წელიწადი ცხოვრებდენ და მეტიც.

ავტორი.

ქაცობრიობაში კაცის სიკვდილიც კარგად არის გამოანგარიშებული. ჩვენ მოვიყვანთ აქ მიახლოებით სტატისტიკურ ანგარიშს. ოც-და-ორ დაბადებულ ბავშვში ერთი უთუოდ მკვდარი იქმნება.

ათას მკვდარზე გარდაცვალებულნი არიან პირველ წელშივე — ორას ოც-და-ერთი.

ორი წლისა — სამოც-და-ჩვიდმეტი და სამოცი წლისა — ორმოცი.

ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ ათას მკვდარზე მესამედი თითქმის პირველ წლებშივე გარდაიცვლებიან.

რომ გავარჩიოთ სიკვდილის შემთხვევა ასაკობაზე, დავინახავთ, რომ ზოგიერთ ასაკობაში უმეტესად კვდებიან. მაგალითებრ, გამოანგარიშებულია, რომ

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | წლიდამ | 2 | წლამდინ | 10-ში კვდება | . . 1 |
| 2 | წლიდამ | 8 | წლამდინ | 67-ში » | . . 1 |
| 8 | წლიდამ | 12 | წლამდინ | 147-ში » | . . 1 |
| 20 | წლიდამ | 40 | წლამდინ | 40-ში » | . . 1 |
| 40 | წლიდამ | 74 | წლამდინ | 10-ში » | . . 1 |
| 74 | წლიდამ | 90 | წლამდინ | 90-ში კვდება | . . 3 |

ეხლანდელი მიახლოებითი გამოანგარიშებით მთელ დედა-მიწის პირზე სულ ათას სამას ორმოცდა-თექვსმეტი მილიონი რვაას ორმოც-და ათი ათასი კაცია. ქაცის სიცოცხლის საშუალ რიცხვად ითვლება ეხლანდელ დროში ოც-და-ცამეტი წელიწადი და ექვსი თვე. მეოთხედი ნაწილი იქვე პატარაობისას იხოცება, მინამ შვიდი წლის შესრულდებოდეს, და თითქმის

ნახევარი ნაწილი ხალხისა იხოცება ჩვიდმეტ წლამდინ შობიდგან. ას კაცში მხოლოდ ერთი ცოცხლობს ოთხმოც წლამდინ. ათას კაცში მხოლოდ ერთი ცოცხლობს ას წლამდინ.

ერთი წლის განმავლობაში დედა-მიწის ზურგზე ჰკვდება ოც-და-ცამეტ მილიონამდინ. აქედამ სჩანს, რომ ყოველ ცისმარად დღეს კვდება დედა-მიწაზე ოთხმოც-და თუთხმეტი ათასი კაცი. თვითეულ საათში კვდება მთელს დედამიწაზე სამი ათას შვიდას ორმოც-და-ათი კაცი. თითეულ წამში—სამოცი კაცი და ერთი თვალის დახამხამებაში ერთი კაცი. ჩვენ ზემოთ ვსთქვით, რომ ყოველ წელში კვდება ოც-და-ცამეტი მილიონი კაცი. მაგრამ ყოველ წლივ იბადება ორმოც-და-ერთ მილიონამდინ, ასე რომ ყოველ წელს რაც კვდება, ის იბადება და კიდევ მეტი ცხრა მილიონამდინ. ეს ყოველი წლის მომეტებულობა, რასაკვირველია, ძალიან გაამრავლებს ხალხს დედა-მიწაზე. მაგრამ ამ ხალხის გამრავლებას აბრკოლებს ომიანობა და ჭირი, რომელნიც ძლიერ ამცირებენ ხალხს ქვეყანაზე. რომ ჭირიანობა და ომიანობა არ ხოცავდეს ხალხს, ერთი საუკუნის განმავლობაში ხალხის რიცხვი თითქმის ერთი ორს მოიმატებს.

# თავი მეოთხე.

## ჰაერი.

დედა-მიწაზე ერთი იოტის ოდენა ალაგი არ მოიძებნება, რომ რაიმე სხეულს არ ეჭიროს. ის ცარიელი ალაგები, რომელსაც ჩვენ ეხედავთ დედა-მიწიდგან ცამდინ, სულ დაჭერილი აქვს ერთ-ნაირ გამსჭვერ სხეულს. ზამსჭვერს იმისთანა სხეულს ვეტყვით, რომელშიაც სინათლე გადის, მაგალითად მინა, შუშა და სხვა. ჰაერი ისეთი წმინდა არის, რომ თვალით ვერ ეხედავთ. ამ უხილავ სხეულს—ჰაერს უჭირავს ბუნებაზე ყველა ცარიელი ალაგები. როდესაც კარგათ გაიცენეს და შეიტყეს ეს უხილავი სხეული, ამას დაარქვეს ჰაერი. მაშინვე შეიტყეს, რომ ეს ჰაერი მიწას პერანგსავით ჩასცმია, ისე როგორც ატამი თავის ქინქლშია (ბუმბულში) გახვეული. ჰაერი გარ შემოდგომია და გაჯდომია ყველაფერს, რაც მიწაზე და წყალშია, ისე როგორც წყალი აქვს გარე შემორტყმული ყოველისფერს, რაც იმაში იმყოფება. ძაცი ცხოვრობს და ინძრევა ჰაერში იმავე გვარად, როგორც თევზი წყალში. ჩვენ ჰაერს ვერ ეხედავთ, ამისათვის რომ ის წყალზე ბევრათ უფრო თხელი და წმინდაა; მაგრამ როცა ჰაერი გასქელდება, მაშინ

იმასაც დაეინახავთ. Თვალგაუწვდენელს მინდორზე, ანუ ჭალაში, როცა ჰაერი ბევრია, იმას აქვს ლურჯი ფერი, ამიტომაც შორს მიეებს რომ ვხედავთ, ისინი ლურჯათ გვეჩვენებიან და თუ კიდევ უფრო შორს არიან, შავათაც იხედებიან.

როგორც დაცემულს, ჩავარდნილს ადგილებში და ჭაობებში დგება წყალი, ისე სარდაფებში, ვიწრო ნიხვეულ-მოხვეულ ქალაქის ქუჩებში და მუდამ ფანჯრებ დახურულს ოთახებში დგება ჰაერი. Დამდგარს, აყროლებულს წყალს მხოლოდ მაშინ ხმარობენ სასმელათ, როცა წმინდა წყალი არსად მოიძებნება და წყურვილისაგან იხრჩობიან. Ეგრალო უსწავლელმა კაცებმაც კი იციან, რომ ეს წყალი ძალიან მავნებელია ტანის სიმრთელისათვის და უფრთხილდებიან; მაგრამ დამდგარს, წამხდარს ჰაერს კი ვერ ხედვენ და უშიშრად სუნთქავენ მას. Წამხდარი ჰაერი აყროლებულს წყალზე უფრო აენებს კაცს. Ამიტომ რომ ცუდს წყალს დღეში სამჯერ-ოთხჯერ თუ დალევენ, მეტად არა, და წამხდარს ჰაერს ერთს წამში ოცჯერ მაინც ჩაისუნთქებ.

რაც მიწას გარეშემო ჰაერი არტყია ქერქივით, იმას სწავლულები ეძახიან ატმოსფერას. Ეს სიტყვა ბერძნულია და ნიშნავს ჰაერის სახვევს მიწის გარშემო. Მაშ ატმოსფერაც ისეთი მრგვალია, როგორც თვითონ მიწა. ჩვენს ჰაერს მეცნიერები ეძახიან ატმოსფერის ჰაერს, რომ განარჩიონ სხვა ჰაერებისაგან.

ესენი მხოლოდ იმითი გვანან ჩვენს ჰაერს, რომ თითქმის იმნაირათვე წმინდანი და გამსჭვერნი არიან, მაგრამ სხვაფრივ კი ბევრით განირჩევიან. წმინდა არაყიც ხომ ერთი შეხედვით წყალსა ჰგავს, მაგრამ როცა პირში ჩაიკარებ, მაშინ დარწმუნდები, რომ სულ სხვაა. ამისთანა სხვანაირი ჰაერი ბევრია დედამიწაზე და ვერც ერთში კაცი ვერ სძლებს. ვინიცობაა კაცს შეემთხვეს ამ სხვა ჰაერში ფშვინვა, მაშინვე დაიხრჩობა. როცა ამისთანა ცუდი ჰაერი შერეულია კარგი ჰაერის ნაწილებში, მაშინაც არ შეუძლიან კაცს იმითი დიდხანს ისუნთქოს. მალე მოიწამლება. ამისთანა ჰაერებს სწაველულები ეძახიან გაზებსა; ჩვენ დაუძახოთ ჰაერგვარი. ამ ორ სახელში მკითხველმა ის დაიხსომოს, რომელიც უფრო ეადვილება. თუნდ ავიღოთ ნახშირის ჰაერგვარი, რომელიც ლურჯ ალად ადის ნაკვერცხლებზე, როცა შეშა დაიწვის. ამ ნახშირის ჰაერგვარსაც, როგორც ჰაერს, ისე ვერ ვხედავთ, მაგრამ ჰაერს რომ შეერიოს და კაცმა შიგ სამი-ოთხი საათი ისუნთქოს, მაშინვე ფეხებს გასჭიმავს. იმ წამს თავი ასტკივდება, პირიდგან ასაქმებს და, თუ მალე არ მიეშველა კაცი და წმინდა ჰაერზე არ გამოიყვანა, კიდეც მოკვდება. რაკ ქვეყანაზე ცარიელი ადგილებია, მართლა ცარიელები კი არ არიან, ისინი გავსებულნი არიან ან ჰაერით, ან რომელიმე ჰაერ-გვარით.

ერთნაირ ჰაერგვარს მეცნიერები ეძახიან ნახშირ-

ძმარას, რომელიც ჰაერზე უფრო მძიმეა; ამისათვის როცა სიმყუდროვეა, სიო არსაიდგან ჰქრის, მაშინ ეს ჰაერ-გვარი ჩამოდის ძირს, ეფინება მიწაზე, ისე როგორც წყალი ზეთს ქვევით დგება. ის ზევით მიწაზე ბევრი არაოდეს არ გროვდება, ამიტომ რომ ოდნავ სიოც რომ მოხვდეს, მაშინვე გაფანტავს მას. საცა ქარი თავის დღეში არ გაინძრევა, იქ სულ სხვაა; მაგალითად: დახურულ ოთახებში, ან მიგდებულ ჭებში, რომელთაც აღარავინ ხმაროობს, ან კლდის ქვაბებში, ან ჩვენებურს დიდ ქვევრებში, საცა მაჭარი დულს და ღვინო დგება. ამ ალაგებში ყველგან ბევრი გროვდება ამისთანა ჰაერ-გვარი. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ამ ალაგებში ჰაერი არ შედის და რადგან თვითონ ნახშირ-ძმარა უფრო მძიმეა, ძირს წვება და ზევით ვერ ამოდის. ამიტომ იმისთანა ალაგებში წინდაუხედავათ კაცი არ უნდა ჩავიდეს. ჯერ უნდა ჩაუშვათ ან მოკიდებული სანთელი, ან ან კვარი. თუ გაქრა, ეს ნიშნავს, რომ კაცს იქ სუნთქვა არ შეუძლია.

მეცნიერებისაგან ძლიერ კარგათ არის გასინჯული ჰაერი. მათი გამოანგარიშებით ჰაერი შესდგება მჟავბადისაგან, ურომლოთაც კაცს სუნთქვა არ შეუძლია და უიმისოთ არც ცეცხლი რამეს ეკიდება; აზოტისაგან, ზემოთ ნათქვამი ნახშირ-ძმარისაგან და სხვათაგან. ჰაერს თავის შესაფერად სიმძიმე აქვს. ერთი შტოფი, ანუ ერთი გრაფინა ხმელი ჰაერი

იწონის მესამედ მისხალს. ჩვენ გვგონია, რომ ყველგან ერთ-ნაირი ჰაერი არ არის. დიდ ქალაქებში ყოველთვის ცუდი ჰაერი არის და სოფლებში, სადაც მშრალობი ადგილი არის, და მცენარეც ბევრია, კარგი ჰავა არის. აი შეხედეთ ქალაქის მცხოვრებს, როგორ მშვენიერ საჭმელს ხმარობს, მაგრამ მაინც რალაცა ავათმყოფის ფერი აქვს სახეზე დადებული. სოფელში კაცი უბრალო საჭმელს სჭამს, მაგრამ წმინდა ჰაერს ისე აქვს შენახული, რომ სისხლივით აქვს ლოყები გაწითლებული. ყოველს სუნთქვაზე კაცი ჰყლაპავს წმინდა ჰაერს, რომელიც ფილტვში ჩვენს უწმინდურს სისხლს სწმენდს. ჩვენ რომ ვსუნთქავთ, წმინდა ჰავა ჩადის ფილტვში, მაგრამ ამოსუნთქვაზე კი წამხდარი ავა ამოგვდის პირიდამ.

მცენარეებისათვის აზოტის ნაწილი არის სასარგებლო და კისლეოროდი, მჟავ-ბადი კი ჩვენთვის. მცენარეები ნახშირ-ძმარა ჰაერს მიიღებენ და კისლეროდს, მჟავ-ბადს გამოუშვებენ, როგორც მათთვის მავნებელს; მაგრამ კაცი მჟავ-ბადს, კისლეროდს მიიღებს და მისგან გამოსულ ნახშირ-ძმარას მცენარეებს აძლევს. ამისათვის ყოველთვის სასარგებლო არის დასახლება იქ, სადაც ბევრი მცენარეები და კარგი ნიადაგი არის.

როგორც წყალი, ისე ჰაერი კიდევაც გათბება და კიდევაც გაცივდება, მაგრამ წყალივით მალე კი არა. როდესაც ჰაერი არც ერთობ ცხელია და არც

ერთობ ცივი, მაშინ ჩვენ არაფერს ცუდს არა ვგრძნობთ ტანზე. მაგრამ როდესაც ჰაერი ძლიერ გაცივდება, მაშინ ამ ცივ ჰაერს ცუდი და უსიამოვნო მოქმედება აქვს ჩვენი ტანის კანზე. ცივი და ხმელი ჰაერი კარგია ტან-მრთელობისათვის, თუ კარგი თბილი ტანისამოსი გვაქვს და კარგი საჭმელი. თუ სუსტად და ცუდად ვართ ჩაცმულნი, მაშინ სიცივე ძლიერ გვასუსტებს ჩვენ.

თუ ჰაერი ძლიერ ცივია და კაცი ცუდათ არის ჩაცმული, მისი სხეული და მასრები გაშეშდებიან და ძიგძიგობენ. სისხლი გაჩერდება და აღარ დაიწყებს მოძრაობას კან-ქვეშ. ხორცის კანი გალურჯდება და გრძნობას დაჰკარგავს; სისხლის მოძრაობა დადგება, მთელი ტანი შეშდება და კაცი, თუ დიდხანს დარჩა ამ მდგომარეობაში, კიდევაც ჰკვდება.

---

## თავი მესამე.

## რამდენიმე სიტყვა საჭმელებზე და მათ მიღებაზე.

ოცცხალი კაცის სხეული იცვლება ყოველს საათს და ყოველ წამს. სხეულიდგან ისეთი ნაწილები, რომელნიც სრულებით დაძველებულნი და უვარგისნი არიან, გამოდიან გარეთ, იმათ ადგილს კი სხვანი იჭერენ. კაცის სხეულში მუდამ მუშაობაა.

გული სცემს, საჭმელი ნელდება, ფილტვები სუნთქვენ, სისხლი ძარღვებში მდინარებს, ტვინი ფიქრობს — ასე ყველა მუშაობს, იძვრის და, რასაკვირველია, გაუწყვეტელის მუშაობისაგან ყველაფერი ძველდება და უნდა კაცმა გაიახლოს. ოთახში რომ დათბეს, უნდა ბუხარი გაახურონ. შეშა რომ დაიწვის, ოთახს ათბობს და სიცივეში ყოველ დღე ბუხარში ცეცხლი უნდა დაანთონ, თორემ ოთახში სითბო არ იქნება, ის გაცივდება; ასე სხეულისათვის ბრის საჭირო ყოველთვინ საჭმელი, რომ კაცმა იცოცხლოს და ღონე გაიმაგროს, რომელიც მუშაობაშია დაღალული. უვარგისი, დაძველებული ნაწილები, სხეულისაგან გამოდიან ოფლთან, ტენთან, შარდთან, ფილტვებიდან, და იმათ მაგივრად საჭმელ-სასმელისაგან სხვა ახალი ჩნდება.

აი რისთვინ უნდა ჭამოს კაცმა საჭმელი ყოველ დღე. ვინც ცოტას სჭამს და დიდხანს მარხულობს, ძალიან ხდება და თუ კაცი უსაჭმელოთ დარჩა, ავათ ხდება და შიმშილით მოკვდება. შიმშილით კაცი რომ კვდება, საშინლად იტანჯება.

უმაწვილმა კაცმა, თუ იგი მეტ მოძრაობაშია, თუ გული ჩქარა უცემს და სისხლი მალე უმდინარებს, უნდა მომეტებული სჭამოს. ვინც სულ შინა ზის, უფრო ცოტასა სჭამ. მოხუცებულისათვის ერთი ჯერიც საკმაოა. მარტო ავათმყოფობაში კაცი უჭმელობით დიდხანს გაძლებს. ავათმყოფს პური ისრე

ძალათი არ უნდა აჭამონ, როგორც უბრალო ხალხი ჩადის. როდესაც კაცს მადა არა აქვს და საჭმლის ჭამა არ შეუძლიან, არ უნდა დააძალონ საჭმელი. ავათ-მყოფი უჭმელობით არ მოკვდება; როდესაც მორჩება, დანაკლის მაშინ შეისრულებს.

მშიერს ჯერ ორი-სამი დღე საჭმლის ჭამა ძალიან უნდა, მაგრამ მერმე ეს ნდომა დაეკარგება; ტანი გაუხდება, კაცი ვერ მოძრაობს, მუცელი გლეჯას და ტკივილს დაუწყებს, პირი, ენა და სხვა შინაგანი ასოები უშრება, ძილი ეკარგება, იწყებს როტვას, თვალები ჯერეთ უბრწყინავს, მერმე აემღვრევა და მოკვდება. ეს სიკვდილი ძალიან საზარელია. დამშეულის შველა ვისაც უნდა, პირველ შემთხვევაში, რაც შეიძლონ, ცოტა უნდა აჭამონ; უმეტესად უნდა აძლიონ თხელი საჭმელი და მომეტებული მაგარი დამშეულ კაცს მალე მოჰკლავს; ამიტომ რომ იმის კუჭი გადაჩვეულია საჭმელსა. კუჭში ამ დროს არც ლორწოა, არც წვენი. ამისათვის ვერ მოინელებს და როგორც ქვა ისე დაუმძიმდება კუჭი. შველამ ვიცით, რომ თუ ახალ გახსნილების დროს კაცმა მომეტებული ჭამა ხორცი ანუ მსუქანი საჭმელი, მალე გახდება ავათ.

რომელი საჭმელია კაცისათვის უფრო მარგებელი? არიან ისეთნი ცხოველნიც, რომელნიც მარტო ხორცით იზრდებიან, მაგალითებრ: მგელი, აფთარი, გუგული და სხვანი. კაცი ორივეს ხმარობს მცენარესაც და

ხორცსაც. რომელ ნაწილში უნდა იყოს ის ნაწილები, რომელნიც ტანისთვის საჭირონი არიან? მცენარეშიაც ისეთი ნოყიერება არის, როგორადაც ხორცში, მაგრამ ძალიან ცოტაა. ამისათვის კაცი უხორცოთაც გასძლებს, მაგრამ მცენარე ხორცზე უფრო ბევრი უნდა იხმაროს. მარხვაში ბევრი პური უნდება კაცს. სამარხო სადილის შემდეგ კაცს კიდევ მალე მოშივა.

არც ის არის შეტყობილი, რამდენს ყონა საჭმელს ხმარობს კაცი დღეში, მაგრამ საჭმელის რაოდენობა ბევრ მიზეზებზედ არის დამოკიდებული: ტანის სიდიდეზედ, მოხელობაზედ, სხვა-და-სხვა გვარ ცხოვრებაზედ და ჰაერზედ, რომელშიაც კაცი ცხოვრებს. ახალგაზდა მოხუცზედ მომეტებულსა ჭამს. რომელნიც თბილ ქვეყანაში ცხოვრობენ, ისინი ერთი პატარა პურით და კიტრით გაძღებიან. რუსს ზამთარში რამდენიმე ჯამი შჩი და ორი გირვანქა პური ერთ ჯერად არ ეყოფა. მისაც რამდენი ჰსურს, იმდენი უნდა ჭამოს, რუსული ანდაზაა, «გულს თავისი ზომა აქვსო», გონიერი კაცი იმდენს არ შეჭამს, რომ ავად გახდეს და არც გაუჭირვებლივ დაიმშევს თავსა და იმარხულებს: ერთიცა და მეორეც სიმრთელისათვის მავნებელია.

კაცის პირველი დასაწყისი საჭმელია რძე. რძე მარტო სითხელე არ არის; იმაში არის სხვა-და-სხვა ნივთიერება, რომელნიც ისრე არეულნი და შემკულნი არიან, რომ ერთბაშად კაცი ვერ შეიტყობს.

ყოველ რძეში არის წყალი, სიმსუქნე, ხაჭო, შაქარი და რამდენიმე სიმლაშე. რძის შედგენილობა ძალიან ჰგავს სისხლის შედგენილობასა; მხოლოდ რძეში წითელი მარცვლები არ არიან, რომელნიც ჰუდან სისხლშია. რძე ძალიან ადვილი მოსანელებელია. შვარგისი ნაწილი რძიდგან ცოტა გამოდის გარეგ.

დედა-კაცის რძე პირველ დღეებში, ყმაწვილს რომ შობს, ძალიან თხელია, იმაში სიმსუქნე, ქონი ცოტაა; წყალი და მლაშე კი ბევრი. ეს რძე ბავშვს აფაღარათებს, რომელიც მართლა სასარგებლოა. თუმცა დედის მუცელში ბავშვი საჭმელს არა ჭამს, მაგრამ მის წელებში გროვდება სისხლისაგან უწმინდურობა; ამის გამო დაბადების შემდეგ მაშინვე ყმაწვილს წელები უნდა გაეწმინდოს, და დედის რძე მართლადაც სწმენდს. შემდგომ რძე გასქელდება და აღარ აფაღარათებს მას, არამედ ასაზრდოვებს რიგზედ ბავშვსა. ბავშვისთვინ საზრდოდ ყველაზე კარგი თავის დედის ძეა. ვისაც შვილი უყვარს და იმის სიკეთე უნდა, ბავშვი თავისი ძუძუთი უნდა გაზარდოს.

ყველამ იცის, რომ ხორცი ადვილად მოსანელებელია და სხვა საჭმელზედ ნოყიერი. რამდენიც ხორცში მეტი სისხლია, იმდენად უფრო ნოყიერი და სამჯობინაროა. როდესაც საქონელს ხოცვენ, ბევრ სისხლს აქცევენ, ამის გამო ხორცი შრება და ძნელი მოსანელებელი შეიქმნება. ახალმოზარდე საქონ-

ლის ხორცს კუჭი უფრო ინელებს, მინამ ბებრისას. ამისთვის ავადმყოფს ახალმოზარდე საქონლის ხორცი უნდა აჭამონ.

საქონლის ხორცის კუთებს გარდა საჭმელად ვხმაროობთ მათ შიგნეულსაცა. ყველაზე უკეთესი საჭმელი არის — ხაში, რომელიც ნოყიერი და ძალიან მსუბუქი საჭმელია.

ტვინი ძალიან მძიმე საჭმელია. ღვიძლი და თირკმელებიც მძიმე და უვარგისი საჭმელთაგანია.

ღორის ხორცი მაწყინარია, და მის მჭამელს მაგარი სტომაქი უნდა ჰქონდეს. ერთობ ნამეტანი მსუქანი საჭმელი მაწყინარია, მაგალითებრ: ერბოში შემწვარი თევზი, შემწვარი ბატი ძალიან ძნელი მოსანელებელი არის. მძეხვებს, კუპატებს ღორის ხორცისაგან აკეთებენ, მაშასადამე ისინიც მძიმე საჭმელია. ძველი ნადები მძეხვები კაცისათვის საწამლავია, წამხდარ მძეხვებს უნდა ერიდონ, იმაში ხან-დის-ხან ისეთი საწამლავი არის, რომელიც კაცს ჰკლავს. ამისთანა საწამლავი დიდი ხნის წამხდარ ყველშიაც არის ხოლმე.

მცენარის საჭმელთაგან გარდა პურისა ხმაროობენ კარტოფილს, კომბოსტოს, მუხუდოს და სხვათა.

კარტოფილი ისე ნოყიერი არ არის, როგორც ჰგონიათ. ეაცი რომ იმითი გაძღეს, უნდა ბევრი სჭამოს. ყველაზე კარგი დაფხვნილია, მაგრამ მაწყინარია; კარტოფილი, კილარ გამოღებული, არ ვარგა. კარ-

ტოფილის ამოსულ ყლორტებში ხშირად საწამლავია. კომბოსტო და მუხუდო მარგებელია, მაგრამ ყოველთვინ კი არ უნდა იხმარონ, ის კაცს მუცელზე ბერავს, ე. ი. ქარებს აჩენს წელებში, რომლის გამო კაცს მუცელი სტკივა. ბოლოკი ძალიან მარგებელი და მსუბუქი საჭმელია. ხახვი, ნიორ. ღანძილი კარგი საჭმელია იმათთვინ, ვინც ბევრს მუშაობს; სასარგებლოა ეს საჭმელები აგრეთვე სურავანდიანთათვის; უღონო და ზანტი ტანის მქონე პირთათვის.

საჭმელის მოსანელებლად ხმაროობენ: მდოგვსა, ხრენსა, პილპილსა. ესენი მაწყინარნი არ არიან, მაგრამ ყმაწვილობის დროს მათ კაცი არ უნდა დაეჩვიოს. პატარა ბავშვებს კი სულ არ ეჭმებათ. ძმრით შეზავებული საჭმელი კარგია, ამიტომ რომ სიმჟავეს უმატებს კუჭში, რომელიც საჭმლის ჩქარა მოსანელებლად საჭიროა, მაგრამ ბევრის ხმარება კი არ ვარგა.

ყოველი კაცისათვის ერთნაირი საჭმლის ხმარება არ ვარგა. ერთი საჭმელით რომ კარგად იზრდებოდეს კაცი, მეორეს მისი ხმარება არ შეუძლია, რაც უნდა კარგი იყოს ეს საჭმელი. ქართველს ლომის საჭმლით ცხოვრება არ შეუძლია და მეგრელი კი დიდი ბედნიერია, თუ ეს საჭმელი აქვს ნიადაგ! ... ზოგი ხალხი ქვეყანაზე მარტო ხორცის საჭმლით ცხოვრებს და ზოგი ხორცს სულ არ ხმაროობს, მცენარის საჭმე-

ლით იკვებება; მაშასადამე დიდი მნიშვნელობა აქვს რომელიმე საჭმლის მიჩვევას.

ნიადაგ ერთი და იგივე საჭმლის ხმარება არ ვარგა. რძე ძლიერ კარგი საჭმელია, მაგრამ ნიადაგ მისი ჭამა, ცოტა ხნის შემდეგ, მობეზრდება კაცს ძლიერ. მგრეთვე სხვა საჭმელებია. ამისათვის ყველა უნდა ცდილობდეს, ძლიერ ღარიბული საჭმელებიც რომ ჰქონდეს, ნიადაგ ერთსა და იმავეს არ უნდა ხმაროდეს.

ჩვენში, განსაკუთრებით მარხვის დღეებში, ნამეტანი ნაწილი ხალხისა მარტო ლობიოს ხმაროს. ეს ძლიერ მავნებელი არის კაცის ტან-მრთელობისათვის. ბანა სხვა საჭმელები არ არის სამარხვო? იქნება იფიქროს ვინმემ, რომ სხვა სამარხვო საჭმელები ძვირად დაუჯდება და მიტომ არ ხმაროს? ავადმყოფობა და ხშირად სიკვდილიც განა ძვირად არ უჯდება მასს?

საჭმელებში პური უფრო ნოყიერი და ადვილად მოსანელებელია, ვინემ სიმიდის მჭადი და ღომი. ტანში პური უფრო ამაგრებს კაცს, ვინემ სიმიდის მჭადი და ღომი.

ზოგს მჭავე საჭმელი ძლიერ უყვარს, როგორც მაგალითად: გამოხდილი ტყემალი, შვინდი და ძმარი, მაგრამ ესენი ყველა მავნებელნი არიან. მჭავე საჭმელები ჩვენ სისხლს ძლიერ აფუჭებენ.

საჭმლის მიღების შემდეგ ცოტა ტანით მოძრა-

ობა ძლიერ სასარგებლოა, საჭმელის მიღებაზე ნამეტანი წყლის ხმარება არ ვარგა, განსაკუთრებით ციცვისა. ჭამის დროს კაცი ძლიერ ხალვათად. უნდა იყოს ჩაცმული. ბევრია დამოკიდებული დროზედაც, თუ როდის უნდა ჭამოს საჭმელი და როდეს არა. დილას ვინაც სამუშეეერს ადგება, ცოტა საუზმის მილება კარგია, ბახშამი ადრე უნდა მიიღოს კაცმა, მაგრამ მაშინვე არ უნდა დაწვეს. ვინც ნამეტნავად გაძღება და მაშინვე დაწვება, მას განსვენებული ძილი არ ექნება. ამისთანა პირებს, ხშირად ძლიერ გატეხილი კუჭისაგან სისხლის მოძრაობა უძნელდებათ, ნამეტანი სისხლი მოადგება მკერდზედ და სუნთქვა დაუდგება კაცს. რამდენ წვალებას და საცოდვაობას გამოიევლის საწყალი კაცი მაშინ, შენ იანგარიშე! მაგრამ ეს საცოდვავი ამ უბედურებას, წარმოდგენილს მისი კუჭიდამ, ეშმაკს აბრალებს, მაჯლაჯუნას. *)

ჭამაზე კითხვა და სხვა ხელით საქმობა არ ვარგა. არ ვარგა აგრეთვე ლაპარაკიც; მაგრამ ხუმრობა და ოხუნჯობა კი სასარგებლოა. ჭამის შემდეგ გულის მოსვლა და მწუხარება ძლიერ მავნებელია.

---

*) მაჯლაჯუნა ზოგიერთებს ცოცხალი რამე არსება ჰგონიათ, რომელიც ღამით მიეპარება კაცს ვითომ, დააწვება გულ-მკერდზე და ჰგუდავს, აღრჩობს მას. ეს ტყუვილი აზრია. ამისთანა არსება ქვეყანაზე არა არის-რა. ეს წარმოსდგება ნამეტანი გაძღომისაგან და ზანტი ცხოვრებისაგან!...

ავტორი.

## თავი მეოთხე.

## წყალი და საჭმელი.

ჰაერის შემდეგ კაცის ცხოვრებისათვის ყველაზე უფრო საჭირო არის წყალი. წყალი არის შემდგარი ჰაეროვანის ნივთისაგან, რომელსაც უწოდებენ საზოგადოთ გაზს: ერთ ამათგანს ჰქვიან წყალ-ბადი და მეორეს მჟავ-ბადი.

წყალი არის ორ-ნაირი: ჰაერისა და მიწისა, მაგრამ, სწორეთ რომ ვსთქვათ, ორივე ერთი არის, ამიტომ რომ მიწის ერთი წყლიდგან კეთდება ჰაერის წყალიც. მიწის წყლები განიყოფებიანი მტკბარად და მლაშედ. პირველი წყალი არის წყაროების და მდინარეებისა, მეორე კი ზღვებისა და ზოგიერთები ტბებისაც. წყლებში კიდევ მრავალ-გვარი სხვა ნაწილებიც ურევია. ამისთანა ნაწილები არიან რკინა, გოგირდი, კირი, მარილი; გვარჯილა, იოდი და სხვანი. ეს ნაწილები წყლებში ერევა იმ ადგილებიდამ, საიდამაც გამომდინარებენ. თუმცა ეს ნაწილები ზომიერად ურევია წყალში, ის არა თუ საჭირველია, სასარგებლოც კი არის, მაგრამ ზოგში იმდენათ არის გარეული ეს ნაწილები, რომ ძლიერ საზარალო არის მისი ხმარება კაცის სხეულისათვის. კაცის სხეული რომ ოთხ ფუთს იწონდეს, შემდეგ რომ ის გაახმოს

კაცმა, სინოტიავე გამოაცალოს სულ, მაშინ ერთი ფუთის მეტს აღარ აიწონს; ამისათვისაც საჭიროა ნამეტნავად სასმელად წყალი. ბამოჩენილი ფიზიოლოგი ლიუისი ამბობს, რომ სამი დღე შეუძლია ტან-მრთელ კაცს ცხოვრება უსაჭმელოთ. მაგრამ უსმელათ არას გზით არ შეუძლია სამ დღეს გასტანოს ცოცხალიო. მართალია, არის მაგალითები, რომ უჭმელ-უსმელი გაუძლიათ არა თუ სამი დღე, არამედ ორი კვირა და მეტიც, მაგრამ ისინი ავათმყოფები ყოფილან სიცხით, როდესაც კაცს არაფერი არ ნელდება რიგიანათ. სუნთქვის დროს რომ ორთქლი ამოდის ჩვენი პირიდამ, ის სულ წყალია, რომელსაც ვსვამთ; ამას გარდა ჩვენი სხეულიდამ ბევრი წყალი ისეც გამოდის, რომ ჩვენ ვერ ვამჩნევთ. ამისათვის საჭირო წყალი ძალიან მალე მოაკლდება ჩვენს სხეულს. ეს მოკლებული წყალი კაცმა მალე უნდა შეიმსოს და თუ ვერ შეიმსო, დიდხანს ვერ გასძლებს. დამტკიცებულია, რომ ჩვენი სხეულიდამ საშუალო რიცხვით დღეში სამი გირვანქა წყალი გამოდის ორთქლით, ოფლით და სხვა სახით.

ძველი წყალი, დიდხანს დამდგარი, მალე ფუჭდება და სახმარებლად ისე კარგი არ არის როგორც ახალი. წყალში თუმც სხვა ცხოველებიც ბევრია, მაგრამ მათ ჩვენ ვერ ვხედავთ. ერთი წვეთი წყალი რომ შუშაში ჩავასხათ, რომელიც დიდათ დაგვანახვებს, და გავსინჯოთ, აუარებელ ცხოველებს დავი-

ნახავთ. ამ წყალის წვეთში ისინი კიდევაც იბადებიან და იზრდებიან და კიდევაც კვდებიან. მაგრამ ჩვენ მათგან არაფერი ვნება არ მოგვედის. ამისთანა ცხოველებს, რომელთაც ჩვენ წყალში ჩვენი თვალით ვერ ვხედავთ, სწავლულები უწოდებენ ინფუზორიებსა. ბასაოცებელია მათი ცხოვრება წყალში, განსაკუთრებით მათი გაუწყვეტელი ომი. მათ ნიადაგ ომი აქვსთ და ერთი ერთმანეთს სჭამენ.

ღმერთსა და ბუნებას კაცისათვის წყურვილის მოსასპობათ წყალი მიუცია. არც ერთი სასმელი ისე მარგებელი არ არის კაცის ტანისათვის, როგორც წყალი. მხოლოდ წყლის სასმელი არის საჭირო ტან-მრთელად ცხოვრებისათვის, ოცხალი არსება, რომელსაც მოაკლდება წყალი, საშინლად იტანჯება. საბედნიეროდ, რადგან ასე საჭირო იყო წყალი ყველა ძცენარეებისა და ცხოველებისათვის, ღმერთმა იმისთვის გააჩინა ბლობად წყალი, რომელიც ყველგან გავრცელებულია დედა-მიწაზე. ყველა ცხოველები ბედნიერნი არიან მარტო წყლითა. წყლებში მდინარის წყალი, რომელიც ჩქარა მიმდინარებს, უკეთესია. წვიმის წყალიც შეიძლება სვას კაცმა, მაგრამ ის წყურვილს არ გვიკლავს, როგორც მდინარის წყალი.

წყაროს წყლები წვიმისაგან წარმოსდგებიან, მხოლოდ გაწმენდილნი არიან მიწაში და თუ ცუდი ნიადაგიდამ გამოდის წყარო, როგორც ზევით ვსთქვით, არ ვარგა სახმარებლად.

თხრილების და ტბების წყალი, რადგან მათში მცენარეულობანი და ცხოველები ცხოვრობენ ბევრნი, არ არის ტანისათვის სასარგებლო. მაგრამ თუ კაცი მოკლებულია კარგ წყალს, ამისთანა წყალი უნდა აადუღოს, გააცივოს და ისე დალიოს ხოლმე. ჭის წყლები მოკლებულნი არიან ჰაერსა; ხშირად მათ კირი ურევია და სხვა მარილიანი ნაწილები, რომელნიც სასმელად არ ვარგან.

როდესაც კაცი ოფლიანია, არასოდეს არ უნდა დალიოს ცივი წყალი. ამისთანა გაუფრთხილებლობით და ოფლის ტანზე დენის დროს ცივი წყლის დალევით მრავალი დასნეულებულა და მრავალი კიდეც მომკვდარა. ჩემი თვალით მინახავს ამის დამწერს ორი-სამი მაგალითი, როდესაც გახურვებულ გულზე ცივი წყალი დალიეს და ერთი კაცი რამდენიმე საათის განმავლობაში მოკვდა და სხვანი გახდენ ავათ ანთებით და ბოლოს ისინიც მოკვდნენ. ამის მაგალითები მრავალია.

მაგრამ კაცობრიობამ გამოიგონა სხვა-და-სხვა სასმელები ზოგი თავის გრძნობის და ზოგი თავისი უზომო მონდომილების დასაკმაყოფილებლად. ეს სასმელები არა თუ უხდება ტან-მრთელობას, არამედ უმოკლებს კიდეეაც კაცს დღეს და მის სხეულს უდროოთ შლის. მადლობა ღმერთს, რომ კაცისაგან გამოგონებულ ყველა სასმელებში უმთავრესი ნაწილი წყალია. ნამეტანი ნაწილი ამ სასმელებისა არის,

ასე ვსთქვათ, წყალი, შეზავებული სხვა-და-სხვა ნაწილებისაგან, როგორც მაგალითებრ ლიმონადი და სხვა. სპირტის სასმელებშიაც კი ბევრი ურევია წყალი; და ღვინოში რალა თქმა უნდა. ზოგს ჰგონია, რომ მაგარ ღვინოში წყალი სრულებით არ ურევია, მაგრამ ამაში შემცდარნი არიან: ძლიერ კარგ ღვინოში თითქმის მეოთხედ და მეექვსედ ნაწილს გარდა სულ წყალია. თუმცა ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ მარტო წყლის სასმელიც საკმაოა კაცისათვისაო, მაგრამ ზოგნი იმდენად არიან მიჩვეულნი სხვა-და-სხვა სასმელებს და განსაკუთრებით ღვინოს, რომ წყალი მათ კიდევაც აწყენს და საჭმელსაც ველარ მოინელებენ.

სასმელები ბევრნაირი არიან წყლის სასმელების გარდა. ამისთანა სასმელები მაგალითებრ არიან: ა) მჟავე სასმელები, ბ) მათრობი სასმელები, გ) სპირტის სასმელები და დ) კარგი სუნიანი (არომატიანი) სასმელები.

## ა) მჟავე სასმელები.

მჟავე სასმელებს ეკუთვნის ლიმონის და ფორთოქალის წყალი; ამისთანა სასმელები სასარგებლონი არიან სასმელად მათთვის, ვისაც სისხლი და ნაღველი ჭარბათ აქვსთ.

## ბ) მათრობი სასმელები.

უმთავრესი ამისთანა სასმელები არიან: ღვინო, ლუდი და სხვანი.

ყველამ იცის, რომ ღვინო მზადდება ყურძნის წვენიდამ დამაჭრებით. ხიმიკურად რომ გასინჯეს ღვინო, შიგ ნახეს: წყალი, ალკოლოლი (სპირტის ნაწილია), შაქრის ნივთები, ვაშლის სიმჟავე, ღვინის და ძმრის მჟავეები, ღვინის წითელი საღებავი ნაწილი და ნახშირ-ძმარა ჰაერი. ღვინო, რომელშიაც ბევრია სპირტის ნაწილები, მალე მოეკიდება კაცს, ააღელვებს, გაამაგრებს და ანოყიერებს. სამზღვარ გარეთიდამ მოტანილი ღვინოები, მაგალითად: ბორდოს ღვინო, რენსის ღვინო, მადერა, მალაგა და სხვა ამისთანაები ნამეტნავად ეკიდება კაცს, ამისთვის რომ მათში ნამეტნავად ურევია ალკოლოლი, (სპირტის ნაწილია).

შუშხუნა ღვინოები, როგორც მაგალითებრ: შამპანსკისა, ძლიერ მალე მოეკიდება კაცს, ნამეტნავად ააღელვებს ტანს, წყურვილსაც სპობს, მალეც ათრობს, თუმცა ისინი დიდი საშიშო კი არ არიან ტანის სიმრთელისათვის.

ღვინოს ხშირად აძლევენ ექიმები ავად-მყოფთა, რომელნიც ძლიერ დასუსტებულნი არიან და საჭმელს ვერ ინელებენ.

ბევრი რამ არის გაჩენილი კაცის სასარგებლოდ, მაგრამ, საუბედუროდ, კაცი არ ხმარობს ისე, როგორც რიგია. ღვინო კარგი რამ არის, მაგრამ რამდენი უბედურება მომდინაოეობს მისგან? თვით საღმრთო წერილშიაც კი არის ნათქვამი ღვინოზე შემდეგი სიტყვები: «ღვინო ზომიერად მიღებული სიცოცხლე არის კაცისა, მაგრამ უზომოთ მიღებული სიკვდილი არის კაცისა». რამდენს კაცი ჩქარ-ჩქარა და მომეტებულად დაიწყებს ღვინის სმას, იმდენად უფრო ძალიან მოუნდება მისი სმა. ბოლოს მალე მიეჩვევა სიმთვრალეს, რომელიც არის წყარო სხვა-და-სხვა ავათმყოფობისა. სიმთვრალეს გააქვს კაცის თავიდამ მსჯელობა, უკარგავს საბოლოოოთ და უფუჭებს საშინლად მეხსიერებას; კაცი ხდება საზარელი შეხედულობისა, განსაკუთრებით, როდესაც ნამეტნავად მიიღებს ღვინოს. ამისთანა მდგომარეობაში ჩავარდება კაცი, როდესაც ღვინო შეერთდება სისხლთან და დაიწყებს ტანში სისხლთან მოძრაობას. მიღებული ღვინო იხარშება და ბოლოს ნელ-ნელა ინელებს კაცი. სიმთვრალე რომ გავსინჯოთ და გამოვიკვლიოთ, დიდი მავნებელია, სიმთვრალეზე კაცი ჰკარგავს იმ ნიჭს, რომელიც მას მარტო აქვს მინიჭებული ღვთისაგა, სხვა ცხოველთა შორის და ცხოველებზე უარესი შეიქნება.

ლუდი მზადდება შვრიისაგან. ამ სასმელს ქალაქებში უმეტესად ხმარობენ, ვინემ მდაბიო ჩვენ

ხალხში. ლუდი ანოყიერებს კაცს და როგორც ღვინო ცოტათი კიდევაც ათრობს. ნამეტნავად მიღებული ლუდი კაცს თავბრუს უსხამს და დიდხანს გაჰყვება მთვრალობა. არა მაგარი ლუდი ზომიერად მიღებული წყურვილს უკლავს კაცს და კუჭიც კარგად ინელებს.

## გ) სპირტის სასმელები.

უმთავრესნი ამ სასმელთაგან არიან: ვოდკა, რომი და სხვა-და-სხვა დამტკბარი სასმელები.

ვოდკა მზადდება ღვინისაგან, შაქრიანი ჭარხლისა, ჭირნახულისა და სხვათაგან. ცოტა მიღებული ნასადილევს საჭმლის მოსანელებლად სასარგებლოა, მაგრამ ქალმა და ბავშვებმა სრულებით არ უნდა იხმარონ ეს სასმელი.

რომიც ისე მოქმედობს კაცის ტანზე, როგორც ვოდკა, ტკბილი მხურვალი სასმელები კი უფრო სუსტნი არიან და ნაკლებ ათრობენ კაცს.

## დ) არომატიანი (კარგი სუნიანი) სასმელები.

### ყ ვ ი ნ ი.

ყაენში ურევია მელნის ერთგვარი გუნდის სიმაღლე და ერთი კიდევ განსაკუთრებითი ნიეთი, რო-

მელსაც უწოდებენ კოფეინს. ყავა არის ერთ-ნაირი მცენარე ყავის ხისა, რომელსაც დიდი სიმაღლე არა აქვს და ნიადაგ მწვანე ფოთლებით არის დაფარული. როდესაც ყავის თესლს, კურკას ცეცხლზე მოხრაკვენ, მაშინ იგი გამოუშვებს კარგ სუნს. ზომიერად მიღებული ყავა ამაგრებს კაცს და ახურვებს; ყავის ისტორია საინტერესო არის და ამისთვის ორიოდე სიტყვას ვიტყვით მასზე.

მეთუთხმეტე საუკუნის ნახევარს ერთმა ვინმე სახელწოდებულმა გამალედინმა მოგზაურობის დროს სპარსეთში ნახა თავის ქვეყნის მცხოვრებნი, რომელნიცა სვამდნენ ყავას და აქებდნენ ძლიერ. ეს გამალედინი იყო მუფტი, (თათრის სარწმუნოების მოთავე კაცი) და ადენში დერვიშებთან (თათრის ბერებია) ათევდა ღამეს ლოცვაში. რომ უფრო ადვილად აღესრულებიათ თავისი თანამდებობა, გამალედინმა დერვიშებს მისცა ნება ყავის ხმარებისა. მათმა მაგალითმა შემოიღო ყავის ხმარება ადენში, ასე, რომ ბოლოს ყველა ადენის მცხოვრებლებმა დაიწყეს ყავის ხმარება. აქედამ ყავის ხმარება გადავიდა მექაში, სადაც პირველად სვამდნენ მას მლოცველები და ბოლოს ყველამ არაბეთიდამ მისი ხმარება შემოიღეს ეგიპტეში და ყაირაში. ეგიპტიდამ მისი ხმარება შემოიღეს სირიაში და კონსტანტინეპოლში. ევროპაში ყავის ხმარება იწყეს ბოლანდიის ვაჭრებმა, რომელთაც პირველად შემოიღეს ბატავიაში და აქედამ ამსტერ-

დამში. ყავის ერთი მცენარე იყო მოტანილი ჩლიდ წელში პარიჟში და დარგული კაროლის ბაღში. ბოლოს აქედამ სხვა კუნძულებზედაც გააშენეს ეს მცენარე.

ყავის ხმარება ძლიერ დაშლილი იყო პირველად და დიდის დავიდარაბის შემდეგ მაინც ასე გავრცელდა. ოსმალეთში სულთანები ძლიერ უშლიდნენ ხალხს მისს ხმარებას. ფრანციაში სწავლული კაცები ძლიერ წინააღმდეგნი იყვნენ ყავის ხმარების შემოღებისა.

მაგრამ აქ ჩვენთვის უფრო საჭირო არის ავხსნათ, სასარგებლო არის ყავის ხმარება, თუ საზიანოელი?

ყავა, თუმცა მას ნიადაგ არ ხმარობს კაცი და სხეული მეტის მეტად არ შეჩვეევია მის სმას, ძლიერ ეხმარება საჭმლის მონელებას და იმისთანა მოქმედება აქვს კაცის ტვინზე, რომ თითქოს კაცს ერთი-ორად უხსნის გონებას. ყავა უკარგავს კაცს ძილს და ამით ბევრს შრომობს სწავლისათვის. მაგრამ როდესაც უზომოდ დაუწყებენ მას ხმარებას, მაშინ კაცის ტანის ნერვები ძლიერ გაცხარდებიან; საჭმლის მონელებაც გაჭირდება; გაცხარდება კუჭი და სხვა-და-სხვა მძიმე ავათმყოფობას გააჩენს. როდესაც ყავაში რძეს ურევენ, მაშინ იგი ჰკარგავს მრავალ თავის თვისებას და, შეიძლება, რომ მისმა ხმარებამ კიდევაც დაასუსტოს კაცი, თუ ვინმე ძლიერ არის მიჩვეული. ვისაც იპოხონდრია (სევდიანი ზაფრა) აქვს და მოწყენილი ხასიათის არის, ყავა მათ დროებითად ამხიარულებს.

მაგრამ იგი ძლიერ მავნებელია მათთვის, ვისაც გული სტკივა. ექიმები ბანგით მოწამლულებს ასმევენ ყავას როგორც ამ საწამლავის წამალს. უკანასკნელ დროებში ექიმებმა დაუწყეს ყავას ხმარება ციების მოსაჭრელათაც, მაგრამ მოუხრაკავს ყავას ხმაროობენ ამ შემთხვევაში.

ყავის მომზადება ბევრ-ნაირია. ჩვენში მას ჯერეთ მოხალვენ, დანაყვენ და ადუღებულ წყალში ჩაყრიან, დადგმენ სანამ კარგ წვენს არ გამოიღებს შაქარი. ბევრ ადგილას უშაქროთ ხმაროობენ მას სასმელად. ერთ მორჩილ ჭიქაზე მეტი ყავა კაცმა არ უნდა დალიოს. ზოგი ჩაესავით რამდენიმე ჭიქას სავამს. ასე ყავის ხმარება ავნებს კაცს, თორემ არას არგებს.

## ჩ ა ი.

ჩაი, რომ ხიმიკურად გაშინჯეს, ბევრი რამე ნაწილები ნახეს შიგ. ჩაი ხან-დის-ხან მიღებული და ზომიერად ძლიერ კარგი და სასარგებლო სასმელია; მაგრამ ბევრი ცუდათ მოქმედებს ჩვენს ტანზე. იგი დაუკარგავს კაცს ძილს და დიდხანს მისი ხმარება აუტეხს ხშირად გულის ძგერას; კიდეც დაასუსტებს კაცს; ჩაი, როგორც შეუნიშნავსთ, ამ ბოლოს დროს, ჭაჭების სნეულებასაც უჩენს კაცს. სასარგებლო არის მისი ხმარება იქ, სადაც ნოტიო ადგი-

ლია და ნოტიო ტანის კაცებისათვის. ხშირად ჩაეს უნიშვნენ, როგორც წამალს ოფლის სადენელად; მაგრამ ოფლის მოყვანა უმეტესად ცხელი წყალის მიღების ბრალია და არა ჩაის. როგორც ყავა, ისე ჩაეც დიდი ხანი არ არის, რაც შემოიღეს ჩინეთიდამ. იქ, სადაც ჩაე მოდის, უშაქროთ სმენ მას, და არც იმისთანა ცუდს ჩაეს ხმაროობენ, როგორსაც ჩვენ ვხმაროობთ!...

---

## თავი მეხუთე.

## ტანის ბანაობა.

მთელი, ანუ კერძო სხეულის დაფარვა რამდენიმე ხნით წყალში ძლიერ სასარგებლოა კაცის ტანისათვის. აბანოს ხმაროობენ: ცივს, თბილს და ცხელს. ცივს აბანოს ხმაროობენ საფხულოობით მდინარე წყლისას, ანუ ზღვისას. ამისთანა აბანოები ძლიერ ამაგრებენ ჩვენს ტანს და გამოჰკრეფენ ნამეტან სიცხეს ჩვენი ტანიდამ. ცურაობა წყალში ძლიერ სასარგებლო არის ტანის ბანის დროს. ზღვაში ბანაობა უფრო ძლიერ უხდება კაცს და ამაგრებს ტანს; მაგრამ ძლიერ მაწყინარია სუსტ-კაცთათვის, რომელთაც სისხლი ჭარბათ აქვსთ, ორსულ ქალთა და მოხუცებულ ადამიანთათვის. ზრილ აბანოს ისეთ

თვისება აქვს, რაც ცივ აბანოს, მაგრამ მას ცოტა მოქმედება აქვს ჩვენს ტანზე.

Oბილი აბანოები სასარგებლონი არიან ყველა პირთათვის. Oსინი განსაკუთრებით ძლიერ სასარგებლონი არიან ბავშვთათვის პირველი წლიდამ სამ წლამდე ტანის ორგანოების გასახსნელად. Aბანო უნდა იხმაროს ერთჯერ მაინც თვეში. Eს ტანის გასაწმენდლად და სისუფთავისათვის ძლიერ კარგი საშუალება არის. Mოხუცებულთათვის კი უფრო მოთბო აბანოები არის სასარგებლო. Cალები მაინც, რომელნიც მოძრაობაში არ არიან, ხშირად უნდა ბანაობდნენ ხოლმე. Aბანო ინახავს ჩვენს ტანს რბილად და ადვილად გამოყავს ტანიდამ ოფლი და სხვა ამისთანა ნაწილები.

---

## ცხელი აბანოები.

Cხელ აბანოებს ხმაროობენ სნეულების მოსარჩენად. Cხელ აბანოს ძლიერ ბევრი ოფლი გამოჰყავს ჩვენი ტანიდამ და უბრალოთ არ უნდა ვიხმაროთ.

Aრასოდეს არ უნდა ჩახვიდე აბანოში, განსაკუთრებით ცივში, ანუ გრილში, როდესაც სხეული გაქვს ოფლიანი, ანუ ძლიერ დაღალული ხარ, ამისათვის რომ უცბათ ოფლის შეწყვეტა ძლიერ საშიშო და სასიკვდინეც არის. Rამოდენი მაგალითებია, რომ

უცფათ ოფლის შეწყვეტით მრავალნი მომკვდარან? სადილის ჭამის შემდეგ სამი ანუ ოთხი საათი უნდა მოიცადო ბანაობამდის. ნელ-ნელა ჩასვლას სჯობს ერთბაშათ ჩავარდე წყალში. ძარგი საბანავო დრო მდინარეში არის მზის დასვლის დრო, რადგან მზე არ აცხელებს მაშინ იმდენად, რომ ცუდათ იმოქმედოს კაცის ტანზე. აბანოდამ, ანუ წყლიდამ ამოსვლაზე ძლიერ უნდა გაუფრთხილდე გაციებას. თუ საჭირო არის წყლიდამ, ანუ აბანოდამ ამოსვლის შემდეგ, უნდა დაიხურო საბანი და ოფლი იდინოს მდინარეში ანუ ზღვაში ბანაობის დროს ჩრდილი და წყნარი ადგილი უნდა გამოარჩიო საბანაოდ. ბანაობის შემდეგ ტანი რამეთი უნდა შეიწმინდო. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს ძლიერ საჭირო არის.

---

## თავი მეექვსე.

## სამშვენებელი საშუალებანი.

სხვა-და-სხვა სამშვენებელ საშუალებათა, სილამაზის დასაცველად, ჰყოფენ ხუთ ნაწილად.

იმისთანა საშუალებანი, რომელშიაცა ურევია სხვა-და-სხვა მადნეულობა, საწამლავები არიან. იმისთანა საშუალებანი, რომელშიაც ურევია აყალო მიწა, მიწეულება და კირი ძლიერ აფუჭებენ ჩვენი

სხეულის კანს. სხვა-და-სხვა მცენარისაგან მომზადებულ პარაშოკებს (ფხვნილებს) ცუდი თვისება აქვსთ, რადგან იგინი ნამეტანი ნაწილნი არიან კანის მწველნი. ქიტრის საპონი და პომადა, ვარდის წყალი და სხვა ამისთანაები არ არიან მაენებელნი და, მართლაც, არბილებენ პირის კანს. რაიცა შეეხება იმ პირის წამლებს, რომელნიც მოჭაპნილ სახეს ყმაწვილის სახედ გარდააქცევენ, სხვა-და-სხვა ლაქებს, ბებრებს პირის სახიდგან გადააცლიან და, ერთი სიტყვით, ცუდის სახის მქონებელთა პირთა ლამაზებად გაჰხდიან, საუბედურად, ჯერედ არ გამოუგონიათ!....

სხვა-და-სხვა სამშვენებელ საშუალების ხმარება დიდი ხნიდამ არის დაწყებული და შემოღებული, იმისთვის რომ სხვას თავი მოაწონონ. ამისთანა საშუალებათა ხმარებას ჩვენ ვხედავთ როგორც განათლებულს ხალხში, ეგრეთვე მდაბალ ხალხში. მართლა, თავის მოწონებისათვის არ იკეთებენ საყურეებს? ამისათვის არ იწითლებენ ლოყებს და ხმაროობენ ათასნაირ ფერ-უმარულს ქალები. და ზოგიერთი საუბედურად, კაცებიც?.....

ბანათლებამ თუმცა იმდენი იმოქმედა, რომ შეამოკლა ამისთანა სულელური ჩვეულებანი, მაგრამ ჯერედ კიდევ ძლიერ არის გავრცელებული ხალხში. ნეტავი თუ იყოს იმისთანა საძაგელი და შესაზარებელი რამე, როდესაც ტყობილობ, რომ ის,

რომელიც შენ ლამაზად გეჩვენება, წამლებით არის გალამაზებული და არა ბუნებით.

ჩვენში მაინც, რალაცა უბედურება არის, პატარობიდამ შეაჩვევენ ბავშვებს ამ საძაგლობას. ბავშვს —ახალგაზდა ქალს თურაშაული ვაშლივით რომ ჰქონდეს ლოყები გაბრდღიალებული, თუ ფერ-უმარულში არ გასვარეს, არ იქნება. ამ ცუდ ჩვეულებას ყმაწვილობიდამ მიაჩვენ ისე, რომ ბავშვმა კიდევაც არ იცის, რად ულებავენ მას ლოყებს. საწყლებმა არ იციან, თუ ისინი ამით უდროვოდ უხდენენ და უფუჭებენ მათ პირის სახეს! ბასაკვირველი ის არის, რომ რალათ ხმაროობენ ოთხმოცი წლის დედა-კაცები ამისთანა საშუალებათ? მაგრამ როგორ უნდა გაამტყუნოს კაცმა მდაბალი ხალხი ამაში, როდესაც მაღალი წოდების ხალხიც ნასწავლნი ხმაროობენ ისეთს საშუალებათ, თავის გასალამაზებლად, რომელსაც არც ერთი უგნურის მეტი არ აღასრულებს....

---

## თავი მეშვიდე.

## გიმნასტიკური მოძრაობანი.

**სიარული.** სიარული სხვა-და-სხვანაირი არის; მიდის კაცი სწორე გზაზე, აღმართზე, თუ ჩაღმართზე, სიჩქარით თუ ნელა, უკან ხარ გადაწეული სიარუ-

ლის დროს თუ წინ. სიარული ძლიერ ანძრევს მთელს სხეულს; სისხლის მოძრაობასაც აჩქარებს. აუჩქარებს კაცს სუნთქვას და თითქმის ყველა ჩვენი სხეულის ორგანებს მოიყვანს მოძრაობაში. სიარულს მოჰყავს მოძრაობაში ჩვენი მუხლების კუთები, აღმართს შეუდგებით თუ თავდაღმართს. ამისთანა მოძრაობა ძლიერ სასარგებლო არის მორჩენილი ავად-მყოფებისათვის, რომელნიც ფეხების მოძრაობას საჭიროებენ.

**ხტომა.** ხტომა შეიძლება სხვა-და-სხვა გვარად. მაღლა, გვერდზე წინ და უკან. ხტომა არის მოღუნვა სხეულისა და უცფად გაშლა ფეხებისა. აქაც ნამეტანი ძალა ადგია ფეხების ძარღვებს, იმ დროს ხელები სრულებით არ მოქმედებენ. ხელები მაშინ მოძრაობენ, თუ ჩამოკიდებულია რამე საგანზე კაცი, როდესაც გვინდა გადახტომა. ხტომაზე უფრო დაიმძრევა სხეული, ვინემ სიარულზე.

**სირბილი.** თუმცა სირბილზედაც ნამეტანი ძალა ადგია ფეხებს, მაგრამ ამ დროს კაცი ხელებსაც და მკერდსაც ამძრევს. სირბილის დროს სისხლი ნამეტნავად დაიწყებს მოძრაობას და რადგან ფილტვში ნამეტანი სისხლი მიადგება კაცს, ამისთვის ხშირად სუნთქავს. ბული ამ დროს ნამეტნავად სცემს და და მკერდიც ჰაერის მისაღებლად იშლება. ამ დროს ყველა ჩვენი ტანის იარაღების მუშაობა აჩქარდება.

ცეკვა. Ცეკვა კაცის სხეულს ძლიერ უხდება, რომ ცეკვობდნენ შესაფერ დროს და ალაგს. მაგრამ ცეკვა მრავალ შეკრებილებაში, ერთ სახლში, სადაც ჰაერი ძლიერ წამხდარი არის, არასოდეს არ არის სასარგებლო. Ცეკვა ცა წმინდას ქვეშ საღამოს დროს საჭმლის მიღების შემდეგ, რასაკვირველია, ძლიერ სასარგებლო არის. Მოთამაშეთა ფეხების ძარღვები ძლიერ მთელი აქვსთ, მაგრამ მათი ხელები კი არ არიან მოძრაობაში.

ცურვა. Ცურვა ზემოთ თქმულთ მოძრაობებზე ყველაზე უფრო სასარგებლო და სასიამოვნო არის. Ყოველნაირი ცურვა სასარგებლოა და კარგი. მარტო ცურვით მოძრაობა არის ძლიერ სასარგებლო და ცივ წყალში ცურვა ხომ კიდევ უფრო სასარგებლოა. Ყოველნაირ მოძრაობაში კაცს ოფლი მოსდის; მაგრამ ცურვაზე მას ოფლი არ გამოდის, რადგან ამას წყალი უშლის. ძლიერ მალე იგრძნობს კაცი ცურვისგან სარგებლობას. Ოლა ცურვის შემდეგ კაცი გრძნობს თავის-თავს მაგრად და მჩატედ. Ამაებს არა გრძნობს კაცი, რასაკვირველია, თუ დაიღალა, მაგრამ ჰატარა რომ დაისვენოს, მალე იგრძნობს ცურვის ნაყოფს. Ცურვის დროს ძოძრაობაშია ყველა ჩვენის სხეულის ძარღვები; მაშინ განსაკუთრებით ძალა ადგია კისრის ადგილს, წელისას და ზურგის ძარღვთა; ამისათვის რომ იგინი ნიადაგ ცურვის დროს მოკუნთულნი არიან. Ამისთანა მოძრაობა

სასარგებლო არის სუსტი აგებულების ბავშვთათვის, რომელთაც სწორე დადგომა არ შეუძლიათ. ერთნაირი ცურვა არის, რომელსაც ჩვენში ხარულს ეტყვიან; ეს ძლიერ უხდება მკერდის გაშლას და დამაგრებას. ამ ცურვის დროს მკერდის და კიპკიპების ძარღვები ძლიერ მოძრაობაში არიან და ფეხები ისე ინძრევიან, როგორც უბრალო ცურვაზე. ასე ცურვა დიდხანს არ შეუძლია კაცს. ზურგზე დაწოლილი ცურვაც სასარგებლო არის.

ზაფხულობით ცურვა ნამეტნავად იცავს კაცს ყოველგვარი ზაფხულისაგან წარმოდგენილ დამასუსტებელ მიზეზთაგან. აკი ზაფხულში ნამეტან ოფლს ღერის, რომლითაც კიდევაც სუსტდება, მაგრამ ამისგან ცურვა ძლიერ იფარავს. იმისთანა საშვალება არაფერი არ არის, რომ დაგვიცვას ჩვენ სიცხის ცუდი გავლენისაგან, როგორიც არის ცურვა.

მაგრამ ყოველ დროს წელიწადში, ყოველ დღეს და ყოველ ადგილას არ შეიძლება ცურვა. წვიმის შემდეგ წყალს ყოველთვის ცუდი ნაწილები შეერევა, რომელიც ჩვენთვის სასარგებლო არ არის. ბამოცდილებამ გამოაჩინა, რომ ნაწვიმებს ტანის ბანაობა მღვრიე წყალში უჩენს კაცს ცივებას. შუადღისას, როდესაც მზე ძლიერ აცხელებს ქვეყანას, არ არის ტანის ბანა სასარგებლო. ამ დროს ცურვაზე ჩვენი ტანი გრილდება, თავი კი მაღლა გახურებული არის

და შეიძლება, რომ სისხლი მოუვიდეს კაცს ოავში
და ანთება დაემართოს. ტანის ბანაობა ძლიერ
სასარგებლო არის დილით ადრე ჭამამდინ, და
საღამოთი — ჭამის შემდეგ. წყალში არ უნდა ჩავიდეს
კაცი, თუ ტანზე ოფლი აქვს, ანუ ტანი სიარული-
საგან გახურვებულია, ვიდრემდის არ განელდება.
ბანაობა მდინარეში ზაფხულობით და ზამთრობით
თბილ წყალში ინახავს სუფთად და იცავს სხეულს
სხვა-და-სხვა ტანის მუწუკებისაგან, რომელიც ჩვენში
უწმინდურათ ტანის შენახვისაგან ასე გახშირებული
არის სოფლებში. იქნება თქვას ვინმემ, ეს ძნელი
ასასრულებელიაო? მას ჩვენ აი რას ვეტყვით: ეს
ძნელი ასასრულებელი არ არის. მიზეზი ის არის,
რომ ჩვენ ზარმაცნი ვართ, ტყვილა უბრალო ყბე-
დობაზე ორ დღეს გავატარებთ, უქმე დღეს ძილი
გვკლავს და იმდენათ დაუდევნელნი ვართ, რომ
ერთი წლის გაურეცხელი მწვირიანი პერანგი რომ
გვეცვას, იმისი გარეცხა გვეზარება. ჩვენი ხალხი
ყურადღებას არ აქცევს თავის სისუფთაეს; მწვირი-
საგან შეჭმული ზოგიერთი არ მეტულობს ერთ აბაზს
საპონის სასყიდლად, რომ ტანი დაიბანოს და ტანი-
სამოსი გაირეცხოს. როდესაც ავად ხდება და კიდე-
ვაც კვდება, მაშინ მორჩენისთვის, იმასაც სოფლის
ექიმს, თავის საცხოვრებელს აძლევს. რომ შეხედო,
ზოგიერთ ჩვენ მდიდარ მცხოვრებლებს, ქვეყანას
აყრუებენ: «ჩვენ ამდენი ათასი მანეთი გვაქვსო და

კარგად ვსცხოვრებთო». მათთან ღამის გათევა რომ შეგხვდეს, მათი ტანის ფხაკა-ფხუკი არ დაგაძინებს. დრო არის, ბატონებო, მიხვდეთ, რომ სისუფთავე ძლიერ სასარგებლო არის ჩვენი ტანის სიმრთელისათვის!...

ერთს სასარგებლო მოძრაობას ეკუთვნის ნადირობაც. ნადირობაც ძლიერ სასარგებლო არის და სასიამოვნო ჩვენი ტანისათვის. მონადირე კაცი არ გასდევს ძლიერ წიგნების კითხვას და სოფლიურ საქმეებს. ის იძულებულია მოითმინოს: სიცივე, სიცხე, შიმშილი, წყურვილი და ყოველნაირი გაჭირება, რომლითაც ის ადვილად ეჩვევა ყოველნაირი ცხოვრების ატანას.

არიან სხვა-და-სხვა ნაირი თამაშობანი, რომელნიცა სასარგებლონი არიან ჩვენი სხეულისათვის, მაგალითებრ: ბურთით თამაშობა, შარით, ბაწრით, ბილიარდზე და სხვა ამგვარნი. ამისთანა თამაშობის დროს კაცის ზედა ტანი ძლიერ მოძრაობაში არის და ძლიერ ხსნის მკერდს და ხელებსაც ამაგრებს.

საზოგადოდ სხეულის მოძრაობის დროს კაცმა უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ მარტო ერთი სხეული არ იყოს მოძრაობაში, არამედ ყველანი. ყოველ მოძრაობას უნდა ასრულებდეს კაცი დაუღალავად და დრო გამოშვებით.

როდესაც გამოცდილებით შეიტყეს, რომ გიმნასტიკური მოძრაობა სასარგებლო დარჩა ტანის

სიმრთელისათვის, სასწავლებლებში შაგირდებისათვის გიმნასტიკის ხმარება შემოიღეს, სადაც შაგირდებს თითო მასწავლებელი ჰყავთ გიმნასტიკის სასწავლებლად და ასრულებენ კიდეეაც ამისთანა სასარგებლო ვარჯიშობას.

---

## თავი მეორე.

## ძ ი ლ ი.

არც ერთი არსება არ არის ქვეყანაზე, რომ ნიადაგ მოქმედებდეს და არ დაისვენოს. ცაცის ტანში ერთი იარაღი არ არის იმისთანა, რომ მოქმედებისა და მოძრაობის შემდეგ არ ისვენებდეს; გული ხომ ნიადაგ სცემს უკანასკნელ წამამდე, მაგრამ ისიც კი ისვენებს იმ პატარა დროს, რომელიც რჩება მას გაშლისა და ტანში სისხლის გაგზავნის შემდეგ, ვიდრემდე მეორედ გაიშლებოდეს. ამისთანა კანონით მთელი ჩვენი სხეულის გრძნობა და მოძრაობა დაღალვის შემდეგ მოისვენებს, რომლის განმავალობაში ისევ შეიკრებს თავის ძალას. ძილი საჭიროა ყოველ სულდგმულ ცხოველთათვის. ეველა ცხოველს სძინავს უმეტესად ღამით.

ძილი ჩვენი ტანისათვის ძლიერ სასარგებლოა. ის დააცხრობს ჩვენი ტანის ღელვას და მოძრაობას,

რასაც აქვს ჩვენს ცხოვრებაზე მავნებელი გავლენა. თუ ცოტა გვძინავს, ჩვენი ნერვები ძლიერ გაცხარდებიან. თუ ბევრი გვძინავს, მაშინ ჩვენი ტანი სივდება, სუქდება, თავი გვიმძიმდება, ცუდ გუნებაზედ ვართ, ტანი დაგვიზარმაცდება; ჩლუნგდება გრძნობანი და გონება, ტანი შეიქნება რაღაცა უგრძნობელი და სხვ... ძილში შევიკრიბავთ ჩვენ დაკარგულ ძალას, ძილის დროს ყოველიფერი სხეულის მოძრაობა მიიქცევა, ასე ვსთქვათ, შიგნით; ამ დროს საჭმლის მოსანელებელი იარაღებიც კი შესვენებულნი არიან. მღვიძარობის დროს კაცის ღონე იკარგება, ილევა გარეგანი ამ ქვეყნის მოქმედებაებით. გრძნობანი ნიადაგ შრომობენ ღლისით. ძილის დროს ყოველიფერი მოძრაობა სხეულის მიქცეულია შიგნივ, ამ დროს სისხლს გააქვს ტანში საჭირო მასალა ჩვენი ღონის აღსადგინებლად და მუშაობს წყნარად და სწორედ.

კაცს თუ ცოტა სძინავს, ის ხმება, ძალა ელევა და უდროოდ ბერდება. უძილობისაგან კაცს ემართება ციება, ბოდვა და კიდევაც ჰკვდება. ძილის დროს კაცის სული თავისუფლდება ამ სოფლის ტვირთისაგან, რომელიც მასს ნიადაგ აწუხებს მღვიძარეობის დროს.

დამტკიცებულია, რომ კაცი დილაზე, გაღვიძების დროს უმეტესად ღონიერია სხეულით და გონებით სამუშაოდ, ვინემ საღამოზე. დილაზე გაღვი-

ძების დროს ამ ქვეყნის შეხედვა გააღვიძებს კაცის სულს და აღძრავს მას. გრძნობანი მიიღებენ თავის სისრულესა, გონება შეკრებილია, ცხადია; გონებითნი ნიჭნი უშრომლად აიტანენ ხანგრძლივ ცდილობას. როგორც დღე მიახლოვდება საღამოზე, გონება კაცისა გაბნეულია სხვა-და-სხვა ამ ქვეყნის საგნებითა და უფრო-და უფრო დაუახლოვდება ნამდვილ ამ ქვეყნის საქმეთა. საღამოზე სისხლის აღევლება აღძრავს გრძნობასა და ფიქრსა. ამისათვის საჭირო არის, რომ ნამეტნავად არ ვღალავდეთ ტანს, რომელიცა უიმისოდაც ნამეტნავად ღონე მოკლებულია ჩვენი ნებივრული ცხოვრების მოძრაობითა.

რადგან ძილზე ვსთქვით ამდენი, არ იქნება უადგილო, ორიოდე სიტყვა ვსთქვათ სიზმარზედაც, თუმცა ეს პირ-და-პირ ჩვენს საგანს არ შეეხება.

სიზმარს სწავლულები სხვა-და-სხვანაირად ჰყოფენ. ჩვენ რამოდენათაც ვიცით და გვაქვს შეტყობილი, სიზმარი სამ-გვარია. ერთ-ნაირი სიზმრის მიზეზი თვითონ კაცის ტანში მოინახება. მაგალ.: თუ კაცს სგბანი გადაეხადა და შესცივდა, ის სიზმარში გრძნობს, ვითომ საღაცა წყალში სცურავს, წვიმაში დაიარება და სიცივეში გარედ არის.

ზოგი სიზმარი ფიქრისაგან და გულში ჩაყოლისაგან ეზმანება კაცს. თუ მღვიძარების დროზე სიტყვამ, ანუ საქმემ და სხვა ამისთანამ ძლიერ იმოქმედა კაცზე, უთუოდ გულში ჩაყვება და ძილშიაც

ის ეზმანება; მაგალითებრ: კაცს, ვსთქვათ, ფული დაეკარგა, ანუ ვისმეს წაეჩხუბა, ძილში სულ ეს დაკარგული ფული ეზმანება; ხან ნახავს ძილში და ხან არა.

მესამე ნაირი სიზმარი არის, რომელიც არც თვითონ კაცის ტანიდამ, არც გულში ჩაყოლიდამ და არც სხვაისაგან არ წარმოსდგება. მაგალითებრ, წარმოიდგინეთ: თქვენ ხართ სადმე დაშორებით თქვენ სამშობლო მამულს, ანუ სოფელს. თქვენს გულში არაფერი არ არის. არც გიფიქრია და არც არავის უთქვამს რამე. ეზმანებათ, ვითომ შენი ძმა, მამა, ანუ მოკეთე მოვიდა შენთან და განახა. ლილაზე დგები და გიკვირს, საიდამ გაჩნდა იმისთანა სიზმარი. მართლა, ის კაცი, რომელიც სიზმარში ნახეთ, მოდის და ელაპარაკებათ. რისგან არის ესა? ჯერეთ, ვგონებ, იმისთანა სწავლულები არა გვყავს, რომ ეს ჩვენი ტანის წინეთ გრძნობა აგვიხსნან. ახლანდელ დროში სწავლულებს არა აქვსთ კარგათ გამოკვლეული სიზმარი. ჩემის გამოკვლევით კაცს გამოღვიძების დროს დაეზმანება ერთ წამს იმისთანა სიზმარი, რომლის მოყოლას იგი ერთს საათს მოუნდება. კაცი რომ ასჯერ გააღვიძო ღამეში, ჩემის აზრით, ეს სიზმარს გეტყვის. ისინი კი ძლიერ შემცდარნი არიან, რომელნიცა ფიქრობენ, ვითომ მთელი ერთი ღამის განმავალობაში ერთი სიზმრის მეტი არ ეზმანება კაცს და ისე ხანგრძლივათ, როგორც ზოგნი ფიქრობენ.

ბევრის თქმა შეიძლებოდა სიზმარზე, მაგრამ ერთობ გაგრძელდება ეს ჩვენი წიგნი და ამისთვის ისევ ჩვენს საგანს შევუდგებით.

---

## თავი მეცხრე.

## ტანისამოსი.

ჩვენი ტანი-სამოსი კეთდება მცენარისა და ცხოველების ნივთთაგან. მცენარეულობისაგან მაგალითებრ: კანაფისა და სელისაგან კეთდება ძლიერ მჩატე და გრილი ტანთ-საცმელი. ცხოველების ბეწვისა და ტყავისაგან კეთდებიაან: ტყავის საცმელები, მატყლეული აბრეშუმეული და სხვ. ველური ხალხი ტანისამოსად ხმაროობს ცხოველების ტყავს. ზამთრობით თმიანი პირით აცვიათ ეს ტყავები და ზაფხულში გადაბრუნებით იცვამენ.

ტანისამოსი შესაფერი უნდა იყოს წლის დროისა, ჰაერისა, ასაკისა და კაცის ტანის აგებულებისათვის. შალეული და აბრეშუმეული ტანისამოსი ძლიერ ათბობს კაცს ტანზე. ქანაფისა და სელისაგან მომზადებული ტანისამოსი კი ძლიერ გრილია და არ ათბობს კაცს. ამისათვის ცივ ადგილებში და სიცივების დროს თბილი ტანსაცმელი უნდა ჩაიცვას კაცმა; ხოლო ცხელს ადგილებში და სიცხეებში უნდა

იცვამდეს კანაფისა და სელის ძაფისაგან მოქსოვილს ტანსაცმელს. პატარაობისას ბავშვებს მსუბუქ საცმელს უნდა აცვამდნენ, რომ ნამეტნავად შეეჩვიონ სიცივის ატანას. პატარაებისათვის ტანსაცმელი თბილი და მძიმე მავნებელია, მისთვის რომ სუნთქვას უხშირებს; ამით სისხლი მიდის მათ თავში ნამეტანი და სხვა-და-სხვა სნეულებას აუტეხს. წინააღმდეგ, როდესაც დიდი გაიზრდება კაცი, მაშინ მისთვის თბილი ტანთ საცმელია საჭირო, რომ სუნთქვა რიგიანი ჰქონდეს და მის ტანში სისხლი მოძრაობდეს რიგიანათ. ბეწვეულებისაგან მომზადებული ტან-საცმელი ძლიერ კარგია მით, რომ ოფლს იშრობს ტანზე და კაცი არ ცივდება; მაგრამ მალეც ფუჭდება, რადგან ნაოფლარს ცუდი სუნი აუვა და, თუ დიდხანს არ გამოიცვალა, მაშინ, რასაკვირველია, ავნებს სხეულს.

თეთრი ბამბეულის ტან-საცმელი ძლიერ კარგია ზაფხულობით სიცხეში, ამისათვის რომ სითეთრე არ იკარებს ძლიერ სიცხეს. თეთრი ტანისამოსი სასარგებლო არის იხმაროს კაცმა ყოველ დროს წელიწადში.

სარტყელი უნდა იყოს ყოველთვის ფართე და ცოტა მსუბუქად მოჭირებული. პერანგი უნდა იყოს ტილოსი, ანუ თუ გინდ სამოსელისა, მაგრამ შებნეული საყელოზე და მაჯებზე მსუბუქად. სახურავი უნდა იყოს მჩატე და ფართე. ზაფხულობით უმჯობესია ჩალის ქუდის—შლიაპის დახურვა. იტყვის

ზოგიერთი: სად გვაქვს მისი ყიდვის შეძლებაო? მაგრამ ეს ტყვილია. ჩვენში ეხლა ჭილისაგან მრავალს ადგილას აკეთებენ შლიაპებს და ხმარობენ, საყიდლათაც ძლიერ იაფია, მაგრამ უბედურობა ის არის, რომ რაც ჩვენში მმზადდება, რმას არ ხმარობს ჩვენი ხალხი. რომ დამპალიც იყოს, მაინც სამძღვარ გარეთიდამ მოტანილს უმეტესად ყიდულობს და იმასაც ძვირად. ყელსახვევი არ უნდა უჭერდეს ყელს, რომ სუნთქვა არ გაუძნელოს კაცს. ერთი სიტყვით, ყოველი ტანისამოსი ხალვათად უნდა ეცვას კაცს ტანზე და არ უჭერდეს. ტანისამოსი ძვირ-ფასობით არ მოეხმარება კაცის ტანის სიმრთელეს და კოხტურად შეკერილობით, არამედ თავისი სითბოთი და სიგრილით, და კარგათ ტანზე გაწყობით. ამისათვის კაცი ნამეტნავად ამას მარტო უნდა აქცევდეს ყურადღებას.

---

## თავი მეათე.

## რამდენიმე სიტყვა ტანის აგებულებითი თვისებაზე (ტემპერამენტზე).

ყველა კაცის ტანი ერთნაირი აგებულების და თვისების არ არის. ერთი კაცი რომ ჭამს, იმდენს მეორე ვერ შეჭამს. ერთს დიდი აქვს მკერდი და

მეორეს ვიწრო. ერთი ძლიერ ნოტიო ტანის არის, მეორე კი ხმელი. ამისგან წარმოსდგება ის, რომ ყოველი კაცი ერთი-ერთმანეთისაგან რამეთი გარჩევა. ეს მოხდება კაცის ტანის სხვა-და-სხვანაირი აგებულებითი თვისებისაგან. სწავლულების გამოანგარიშებით ამისთანა ტანის აგებულებითი თვისება ხუთ-ნაირია:

## ა) აგებულება კაცის ტანისა (ტემპერამენტი), რომელშიაცა ძლიერია საჭმლის მოსანელებელი იარაღები.

ამისთანა ტანის აგებულების პირნი ძლიერ მჭამელნი არიან და კარგი ჭამის მადაც აქვსთ. რამდენიმე წილი ნაღველისა, რომელიც ბევრი უმზადდებათ მათ, ერევა სისხლში და მთელ ტანში ებნევათ, ამისათვის ადვილად შეიტყობა იგინი პირის სახითაც. ამისთანა აგებულებითი თვისების კაცები ხან-დის-ხან ძლიერ გახსნილნი არიან გონებით. იგინი ადვილად ასრულებენ ძლიერ გასაბედავს საქმეებს. მათი ყოველი სურვილი ძლიერია. ამ აგებულების კაცთაგან გამოდიან უმეტეს ნაწილად მტანჯველები, გონება გახსნილნი, ქველ-მომქედნი, მაჩხუბარნი და სხვა ამ გვარნი...

## ბ) ტანის აგებულება (ტემპერამენტი), რომელშიაცა ძლიერია სასუნთქავი და სისხლის იარაღები.

ამისთანა ტემპერამენტის პირნი სხვათაგან განირჩევიან ნამეტანი მკერდის გაზღვით და ჩქარი მაჯის ცემით. მოძრაობა ამისთანა პირებს აღვილი აქვსთ და ჩქარი. მოფიქრება არა აქვთ ძლიერი; მაგრამ მახვილი გონება ძლიერ ჩქარი აქვსთ; შთაბეჭდილებანი ძლიერ ჩქარა მოქმედებენ ერთი-ერთმანეთზე, მაგრამ დიდხანსაც არ რჩებიან და ცოტა კვალს აჩენენ თავში.

## გ) ტემპერამენტი ანუ აგებულება კაცისა, რომელშიაცა ძლიერია ტვინი და მოქმედებანი.

ამისთანა ტემპერამენტის პირთა სხეული სუსტი აქვსთ და ხმელი, ხორცის კანი ხმელი და ცივი. პირის სახე შეწუხებული, მონელება საჭმლისა ხანგრძლივი და ძნელი, მაჯა სუსტი და ნელი; მოძრაობანი ძლიერ ფრთხილნი; გრძნობანი ძლიერ ცოცხალნი, მონდობილებანი ნიადაგიანი. ამისთანა ტემპერამენტის პირნი ნიადაგ გაფრთხილებული და მოქმედი ფიქრის სახე აქვსთ. ეს პირველი ტემპერამენ-

ტი და მეორე თუ შეხვდენ ერთად-ერთი კაცის ტანში, ამისთანა კაცები მთელ ქვეყანას გააკვირვებენ თავის გონებით და სწავლით.

## დ) კაცის ტანის აგებულება (ტემპერამენტი) რომელშიაცა ძლიერია კუთები და საზოგადოდ სხეული.

ამ აგებულებაში ყველა საზრდო მოძრაობა კაცის ტანისა ძლიერნი არიან; ძვლები ძლიერ გაზრდილნი, ხორციც ტანზე ძლიერ გამოწეული აქვსთ ამ აგებულების პირთა; მკერდი მაღალი, მხრები ფართო, სამუშაო ძარღვები ძლიერ მაგარი აქვსთ და ლონიერნი არიან საძალო სამუშევრისათვის გრძნობა კი ძლიერ დაჩლუნგებულნი აქვსთ; გონება მძიმე და ძლიერ საშუალო, მონდომილება ცივი და სხვა.

## ე) ტანის აგებულება (ტემპერამენტი), რომელშიაცა ნამეტნავად გაძლიერება სქესის იარაღები.

ამისთანა აგებულების პირნი განირჩევიან სხვა აგებულების პირთაგან ნამეტნავად სქესის ასოების გაზრდითა და ნამეტანი ხორცეულებრივი მონდომილებით და გრძნობითა, აგრეთვე ნამეტანი ნაყოფიერებითა და სიყვარულობაზედ ფიქრი; მათ აქვსთ მსხვილი და ძლიერ სქელი წვერები. დიდი ტანი,

მაგარი ბოხი და წმინდა ხმა. ამისთანა ტემპერამენტის, აგებულებისა ნამეტნავად ქალები არიან, ვინემ კაცები. მათ მუშაობა კუჭისა კარგი აქვსთ, ურომლოდაც იგინი ძლიერ დასუსტდებოდენ.

---

## თავი მეთერთმეტე.

## საქმობა, მუშაობით მოძრაობა.

მეცადინობა, მუშაობა ნამეტნავად ერცელდება ალებ-მიმცემობის და ვაჭრობის გავრცელებისთანაეე ეხლა მაინც ერთობ არის გავრცელებული სხვა-დასხვა მეცადინეობა. ბიგიენურად რომ გაარჩიოს კაცმა ყოველგვარი მუშაობა და ცდილობა, ეს ძლიერ გამოკვლევას და გამოძიებას მოითხოვს კაცისაგან. ამისათვის ჩვენ მარტო საინტერესო მუშაობას და ცდილობას მივაქცევთ ყურადღებას და მოკლედ აღვწერთ მათ.

### ა) ბონებით მუშაობა.

ბონებით მუშაობისაგან ხშირად წარმოსდგება ბუასალი, მუცელში შეკვრა, ქვით ავადმყოფობა (შარდის ქვა), ნერვების სნეულება და სხვა.

## გიგიენური დარიგება გონებით მუშებისათვის.

ძლიერ სასარგებლოა არის ხშირად ჰაერის გაწმენდა იმ ოთახში, სადაც კაცი სწერს, კითხულობს, ანუ გონებითად მუშაობს. საჭმელი უნდა მიიღოს გონებით მუშამ ადვილად მოსანელებელი. Ორასოდეს ჭამის შემდეგ ერთ საათზე ადრე არ უნდა დაიწყოს გონებით მუშაობა. Ტანისამოსი ძლიერ ხალვათი უნდა ჰქონდეს. Დამჯდარი უნდა იყოს მაგარ რამეზე. Ცდილობა უნდა შეცვალოს ხოლმე სხვა-და-სხვა საგნის საცადით. Ღამით ბევრს არ უნდა მუშაობდეს. Ზამთრობით თბილი აბანო უნდა მიიღოს და ზაფხულობით ცივ წყალში უნდა იბანაოს. Თითოეულ კვირაში ერთი დღე უნდა განისვენოს, ამ დღეს უნდა ისეირნოს და გაირთოს რამე ადვილი თამაშობით.

## ბ) მიწის მუშაობა.

Ამ მუშაობისაგან წარმოსდგებიან სხვა-და-სხვა სნეულებანი, მაშინ მაინც, თუ წამხდარი ჰაერით სუნთქვას კაცი დიდხანს, ანუ თუ ძლიერ სიცხეში მუშაობს. მზის ნამეტანი სიცხისაგან გაუჩნდება კაცს წელის ტკივილი, ფილტვის სნეულება, მკერდის სნეულება და სხვა-და-სხვა გადამდები სნეულებანიცა.

არაოდეს არ უნდა დასტოვო გაუწმენდელი ეზო ანუ სახლი ნაგვისა და ნაკელისაგან, რომელნიც ძლიერ აფუჭებენ ჰაერს სახლებში. განსაკუთრებით ამაზე სრულებით არ არის მიქცეული ყურადღება ჩვენში. ხშირად ნახავთ შეძლებულ კაცს, რომელსაც სახლში უბია ცხენები და ხარები. თუ სახლში არ ჰყავს დაბმული საქონელი, უთუოდ სახლქვეშ, პალატში ეყოლება დაბმული. ჩვენში კარგათ მოწყობილ სახლს იმას ეძახიან, რომელსაც ძირა სართულში საქონლის დასაბმელი და დასადგომი ადგილი ექმნება მოწყობილი! ამისთანა სახლების ზემო სართულში, რაც სუფთა უნდა იყოს სახლი, ძლიერ ცუდი სუნი დგება და ჰაერი ნიადაგ გაფუჭებულია.

იმერეთში ამისთანა სისუფთავეზე ცოტათი მაინც არის ყურადღება მიქცეული, მაგრამ ქართლში სრულებით არ აქცევენ ამ სისუფთავეს ყურადღებას და მდაბიო ხალხი თითქმის ნეხვში არის ჩაფლობილი. მათი მიწის გომურებთან, სახლებთან კოშკებივით არის აზლუდვილი რამდენიმე წლის დამპალი და დაგროებული ნეხვი. როცა მათ გომურიან სახლებში სულს ველარ იღებთ, ძლიერ გიკვირთს, რომ იქ მყოფთ კიდევ ტან-მრთელებს ხედავ. ამ საქმეს ხომ დიდი შრომა არ უნდა, მაგრამ ნამეტანი დაუდევნელობისაგან ასეა, სამწუხაროდ, ხალხი უწმინდურობას შეჩვეული. რამდენს საშვალებას ხმარობს კაცი ავათ გადომის დროს და რამდენს ხარჯავს საექიმოდ? ის

კი ვერ მოუფიქრებია, რომ სახლი და ეზო გასწმინდოს, რომ ამით ავად არ გახდეს!

როგორ ხშირად ჩნდება ჩვენში ხურვება, სნება და სხვა ამისთანა სახადი სნეულებანი, მაგრამ როგორ დააჯერებ ჩვენს ხალხს, რომ ყველა ეს სნეულებანი ხშირად ამისთანა მყრალი სუნისა და ჰაერის გაფუჭებისაგან გაჩნდება ხოლმე!...

## გიგიენური დარიგება.

როგორც ზემოთა ვსთქვით, სახლის და სახლის სიახლოვეს ადგილები არასოდეს არ უნდა დასტოვო გაუწმენდელი. ეს საჭირო არის. ზამთრობით თბილად უნდა ვიცვამდეთ. არასოდეს მუშაობის შემდეგ დაღალულნი ნოტიო მიწაზე, ანუ ბალახზე არ უნდა დაესწვეთ; როგორც ავად გავხდებით, მაშინვე უნდა მოუწოდოთ ექიმს და ექიმის მოსვლამდე ვიხმაროთ სხვა-და-სხვა შინაურული საშუალებანი სნეულის მოსარჩენად.

ამას გარდა არიან სხვა-და-სხვა მუშაობანი და ცდილობანი, რომელთა აღსრულების დროს სასარგებლოა შემდეგი საზოგადო დარიგება და რჩევა. იმისთანა მუშაობის დროს, რომელიც ძლიერ ლონეს ითხოვს კაცისაგან და ღალავს მასს, უთუოდ კარგი საჭმელი უნდა სჭამოს მუშამ. ტანსაცმელი დროის

შესაფერისი უნდა იყოს. თუ ცა-წმინდას ქვეშ მუშაობენ, ძლიერ უნდა გაუფრთხილდნენ გაცივებას. თუ ისეთ მუშაობას ადგია კაცი, რომ ვერ დაჯდება და ზეზე მდგომმა უნდა იმუშავოს, უთუოდ ფეხზე ჩაცმული უნდა ჰქონდეს წინდები და სარტყელი შემოკრული. თუ ღამით მუშაობენ სანთელზე, მუშებს უთუოდ ცისფერი ანუ მწვანე სათვალები უნდა ჰქონდეთ გაკეთებული.

თუ ბორბალთან მაშინებზე მუშაობს კაცი, ისეთი ტანისამოსი უნდა ჰქონდეს მასს, რომ ბორბალმა არ დაიხვიოს და არ ავნოს რა. სისუფთავისაგან, ზომიერი ცხოვრებისა და მომჭირნე გამგეობისაგან უნდა მოელოდეს ყოველი მუშა კეთილ ცხოვრებას. თუ მრავალნი პირნი ერთად ერთს სახლში მუშაობენ, უთუოდ სახლი უნდა იყოს ისეთი მოწყობილი, რომ მასში ნიადაგ ჰაერი იწმინდებოდეს. ამით ვათავებთ ჩვენ საზოგადოდ გიგიენურ დარიგებას ტანის ჯან-მრთელობის დაცვაზე და აგათ გახდომის მორიდებაზე.

ხახალხო საექიმო წიგნი,

# პარაგადინი.

ნაწილი მესამე.

---

## სნეულებათა აღწერა
## და
## მათი ექიმობა.

# მესაკვალი

## ამ საქიმო წიგნის მესამე ნაწილისა.

ზერედ ექიმების სწავლა იქამდისინ არ მისულა, რომ კაცის ყველა-ნაირი ავად-მყოფობა შეიტყოს კაცმა. ავად-მყოფობანი, რომელნიც წინედ ყოფილან, დღეს ალარ არიან, და რომელნიც წინედ არ ყოფილა, დღეს ჩნდება. ეს, ჩემის აზრით, ან მისგან არის, რომ წინედ არ გამოუძევიათ და არ შეუტყვიათ ყველა ავადმყოფობანი და ანუ მისგან, რომ ბუნება და ჰავა ისე შეცვლილა, რომ ეხლანდელი დრო სხვა ავადმყოფობას აჩენს და ძველი ჰავა სხვა ავადმყოფობას აჩენდა. ბევრ-ნაირია ავადმყოფობა. ექიმებმა კაცის ზოგი ავადმყოფობა ძლიერ კარგად გამოიკვლიეს და ზოგი სნეულება კი ისე გადიტანს კაცს, რომ

სიკვდილს შემდეგ თუ შეიტყობენ კაცის სიკვდილის მიზეზს, თორემ სიცოცხლეში ვერ ტყობილობენ. ზოგი ავადმყოფობა სხვა-და-სხვა მიზეზით თვითონ კაცის ტანში ჩნდება და ზოგი კი ერთისაგან მეორეს გადაედება. ბადამდები სნეულებანი შეიძლება ისეც გაუჩნდეს კაცს, რომ სხვა კაციდგან არ გადაედვას და თავისითაც გაჩნდეს სხვა-და-სხვა გარემოებათა შემწეობით. ყველა დარწმუნებული არის, რომ ათანშაგი თუ სხვისაგან არ გადაედვა კაცს, თავისით არ გაჩნდება. მაგრამ ეს ტყუილი აზრია. ბისმეს გადუდებლად უნდა გაჩენოდეს ეს სნეულება. თუ ეს ასე არ არის, მაშ ადამიც იქნებოდა ამ სნეულებით ავად!.....

როგორც ზემოდ ვსთქვით, ავადმყოფობა მრავალ-გვარია, ასე რომ ექიმებსაც ყველა არ გამოუკვლევიათ და, თუ გამოუკვლევიათ, მისი მოსარჩენი წამლები ვერ გაუგიათ კიდევ ჯერედ. ამისათვის ჩვენ ამ მესამე ნაწილში იმისთანა ავადმყოფობათა აღვწერავთ, რომელნიც სხვაზე მეტად არის გამოკვლეული და შეტყობილი, რომლითაც უფრო მეტად წვალობს ჩვენი ხალხი და რომელთა ექიმობა უადვილესად შეიძლება ამისთანა სამკურნალო წიგნების საშუალებით.

ხშირად ხდება, რომ კაცი არის ავად, მაკრამ პირველ შემთხვევაში ვერ ვატყობთ, თუ რა სნეულებით არის იგი ავად. ავადმყოფი ძლიერ წვალობს

სენისაგან. პირველ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ სნეულებისაგან ტანჯვა და წვალება შეუმციროთ ავადმყოფს და ვიდრემდის კარგად გავიგებდეთ სნეულებას, უნდა ვეხმაროთ სხვა-და-სხვა ღონისძიება და საშუალება. ამისათვის სანამ ავადმყოფობათა აღწერას შევუდგებოდეთ, რამდენიმე სიტყვას ვიტყვით, თუ როგორ უნდა მოვეხმაროთ სნეულს ავადმყოფობის პირველ დაწყებისავე, როდესაც სნეულება კარგად არ გვაქვს შეტყობილი. აქ მოვიყვანთ საზოგადო დარიგებას, რომლის ცოდნა და აღსრულება ყოველ ავათმყოფობის დროს დიდათ საჭიროა. მართლა ავათმყოფობათა აღწერის დროსაც კი იქმნებიან ამისთანა დარიგებანი მოყვანილნი, მაგრამ ეს საზოგადო ცნობა საჭიროა, რომ ყველამ წინ-და-წინ იცოდეს.

შემდეგ ამ საზოგადო დარიგებისა, აღწერილნი იქნებიან პირველად გადამდებნი ავათმყოფობანი, შემდეგ სხვა-და-სხვა შინაგანნი და გარეგანნი სნეულებანნი და მათი წამლობა. ბოლოს იქნება მოყვანილი საზოგადო დარიგებანი წყალში დამხრჩვალთა, და სხვა ამისთანა უეცრად უბედურება შემთხვეულ პირთადმი მიშველებაზე. უკანასკნელ იქნება მოყვანილი რამდენიმე სიტყვა კაცის თესლის აღწერაზე, ჩუკუნობაზე და ათაშანგის სნეულებაზე.

ყველა წამლების აღწერა და მომზადება თითოეულ ავათმყოფობის აღწერის შესახებ ძლიერ გაავრ-

ცელებდა ამ წიგნს და უბრალო ხარჯს მოგვცემდა. ამისათვის საუმჯობესოთ შევრაცხეთ, რომ წამლების აღწერა, მომზადება, მათი თვისება და ხმარება ცალკე მეოთხე ნაწილში ნომრებზე №№ დაწყობით მომეყვანა. როდესაც რომელიმე სნეულების მოსარჩენად იქნება ნაჩვენები სახმარებლად რომელიმე № ნომრის ქვეშ აღწერილი წამალი, უნდა ის ნომერი მონახოთ და ისე იხმაროთ, როგორც არის ნაჩვენები თქმულს ნომერში.

## საზიგადო დარიგება წინეთ ავად გახდომისა, სნეულების გაგრძელებისა და შემდეგ მორჩენისა.

---

ა) როდესაც ავადმყოფს შეძულდება საჭმელი, გულს ერევა, ანუ აქვს დაფარული ენა ყვითელის, გინა თეთრის ბალლამით, მაშინ უნდა მიეცეს პირიდამ სასაქმებელი წამალი, აღწერილი № კბ ქვეშე. მაგრამ არ შეიძლება მიეცეს პირიდამ სასაქმებელი წამალი, როდესაც ავადმყოფი არის დიდათ დასუსტებული და აქვს კისერი ძლიერ მოკლე, ანუ აქვს ფერდის ქარი, ანუ ფუში; როდესაც სნეულს ამოსდის ნახველში სისხლი; ანუ ცხვირიდგან სდის სისხლი. ორსულად მყოფთაც არ მიეცემათ პირიდამ სასაქმებელი წამალი.

ბ) უკეთუ ავადმყოფი გრძნობს წელის ტკივილსა და მუცლის გვრემასა, მაშინ უნდა მიეცეს ტანიდგან სასაქმებელი წამალი, აღწერილი №№ ითა და კ ქვეშე; ანუ უნდა მიეცეს ოყნა, აღწერილი № ნზ შინა.

ბ) როდესაც სნეულს ჰქონდეს მთელს სხეულსა შინა დიდი სიცხე, მაშინ უნდა მიეცეს წამალი, აღწერილი №№ ქვეშე კბ, კდ-სა და დააკრან ფეხების კუთებზე, ანუ ფეხების გულზედ მდოგვი, აღწერილი, № ნე შინა დაეკრას სანემ ის ადგილი სნეულს კარგად გაუწითლდებოდეს.

ძლიერ ხველების დროს უნდა მიეცეს წამალი, აღწერილი № ლე ქვეში.

დ) ავათმყოფი უნდა იმყოფებოდეს წმინდათ და და ფაქიზად. ხშირად იცვლიდეს ტანისამოსსა და უმეტესად პერანგსა და პერანგის ამხანაგსა. აგრეთვე სახლში უნდა იყოს ყოველითურთ დიდი სიწმინდე და ზომიერი სითბო და ხშირად უნდა სწმენდდენ ჰაერსა კარის ანუ ფანჯრის გაღებითა.

ყოველი გასვრილი ტანისამოსი, თუნდა ყმაწვილისაც იყოს, მაშინვე უნდა გარეთ გაიტანონ. გარეცხილი მჩვრები სახლში, სადაც დგანან, არ უნდა გაშრონ; რადგან ეს წაახდენს ჰაერს და იქნება დიდათ მავნებელი ავადმყოფისათვის.

ე) ავადმყოფი არ უნდა დააწვინონ, ცეცხლის ახლოს და არც გარეთ გავიდეს მსუბუქად ჩაცმული. სადაც ავათმყოფი სწევს, იქ არ უნდა იყოს ვიწროობა, და არც უნდა იმყოფებოდნენ იმ სადგომში პირუტყვნი, ანუ წვრილნი ცხოველნი; არც ბევრი კითხვით და ხმიანობით უნდა აწუხებდნენ ავადმყოფს.

ვ) ძლიერ თბილად არ უნდა დაახურონ ავათ-

მყოფსა, როგორც იციან ჩვენში ყოველგვარ სნეულების გაჩენისათანავე; მაშინვე ყოველი ღონით ცდილობენ, რომ მალე მოჰგვარონ ოფლი ავადმყოფს, რადგანაც უმეცრებისა გამო ჰგონიათ, რომ ყოველი სნეულება ოფლის მოსვლით მორჩება. Udროვოთ და მსწრაფლ დახურვენ რამდენსამე საბანსა, ანუ გამთბარს ბეწვეულსა, დააჯდებიან გარე შემო საბანსა, და მით განაფიცხებენ და განაძლიერებენ სისხლის მოძრაობასა. ამისათვის კეთილ-გონიერება მოითხოვს ყველასაგან, რომ, თუ საჭირო არის ოფლის მოგვრა, ზომიერად უნდა დახურონ ავათმყოფს და ცდილობდნენ, რომ სადგომშიაც იყოს სითბო. Umეტეს უნდა უფრთხილდებოდნენ ღამით, რომ ავადმყოფს არ გარდაეხადოს საბანი და არ შესცივდეს, რადგანაც ღამით უფრო მოუა ოფლი ავადმყოფს. ჩვენს ქვეყანაში ღამე არის თითქმის ყოველთვის გრილი და ადვილად შესცივა სნეულს, რაისა გამო შესწყდება ოფლი და ეს იქნება დიდათ მავნებელი ავადმყოფისათვის.

ზ) საჭმელად უნდა იყოს ყოველთვის ხმარებული კარგი საჭმელი, ახალი და დაუმპალი, აუყროლებელი, დაუობებელი, არა ძალზე მსუქანი, და ზომიერად მიღებული. Unდა მიეცეს სნეულს მსუბუქი და ადვილად მოსანელებელი საჭმელი, ესე იგი, ძალაზედ მოხარშული შორბა ბრინჯისა, ანუ ბურღულისა, კარგად შეკაზმული; ანუ მარტო წვენი ახალის ქათმისა, ანუ ვარიისა, ანუ წვენი ახალი

წვრილი თევზისა, ანუ შეჭამადი შავი გამხმარი ქლიავისა—კვრინჩხისა, შვინდისა, ნიუკისა, (მცენარეა) ჭინჭრისა, ოხრახუშ-ნიახურისა, ანუ სტაფილოსი. ავათმყოფმა სრულებით არ უნდა იხმაროს: ნესვი, ჭერამი, კიტრი, ახალი ლელვი, უმი ვაშლი, კაკალი, თხილი, და სხვა ამგვარნი. მხოლოდ ნება მიეცემა ავათმყოფს მცირედი ხილის ჭამისა და სახელდობრ: ყურძნისა, სხლისა, ბროწეულისა, ალიბუხარისა, შავი დამასხის ქლიავისი, მაყვალისა და საზამთროსი. მაგრამ ესენი არ უნდა იყოს ძლიერ ცივი. ყოველი ესენები უნდა იყოს ძლიერ მწიფე და კარგად მოწეული, რადგანაც უზომო ხილის ხმარებისაგან, და უმეტესად მკვახისა, გაჩნდება მრავალი სხვა-და-სხვა გვარი სნეულებანი.

სასმელად უნდა იხმაროს ავათმყოფმა წმინდა წყალი, ანუ წყალი ქერისა, ანუ პურისა.

Ბ) როდესაც ავადმყოფი ჰგრძნობს უკეთესობასა და თან-და-თან სნეულებისაგან თავისუფლდება, მაშინ უნდა დიდის სიფრთხილით მოიქცეს იგი. მორჩენის შემდეგ თუ სნეულს მიეცა დიდი მადა და მოითხოვა სხვა და-სხვა გვარი საჭმელები, უნდა გამოიცვალოს საჭმელი, მაგრამ უზომოდ არ უნდა ჭამოს. უნდა ჭამოს მალ-მალ და ცოტ-ცოტა. საჭმელი კარგად უნდა დაღეჭოს და ისე ჩაყლაპოს: ერთის ჭამით არ უნდა გაძღეს. სასმელიც უზომოდ არ უნდა დალიოს და ნამეტნავად ცივი; მხოლოდ უნდა მიიღოს წყალი მეოთხედის კარვის ღვინითა.

თ) მრავალნი უკოდინაროობისა გამო ცდილობენ, რომ ავადმყოფს, თუმცა მასს არა აქვს სრულებით მადა, მაგრამ ძალის დატანებით მაინც აჭამონ, რადგანაც ჰგონიათ, რომ მას მიეცება ყუათი და მორჩება სნეული. დიდათ ეშინიათ ერთის, ანუ ორი დღის უჭმელობისა, რომ არ მოკვდეს სნეული; მაგრამ იგინი ნაცვლად სარგებლობისა უმეტეს განუძნელებენ სნეულებას. თუ ავათმყოფს არ აქვს კუჭი და ნაწლევები გაწმენდილი, მაშინ თვით ბუნებაც არ მოითხოვს საჭმელს! ამისათვის უნდა იყვნენ დარწმუნებულნი, რომ თუნდა ათი დღე იყოს ავათმყოფი უჭმელი, ამითის არ მოკვდება, მხოლოდ უნდა ეცადნენ, რომ რიგზედ უწამლონ და მადა ჭამისა თვითონ მოუა სნეულს.

ი) როდესაც კარგი დარია, მორჩენილმა სნეულმა უნდა ქვეითად, ანუ ცხენით თბილად ჩაცმულმა ისეირნოს, ანუ სახლში მსუბუქად იმუშავოს. უნდა მიიღებნდნენ დაწოლის ადრე მცირედს ვახშამსა, ანუ სულ არა, რადგანაც მაშინ უფრო ექმნებათ მოსვენებული ძილი, რომელიც დიდი შემწე არის სიმრთელისა და ყუათის მიცემისათვის.

ია) უკეთუ ავადმყოფს არ ასაქმებდეს დღეში ერთხელ, ანუ ორჯელ, არ უნდა შეწუხდნენ ამისთვის, ნამეტნად მაშინ, როდესაც ავადმყოფი არა გრძნობს ამით სნეულების მატებას; უკეთუ განგრძელდების სიყაბზე, მაშინ მეორეს, ანუ მესამეს დღეს, უნდა მიეცეს მსუბუქი ოყნა, აღწერილი № ნზ ქვეშე, განსაკუთრებით თუ სნეულს სიცხე, ანუ თავის ტკივილი აქვს.

**იბ)** **შ**კეთუ სნეული ძალიან სუსტად არის, ანუ გრძნობს კიდევ ავადმყოფობას, მანამ სრულებით არ მორჩეს, წამლის ხმარებაზე არ უნდა აიღონ ხელი და არც უნდა ძალაზე იმუშავონ, არც მაგარი და მძიმე მოსანელებელი საჭმელი, ანუ მხურვალე მაგარი სასმელი იხმარონ.

**იგ)** **შ**ენიშნული არის, რომ მორჩენის შემდგომ მსწრაფლ იბანოში წასვლით, ანუ შინ ბანებით, თმის გაკრეჭით, თავის მოპარსვით, უცხო საჭმლის მიღებით, მზეში მუშაობით, მომეტებულის წიგნის კითხვით, წერით და სხვა ამგვარ მიზეზთაგან სნეულება ხელ-მეორედ მობრუნებიათ მორჩენილ ავადმყოფებს. **ა**მისათვის კეთილგონიერება მოითხოვს, რომ შემდეგ მორჩენისა ხსენებულთა მიზეზთა უნდა დიდათ ერიდებოდნენ, სანამ ხანი გაივლიდეს და სრულებით ყუათი მიეცემოდესთ სნეულთა.

**იდ)** **ა**გრეთვე ძალიან უნდა ერიდებოდნენ ყოველგვარ შესაყარ სნეულებათა, რომელნიც ადვილად შეიძლება გადაედვასთ სხვა-და-სხვა მიზეზთაგან: ესე იგი. სხვისი ტანისამოსის ჩაცმით, სხვის ლოგინში წოლით, ერთს ჭურჭელში ჭამით, ჩიბუხის მოწევით, ხვევნა-კოცნითა, მკვდრის გაყოლითა, ერთს ფეხის ადგილში სიარულითა და სხვა ამისთანა გაუფრთხილებლობისაკან.

# პირველი განყოფილება.

## გადამდები სახადნი, სნეულებანი, რომელთაცა ერთჯერ შეერით იხდის კაცი სამუდამოთ.

### თავი პირველი.

### ა) წითელა.

წითელა არის ისეთი ავადმყოფობა, რომელიც დაჰყრის წითლად ახალ-გაზდა ყმაწვილებს. დიდებსაც დაემართება წითელა, მაგრამ ძალიან ძვირად. წითელიანს ტანზე რომ დააკვირდე, შენიშნავ პაწაწა წითელს ლაქებს ბალნების ძირში. ეს ლაქები ლომის კაკლის ოდენა არიან. სანამდის სნეულს წითლად გამოფენდეს ტანზე, ჯერ სამი დღის წინათ ცივებას დააწყებინებს. ზოგს ამ დროს თვალების ტკივილი აუტყდება. შემდეგ დაუწყებს წითლად გამოფენას ზევით ტანიდგან და თან-და-თან ძირს დაეშვება. მერე

წითელი ფერი თან-და-თან ჰქრება და ბოლოს ავათ-
მყოფს ქერცლები დაუწყებს ცვინვას მთელი ტანიდგან
და ამნაირათ კანი გასძვრება.

როცა წითელა ადვილი სახდელია, მაშინ კაცი
შენიშნავს, რომ ეს ავადმყოფობა ოთხნაირად იცვლება.
პირველად ეს ავადმყოფობა დაიწყება სურდოს მსგავ-
სად და ამნაირ მდგომარეობაშია ავათმყოფი, სანამ-
დის ცივებას დააწყებინებდეს. უფრო ხშირად მოხ-
დება, რომ ავათმყოფს ხან აცივებს, ხან სიცხეს აძ-
ლევს, ვიდრე გამოუნელებელი სიცხე არ მიეცემა,
მერე თვალის ტკივილი აუტყდება. ცხვირიდგან მუ-
ტუტი დაუწყებს დენას. ზოგჯერ ამ მუტუტს სისხ-
ლიც გამოერევა და ხშირად ცხვირს აცემინებს, ხმა
ჩაუხჩება, ავათმყოფი ამბობს, რომ ყელი მეწვისო-
ლრმად ახველებს, ენა გაუთეთრდება, მადა ეკარგება,
წყურვილი აქვს, კარში მძიმედ გადის, ტანი გაუ-
ფიცხდება და ცხელი აქვს, შარდი მოწითალო, ჩქარი
და სუსტი მაჯა, სალამოს ცივება უმატებს, ჩვეუ-
ლებრივ მეორე დაბრუნებაზე უფრო მძიმედ ეკიდება,
მესამედ კიდევ უფრო მძიმედ. ხან-და ხან მეტი არ
შეიძლება, ისე საშინლად გაუძნელდება ცივება, მაგ-
რამ ბოდვას და მანჭვას მაინც არ დააწყებინებს.
ზოგჯერ ხუთ დღემდისაც შეიძლება გაატანოს ცივე-
ბამ, მაგრამ ძალიან ძვირად. მერე გამოჰყრის. ეო-
ფილა ისეთი შემთხვევაც, რომ რაკი ავადმყოფს
წითელას ნიშნები გამოჩენია, ერთ დღეს იქით ტან-
ზედაც გამოუყრია.

მეორე ნირი ავადმყოფობისა იწყება იქიდგან, როცა ტანზე წითლად გამოჰყრის. სანამდის ტანზე გამოჰყრიდეს, ნახევარი დღის წინად სასაში და ცხვირის ნესტოებში მოუფინება წითელი ლაქები, სიდიდით ქინძის თავის ანუ მუხუდოს მარცვლის ოდენა. ამასთანავე ყელის ტკივილი და ცივება უმატებს. ნერწყვის ბლომად სდის და ნახველს მეავე სუნი აქვს. კანის გახურვება და საზოგადოდ აღელვებული მდგომარეობა ავადმყოფისა ნიშნავს, რომ მალე გამოჰყრის. ჯერ აფუნთრუშებას პირიდგან დაიწყებს, მერე კისერზე, გულზე და ბოლოს მთელს ტანზე მოეფინება. წითელას ლაქი პირველად ძალიან პაწაწაა და მერე კი თან-და-თან იმატებს. როცა ხელს დააჭირებს ხორცზე, სიწითლე გაჰქრება და როცა გაუშვებ, მაშინვე გამოჩნდება. ძალიან დიდი ლაქები (ფორაჯები) გამოეფინება პირის სახეზე, რომელიც სულ ერთიანად აწითლდება და ცოტად კიდეც გაციდება. ამ წითელ ლაქებზე კაცი არც ტკივილსა გრძნობს და არც ეფხანება. ტანზე გამოჰყრა ზოგჯერ სამ დღესაც გასწევს და ამ დროის განმავლობაში ცივება და ყელის ტკივილი მომეტებული აქვს ავათმყოფს.

მესამე ნირი ავათმყოფობისა რომ დაადგება, მაშინ ყელის ტკივილი და ცივება იკლებს, მაგრამ სულ კი არ გაივლის. წითელას ლაქები სამი დღის

განმავლობაში მუდამ იხედება, მერე კი ჰქრება იმავე წესით, როგორც გამოჰყრის. მეშვიდე და მერვე დღეს კანის სიწითლე სულ იკარგება. თვალების ტკივილიც იკლებს. უელიც ისე მძიმედ აღარ სტკივა და ნახველიც ამოსდის; ამის გამო დიდი შელავათი ეძლევა ავადმყოფს.

ამ დროს ავადმყოფობა ჩადგება მეოთხე რიგში. ტანის კანიდამ იწყებს ქერცლები ისე წმიდათ ცვივას, რომ კანის გამოცვლა სულ არ ეტყობა. ამასთანავე ბევრი ოფლის დენას დაუწყებს ავადმყოფს. ამ დროს შარდსაც დაილეკამს. თვალის ტკივილი სნეულს აღარ აქვს და ნახველიც ძალიან შეკრულია. ხან-დის-ხან ავადმყოფი ხშირად გადის კარში და ძალიან შელავათსაც ჰგრძნობს. ეს ნირი ავათმყოფობისა შვიდ დღიდგან თოთხმეტამდის გასტანს.

## წამლობა წითელასი.

უპირველესი საშუალება ამ სნეულებისაგან დაცვისა არის განშორება კარგათ-მყოფ ბავშვებისა წითელათი სნეულთაგან. თუ შესაძლო იქნება, სასარგებლო და კარგია, რომ ტან-მრთელი ბავშვები გააშორონ იმ სოფელს, სადაც წითელა არის. ეს საშვალება, რასაკვირველია, მაშინ უნდა აღასრულონ, თუ ხედავთ, რომ წითელა ძლიერ ცუდათ ეპყრობა ბავშვებს და ხშირად ხოცავს მათ.

თუმცა კარგად იხდიან, მაშინ არ არის საჭირო დარიდება.

წითელათი ავათ გახდომის დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ არა გვაქვს არც ერთი საშვალება, რომლითაც წითელასაგან მორჩენა მალე შეიძლებოდეს, ამასთან ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ წითელას ნამეტანი ნაწილი სნეულებისა, ადვილად იხდიან. ნამლის ხმარება ამ სნეულებაზე არ არის საჭირო. მხოლოდ სახლი უნდა იყოს რიგზე თბილი, არც ცხელი და არც ერთობ ცივი. თუ ისეთი ოთახია, რომ ქარი არ შემოდის, ყოველ დღე უთუოდ უნდა გაწმინდონ ჰაერი ოთახში; ტანისამოსი ფრთხილად უნდა გამოუცვალონ, რომ ავადმყოფს არ შესცივდეს და სნეული სუფთად უნდა იყოს. ოთახი მცირედ უნდა იყოს განათებული დღის სინათლით. სასმელი, როდესაც მოითხოვოს სნეულმა, არ უნდა დაუშალო და ცივი სასმლის მაგიერ თბილ სასმელს არ უნდა ასმევდნენ. როდესაც ცივებას გაუშვებს ავადმყოფს, მაშინ შეიძლება, რომ ძროხის ხორცის წვენი მისცენ და რძე. ავადმყოფი მორჩენამდინ საწოლში უნდა იწვეს და სიარული არ უნდა დაიწყოს გარეთ. ფილტვის ხველება სნეულს დიდხანს გაჰყვება და ამისთვის არ უნდა გამოვიდეს გარეთ, რომ არ გაცივდეს.

თუ ავადმყოფმა გარეთ დაიწყო სიარული და გამოყრილი მუწუკები შიგნივ შეუბრუნდა, ეს ძლიერ

ცუდი ნიშანია. ყოველისფერი ლონის-ძიება უნდა ვიხმაროთ, მუწუკები ისევ გარეთ გამოვიწვიოთ. მაგრამ ეს რა საშვალებით? ბოდიშნობა და გარეთ შემოფერთხვა კი არ გამოიყვანს მუწუკებს გარეთ.*) მაშინ უნდა მოვიყვანოთ ექიმი და თუ ექიმი არ იშოვება, ანუ ფელშერი, მაშინ უნდა ვეცადოთ, რომ როგორიმე გზით ოფლი მოვგვაროთ ავადმყოფს. ყველანი უნდა დარწმუნდეს, რომ ბოდიშნობისაგან არა ვითარი სარგებლობა არ გამოდის. წითელათი ჩვენში უმეტესად ბევრი კვდება, ვინემ სხვა ხალხში, მაგრამ იქ ბოდიშნობა სულ არ იციან. რატომ არ გვეფარება ჩვენ ეს საშვალება? დავიჯერო ის, რომ ვილაცა სოფლის ბებრუხანამ უმეტესად იცოდეს სწავლულებზე, რა მოუხდება წითელას და რა არა? რალა მარტო ბებრებმა შეიტყეს ეს და ნასწავლ ექიმებმა კი ველარ შეიტყეს? ამასთან იმაზედაც დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ საქონლის დაკვლა ავადმყოფს არ მოჰკლავს და არც «ბატონები» გაჯავრდება! ეს სულელური ჩვეულება ჩვენშია მარტო და სხვაგან კი არა. მართლა, საქონლის დაკვლის შემდეგ ავადმყოფი შეიძლება ცუდაც შეიქნეს, რომ გაიგებს საქონლის დაკვლას; მაგრამ ეს იმიტომ კი არ მოხ-

*) საქართველოში იციან, როდესაც წითელიანი შეწუხდება, ჰგონიათ, თუ «ბატონები» გაწყრა და დედა-კაცები დაჩოქილნი შემოუვლიან სნეულს და ეხვეწებიან ბატონებს ავადმყოფის მორჩენას.

ლება, რომ მართლა ბატონებს ეწყინა, არამედ მისგან, რომ ავადმყოფი შეშინდა, იფიქრა სწორეთ ბატონები მომკვლენო და ამ შიშისაგან მართლაც ძლიერ ხდება ავად. ეს წარმოდგება ფიქრისაგან და არა ბატონებისაგან, რომელიც არ არსებობს.

## ქონით წამლობა წითელიანისა.

ექიმმა ვალცმა პირველად იხმარა ქონი წითელიანების მოსარჩენათ. ის გახდიდა ტანს ავადმყოფს, წაუსვამდა ტანზე ლორის ქონს და შანამდის უსვამდა, სანამდის ქონს ველარ იშრობდა ტანი; მერე გაწმენდდა ტანს რბილი ფლანელით. ამ სახით ერთ დღეს და ღამეს ექვსჯერ მაინც წაუსვამდა ქონს ავადმყოფს. მართლაც ცოტა ხანს შემდეგ ვალცმა თვითონ დაბეჭდა ამ თავის წამლის მოქმედება. ის ამბობს: სამას ორმოც-და-სამს ავათმყოფში სამის მეტი არ შომკვდარა. ადვილ ავადმყოფებს გარდა ორმოც-და-ჩვიდმეტს მძიმე ავადმყოფებსაც ძალიან მოუხდა წასმა ქონისაო. ზემო ხსენებულს ავათმყოფებში თუთხმეტს წყალმანკი უჩნდებოდა თავში, სამს გული ჰქონდა მოშლილი, ცამეტს დამუწუკებული ფილტვები ჰქონდა. ეველა ამ ავათმყოფობამ იკლო; არც ერთს იმათგანს, მორჩენის შემდეგ, არ გამოჰყოლია სხვა ავადმყოფობა, მაგრამ, როდესაც წითელამ ხშირად იცის ხოლმე დატოვება რამე ავადმყოფობისაო. სხვა

ავათმყოფებს, რომელთათვისაც ქონი არ წაუსვამთ, თითქმის ყველას გამოჰყვა დაზიანებული ტანი და უმეტეს ნაწილს წითელას მოხდის შემდეგ ჭლექი გაუჩნდაო.

ბერლინის ერთი სახელ-განთქმული სამკუნალოს ექიმი სახელად ბერტი ამბობს: უწინ, როცა ქონს არ ვხმარობდი, წითელათი მორჩენის შემდეგ ხშირად შემინიშნავს, რომ ტან-მრთელი დედ-მამის შვილებსაც გასჩენიათ ჭლექი და რაკი ქონის წასმა დაუწყე წითელიანებს, ამის შემდეგ ერთიც არ მახსოვს, რომ მორჩენის შემდეგ ჭლექი გასჩენოდეს ვისმესო.

ექიმი შნეემანიც ამტკიცებს, რომ ქონით ექიმობა წითელიანისა ძალიან სასარგებლოა. ის განსაკუთრებით იმას აქცევს ყურადღებას, რომ ხუთას ავადმყოფში ქონით წამლობის შემდეგ არც ერთს იმათგანს აღარ გამოჰყოლია მორჩენის შემდეგ სხვა ავადმყოფობაო. ეჭვი არ არის, რომ მაგალითად: სახადს, ხველას, გულის მრავალ გვარს ავადმყოფობას, სისხლიან შარდს და სურავანდს ძალიან მოუხდება ქონით წამლობაო.

ექიმი ზელნსკი აგრეთვე ურჩევს, რომ ახალდაბადებულს ყმაწვილს ტანზე ქონის წაცხებით აღარ გააცივებსო. თუ მშობიერის ოთახი გრილია, პირველ გაბანის შემდეგ ყმაწვილს მაშინვე უნდა წასცხო ახალი ღორის ქონი, ან უმარილო ერბო. შნეემანი ამტკიცებს, რომ წითელათი და მყივანა ხველათი

ავადმყოფს თუ წასცხეს ქონი, ძალიანაც რომ გრილოდეს, იმის გაცივების ფიქრი ნუ გაქვსო. აი რამდენი რამ გამოიგონეს ეხლანდელ დროში ექიმებმა წითელას სნეულების მოსარჩენად და მისი ცუდი გავლენის მოსასპობლად. მოვიხმაროთ და ვისარგებლოთ ამ უბრალო საშუალებაებითა.

---

## თავი მეოთხე.

## ბ) ყელ-ჭირვება, ყელის ტკივილი (სკარლატინა) და მისი ექიმობა.

ყელ-ჭირვება გადამდები სნეულება არის. ამ სნეულებით უმეტესად ხდებიან ავადპატარა ბავშვები, ვინემ დიდები. მაგრამ ძუძუ-მწოვარი ბავშვები ხშირად დარჩებიან ამ სნეულებისაგან და არ შეექნებათ. ეს ავადმყოფობა ვრცელდება ხოლმე გაზაფხულზე და შემოდგომაზე. ეს სნეულება ზოგს ადვილად ეკიდება, მაგრამ ზოგს ძლიერ ცუდად.

ამ სნეულებით ვინც გახდება ავად, ტანზე გამოყრის, ცივებაც აქვს, ზოგს მაინც ყელი და საყლაპაეის ადგილები ძლიერ აენთებათ. ეს სნეულება ერთბაშათ არ ეკიდება სნეულს. როგორც წითელა, ისე ეს სნეულებაც სხვა-და-სხვა ნირს იქცევს ხოლმე.

Თავდაპირველად ავადმყოფი შენიშნავს სისუსტეს და დალალულობას. ეს დრო რომ გაივლის, მერე სნეულს ერთს ძლიერ გააცივებს და ამ ცივებასთან იგრძნობს ძლიერ კან-დამწვავს სიცხეს. პირიდამ აზიდებს და ხან-დის-ხან პირიდამაც ასაქმებს. თავი ასტკივა; ძლიერ ნამეტან სისუსტეს ჰგრძნობს. ყველა სახსრები ასტკივა. ამ დროს მაჯის ცემა ძლიერ ჩქარი აქვს; წამში მაჯა უცემს ას-ოცჯერ და ზოგს ას-ოც-და-ათჯერაც. ტანის სიცხე ორმოც-და-ერთ გრადუსამდის ავა. *) ამისთანა ნიშნები სხვა ავადმყოფობის დროსაც კი აქვს სნეულს, მაგრამ თუ ყელი სტკივა და სასის ადგილები ძლიერ ანთებულნი და გაწითლებულნი, მაშინ უნდა დაერწმუნდეთ, რომ საქმე გვაქვს გადამდებ სნეულებასთან, ყელის ტკივილთან.

მესამე ნირს რომ დაიწყებს სნეულება, უფრო ნამეტნავად გაძნელდება; ცივება და, რაც ზემოთ ვსთქვით, ნიშნები მოიმატებენ უმეტესად. ამ დროს ბავშვებს ძარღვების ჭიმვაც გაუჩნდება. პირველად სნეულს პირზე არ გამოყრის როგორც წითელა, არამედ კისერზე და ყელზე, და ბოლოს სხვა ადგილებზედაც. ოც-და-ოთხის საათის განმავლობაში სულ მთელ ტანზე გამოჰყრის. გამოყრის თუ არა, ყელის ტკივილი უფრო მოიმატებს. ენა ამ დროს მაყელისფერი გაუხდება. ბოლოს დაიწყება მეოთხე ნირი. მუწუკე-

*) გრადუსი სიცხის შესატყობი მოწყობილების ხაზი არის.

ში ჰყვავიან ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში. Ცივება ძლიერ გაძნელდება და ავა უმაღლეს ხარისხამდე. Ამ დროს ავადმყოფის მდგომარეობაც ძლიერ ცუდათ არის; მაგრამ ამის შემდეგ უცბად დაიწყევს ავადმყოფობა და თან-და-თან სნეული წავა სიკეთეში; მუწუკები დაიწყებს ხმობას და, მესამე ანუ მეოთხე კვირაზე თუ ავადმყოფს სხვა სნეულება არ დაენადა რამე, კიდევაც მორჩება. როდესაც ეს სნეულება კარგად მოეკიდება ავადმყოფს, მაშინ იგი ათ დღეზედაც მორჩება.

## წამლობა ამ სნეულებისა.

Ამ ავადმყოფობის დროს სასარგებლო არის ყველა ის დარიგება და წამლობა, რომელიც წითელას ექიმობის შესახებ მოვიყვანეთ. Თუ ავადმყოფი მუცელში არის შეკრული, ოყნა უნდა მისცონ, თბილი წყლისაგან გაკეთებული. Ავათმყოფს უნდა აძლევდნენ მოხარშულ ანუ შემწვარ ხილს და მჟავე სასმელებს. როდესაც მძიმედ ეკიდება ავათმყოფობა სნეულს, ძლიერ კარგია, რომ ექიმს მოუწოდონ, რომელიც წამალსაც მისცემს და პირის-პირათაც დაარიგებს ავადმყოფის მომვლელს, თუ როგორ უნდა მოუარონ მასს. ჩვენში დედა-კაცები კარგად შველიან მუწუკების გამორწყვაზე ყელის ტკივილის დროს. Ამ წამლობას უძახიან იგინი ყელის აწევას.

როდესაც მუწუკები დაუმწიფდებათ, ჩაუყოფენ თითს ყელში; მიაწ-მოაწვებიან თითით აქეთ-იქით ყელში, ამით გამოურწყვენ დასივებულ მუწუკებს და ასე უშველიან ხოლმე...

---

## თავი მესამე.

## ბ) ყვავილი და მისი წამლობა.

ყვავილი კაცს გადადებით გაუჩნდება; თავისით გაჩნდება თუ არა ეს ავადმყოფობა, ჯერეთ სწავლულ ექიმებს არ შეუტყიათ. ყვავილის ხაშმი ყვავილისაგან გამოყრილ მუწუკებშია და მის ოფლში. მს ავადმყოფობა შეხებით გადაედება კარგა მყოფ კაცსა. ყვავილი ერთჯერ მეტად არ შეექნება კაცს, როგორც წინეთ, ისე ზოგი ეხლაც ძლიერ ადვილად იხდის ამ სნეულებას, აცრილიც რომ არ ჰქონდეს. ყოველი კაცის ტანი მიიზიდავს ამ ავადმყოფობას, თუ არ მოუხდია. ამ სნეულებისაგან ყველანი ერთბაშათ ხდებიან ავად დიდი და პატარა. ყვავილს ზოგი ადვილად იხდის, ზოგი კი ძნელად. ძროხის ყვავილიც ასეა. ყვავილი ერთნაირად გაჩნდება ხოლმე თითქმის ყოველთვის, მაგრამ ზოგიერთ დროს ძლიერ ცუდათ ეპყრობა ავადმყოფებს და ზოგიერთ დროს კი ყველანი ადვილად იხდიან.

როგორც წითელა, ისე ყვავილი ერთ ხანს გაჰყვება კაცს და სხვა-და-სხვა ნირს იქცევს ხოლმე. ამ ავადმყოფობის გაგრძელების დრო ოთხ პერიოდათ განიყოფება. თითოეულ პერიოდში სხვა-და-სხვა ნირს იქცევს სნეულება.

## პირველი პერიოდი ანუ ნირი.

პირველი რიგი (პერიოდი), ანუ ნირი ყვავილისა დაიწყება ერთი ანუ რამდენიმეჯერ გაციებით. შეცივნების შემდეგ სნეულს აძლევს ხანგრძლივ სიცხეს. ამ პირველ პერიოდშივე ტანის სიცხე ორმოც-და-ერთ გრადუსამდინ აიწევა. პირი. სახე წითლდება, ავათმყოფები გრძნობენ ძლიერ წყურვილს. ჰკარგვენ საჭმლის მადას, აქვსთ ძლიერი თავის ტკივილი, თავ-ბრუ სხმა; მეტის-მეტი დასუსტებულნი არიან; სტკივათ ყველა სახსრები; ენა უწმინდური აქვსთ. ხშირად პირიდამ აზიდებინებსთ და ხან კიდევაც ასაქმებსთ ხოლმე. ხან-დის-ხან ცხვირიდამ სისხლი მოსდისთ. ძილი გაშფოთებული აქვსთ და სიზმარი აწუხებთ; ამ პერიოდში ზოგიერთი მძიმე ავადმყოფები კიდევაც ბოდვენ. ამასთან აქვსთ წელის ტკივილიცა. ამისთანა ნიშნები ექნება პირველ პერიოდში, ვისაც ეს სნეულება ძლიერ ავად მოეკიდება.

## მეორე ნირი (პერიოდი).

პირველი ნირის გათავების დროს ერთს უკანასკნელად ძლიერ გააცივებს. შემდეგ გამოყრის

ჯერეთ პირზე და ბოლოს სხვაგანაც გამოაჩნდება ყვავილის მუწუკები. მეორე პერიოდში ჰყრის ტანზე და გამოფენს სულ. ბამოფენილი მუწუკები დიდდებიან და ხშირად ერთმანეთს უერთდებიან. პირველი დღიდამ გამოყრის დაწყებისა მესამე დღემდსინ ყველა მუწუკები თითქმის დაჩიქრდებიან. ხშირად ყვავილის მუწუკები მარტო გარეთ კი არა, შიგნიც პირშიდაც გამოფენს ხოლმე და დააწყებინებს ლორწკის დენას პირიდამ სნეულს. როგორც გამოყრას დაუწყებს, ავადმყოფს სალავათი მიეცემა, მუწუკების დაჩირქების შემდეგ ავადმყოფები გამხნევდებიან და უკეთაც შეიქნებიან.

## მესამე ნაწილი.

მეექვსე დღეზე პირველად მუწუკის გაჩენისა, ანუ მეცხრე დღეზე პირველი გაციებისა, მუწუკები დაიწყებენ ხმობას და სამ დღეში ხმებიან. ამ პერიოდშიაცა სნეული კარგად გრძნობს თავის-თავს.

## მეოთხე ნაწილი.

მეოთხე პერიოდი დაიწყება მეცხრე დღიდამ ავადმყოფობის დაწყებისა და გათავდება თორმეტ დღეზე. პირის სახე ცოტ-ცოტათი მიიღებს თავის შესაფერ სახეს, მაგრამ მუწუკების ძირი მაინც დაწითლებულნი არიან. ამ დროს ავადმყოფს მოუვა ნამეტანი ქავილი. ბოლოს მუწუკის ადგილები მო-

შუშდებიან და ქერცლათ ჩამოსცვივდებიან. მუწუკ ქვეშ ადგილები მოწითლო და ცოტა ამაღლებულნი დარჩებიან.

## ევავილისაგან თავის დაფარვის საშვალება და ავადმყოფის მოვლა და წამლობა.

ექიმებმა ყველა გადამდებ სატკივრებზე ყვავილის თვისება უფრო კარგად გაიგეს; უფრო დაიმორჩილეს და იპოვეს ძალიან კარგი ლონის ძიება, რომლის შემწეობით ამ გადამდებ სატკივარს ადვილად იხდის კაცი. ყველამ კარგად იცის, რომ ვისაც ერთხელ სჭირვებია ყვავილი, იმას მეორედ აღარ შეხვდება. იმ ქალაქში, ან სოფელში, სადაც ბავშვებს უცრიან, აღარ ჩნდება ეს სატკივარი. ბევრი სოფელია, საცა ყვავილი სრულიად არ შეჰკარებია. რასაკვირველია, ეს იმისგან არის, რომ იმ სოფელში პატრონებს თავიანთი შვილები აუცრევინებიათ. ამ აცრილს ყვავილს კაცის ყოველ გვამში დაუვლია, გამოსჩენია და თავისი კვალი დაუდვია; ამისთანა აცრილებს აღარ შეხვდებათ ყვავილი. იმ საზოგადოებაში, სადაც ყვავილი აუცრიათ, თუ გამოაჩნდება ვისმეს ეს სატკივარი, მაშინ ძალა აღარ ექნება, სხვის გვამზე ველარ იმოქმედებს და იმ ერთ ავადმყოფზე გადივლის შიში საზოგადოებისა და არც არაფერი იმას დაუშავდება, თუ წინათ აცრილი ყოფილა. თუ რამდენი სარგებ-

ლობა მოუტანა კაცობრიობას აცრამ, ჩვენ ცხადად დავინახავთ ეხლანდელი საუკუნის წარსულ საუკუნესთან შედარებით, როდესაც აცრა სიზმრადაც არავის უნახავს, მარტო ერთს ევროპაში მოკვდა ყოველისაგან ორმოც-და-ერთი მილიონი. ეს მარტო ევროპაში; სხვა მხარეებიც რომ მივიღოთ მხედველობაში, მაგალითებრ აზია, რომლის ერთ ნაგლეჯს ჩვენი საქართველოც შეადგენს, და, სადაც უფრო ძალიან უფლებდა ეს სენი და დაუნდობლად, როგორც კარგი მცელავი, სცელავდა და აწყობდა ხალხს დასტა-დასტად, მაშინ ყურებში თითს დაიცობს კაცი განცვიფრებისა გამო. ეხლა კი, როდესაც შემოიღეს აცრა, შემცირდა ხალხის ყოველისაგან ჭლეტა. წარსულ საუკუნეში, როგორც გამოანგარიშებით ამბობენ, ორმოც-და-ხუთი მილიონი მოკვდა და ეხლა კი ევროპაში სულ ორი მილიონი, ნაკლები და არა მეტი, მოკვდა ყოველისაგან. შეიძლება აქ ბევრი მაგალითები მოვიყვანოთ იმის დასამტკიცებლად, რომ უწინ, მინამ აცრა არ იცოდნენ, ძალიან გავრცელებული ყოფილა ეს სენი; მაგრამ რალა მაგალითები გვინდა, მგონი, რომ ყველას გაეგონოს ჩვენი მომსწრე მოხუცებულებისაგან, რომ უწინ ძალიან იყო ეს სენი და დაუნდობლად ხოცავდა ხალხს. რაც აცრა შემოვიდა ამ ჩვენ მხარეშიაც, აბა ვინ არის მომსწრე, რომ ყოველს დაეხოცოს ხალხი ათასობით! ეხლა, მგონი, ყველასათვის ცხადია, რომ აცრას დიდი სარგებლობა მოაქვს

კაცობრიობისათვის; მაშასადამე თვითეული მეოჯახე, ცოლ-შვილის პატრონი, უნდა გულ-მოდგინედ ცდილობდეს, რომ თავისი შვილები ააკრეფინოს, თუ უნდა, რომ შემდეგში მწუხარება არ იხილოს და თავის სიცოცხლეში დასტკბეს და გაძღეს შვილების ცქერით.

აკრას გარდა ერთი საშუალება არის კიდევ, რომ ამ სნეულებისაგან თავი დაიხსნას კაცმა. ეს არის მოშორება სნეულთაგან. წამალი არაფერი არ არის იმისთანა, რომ ყვავილისაგან მოარჩინოს კაცი, ანუ დრო შეუმოკლოს, მაგრამ უნდა ეცდილობდეთ, რომ ავადმყოფს მივსცეთ რაც შეიძლება საშვალებანი გაჭირვების დროს; ავადმყოფი უნდა იყოს მოთბილ ოთახში, საბანი უნდა ეხუროს სუფთა. თვალებში მუწუკების გამოყრისაგან რომ დაიფაროს სნეული, ცივ წყალში დასველებული ტილოს ჩვრები უნდა ადვან მასს ხშირად. თუ ცივება ძლიერ აქვს, ურიგთ არ იქნება, რომ ხინა მიალებინონ ცოტ-ცოტა, აღწერილი № ᲙᲒ ქვეშე. ავადმყოფი უნდა დაარიგონ, რომ ქავილის დროს მუწუკები მღვიძარემ ანუ ძილში, არ მოიგლიჯოს. თუ სადმე დიდი მუწუკები გაუჩნდა და თავისით არ გამოერწყო, უნდა გაუკეთონ და გამოწმინდონ სიფრთხილით, უნდა ეცადნენ, რომ სნეულს არ შესცივდეს და მუწუკები შიგნიკ არ ექიმს შეუბრუნდეს. მძიმე ავადმყოფობის დროს უთუოდ ექიმს უნდა მოუწოდონ. რძის საჭმელი და, ბოლოს, ხორცი, მოხარშული ბრინჯში, შეიძლება მისცენ ავადმყოფს.

ვისაც ყვავილი შეჰყრია, ხშირად მოხდება, რომ ნიშანი რჩებათ და სახე უფუჭდებათ; ამისთვის ამ

წამალს ურჩევენ; ავადმყოფს რომ ყვავილი გადაუვლის, და მუწუკები დაუჩირქდება, თეთრი მელი წმინდათ უნდა დანაყონ და ახალ მოხდილ მოუდულარ რძეს პირი უნდა მოხადონ და აურიონ ერთმანეთში. ეს მალამო ფრთით უნდა წაუსვან დამუწუკებულ ადგილას და როდესაც შეშრეს, ეს წამალი ხელმეორედ უნდა წაუსვან ხოლმე. მელი მუწუკებში ჩირქს გაახმობს და ამის გამო ისე აღარ დაუჩუჩუტებს და არ დაუჭკნობს პირის კანსა. უდულარი რძის ნაღები კი მელს ნებას არ აძლევს, რომ მალე გახმეს და რბილად ინახავს მუწუკებსა.

როგორც წითელაზე ვსთქვით, ისე აქაც ვიტყვით, რომ ამ სნეულებას ბოდიშნობა არ მოუხდება, არც ტანმრთელების მუშაობა აწყენს და არც ქათმის და სხვა ცხოველების დაკვლა. ამ სნეულებას არც ხონჩის გაკეთება და მირთმევა მოეხმარება, რომელსაც ტყვილა ერწმუნებიან უგნურნი და უკოდინარნი.

---

## თავი მეოთხე.

## ძროხის ყვავილი.

ბგონებ, დღეს ყველამ კარგად იცის, რა არის ძროხის ყვავილი? ძროხის ყვავილი როგორც ნამდვილი ყვავილი თორმეტი დღე გრძელდება. ზოგს ძნელად ეკიდება, მაგრამ ზოგი ზეზე იხდის. არ

მომხდარა მაგალითი, რომ ძროხის ყვავილითაც მომკვდარან ზოგნი.

დიდი ხანი არ არის, რაც სწაველულებმა შეიტყეს, რომ ყვავილის აცრა მარტო ერთხელ არ კმარა, არამედ ყოველ შვიდ-რვა წელიწადში ერთხელ უეჭველად საჭიროა აცრა, რადგანაც პირველი აცრილის ძალა შვიდ-რვა წლამდინ მიდის და თუ შემდეგ კაცს სახდელი ყვავილი შეეყარა, ხშირად ხედება, რომ უძნელდება და კიდეც ჰკლავს.

ამიტომ ზოგჯერ ასე ფიქრობენ, რომ თუ უნდა ყვავილი გინდ აცრილი ჰქონდეს, გინდ არა, სულ ერთიაო, ბევრი აცრილი კაცი გადაჰყოლიაო. ეს უეჭველად იმისგან მომხდარა, რომ დროს გაუვლია და ძალა ჯერ დარჩენია აცრას, ანუ ცუდათ ჰქონებიათ აცრილი, თორემ ვისაც აცრილი აქვს ძროხის ყვავილი, ის ყოველთვის ადვილად იხდის. რასაკვირველია, სიფრთხილე ყოველთვის საჭიროა, რომ ყვავილის დროს არ გაცივდეს ავად-მყოფი.

ძროხის ყვავილს მაინცა-და-მაინც წამლობა არ უნდა. მე მხოლოდ იმას ავსწერ, თუ რას უნდა მიაქციონ ყურადღება ძროხის ყვავილის აცრაზე. შშობელთ ძროხის ყვავილის აცრის დროს უნდა მიაქციონ ყურადღება შემდეგს:

ა) ყვავილის ჩირქს. ყვავილის ჩირქი უნდა იყოს გადმოტანილი ტანმრთელი ბავშვებისაგან და ისიც პირველად აცრილისაგან.

ბ) ᲣᲕᲐᲕᲘᲚᲘᲡ ᲩᲘᲠᲥᲘ ᲛᲔᲛᲙᲘᲓᲔ ᲐᲜᲣ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲘᲚᲝᲜ ᲓᲐ ᲐᲣᲪᲠᲐᲜ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲰᲙᲐᲠᲒᲐᲕᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲡ.

გ) ᲐᲪᲠᲐ, ᲗᲣ ᲛᲙᲚᲐᲕᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲓᲘᲢᲐᲜᲔᲜ ᲩᲘᲠᲥᲡ ᲓᲐ ᲘᲥᲕᲔ ᲐᲣᲪᲠᲘᲐᲜ, ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘᲐ, ᲕᲘᲜᲔᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲓᲐᲛ ᲨᲣᲨᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲩᲘᲠᲥᲘᲗ ᲐᲪᲠᲐ.

დ) ᲐᲪᲠᲐ ᲜᲔᲛᲢᲠᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲜᲣ ᲐᲡᲐᲪᲠᲔᲚᲘ ᲜᲔᲛᲡᲘᲗᲐ, ᲛᲙᲚᲐᲕᲖᲔ ᲖᲔᲛᲝᲗᲙᲔᲜ, ᲗᲘᲗᲝ ᲛᲙᲚᲐᲕᲖᲔ ᲝᲗᲮᲮᲣᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲣᲪᲠᲐᲜ. ᲐᲪᲠᲘᲚᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲘᲗ ᲐᲮᲚᲝᲐᲮᲚᲝ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ.

Ე) ᲗᲣ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ, ᲢᲐᲜ-ᲛᲠᲗᲔᲚᲔᲑᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲣᲪᲠᲐᲜ ᲓᲐ ᲔᲠᲗ ᲐᲪᲠᲐᲖᲔ ᲗᲣ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔᲚᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲣᲪᲠᲐᲜ.

Ვ) ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ ᲠᲝᲛᲛ ᲒᲐᲩᲜᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲔᲗᲡᲐᲪ ᲒᲐᲮᲓᲝᲛᲘᲐ ᲨᲕᲘᲓᲘ, ᲐᲜᲣ ᲐᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲐᲪᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲣᲪᲠᲐᲜ.

Ზ) ᲐᲜᲐᲪᲔᲠᲘ ᲛᲣᲬᲣᲙᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲪᲕᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲬᲝᲚᲘᲗ, ᲐᲜ ᲛᲝᲤᲮᲐᲜᲘᲗ ᲐᲠ ᲛᲝᲘᲒᲚᲘᲯᲝᲜ. ᲗᲣ ᲪᲝᲕᲔᲑᲐ ᲓᲐᲔᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲪᲠᲘᲚᲔᲑᲡ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲣᲨᲕᲐᲜ ᲒᲐᲠᲔᲗ. ᲗᲣ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲒᲐᲡᲘᲕᲓᲔᲡ ᲐᲜᲐᲪᲔᲠᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ, ᲢᲧᲕᲘᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲡᲝᲕᲚᲝᲜ ᲛᲩᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲐᲓᲕᲐᲜ ᲐᲜᲐᲪᲔᲠ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ № Ც ᲥᲕᲔᲨᲘ. ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲫᲜᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲮᲝᲚᲛᲘᲔ.

---

## თავი მეხუთე.

### დ. წყლის ყვავილი, ქუნთრუშა.

წყლის ყვავილი თუმცა გადამდებია და ერთჯერ მეტად კაცს არ შეექნება, მაგრამ ისეთი ადვილი მოსახდელია, რომ მისი წამლობის აღწერა სრულებით საჭირო არ არის. ძნელად მომხდარა, რომ ამ სნეულებისაგან კაცი მომკვდარიყოს. ვინც ყვავილს არის მოხდილი, მას თითქმის ზოგს სულაც არ შეხვდება და, თუ შეხვდა მაინც, ძლიერ ადვილად მოიხდის. ვისაც ყვავილი არ სჭირვებია, მას მოეკიდება გვარიანად, მაგრამ მაინც ყოველს შემთხვევაში რვა დღის, ანუ თორმეტი დღის განმავალობაში სრულებით კარგად მორჩება ავად-მყოფი. ამ ავადმყოფობის დროს სნეულს არ უნდა მისცენ ნება გარეთ გამოსელისა ცუდ ამიდში.

---

## თავი მეექვსე.

### ე. მახრჩობელი, მეიგანა ხველა, ხველა ბატონები.

მახრჩობელა ხველა იწყება სურდოს ნაირად ცხვირიდამ და ბოლოს სულ მთელ ფილტვებშიაც გავრცელდება. ეს სნეულება გადამდებია და ერთი შექნის მეტად ალარ შეექნებაკ კაცს. ხველებამ უფრო

იცის მოელა ერთბაშად გაზაფხულზე და შემოდგომაზე. ამ სნეულებას ხშირად აედევნება ხოლმე წითელა და ყელის ტკივილი.

Mითქმის ყველა ბავშვები, ერთ წელ ზევით მქონენი, ხდებიან ამ სნეულებით ავად. ზოგს არ შეეჭნება ეს სნეულება ერთჯერ, მაგრამ მეორედ რომ გაჩნდება ეს სნეულება, მაშინ შეეყრება. ხანდისხან ამ ავად-მყოფობას კარგად იხდიან, მაგრამ ზოგჯერ ძლიერ ცუდად ეპყრობა ეს სნეულება ავად მყოფს. ეს დროისა და ტარისის ბრალია და არა მისი, რომ «ხველა ბატონები გააჯაერესო».

ეს სნეულება სამ ნირს იქცევს.

პირველი ნირი დაიწყება მით, რომ სნეულს ერთხელ შეაცივნებს, თვალები დაუწითლდება, სინათლის შეხედვა ეზარება; ავად.მყოფს ძლიერ ამცხიკვებს და ძლიერ გაჭირვებული ხველება აქვს. რამოდენიმე ხნის შემდეგ თვალები ისევ თავის ფერზე დადგება; შეცივნებაც გაქრება, მაგრამ ხველას მოუმატებს და ნახველსაც ბევრს აძლევს. ამ დროს კიდევ კარგად ვერ გაარჩევს კაცი და ვერ შეიტყობს, ნამდვილად ხველა სჭირს ავად-მყოფს, თუ არა.

ხველა განსაკუთრებით ხასიათს მიიღებს მეორე პერიოდში, ანუ მეორე ნირის ქცევაზე. სნეულს ახველებს მიჯინებულად და ხველება, როგორღაც ძაღლის ყეფას უგავს. ხველების დროს სნეულს სულს არ ამოაღებინებს, სანამ ნახველს სულ არ გამოა-

ფურთხებს. ამ ხველების დროს სასულე ყრონჭის თავი თითქმის ერთი-ერთმანეთზე არის მისული და ნახველის ამოღება ძლიერ უჭირს სნეულს, მაგრამ როდესაც ამოიღებს ნახველს, ხველებაც თავს დანებებს და შემდეგ უკეთესად შეიქნება. ხშირად ბავშვებს სისხლი წასჭდებათ ხოლმე ცხვირიდამ და ნახველის ამოღებაზე პირსაც აღებინებსთ. ხშირად ხველებისაგან იმდენად მოიხუჭება კუჭი და მუცელი, რომ სნეულს უნებლიედ გადის განავალი. ხველება ოც-და-ოთხ-ჯერ მოუვა ერთს დღეში და ხანდისხან მეტჯერაც, ბავშვები იგრძნობენ თუ არა ხველების მოახლებას, შეშინებულნი დედას, ანუ ძიძას და გამდელს მიეკვრებიან გულზე. ხშირად რომ არაფერი მიზეზი იყოს გარეგანი, მაშინაც კი მოუვათ ხველება სნეულთა, მაგრამ ესეც შენიშნულია, რომ ტირილზე, ხმა-მაღლა ლაპარაკზე, სიცილზე და საჭმლის მიღებაზედაც აუტყდებათ ხოლმე ხველება. ხველება უმეტესად ხშირად და მომეტებულად აქვსთ ღამე, ვინემ დღე.

ამისთანა მახრჩობელა ხველა გრძელდება სამი ანუ ოთხი კვირა და ხანდისხან მეტიც და შემდეგ დაიწყება მესამე ნირი.

**მესამე პერიოდი.** ამ დროს დაჯინებული ხველება სნეულს შეუმოკლდება. ნახველს იღებს ადვილად, გარეგანი უბრალო მიზეზები არ აუტეხს ხველებას. ული და ფილტვებიც უმჯობეს მდგომარეობაში არიან.

ხველას ნამეტანი ნაწილი ბორჩენით იხდის. ხველა ექვს კვირეს შემდეგ ჰქრება, მაგრამ თუ მძიმედ მოეკიდა სნეულს და სხვა რამე სნეულებაც აუტყდა, მაშინ მეტ ხანს გაჰყვება. თუ კაცმა სნეულს არ მოუარა, თბილად არ შეინახა თავის-თავი სნეულმა და ცუდ საჭმელს არ მოერიდა, მაშინ სხვა სნეულებაც აჰყვება ამ სნეულებას და ხანდისხან ავადმყოფი კვდება ამ სნეულებისაგან დარჩენილი მიზეზით: თუ მოკვდა ვინმე ხველათი, უთუოდ სხვა სნეულება აუტყდა ამ სნეულების დროს და მისგან მოკვდა ავადმყოფი.

---

## წამლობა ხველასი.

პირველად უნდა ვეცადოთ, რომ კარგა მყოფი პირნი გავაშოროთ ხველიან სნეულთაგან. რადგან ეს სნეულება უფრო დაემართება გაცივებით და სურდოთი, უნდა ვეცადოთ, რომ ხველების სნეულების დროს, ბავშვებს მოვუაროთ კარგად და არ გავაცივოთ იგინი. ბავშვები არ უნდა გაუშვან გარეთ სიცივეში. წამლობა მაგდენათ საჭიროა არ არის, თუ ავადმყოფი თბილად არის, არ შეესცივდა და ცუდს საჭმელს არ ილებს. ნახველის ადვილად ამოღებისათვის ძლიერ კარგია სნეულს ასვან წამალი, აღწერილი № ნ9 ქვეშე, რომელიც, სანამ ხველა

აქვს, უნდა ასვან თითო სტოლის კოვზი ღღეში ხუთჯერ. სხვა წამლები, რაც იხმარება ამ სნეულებაზე, მხოლოდ ექიმს შეუძლია დაუნიშნოს და თუ ხველაიანი მძიმეთ არის ავად, ძლიერ კარგი იქნება რომ ექიმს მოუწოდონ, რომელიც ყოველნაირ საშუალებას იხმარს სნეულის მოსარჩენად.

---

## ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ.

## გადამდები სნეულებანი, რომელთაც ერთჯერ ავად გახდომით ვერ მოიხდის კაცი.

### ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ.

### ა. ხურვება.

ხურვება, უეჭველია, ერთი გადამდებ სნეულებათაგანია, როგორც წითელა, ყვავილი და სხვა ამისთანაები. ეს ავადმყოფობა ერთის მოხდით არ ეშვება კაცს; კაცის ტანი ერთჯერ მოხდით ამისგან ვერ განთავისუფლდება. ზოგიერთი ექიმები ამტკიცებენ, ვითომც ხურვება გადამდები არ იყოს, მაგრამ მრავალი ნაწილი ექიმებისა ამ სნეულებას გადამდებ სნეულებად სცნობენ. გადამდები ხაშმი ამ სნეულებისა არის ჰაერში და კაცი ამ ხაშმიანი ჰაე-

რით მოიწამლება და ხდება ავად. თუ ოთახი კარ-
გად არ გაიწმინდა, სადაც ხურვებიანი სნეულები
ყოფილან, გადამდები ხაშმი ძლიერ დიდხანს რჩება
ამისთანა ოთახებში.

შენიშნულია, რომ ეს სნეულება ცუდი მო-
საელის წელიწადში უჭეტესად გაჩნდება ხოლმე და
იმ ხალხში, რომელიც ძლიერ ღარიბათ ცხოვრობს.
ამასთან ისიც არის შენიშნული, რომ ეს სნეულება
იმისთანა ადგილებში ჩნდება, რომელნიც ძლიერ
დაცემულნი არიან და სადაც ბევრი დამპალი და
აყროლებული ნივთები არის. ჩვენში ხურვება გან-
საკუთრებით სულ ამ ჰაერის საწამხდრისაგან ჩნდება
ხოლმე. რადგან ერთხელ ჰაერი მოიწამლება, მერე
მდიდრებსაც და სუფთად მცხოვრებლებსაც შეექნე-
ბათ ეს სენი, ეს სნეულება ხშირად ჩნდება სატუსა-
ლოში და ხომალდებში, სადაც მრავალნი პირნი
არიან ერთად და წამხდარს ჰაერს სუნთქავენ.

ამ სნეულებას თითქმის ყველანი ერთბაშათ
შიიზიდვენ და ავად ხდებიან. შენიშნულია, რომ ძუძუ-
მწოვარი ბავშვები და ღრმა მოხუცებულები ხშირად
დარჩებიან ამ სნეულებისაგან და არ შეექნებათ ხოლ-
მე მათ. ერთჯერ თუ მოიხადა კაცმა ეს სენი, მეო-
რეთ მას ისე ცუდათ აღარ მოეკიდება, როგორც
პირველად, მაგრამ სულ კი ვერ გადარჩება, რომ არ
შეეყაროს.

არც ერთი სნეულება არ მოეკიდება ისე ერთ-

ფვარად სხვა-და-სხვა ავათმყოფს, როგორც ეს ავათ-მყოფობა. სხვა სნეულებანი—სხვა-და-სხვა პირთა ზედა განსხვავებულად მოქმედებენ და ეს სნეულება კ. თითქ-მის ყველაზე ერთნაირად მოქმედებს.

პირველი ნიშნები ამ ავათმყოფობისა მდგომა-რეობს მასში, რომ ავათმყოფს ტანში აცივნებს, თავი სტკივა, ძილი არა აქვს თავისუფალი, ჭამის შადა არა აქვს, სისუსტეს ჰგრძნობს და დაღალუ-ლობას; ამასთან არ არის კარგ ხასიათზე. ერთის სიტყვით იმისთანა ნიშნები აქვს ამ სნეულებას, რო-გორც სხვა ავათმყოფობათა და ამისთვის პირველად ეჭვში არის ავათმყოფი და სხვაც ამ სნეულების სინამდვილეზე. თუ ამ დროს ხურვება არის სადმე მახლობლად, დამტკიცებით ვერ ვიტყვით, ხურვე-ბასთან გვაქვს საქმე, თუ არა. ზოგიერთები ამ დროს თავის საქმეს ასრულებენ კიდევ, მაგრამ ზოგნი კი დაწვებიან. ავათმყოფობის ამისთანა მდგომარეობა ხან-დის-ხან თითქმის ერთი კვირა გრძელდება.

როგორც წითელიანს, ისე ხურვებიანს პირვე-ლად ერთს გააცივებს ძლიერ და ცივებ დიდხანს გაჰყვება, ანუ ცოტ-ცოტას შეაცივნებს და ბოლოს მისცემს ძლიერ სიცხეს. ავათმყოფებს ერთი გაცივე-ბის შემდეგ აღარ შეუძლიანთ ზეზე წამოდგნენ. იგინი მეტის-მეტად დაღალულად და დასუსტებულად გრძნობენ თავის-თავს. სწუხრან თავის სიმძიმეზე და გაბრუებაზე და ხან-დის-ხან ძლიერ თავის ტკივილ-

ზედაც. ამ დროს თუ ცხვირიდამ სისხლი წასქდათ, ცოტა თავის ტკივილი უკლებსთ. ამას დაემატება თავის რეტი; ავათმყოფები გრძნობენ თვ ლების წინ ნაპრწკიელებს, ყურების ბუბუნს, სიყრუეს, ტანის ხორცის ტკივილს, სხეულის ძიგძიგს მოძრაობის დროს. ამ დროს ზოგიერთი ავათმყოფები ცნობა დაკარგულნი წევრან. ძილში ბოდავენ, ლაპარაკობენ; ხან და-ხან მღვიძარენიც ბოდავენ. ზოგნი ავათმყოფნი რალაცა შეშინებულნი არიან: ნამეტნავად გაცხარებულნი არიან და დაუცხრომელნი, საშიშარი და გასაოცარი წარმოდგენა აქვსთ, ასე რომ ზოგიერთი ავათმყოფის ტახტზე დაკავება საძნელოც არის.

ამ დროს ავათმყოფს აქვს კიდევ სხვა-და-სხვა სნეულების ნიშნებიც. თვალებს სინათლეს ვერ უმართავს და წითლათაც აქვს, ყელი გამხმარი აქვს და წყალს ვერ სმენ კარგად, ენა დაფარული არის თეთრად, ცხვირის ნესტოები გამხმარია, რომლიდამაც პირველად არ მოდის წუნწკლი, მაგრამ ბოლოს კი დაიწყებს ბარაქიანად დენას. ხან-დის-ხან გულს აზიდებს და პირიდამაც ასაქმებს. ხშირად მუცელში გააფალარათებს და გაიყვანს რამოდენჯერმე. ეს უკანასკნელი ნიშნები ზოგიერთებს არ აქვსთ. ხან-დის-ხან ზოგიერთ ავათმყოფს მოუვა ხრინწიანი ხველება, რომელიც ძლიერ აწვალებს სნეულს. ტანის სიცხე პირველ დღეებშივე აქვს მომეტებული. მაჯის ცემა აქვსთ თითქმის ყოველთვის სავსე რბილი და ერთ

წამში ასჯერ სცემს. ამისთანა ტანის სიცხისაგამო ავადმყოფთა აქვსთ ძლიერ წყურვილი, შარდი მცირე აქვსთ და დაილეკამს ხოლმე.

პირველ დაწყებიდამ მეორე კვირის ნახევრამდის ავათმყოფს გამოაჩნდება ტანზე წითელი ლაქები. ეს ლაქები პირველად გაუჩნდება გვერდებზე, მუცელზე, ანუ ზურგზე. ცოტა ხანში ეს ლაქები გამრავლდებიან; კისერზედაც და ფეხებზედაც დაიწყებენ გამოფენას. ეს ლაქები მეორე კვირის დასრულებამდის გაქრებიან. მეათე დღიდამ მეთოთხმეტე დღემდინ ავათმყოფები ისე აღარ სწუხრან, როგორც პირველად და როცა ჰკითხამთ, გეუბნებიან, რომ უკეთ გრძნობენ თავის-თავს და აღარც თავის ტკივილი აწუხებს მათ; მაგრამ ეს ტყუვილია. ავათმყოფი ეხლა უარესათაც არის, მაგრამ მას აღარ აქვს შეტყობა და გრძნობა და არ იცის, თუ როგორ მდგომარეობაში არის იგი. ბარჩევით მათ მსჯელობა და ფიქრი აღარ შეუძლიანთ. კითხვებზე მთელ პასუხს ვერ მოგცემენ და რასაც მოგიგებენ, ძლიერ გაჭირვებით და იმასაც ვერ დაასრულებენ. მორჩენის დროს სრულებით აღარ ახსოვთ წინანდელი თავის მოქმედება. სასმენელი გრძნობა ძლიერ დადგება ხან-დის-ხან, კარგად არ ეყურებათ. ამ დროს ენა გაუხმებათ და შავი ქერქი გადაეკრებათ ენაზე. ხველება იკლებს. სუნთქვა ჩქარი აქვსთ და არა ღრმა. მუცელში შეკრულნი არიან. შარდი ქვეშსაგებში მისდისთ,

როდესაც ადვილად მოეკიდება ეს სნეულება ავადმყოფს, ცივება დიდხანს არ გაყვება და ერთი კვირის შემდეგ სიცხე დაიწევს ძირს და ავადმყოფი უკეთ გრძნობს თავის თავს. მაგრამ როდესაც ცუდათ მოეპყრობა ვისმე, მაშინ პირველი კვირის დასრულებაზე არა თუ დაიწევს სიცხე, არამედ კიდევ მოუმატებს. როდესაც ადვილად მოეპყრობა ვისმეს, მაჯის ცემა ასჯერ ექნება წამში და როდესაც ცუდათ, მაშინ ას ოცჯერაც.

მეორე კვირაზე წითელი ლაქები თან და-თან ჰქრებიან, მაგრამ სნეულება უფრო უმატებს. ამ დროს ავადმყოფები სწევრან გულ-აღმა ზურგზე; თვალები ნახევარზე გაღებული აქვსთ; ფეხები გაშლილი უდევსთ და ხელები გულზე აქვსთ დაკრეფილი, ანუ ბაყვებში აქვსთ შედებილი; მომეტებულად დაკარგული აქვსთ მეხსიერება. ძნელად მოიყვანთ სნეულს კითხვებით გრძნობაში. ხ ან-დის-ხან გამოთქმენ რაღაცა გაუგებარ სიტყვებს, ხელებს ამძრევენ, საბანს ჭიმვენ, ცდილობენ ზეზე წამოდგომას, ფეხებს გა-მოაგდებენ კრაოტიდამ. ამ დროს შეატყობთ მათ, რომ ამ ქვეყნის ვრძნობა ალარ აქვსთ, მაგრამ როგორც სიზმარში, ისე სულიერად დიდ მოძრაობაში არიან. ხან იცინიან, ხან გული მოსდისთ, და უწყრებიან ვილაცას. სირცხვილი მათთვის ამ ქვეყნიერად ალარ ჰრის. ამ დროს იგინი წყურვილს არ გამოაცხადებენ, მაგრამ ენა კი ძლიერ გამხმარი აქვსთ და შავი ქერ-

ქით დაფარული. სტაქნით რომ წყალი მიუტანოთ, ძლიერ ცდილობენ, რომ დალიონ, მაგრამ რადგან ენა და ყელი ძლიერ გამხმარი აქვსთ, წყალს ვერ სმენ. ცხვირი გამოტენილი აქვსთ შავი გამხმარი მჭეარტლის მსგავსი ტუნტყლით. ხან-დის-ხან ამისთანა მდგომარეობა ავადმყოფს გაგრძელდება ხუთ-მეტ-თექვსმეტ დღემდინ და ჩვიდმეტ დღემდინაც. ამ დროს სიცხე უმეტესად იმატებს. ბულის ცემა ამ დროს არა თუ იმატებს, არამედ კიდევაც იკლებს. მაჯა ძლიერ დაბნეული აქვსთ და სუსტი. ბარეგნად სიცხე თითქმის იკლებს ისე, რომ ფეხები და ხელები ამ დროს ცივი აქვსთ, მაგრამ ზურგზე და მუცელზე კი ძლიერ მწვავი სიცხე აქვსთ.

მეორე კვირის გათავებიდამ დაიწყება მესამე ნირი. როდესაც ძლიერ ცუდათ მოეკიდება კაცს ეს სნეულება, მაშინ მესამე ნირს იქცევს სნეულება მესამე კვირის გასულს. თუ არ გამოუცდია კაცს და არც სჭირვებია მას ეს სნეულება, იგი ვერ შეიძლებს წარმოიდგინოს ის უეცარი შეცვლა ავათმყოფის მდგომარეობისა, რომელიც მარტო ერთი ღამის განმავლობაში მოხდება ხოლმე სნეულის ტანში. ამისთანა მსწრაფლი შეცვლა, ესრეთ ვსთქვათ, გადატეხა ავათმყოფობისა არც ერთ ავადმყოფობაში არ არის შემჩნეული, როგორც ხურვების სნეულებაშია. შემდეგ სულ თან-და-თან მომატებისა და ცუდათ შექმნისა ავადმყოფები ჩავარდებიან ერთ ღრმა ძილში

რამოდენიმე ხანს; გაიღვიძებენ უფრო უკეთესი საზოგადო გრძნობითა, მაგრამ სრულებით არა ახსოვსთ რა, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ ამ დროამდინ. ამ ხნის განმავლობაში სიცხე ძლიერ მოიკლებს და გულის ცემა წამში ოციდამ ოც-და-ათამდის აქვსთ. კანის მწველი სიცხე გაჰქრება და ტანზე დაიწყებს მყრალი სუნიანი ოფლი დენას: ამ დროიდგან ავადმყოფნი ძლიერ მალე მოვლენ კარგ მყოფობაში. სძინავთ ბევრი და ცნობა თან-და-თან უუმჯობესდებათ, თუმცა რამოდენიმე ხანს გონება მათი ძლიერ დაჩლუნგებული არის ენაზე, კბილებზე და ტუჩებზე შავი ქერქი გადუათ და თავ-თავის ფერს მიიღებენ. ჭამის მადა მოუვათ, ნახველი ძლიერ ადვილად ამოაქვსთ. ბულის ცემა და სხეულის ტანის სიცხე დაუცხრებათ და დაუდგებათ ჩვეულებრივი; მაგრამ რაც უნდა კარგად მოეკიდოს ეს ავადმყოფობა კაცს, მაინც ავათმყოფები ვერ ადგებიან ზეზე დიდხანს. შეუძლიანთ მხოლოდ, რომ ოთახში გაიარონ როგორიმე გზით და ისიც შემდეგ რამოდენიმე კვირისა, მორჩენილი ავათმყოფები უფრო მალე მრთელდებიან სხეულით, მაგრამ გონებით კი უფრო გვიან.

ამისთანა ნირის ქცევა, და ესრეთ ვსთქვათ, ავადმყოფობის გადატეხა, ყოველთვის არ მოხდება მორჩენით. ამ ხურვებაზე აეძვრის სნეულს და გაუჩნდება სხვა-და-სხვა სნეულებანი. ნამეტანი სიცხისაგან და სისხლის მოსვლისაგან სხვა-და-სხვა ადგი-

ლეᲜზე ავათმყოფს გაუჩნდება ანთება, აღზნება· სიცხე თუმცა მოაკლდება ტანს და ავადმყოფის მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს ამ დროდამ, მაგრამ მას დაუბრუნდება ცივება ისევე და უმისოთაც გამხდარს და ღონე მოკლებულს სნეულს აკლებს ღონეს და ამ მიზეზებით სნეული კვდება.

უნდა სთქვას კაცმა, რომ ამ სნეულებით ეხლა მაინც ცოტანი ჰკვდეᲜიან. ტანჯვა და წვალება ნამეტანი აქვსთ საზოგადოთ ხურვებიან ავადმყოფებსა. ესეც უნდა ვსთქვათ, რომ როგორც სწავლულმა ექიმებმა შეიტყეს, ამ სნეულებას ძლიერ აქვს ღოჯი მოტეხილი. ეს სნეულება ისე მძიმედ აღარ ეკიდება ავადმყოფებს, როგორც წინა საუკუნეში ეკიდებოდა და არც ისე ხშირად არის გავრცელებული, როგორც წინეთ იყო ხოლმე...

ერთ ნაირა ხურვება არის კიდევ, რომელსაც ექიმები მუცლის ხურვებას ეძახიან, წელების ხურვებას. ამ სნეულების დროს წელები სტკივა კაცს და მუწუკებს ჰყრის მასზე. ხშირად წელი გაიჭრება ხოლმე ერთ ადგილას და ამით, კიდევაც რომ მორჩენ ამ სნეულებისაგან, ავადმყოფნი მაინც ბოლოს ამ მიზეზით კვდებიან. სხვა ამ სნეულების ტკივილი და წვალება ბევრით არ გაირჩევა ზემოთ აღწერილი ხურვებისაგან.

## წამლობა ხურვებიანი სნეულისა.

პირველი საშუალება ამ სნეულებისაგან დაცვისა-ისაა, რომ მოშორდეს ტან-მრთელი ამისთანა ავადმყოფებს და დადგეს იმისთანა ადგილზე, სადაც ხურვება არ არის. წამალი ჯერეთ არ არის გამოგონებული, რომ ეს სნეულება არ შეექნეს კაცს, არც ისეთი წამალია, რომლის დალევით შეიძლებოდეს ავადმყოფობის ერთბაშად მოჭრა. ᲨᲝᲕᲔᲚᲘ ᲚᲝᲜᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲮᲛᲐᲠᲘᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲒᲐᲜᲨᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲜᲐᲒᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪᲐ ᲪᲣᲓᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲐᲥᲕᲡᲗ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲘᲡ ᲚᲝᲜᲔ ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲮᲝᲗ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲪᲥᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲐᲡᲣᲡᲢᲝᲗ.

ᲗᲐᲕ-ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲡ ᲞᲘᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲠᲔᲪᲮᲘᲜᲝᲗ ᲓᲐ ᲘᲡ ᲨᲐᲕᲘ ᲥᲔᲠᲥᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲓᲐᲙᲠᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡᲗ ᲔᲜᲐᲖᲔ, ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲢᲣᲩᲔᲑᲖᲔ, ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲪᲘᲚᲝᲗ. ᲝᲗᲐᲮᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲮᲛᲔᲚᲘ; ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲡᲘᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲡᲐᲑᲐᲜᲘ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲮᲣᲠᲝᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲡ; ᲢᲐᲜᲗᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲛ ᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲕᲐᲚᲝᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲭᲣᲭᲧᲘᲐᲜᲓᲔᲑᲐ, ᲐᲜᲯᲣ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲐᲘᲡᲕᲠᲔᲑᲐ. ᲔᲠᲗ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲬᲕᲔᲡ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲜᲐᲬᲝᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ, ᲓᲐᲣᲚᲝᲪᲕᲔᲑᲐ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲡ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲨᲐᲕᲘ ᲥᲔᲠᲥᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲙᲠᲔᲑᲐᲗ, ᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲐᲪᲘᲚᲝᲜ,

თორემ პირში ცუდი სენი გაუჩნდებათ და მისი-
სუნთქვა ძლიერ აწყენს სნეულს. ამისთანა მოვლი-
სათვის, მართალია, სნეულთ ცნობა დაკარგული
აქვსთ, მაგრამ ისინი ძლიერ მაღლობელნი არიან.
სასმელად უნდა აძლიონ წმინდა წყალი მდინარისა,
ანუ წყაროსი და თუ ფაღარათი აქვსთ, მაშინ ბრინ-
ჯის წყალი, ანუ ქერისა, აღწერილი № 60 ქვეშე.
ავადმყოფები არ თხოულობენ სასმელს ბოლოს
დროს, მაგრამ ეს მიტომ კი არაა, რომ მათ არ
სწყუროდესთ,—მისთვის, რომ ცნობა დაკარგული
აქვსთ. სასმელს უნდა ვაძლევდეთ, როდესაც ცნობა
და მეხსიერება დაკარგული აქვსთ; სასმელი უნდათ
თუ არა, მაშინვე შეატყობთ, სოველი სტაქანი რომ
პირზე მიადგათ...

ცუდათ დარიგებული, ანუ უსინიდისო მოსამ-
სახურე, ყოველთვის სცდება ამ მოვლაში და ამით
სნეულს წვალება ემატება. საჭმელს ზოგიერთი ექი-
მები უშლიან ამ ავადმყოფობის დროს, მაგრამ რო-
გორც გამოცდილებამ გვაჩვენა, თუ თვითონ ავად-
მყოფს უნდა და შეუძლია საჭმლის მიღება, კარგია,
რომ ყოველ დღეში ცოტა რძის საჭმელი მიეაღები-
ნოთ და მაგარი ბულიონი, აღწერილი № Ე, მაგრამ
თუ სნეულს საჭმელი ეზიზღება და არ უნდა მიღე-
ბა, ძალით არ უნდა ვაძლევდეთ. ხშირად ამისთანა
მოვლა საკმაოა სნეულისათვის, რომ კარგად მორ-

ჩეს, მაგრამ ხანდისხან სნეულება სულ სხვა-და-სხვა სახეს მიიღებს; მეტის-მეტად ჰგვემავს სნეულს. როგორც ამას შენიშნავთ, მაშინვე უნდა მოუწოდოთ ექიმს; ის იხმარს იმისთანა საშუალებათ, რომელთაც ამ წიგნის საშუალებით ვერ ვიხმართ.

თუმცა ისე გაჭირდა საქმე, რომ ექიმი არ იშოვება და სნეულს ცეცხლივით ენთება სიცხე, მაშინ ერთი უკანასკნელი ღონის-ძიება უნდა ვიხმაროთ. აი ეს ღონის-ძიება: ორი კრაოტი ანუ ფიცარი უნდა დასდვათ ერთ ადგილას ერთი ერთმანეთზე მიდგმულნი. უნდა დაასოველოთ ცივ წყალში ზეწარი და გადააფაროთ ერთ კრაოტზე. აიყვანოთ ავადმყოფი ტიტველი და დააწვინოთ მაზე და გამოახვიოთ ამ სოველ ზეწარში. ზეწარი გაწურული უნდა იყოს, სნეული უნდა დარჩეს ზეწარში გახვეული 10 ანუ 20 წამის განმავლობაში, ამისთანა სოველი გაწურული ზეწარი უნდა მოამზადოთ მეორე ლოგინზე, ანუ კრაოტზე; გადიყვანოთ ავადმყოფი და იმ ახალ სოველ ზეწარში უნდა გააბვიოთ. ეს ოთხჯერ და ხუთჯერ უნდა გაუკეთოთ სნეულს.

თუ სიცხემ არ დაიწიოს, თორმეტ საათს იქით კიდევ უნდა გაუკეთოთ. ამ საშუალებით სიცხე ტანისა ძლიერ დაიკლებს. ამისთანა დროს, რასაკვირველია, გაცივების არ უნდა გვეშინოდეს. ამ ავადმყოფობაში ჩვენ უნდა გვეშინოდეს ნამეტანი სიცხისა და თუ შენიშნული იქნება, რომ ნამეტანი

სიცხე ეძლევა სნეულს, მაშინვე უნდა მოვიწვიოთ ექიმი, საიდამაც უნდა იქნეს.

დასასრულ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ საჭმელის მიღებას მორჩენის შემდეგ. ხშირად მორჩენის შემდეგ ცუდი საჭმლის მიღებით მომკვდარან ხოლმე სნეულნი. საჭმელი ადვილი მოსანელებელი უნდა მიეცეს, მორჩენის შემდეგ ცოტ-ცოტა და ხშირად, თორემ დასუსტებულ კუჭს არ შეუძლია მონელება ბევრი საჭმლისა; მაგარი საჭმელი არ უნდა მიილონ. თუ მუცლის წელების ხურვების მორჩენის შემდეგ საჭმლის მილებაზე პირის ღებინება დააწყებინა, ეს ცუდი ნიშანია. ხშირად ეს დაემართება ავათმყოფს წელის გახერეტისაგან და ამ შემთხვევაში ექიმის მოწვევა ძლიერ საჭირო არის.

---

## თავი მეორე.

### ბ. სისხლის ყვანა, მუცელა, მუცელ-კეთილი (დიზენტერია).

ეს სისხლის ყვანა, რომელსაც ექიმები უწოდებენ დიზენტერიას, გადამდები სნეულებაა, მაგრამ არის კიდევ სისხლის ყვანა, რომელიც გადამდები არ არის. ხაშმი ამ სნეულებისა ჯერეთ, როგორც ხაშმი ხოლერისა, ხურვებისა და სხვა—არ არის კარგად

შეტყობილი. შენიშნული არის, რომ როდესაც ცი-ვებ-ცხელება არის გახშირებული, მაშინ უფრო ჩნდება სისხლის ყვანა. ხაშმი ამ სნეულებისა სნეულის განავალში არის ყოველთვის. ხშირად სისხლის ყვანა, მუცელა ჩნდება გაცივებისაგან, ტანის დასოვლებით, ნამეტანი მძიმე ჯაფისაგან, მკვახე ხილის მიღებით; მაგრამ ეს მიზეზები გადამდებ ავათმყოფობას, სისხლის ყვანას არ გააჩენენ, თუ ამ სნეულების ხაშმი ჰაერში არ არის. ჩვენში განსაკუთრებით ნამეტნავად არის ამ ავათმყოფობისაგან ხალხი დაფთხობილი. ჩვენში ეს სნეულება ყოველთვის შემოდგომაზე გაჩნდება ხოლმე; მაგრამ გადამდებს სისხლის ყვანათ, დიზენტერიათ რაცხვენ იმისთანა უბრალო სისხლის ყვანას, რომელიც სრულებით გადადებით კაცს არ გაუჩნდება. იმერეთში, განსაკუთრებით, გაცივებით ხშირად დაემართებათ ხოლმე სისხლის ყვანა. იმერლებს ვერ დაუმტკიცებთ მას, რომ ყოველ-ნაირი სისხლის ყვანა გადამდები არ იყოს. ამის დასამტკიცებლად მათ მოჰყავსთ ის, რომ ერთ ოჯახში ერთის ავადგახდომის შემდეგ სხვანიც გამხდარან ავად. ყველამ იცის, რომ ცივება გადამდები არ არის, მაგრამ ერთი რომ გამხდარა ავად, მერე სხვაც ბევრნი გამხდარან ამ სნეულებით; მაშ ესეც გადადებისაგან უნდა იყოს?!

---

## სნეულების ნიშნები.

რამდენიმე დღის წინეთ, სანამ ავადმყოფობა კარგად გამოცხადდებოდეს, კაცი რაღაცა კარგად არა გრძნობს თავის-თავს. საჭმლის მონელება სნეულს არა აქვს კარგი; ჭამის მადა წაერთმევა; წყურვილი გაუჩნდება, ცოტა მუცელიც სტკივა, და ფაღარათათ არის, სნეულება ძვირად დაიწყება ხოლმე გაცივებით, ანუ ცოტა შეცივნებით. ხშირად სისხლის ყვანა პირველად დაიწყება უბრალო ფაღარათობით; ბოლოს მოჰყვება მუცლის ტკივილიც. პირველად ჭინტვა სრულებით არ აქვს ავადმყოფს. როგორც მოუმატებს თუ არა გარეთ გასვლას, ისე მოუმატებს მუცლის ტკივილსაც, რომელიც დაიწყება ხოლმე სანამ ავადმყოფი გარეთ გავიდოდეს. ბოლოს მუცლის ფაღარათს დაემატება ჭინტვა და უკანა კარის წელის ტკივილიც. გარეთ გასვლა ძლიერ გაუძნელდება სნეულს. ავადმყოფი, თუმცა ძლიერ იჭინტება, ბევრს წვალობს გარეთ გასვლაზე, მაგრამ განავალი ძლიერ ცოტა არის და ისიც რაღაცა ფურთხის ნაირი, ანუ ცოტა მარტო წმინდა სისხლი. ხანდის-ხან ამისთანა განავალს გაჰყვება ხოლმე მაგარი განავალიც. როდესაც ასე წვალებით გავა ცოტა რამეზე ავადმყოფი გარეთ, მუცლის ტკივილი თითქმის ყოველთვის უკლებს, ასე რომ მარტო ხელის დაწოლით გრძნობს ტკივილს მუცელში. მაგრამ ეს ტკივილიც მოიმა-

ტებს. ოც-და-ოთხი საათის განმავლობაში ოც ჯერ ანუ ოც-და-ათ ჯერ გადის სნეული გარეთ და ამაზე ხშირათაც. ავადმყოფს დაემატება ხოლმე კიდევ ციება, კიდეც რომ არ ყოფილიყოს წინა-პირველად. მაჯა ძლიერ სუსტი აქვს და გულის ცემა ძლიერ ხშირი. ძლიერ კარგათაც რომ ეპყრობოდეს და იხდიდეს კაცი ამ სნეულებას, მაინც ნამეტნავად დაასუსტებს მას: ნამეტანი მუცლის ფაღარათობა, გარეთ სიარული, მუცლის ტკივილი და უძილარობა. ოტა ხნის ავადმყოფობაში სნეულს ძლიერ ყვითელი ფერი ედება, საზოგადო გრძნობა შეწუხებული აქვს და დასუსტებული და ლონე მიხდილი.

მუცლის ტკივილი და ჭინტვა იკლებს მეცხრე დღეზე. ავადმყოფები თან და-თან ამ დღიდამ უმჯობესდებიან, გარედ გასვლაც ისე ხშირი აღარ აქვსთ, როგორც ცრა დღემდისინ იყო; და ბოლოს სრულებითაც რჩებიან.

როდესაც ცუდათ შეეკიდება ეს ავადმყოფობა კაცს, გარეთ გასვლას ძლიერ მოუხშირებს, მუცლის ჭრა და ტკივილი გაუსხლეტელი აქვს და ხანდის-ხან მაინც ძლიერ ასტკივდება მუცელი. მუცელი მცირე ხელის დადებითაც ძლიერ სტკივა, ჭინტვა ხანგრძლივი და ძლიერ გამწვალებელი აქვს სნეულს. განავალი უფრო სისხლისაგან შესდგება და ხშირად გამოყვება რალაცა ხორცის ფერი ნაგლეჯებიც, ხანდის-ხან სულ წმინდა სისხლზე გადის სნეული; მაჯის

ცემა ავადმყოფს დასაწყისში მოჩქარებული აქვს და მაგარი, მაგრამ ბოლოს დროს ძლიერ ნამეტანი ჩქარი და სუსტი. ამასთან ავადმყოფს ეკარგება ჭამის მადა, უხმება ენა, ეკარგვის სრულებით ლონე, გული და მთელი ტანი უწუხს; ხანდისხან კიდევაც ბოდავს. თუმცა ავადმყოფობამ გაიარა კარგად, მაშინ სნეულების ყველა ეს ნიშნები დაიწყვენ ძირს თან-და-თან. ხშირი გარეთ გასვლა მოიკლებს, განავალში ნამეტანი სისხლი აღარ ერევა; განავალი მიიღებს თავისს ჩვეულებრივ სუნს, ენა ისევე დაურბილდება, გემოვნება აღუდგება; მაგრამ გაივლის რამდენიმე კვირა და ავადმყოფი კიდევ ზეზე ვერ წამოდგება.

თუმცა ავადმყოფობა სასიკვდილე ‹რის, მაშინ მაჯა თანდათან დამცირდება, ფეხები და ხელები გაუცივდება, მაგრამ მუცელზე კი ძლიერ სიცხე მიეცემა. გარეტებული მდგომარეობა იმატებს, ცნობა ეკარგება; მუცლის ტკივილს სნეული ველარ გრძნობს. საწოლში უნებლიეთ გადის განავალი და ავადმყოფი კვდება მთელი ტანის დამლაში ჩავარდნით. თუ სნეულება გადაიქცა ხანგრძლივ სნეულებად, რომელიც ხშირად მოხდება ხოლმე, მაშინ ცივების მდგომარეობა სრულებით გაქრება. ავადმყოფს ხან მუცლის ფალარათი და ხან მუცელში შეკვრა აწუხებს. ავადმყოფი ხანდის-ხან გადის გარეთ ისეთ განავალზე, როგორათაც კარგა მყოფობის დროს გადიოდა,

მაგრამ ცოტა სისხლს ატანს. ჩან ბალღამზე ვადის. ავადმყოფი ძლიერ ხმება და რამოდენიმე თვის შემდეგ ამისთანა წვალებისა კიდევაც კვდება.

---

## წამლობა სნეულებისა.

რომ ამ ავადმყოფობისაგან კაცმა თავი დაიფაროს, უნდა ეცადოს, რომ განეშოროს ყველა იმ მიზეზებს, რომლისგანაც ეს სნეულება უმეტესად ჩნდება და ძლიერდება. ხშირად ყველა ის მიზეზები, რაც გააჩენს ცივებას, გააჩენს მუცელასაც და ამისთვის უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ამისთანა ცუდ მიზეზებს და გარემოებას განვეშოროთ. სნეულთა განავალში, რასაკვირველია, არის უთუოდ მუცელას ხაშმი, ამისთვის უნდა გაუფრთხილდეთ, რომ არც ერთი ნივთი, მაგალითებრ: ოყნა. ქოთნები ანუ ტაშტები, რომელშიაც ავადმყოფები გადიოდნენ, არ იხმარონ კარგა მყოფთა, ანუ სხვა სნეულთა. განავალი მუცელაიანებისა არას გზით არ უნდა ჩააქციონ საზოგადო ფეხის ადგილში, არამედ უნდა ამოთხარონ განსაკუთრებით ამისთვის მიწა და ცალკე უნდა ასხაძნენ და ზედ უნდა აყრიდნენ კირს. ამ სნეულების გაჩენის დროს არას-გზით არ უნდა იხმარონ მკვახე ხილი და არც ნოტიო მიწაზე უნდა დაწვნენ და დაიძინონ, ამისთვის რომ, როდესაც სი-

სხლის ყვანის ხაშმი არის გაერცელებული ჰაერში, ცოტა მიზეზი ეყოფა კაცს, რომ ამ სნეულებით ავად გახდეს.

როგორც ზემო აღწერილ სნეულებათა წინააღმდეგ, ისე არც ამ სნეულებისათვის არის გამოგონილი უცბათ მოსასპობელი წამალი. ამისათვის რომ კარგად არ არის შეტყობილი ჯერეთ ამ სნეულების ხაშმი ექიმებისაგან. რადესაც მუცელა ძლიერ ადვილად ეკიდება ავადმეოფს, უნდა მისცენ მასს ტანიდამ სასაქმებელი წამალი, აღწერილი № 100 ქვეშე, თუ საჭირო იქნა ორჯერაც. რაც ნაჭამი ექნება, იმაზე გავა; მუცელი გაიწმინდება და ბოლოს აღარ შეაწუხებს სნეულს ხშირი გარეთ გასვლა. რაც უნდა ადვილად ეკიდებოდეს ეს სნეულება ავადმყოფს, ის მაინც არ უნდა ადგეს და არც იარას გარეთ, არც უნდა ჭამდეს მაგარ საჭმელს, არამედ მარტო წვენს უნდა ხვრეპდეს, ხორცისაგან გაკეთებულს. თავდა-პირველადვე უნდა მიაქციონ ყურადღება კაცის ტანის აგებულებას. თუ სისხლ ჭარბი და მაგარი ტანის აგებულების არის სნეული, მაშინ არ არის საჭირო ძლიერ მაგრად მოხარშულის წვენის სმა; თუ სუსტია და სისხლ ნაკრული, მაშინ კი მაგრად მოხარშული ხორცის წვენი უნდა ხვრიპოს, თბილ-თბილი შემოსადები მუცელზე ქატოსაგან მომზადებული, აღწერილი № 68 ქვეშე, ძლიერ სასარგებლო არის მუცლის ტკივილისათვის. თუმცა

მუცლის ტკივილი თბილი შემოსადებისაგან არ კლებულობს და მასთან მუცელი ძლიერ გახურებული აქვს, მაშინ ძლიერ სასარგებლო იქნება, რომ ათი წურბელი ანუ თოთხმეტი მოჰკიდონ ავადმყოფს მუცელზე და სისხლი ადინონ გვიანამდინ. დღე უნდა ასვან ავმდმყოფს წამალი, აღწერილი №№ ᲔᲐ და ᲔᲑ. ქვეშე, თითო საათის განმავალობაში თითო სტოლის კოვზი. როდესაც ეს ავადმყოფობა ადვილად ეკიდება სნეულს, ეს ექიმობაც კმარა.

მაგრამ თუ მუცლის ტკივილი ამ საშუალების ხმარების შემდეგ მაინც უმეტესად ემატება, გარედ გასვლა უხშირდება, ჭინტვაზე ძლიერ წვალობს და ტკივილს გრძნობს, ცივების მდგომარეობა კიდევ ნამეტნავად უმატებს, მაშინ დაუყონებლივ უნდა მოუწოდოთ ექიმს, რომელსაც შეუძლია ყველანაირი საშუალება იხმაროს. თუ ექიმი არ იშოვება, მაშინ უნდა ვეცადოთ, რომ ავადმყოფი თბილად იყოს; ფეხებზე ანუ ტანზე სიგრილემ არ დაჰკრას, სასმელად უნდა ვაძლევდეთ ქერის წყალს ანუ პურისას, აღწერილს № ᲜᲘ ქვეშე. მუცელზე წურბლები განმეორებით უნდა მოვკიდოთ და თბილ წყალში დასოველებული ღრუბელის წმენდით ვადინოთ დიდხანს სისხლი. შეიძლება მდოგვი დავაკრათ, აღწერილი № ᲜᲔ, თუ ნამეტანი სიცხე აქვს მუცელზე. ღვინო არ უნდა დალიოს სნეულმა. თუ ამ საშუალებათა ხმარებით ავადმყოფი მაინც თან-და-თან ცუდად შეიქნა

და უმჯობესობა სრულებით არ დაეტყო, უთუოდ ექიმი უნდა მოვიწოდოთ.

---

## ორიოდე სიტყვა ჩვენებურ მუცელაზე.

ჩვენში ეს სნეულება ერცელდება ხოლმე ხშირად მაშინ, როდესაც წვიმიანი ზაფხული და შემოდგომა არის, აი რატომ ჩნდება ამ დროს ეს სნეულება: ლამით, როდესაც წვიმა არის, მიწა ძლიერ დანოტიავდება და გაგრილდება კიდეც. თუ დღე ნამეტანი სიცხე დაიკავა, ამ სიცხიდამ ძლიერ ცუდი სუნი ავა მიწაზე და ჰაერი ამ ცუდი ოხშივრით იწამლება. ამასთან ზევიდამ სიცხე დააწვება ძლიერ და მუშახალხში ზოგი ძირ მიწაზე წევს, ზოგი დამჯდარი არის. ამ დროს უკანალი ძლიერ ადვილად გაუცივდება კაცს და როგორც ცხვირის გაცივების დროს სურდო გამოაჩნდება, ისე უკანა კარის გაცივების დროს ჭინტვა გაუჩნდება. უკანა კარიდამ გაყვება წელებს ეს სნეულება და ბოლოს ამისთანა ცუდ მდგომარეობაში აგდებს კაცს. ხშირად მკვახე ხილის ნამეტანი ხმარებისაგანაც გაუჩნდება ეს სნეულება კაცს. ბევრი არ ერწმუნება ამას. გასამტყუნებლად ამისა მოყავსთ მაგალითად ძუძუ-მწოვარი ბავშვები, რომელნიც არც მუშაობენ და არც ხილს ჭამენ და მუცელათი კი ხდებიან ავად; მაგრამ ეს მართალი არ

არის. ჩვენში პატარა ძუძუ-მწოვარ ბავშვებზე არ აქვსთ ყურადღება მიქცეული. ხშირად ბავშვს სახლის წინ დასმენ და თითონ ხელ საქნარს კიდებენ ხელს, ბავშვი ხშირად ეზოს სულ ტიტველი დასაჯდომელით ჩოჩვით შემოუვლის რამდენიმე ჯერ და ისე ადვილად გაცივდება ამ დროს, რომ ვერავინ ვერ გებულობს, ბოლოს ბავშვი ისევ თავის ადგილას ხვდება თავის დედას, ანუ ძიძას. ევრეთვე მოზდილი ბავშვები ფარულად ჭამენ ხილს და თვითონ თავიანთი დედებიც კი აძლევენ, მაგალითებრ ვაშლს, მაგრამ მათ ჰკონიათ, რომ ერთი, ანუ ორი ვაშლი ბავშვს არ აწყენს. მე ძლიერ დაკვირებული ვიყავი და ვარ ამ სნეულებაზე, განსაკუთრებით იმერეთში, მაგრამ უმეტესი ნაწილი სულ ამ გაუფრთხილებლობისაგან ხდება ავად მუცელათი.

ჩვენში განსაკუთრებით რაც უნდა კარგი თვისების სნეულება იყოს და რაც უნდა კარგად ეკიდებოდეს, მაინც ცუდი საჭმელის ხმარებით უჭირვებენ ავათმყოფს საქმეს. ამ დროს ავათმყოფს წვენის მეტი არა ეჭმება რა მაგარ საჭმელებთან, ჰაგრამ ჩვენში ვინ ჩაგონებს ამას ზოგიერთ უკნურთ? ისინი ხშირად ხმელ თევზს და ცერცვს აჭმევენ; ამასთან ხშირად ავადმყოფს მჟავე საჭმელი მოუნდება და კიდეც აძლევენ; თუ თავისი სურვილი არ ალასრულა კაცმა, «ბატონებს» ეწყინებაო! მჟავე საჭმლის ხმარებით, თევზით და ცერცვით უმფრო მეტი იხოცება ჩვენში ამ სნეულებით, რომ ამ ცუდ საჭმელებს არ ხმარობდნენ, მაშინ იმდენი არ დაიხოცება ამ ავათმყოფობით, რამდენიც ამ ცუდი საჭმლის ხმარებით კვდება. გარეთ გასავალ ორმოს

ზოგნი ლოგინთან აკეთებენ. ამასაც იმ უგნურობით შვრებიან, რომ გარეთ გატანა განავალის «ბატონებს ეწყინებაო!» დაფიქრდით კარგად, ჩემო გაჭირვებულო ავადმყოფებო, რომ ეს ბატონები» თქვენ უკოდინარობას გამოუგონებია, თორემ ჯერეთ კარგ ნასწავლ ექიმებს არ უნახავთ! ეს უგნურება მხეცური ჩვეულება თუ თქვენ ტვინს შეაფისდა და არც ერთმა გონიერულმა დარიგებამ თქვენზე არ იმოქმედა და ვერ მოგაშლევინათ ეს რწმუნება, თქვენს ბავშვებს, ახალთაობას მაინც ნულა აგონებთ და ნუ აჩვენებთ თქვენს ქცევას. თქვენ რომ გადახვალთ ამ ქვეყნიდგან და ალარ იქნებით, თქვენმა შთამომაელობამ მაინც იქნება დასტოვოს ეს უგნურობა, ცუდი ჩვეულება! მიხვდით, რომ ამისთანა უგნურებით თქვენვე ხოცთ თქვენ შვილებს და დღეს უმოკლებთ მათ!...

---

## თავი თ.

## გ. ხოლერა.

სიტყვა ხოლერა ბერძნულია და ნიშნავს ნაღვლის სნეულებას. ხოლერაზე მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში დაიწყეს ევროპის ექიმებმა ლაპარაკი. წინეთ იქნება იყო იგი, მაგრამ ხოლერაზე არასფერი არ არის ნათქვამი. პირველად ხოლერა, როგორც ერთი

ექიმის აღწერისაგან სჩანს, ინდოეთში გაჩენილა. პირველად ჩლპა წელში გამჩდარა ჯარის კორპუსში განგაში, რომელი კორპუსიც შესდგებოდა ხუთი ათასი კაციდამ. ხოლერას აქ რამოდენიმე დღეში სამი-ათასი სალდათი ამოუხოცია.

ჩყპბ წელში გაჩენილა მადარასში და ერთი წლის განმავალობაში ოცი ათასი სული ამოუხოცია. ინდოეთიდამ ხოლერა გავრცელებულა სამ მხარეში: ა) ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ და მიუწევია სირიამდინ და სპარსეთის ხამძღვრებამდინ. ბ) სამხრეთ-დასავლეთისკენ და მიუწევია არაბეთამდინ და გ) სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაუვლია ჩინეთის სახელმწიფოები და მისულა ციმბირის სამზღვრებამდისინ.

ჩყკბ წელში სპარსეთის სამზღვრებიდამ გავრცელებულა ჩვენს კავკასიაში და ზამთრობით დეკემბრის თთვეში ამ წელშივე გამჩდარა რუსეთის მრავალს გუბერნიაში და დაუხოცია ხალხი. ერთსა და იმავე დროს ხოცდა ხალხს მოსკოვის გუბერნიაში და რუსეთის დასავლეთ ადგილებში.—

ჩყლა წელში გამოჩნდა პოლშაში ჯარში და ნამეჯნავად დახოცა ხალხი. პოლშიდამ გაჩენილა ვალახიაში და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებში. ბოლოს გაჩნდა ხოლერა ლონდონში და პარიჯში და თითო დღეში ათასობით ხოცდა ხალხს.

ქალაქები შიატოვეს მცხოვრებლებმა და აქეთიქით გაიქცენ. მკვდრების დამშარხაეი აღარავინ იყო.

ხოლერა ორ-სამ საათში ხოცდა ხალხს. ევროპაში არ დარჩენილა არც ერთი სახელმწიფო, რომ ხოლერის უბედურება არ გამოეცადოს. დღეს ვერ წარმოიდგენს კაცი იმ უბედურებას, რაც ამ ხოლერით მაშინ ხალხს მიადგა. ხოლერა დღესეც კი გაჩნდება ხოლმე აქა-იქა, მაგრამ ექიმების სწავლამ და მათმა შრომამ ძლიერ დაუკარგეს საშიშარი ძალა ხოლერას.—

ხოლერა ისეთი ავადმყოფობა არის, რომ თუ თავს გაუფრთხილდი და ექიმის დარიგება აღასრულე, ძნელად შეიძლება შენ ის შეგექნეს და მოგკლას, თუ თავს არ გაუფრთხილდი და შეგექნა, მერე ბევრიც რომ იწამლო და როდესაც სნეულება გაძნელდება, მთელი ექ მები რომ თავზე დაისიო და ყველა საშუალება იხმარო, მაინც ბევრს არას გამოგადგება. კარგი საექიმო დარიგება ხოლერაზე გამოსცა განსვენებულმა დოქტორმა პეტრე ივანეს ძე სობოლშჩიკოვმა რუსულს ენაზე. ამ დარიგებას ქართულად გადათარგმნილს ვბეჭდავთ აქვე. აი ეს დარიგება:

«ეს ავად.მყოფობა ისე ძნელად აღარ ეკიდება და არც ისე მომეტებულად ედება ხალხს, როგორც ძველად იყო, მაგრამ ახლაც სიფრთხილე ჰმართებს კაცს და გინდა ავი იყოს, გინდა არა, სულ ერთია,— ორივე შემთხვევაში გაფრთხილება უნდა. არც ეგრე ძველი საექიმოა ხოლერა; და რაც დარიგებაა საჭირო, ის თუ აასრულა კაცმა, ხოლერა მაგდენათ

საშიში ალარ ჰხდება; საცა ეს დარიგება ნამდვილად აუსრულებიათ, იქ მხოლოდ იმას დაჰმართნია ხოლერა და მომკვდარა, რომელსაც ეს დარიგება ან არ სცოდნია და ან ექიმების დარიგებისთვის ყური არ უგდია. აი ეს დარიგება.—

ა) წინათ ჰფიქრობდნენ, რომ ხოლერა პირველად მას ეცემა, ვინც უფრო მოშიშარია. მართალია, შიში უხოლეროთაც გახდის კაცს ავად; ხანდის-ხან კიდეც გააგიჟებს კაცს, მაგრამ ხოლეროობის დროს შიში მაგდენათ არ მოქმედებს. ხოლერისაგან უფრო გულოვანები იხოცებიან, ვინემ მშიშარნი; ამიტომ რომ უშიშარნი არას დასდევენ; თავის გაფრთხილებისა არა იციან რა და ხოლეროობის დროს, რაც დაშლილია, იმას ეძალებიან. მშიშარა თუ გახდა ავად, იქნება იმის გამო გახდეს, რომ სიფრთხილით თავს მეტის-მეტი დაჰმართა: ცოტას ჭამს, ცოტა ძინავს, მუშაობაზე გულს აიცურვებს და წინ-და-წინვე მოჰყვება კაპლების სმას და საზღვარი ალარ აქვს. ერთი სიტყვით, უჩვევს ცხოვრებას მოჰყვება და მშიშარას თუ დამართებს ამისთანა ცხოვრება ჭირს, თორემ სხვა არაფერი.

მაშ პირველი დარიგება ის კი არ არის, რომ ურჩიონ, ხოლერის ნურავის ეშინიაო; ვინც ბუნებით მშიშარაა, იმას ერთბაშათ ვერ გაამხნევებ. საქმე ის არის, რომ ვისაც როგორი ცხოვრება სჩვევია, კელავაც ისე იცხოვროს; რა საჭმელსაც წინათ ილებდენ, იგივე

იმ გვარი საჭმელების ხმარება არ უნდა მოსპოს და
რა გვარ მუშაობასაც ადგა, იმ მუშაობასაც ნუ მოიშ-
ლის. ჭამა ზომიერად უნდა. ნამეტანი ჭამა და სიმ-
თერალე ხოლერობის დროს კი არა, უმისოთაც ძა-
ლიან მავნებელია. აგრეთვე ძალაზე მომეტებული
შრომაც აწყენს კაცს. ცუდი ნადები საზრდოთი შეიძ-
ლება კაცს სტომაქი მოეშალოს და ხოლერობის
დროს ხოლერაც გაუჩნდეს. ამისთვის ნადებ ხორცსა
და თევზს უნდა უფრთხილდნენ, აგრეთვე აყროლე-
ბულს ყველსა და ერბოს, დამჟავებულს რძეს, ლაყე
კვერცხს, დამპალ ხილს, უმცხვარ პურს და წამხდარ
ფქვილს. მომეტებულად მსუქანი საზრდო, ვინც
ნაჩვევი არ არის, სტომაქს გაუფუჭებს, როგორც
ზაგალითად მომეტებული ხილისა და მწვანილის ჭამა.
ხშირად გვინახავს, რომ ბევრი ნესვისა და კიტრის
მჭამელი ხოლერით ავათ გამხდარა. მაგრამ მუშა
ხალხს ბოსტნეულისა და მწვანილის ჭამა არას აწყენს,
რადგან შეჩვეულნი არიან ამისთანა საზრდოს.
მაგრამ ნახევარი წელი რომ მწვანილი სჭამონ, ნახე-
ვარი პური უნდა შეატანონ უსათუოდ. ვინც სხვა-
და-სხვა საზრდოს ჭამას არ არის მიჩვეული, იმათ
ეურჩევთ მხოლოდ ხორცი და პური სჭამონ.

შენიშნულია, რომ საცა კი ხოლერა გაჩენილა,
პირველად ლოთებს დამართნია და რომელსაც შექ-
ნია, მაშინვე გაუგუდავს და ლოთი ძვირად მორ-
ჩენილა, რომ არ მოეკლას. მაგრამ კარგი სასმელი

ღვინოები, თუ ზომიერად იხმარა კაცმა, კი არ აწყენს, კიდევაც მოუხდება ხოლერობის დროს, მაგრამ ვინც ღვინის სმას საზოგადოდ ნაჩვევი არ არის, ტკბილად ნუ ეტანება, იმისთვის კარგი წმინდა წყალი ყველა სასმელს სჯობია და უვნებელია, არამც თუ ხოლერობის დროს, არამედ ყოველ ავათმყოფობაში. სპირტის სასმელები წამლად იხმარება ხოლერობის დროს, მხოლოდ მაშინ, როდესაც ხოლერით ავად გახდება კაცი, ამიტომ რომ სპირტი სისხლის მოძრაობას აჩქარებს და დაუშლის მის რომელსამე ალაგს შეგუბებას.

ბ) შენიშნულია, რომ ხოლერა ხშირად გაცივებით ემართებათ; ამისთვის, ამინდის შესაფერად თბილად უნდა ჩაიცვან. საღამოობით გარეთ არ უნდა დაწვენ, ფანჯრებ გაღებულ ოთახში არ დაიძინონ, კარგი თბილი ლამეც რომ იყოს. ამას გარდა ოთახში გამქროლ ქარს უფრო უფრთხილდნენ, ცივ წყალს ნუ დალევენ, განსაკუთრებით როცა ტანი გახურებულია და გაოფლიანებული. ვინც შეჩვეული არ არის, დიდხანს სოველს პერანგში არ უნდა დარჩეს და სველი ფეხ-საცმელი თუ აქვს, გამოიცვალოს. ვისაც არ შეუძლია პერანგის გამოცვლა, თბილი რამ მოისხას ტანზე და არ გაფალარათდეს, სანამდის არ გაშრება. ვინც იცის ძირ მიწაზე ჩრდილოში დაჯდომა, ის ადვილად გაცივდება და ხოლერა დაემართება; აგრეთვე დაემართება იმას, ვინც იწყებს გორკას ხის ძირში. ხოლერობის დროს მუცლის გაცივე-

ბა ძნელია, ამისთვის ან შალით, ან ბაშლაყით უნდა აიკრას იგი. ვინიცობაა თუ გაცივდა, უნდა ეცადოს მალე გაითბოს ტანი, რომ ოფლი გამოუვიდეს. ამისთვის საჭიროა ცხელ-წყალში მალე ფეხების ჩაყოფა, მერე თბილად დაწოლა; მთელი ტანი თბილი წყლით უნდა დაიზილოს და სამი ან ორი სტაქანი ცხელი ჩაი დალიოს და თუ ჩაი ჯერ არის, შეიძლება ცხელი წყალიც დალიოს ღვინით ჩაესავით.

დ) არამც თუ ჩვენ კავკასიაში, მთელ ქვეყანაზე შენიშნულია, რომ უფრო ხშირად ჰხდებიან ავათ და კვდებიან ისინი, ვინც უწმინდურათ ცხოვრობენ, თავის სახლებსა და ეზოებს არ გვენ, არ აშორებენ ყოველ გვარს ცუდ სუნიანს და წამხდარ ნაკელს და მთელი დღე წამხდარი ჰაერით სუნთქვენ. ამისთანა კაცების გაფრთხილება არც მთავრობას და არც ექიმებს არ შეუძლიათ: ყოველმა კაცმა უნდა იცოდეს, რომ პირველი მიზეზი ხოლერის გავრცელებისა უწმინდურობა- და ცუდი ჰაერია; აქედგან ცხადათ სჩანს, რომ ყოველი კაცი უნდა ეცადოს, რაც ხოლერის გამჩენი მიზეზია, გარ შემოიცალოს, სუფთად დაიჭიროს თავის-თავი და სახლობა. საჭიროა, რომ ყოველი სახლის მეპატრონე, ყოველი ცოლ-შვილიანი მეოჯახე სიწმინდეს, სუფთაობას სცდილობდეს, განსაკუთრებით იმ სახლში, სადაც ბევრნი ცხოვრობენ, ყოველთვის კარგი ჰაერი ამუშაოს; არც სადგომებში, არც ეზოში ნაგავი და ცუდი სუნიანი ნაკელი არ

დაავროვონ, არამედ ეცადონ იმათ შორს გატანას, ან დაწვას იმ ადგილებზე, საცა პოლიცია უჩვენებს. უწმინდური წყლის შორს გატანა რადგან ძნელია, ორმოში ჩაასხან და შიგ დაუშლელი, წყალ დაუსხმელი კირი ჩააყარონ, მაგრამ ამას ბევრით სჯობია რკინის კუპოროსი, (აფთექაში იკითხე) რომლის ერთი წილი სამს წილს წყალში უნდა გაიხსნას (ან ერთი ფუთი კუპოროსი ოთხ ვედრა წყალში) და ჩაასხან ფეხის ალაგში, მერე გრძელი ჯოხით უნდა აურ-დაურიონ. ერთი ფუთი კუპოროსი საკმაოა, რომ ორმც-და-ათს ფუთს უწმინდურებას სუნი წაერთვას. ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ ხოლერობის დროს სისუფთავე და ტანის სიწმინდე ძალიან კარგი საქმეა, ამისთვის კვირაში ერთხელ, ან თვეში ორჯელ მაინც უეჭველად უნდა დაიბანოს კაცმა ტანი თბილს წყალ-ში და ძალიან დამწვირიანებულს ჰერანგს ნუ ჩაიც-ვამენ. რამოდენიმე საათს თბილისის ცხელ აბანოს წყალში გაჩერება ძალიან მავნებელია, რადგან ტანს ასუსტებს.

ე) ხოლერა უეცრად არ ეცემა კაცს — ის წინათვე გამოჩნდება, გააგებინებს ფაღარათობით, რომელიც ძალიან არ აწუხებს კაცს; ამისთვის ზოგსა ჰგონია, ეს უბრალო მუცლის ფაღარათობაა, მაშინ როდე-საც ხოლერობის დროს მუცლის ფაღარათობა პირ-და-პირ ხოლერის დამართებას ნიშნავს, მაგრამ პირ-ველად ასე ჩუმათ დაიწყება და შემდეგ უეცრად

პირიდგან ლებას და მანჭვას აუტეხს. ვინ იცის, რა ბოლო ექნება ამ ფალარათობას და პირისლებას? ამისთვის ვისაც მუცლის ფალარათობა აუტყდეს ხოლერობის დროს, მაშინვე ექიმთან უნდა გასწიოს—და თუ ექიმი ვერ ნახოს, აფთიაქში მიირბინოს და იქ ნაბრძანები აქვთ, როგორი წამალი მისცენ ავად-მყოფს და ზომით აძლიონ ეს წამალი. რადგან ხოლერობაში ყოველგვარი ფალარათობა ძალიან საშიშია, ამისთვის არამც-თუ საფალარათო წამალი არ უნდა მიაკაროს, არამედ უნდა უფრთხილდეს იმ საზრდოს და საჭმელსაც, რომელიც ფალარათობას აუტეხს.—

3). თუ ვისმე ხოლერა ნამდვილად გამოაჩნდა,—პირიდგან საქმება და მანჭვა აუტყდა, შინაურებსაც შეუძლია დაეხმარონ ავადმყოფს: იმ წამსვე უნდა დაადვან მუცელზე და ფეხების გულზე მდოგვი (გარჩიჩნიკი), ახალი დანაყილი ნიორი ან ხრენი; ავადმყოფს მოუხდება აგრეთვე ფერდების დაზელა პილპილიანი არაყითა, მანემდის პატარ-პატარა ბუშტებს არ გამოჰყრის, ან მანამ ტკივილს შეიტყობდეს, იმ დროსვე უნდა დაალევინონ ავად-მყოფს პიტნის ჩაი ან უბრალო ჩაი არაყით ან რომით და თუ მალე არ შეიძლება ჩაის შოვა, მაშინ ყოველ მეოთხე საათშიდ უნდა დაალევინონ ათი-თერთმეტი წვეთი პიტნის «კაპლისა» წყლით ან ღვინით; აგრეთვე საჭიროა მაუდით ან შალით ხელფეხის ზელა და გამართვა, როგორც აბანოებში იციან. ოფლი რომ მოადგება,

მაშინ ძალიან თბილათ უნდა დაახურონ, რაც უფრო თბილად იქნება, ის სჯობია. თბილ წყალში ბინაც მოუხდება მანჭვის შესაჩერებლად; ოფლის მოსაყვანად კი ეს არას არგებს. ოფლის მოსაგვრელად ორთქლი უნდა იხმაროს ავად-მყოფმა. უნდა გაახურონ აგური, ან ქვა, დადვან ტასტზე და შეუდგან ქვეშ ფეხებთან. ამ გახურებულს ქვაზე ან აგურზე ცოტ-ცოტათ რომ წყალი დაასხან, ორთქლი ასდინდება; ეს ორთქლი საბანს ქვეშ ასდგება და ოფლს გამოიწვევს. შემდეგშიაც, როცა ხოლერის ნიშნები აღარ ექნება ავად-მყოფს, მაინც კიდევ ყურის გდება და მოვლა უნდა: ცივი წყალი არ უნდა ასვან, არც მძიმე მოსანელებელი საჭმელი აჭამონ, თორემ შეიძლება ავად-მყოფობა ხელ-ახლავ მოუბრუნდეს.—

ზ) ახლა ყველამ იცის, რომ ხოლერა გადამდები ავად-მყოფობა არ არის; იმის მიზეზი ხოლერის «ბაცილიებია». ავად-მყოფიდამ ის კაცს არასოდეს არ შეექნება, ამისთვის ავად-მყოფს არავინ არ დაადგებს უპატრონოდ და არ გარბის; არამედ ყველი კაცი უვლის და პატრონობს. მაგრამ უნდა ახსოვდეთ კი, რომ პირიდგან ნაღები და ცუდი სუნიანი გაჩენილი თუ რამ დარჩა ხოლერიანისაგან, მაშინვე უნდა მოაშორონ სახლს და უნდა დააყარონ გაუქრობელი კირი და თუ ეს არ იშოვება, კუპოროზიანი წყალი დაასხან და ცალკე ორმოში ჩაასხან. აგრეთვე რასაც კი პირიდგან

ამონალები მოსცხებია, ყველაფერი კუპაროსის წყალში ანუ ხლორ-ნარევ კირში (აფთიაქში იკითხე). გაავლო და გარეცხო. ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ხოლერიანის განავალში და პირიდგან ამონალებში არის ხოლერის გესლი, რომელიც კაცს შეჰკნის ამ ჭირს, ამისთვის ვინც ხოლერით მომკვდარა, მაშინვე უნდა დაასაფლაონ, ან თუ ეს არ მოხერხდება, საღმე ან ბოსელში, ან სხვა სადგომში სახლის მოშორებით გაიტანონ მიცვალებული და იქ დაასვენონ, სანამ არ დამარხვენ. დასასრულ უნდა სთქვათ, რომ საცა ეს დაჩიგება კარგად აუსრულებიათ, იქ ხოლერა მსუბუქ ავად-მყოფობათ გარდაქცევია კაცს, ვისაც დამართნია, ადვილად მოუხდია და და სიკვდილითაც ძალიან ცოტანი მომკვდარან. [1])

---

[1]) ერთი საშუალება არის დღეს კიდევ გამოგონებული გადამდები სნეულების ხაშმის გასაქრობად. ეს არის კარბოლოვის სიმჟავე. ეს ნივთი ისყიდება აფთიქებში. ეს ძლიერ აქრობს, როგორც შეიტყეს ექიმებმა, გადამდებ სნეულებაცა ხაშმს და თუ ხმარობენ ამ საშუალებას ხშირად, ალარც კი გადადებათ სნეულება. მაგალითებრ, ეს საშუალება ძლიერ აქრობს ხაშმს მუცელისას, ხურგებისას და სხვა ამისთანათა. ოთახის ჰაერის გასაწმენდათ ოთხ-ხუთ წყეთს დაასხმენ ქაღალდზე და დასდებენ მაღლობ ადგილზე ოთახში. ფუხის ადგილებში ოცს ანუ ოც-და-ათს წვეთს ჩაასხმენ. ეს წამალი ძვირად არ ისყიდება და ყველას შეუძლია შისი მოპოება ურეცეპტოთაც.

## განყოფილება მესამე.

## სხვა-და-სხვა შინაგანი სნეულებანი, რომელნიც სახადათ არ ითვლებიან.

### თავი მეათე.

### ცივება.

ბევრი ეცადნენ მეცნიერები და ექიმები, რომ შეეტყოთ, თუ რა არის ცივება, ანუ რისაგან წარმოსდგება იგი, მაგრამ დღემდისინ კიდევ ვერ შეიტყეს კარგად; მაგრამ ძლიერ კი დაუახლოვდნენ და შეიტყეს, თუ რა მიზეზებისაგან წარმოსდგება იგი.

ამ უკანასკნელ დროს ექიმებმა შეიტყეს და ნამდვილად დარწმუნდნენ, რომ ცივება წარმოსდგება სხვა-და-სხვა მავნებელი ნივთების გარეგისაგან ჩვენს სისხლში. როდესაც სისხლში შეერევა რამე ცუდი ნივთიერება, მაშინ ჩვენის ტანის და სისხლის მუშაობა აჩქარდება, რომლისაგან კაცს სიცხე ეძლევა. ამ აჩქარებულ ტანის და სისხლის მოძრაობას მოახდენს

ჩვენს სისხლში გარეული ცუდი ნივთი, სისხლი, ბა-
ყლი ანუ სხვა ამისთანა რამე. დამპალ და ცუდ ხაშ-
მიან ჰაერსაც ამისთანა მოქმედება აქვს. ერთმა ექიმ-
მა, რომ ნამდვილად შეეტყო, მართლა ციევება წა-
მხდარი სისხლში შერეული ნივთებისაგან წარმოსდ-
გება თუ არა, რამდენჯერმე ცხოველების სისხლში
ცოტა ბალლამი შეუშვა; ამისთანა ცხოველები სულ
ციევებით კვდებოდენ ხოლმე. ამისთანა და სხვა მრა-
ვალი გამოცდილებით დარწმუნდნენ ექიმები, რომ
ციევება დამპალი ნივთების ბრალიაო, რომელიც ჩვენ
სისხლში შედის ანუ სუნთქვით, ანუ სხვა რიგათ.

მაშასადამე ციევება არის ისეთი სნეულება, რო-
მელიც წარმოსდგება ჩვენს სისხლში სხვა მავნებელი
ნივთის შერევით, წამხდარი ჰაერით იქნება ესე, თუ
სხვაფრივ. ეს მავნებელი ნივთები, ციევების ხაშმი,
თუმცა ძლიერ კარგად არ არის გამოკვლეული ჯე-
რეთ, მაგრამ ეს კი დამტკიცებით შეტყობილია, რომ
ეს ხაშმი კაცის ტანში თუ მომზადდება თორემ, ავად-
მყოფიდამ კარგად მყოფზე არასოდეს არ გადადის.

ციევება ხშირად იმისთანა ადგილებში იცის, სა-
დაც ნამეტანი ჭაობიანი ადგილები არის და სხვა-და-
სხვა მცენარეობა ლპება. როდესაც თოვლი არის და
ყოველი ნივთი, როგორც დამპალი, ისე ისიც,
რომელიც ლპებაიქ, იყინება, მაშინ მიწიდამ ცუდი
სუნი აღარ ადის მაღლა და მართლაც თოვლში და

ყინვაში ცივებაც იშვიათად არის, მაგრამ ამის მაგიერ ზაფხულში კი ხშირად არის.

ცივება განსაკუთრებით ჭარბიანს ადგილებში ბუდობს და გახდება ადგილობრივ სნეულებად, მაგალითებრ: დაბლობს, დაცემულს ადგილებში, საცა ნამი იცის, მდორე მდინარე წყლის პირთა, რომელიც ხშირად გადმოდის ნაპირებზე და წალეკავს ჭალებს, ტბების პირებზე, ზღვის პირებზე, საცა მდინარის წყლები ზღვას ერთვის, საცა ბრინჯის ყანებია, რამდენთაც უფრო კარგი სარწყავი და მოსავლის ადგილებია და ბევრი წყალი გადის სახნავ-სათეს მიწებში და საცა ამასთანავე თბილა, იქ უფრო გახშირებულია ცივება.

ეს ავად-მყოფობა ყოველ კაცს დაემართება, დიდსაც და პატარასაც და როგორი აგებულებისაც უნდა იყოს, მაინც არ ტოვებს, მაგრამ განსაკუთრებით ხშირად ხდებიან ცივებით ავად ვინც მეტის-მეტ მომლალავ მუშაობაში არის ჩავარდნილი, რომელნიც საჭმელს ხმაროობენ ცუდს და ვერ უელიან თავისთავს, ვერ იმოსებიან თბილათ და ხშირად ცივდებიან.

განსაკუთრებითი თვისება და გასაკვირველიც ამ სნეულებისა არის ის, რომ ეს ავად-მყოფობა ნიადაგ არ გაყვება კაცს, სნეულება დაიწყება ცივებით, მერე მისცემს სიცხეს და ბოლოს თავდება ოფლით. რომ ჰგონია, ცივებას თავი დავახწიეო, მაშინ თავის

დანიშნულ დროს ეს სენი ისევ უბრუნდება სნეულს.

ზოგს უცებ გააციებს, ზოგს კი ჯერ ნიშნებით შეატყობინებს ცივების დამართებას: მადა ეკარგება, ზმორებას აწყებინებს, ტანში ჩაამტვრევს, ხან სიცხეს მისცემს, ხან ცივებას დააწყებინებს. როდესაც ნამდვილად გამოაჩნდება, მაშინ კი ძალიან ათრთოლებს და ამნაირი თრთოლვა გასტანს ნახევარი საათიდამ ორ საათამდის. ცივნების დროს რომ გაჩინჯოს კაცმა ავადმყოფი, დარწმუნდება, რომ სიცხე მოკლების მაგივრათ, კარგა ძალათ მომატებია. ამასთანავე ავადმყოფს ძალიან თავის ტკივილი აქვს, ძნელი სუნთქვა და ჩქარი მაჯა. ავადმყოფი თრთის, კბილებს წაკა-წუკი გაუდის, ხელი და ფეხი ულურჯდება, პირის სახე უყვითლდება. შემდეგ ცივნებისა მთელს ტანში სიცხეს გრძნობს; სიცხე პირის სახიდგან მთელ ტანში დაუვლის. ამ დროს პირის კანი ავადმყოფს უწითლდება. თავის ტკივილი ისევ აქვს და ხშირად კიდევაც უმატებს ასე, რომ ავადმყოფი ბოდვას დაიწყებს; შარდი მოწითალო აქვს და ბევრი; ცოტა ხნის დაყენებისა დაილეკავს ძირს წითელს ხორბს. ავადმყოფობა გაგრძელდება ოთხმეტს საათს. შემდეგ გაუვლის მეორე მობრუნებამდის. ამ დროს განმავალობაში ცივებიანი ჰგრძნობს სისუსტეს, ზოგჯერ სტომაქიც აქვს მოშლილი და მადაც დაკარგული. ტყირპი დაუსივდება, თუ ავადმყოფობამ დიდხანს

გასტანა, ძალიან გაუდიდდება იგი და თითქმის მთელ სიცოცხლეში ასე დარჩება.

ცივება ბევრ-ნაირია. თუ ყოველ დღეს უვლის, მაშინ ეძახიან დღიურ ცივებას და თუ ორის დღის გამოშვებით უვლის,—მაშინ სამი დღისას. ხშირად დღიური ცივება იცვლება სამი დღის ცივებათ, სამი დღისა—ოთხი დღისათ. ზოგჯერ ოთხი დღის ცივება შეიცვლება სამი დღისათ და სამი დღის დღიურ ცივებათ. საზოგადოდ პირველ გამოჩენაზე კაცი ვერ შეიტყობს, რამდენი დღისაა ცივება. რამდენისამე დღის შემდეგ ის ჩადგება თავის რიგში; პირველი ნიშნებით შეიძლება კაცს ცივების მაგიერათ სახადი ეგონოს.

მუდამ დღის ცივება, ან ოთხი დღის ცივება თუ სამი დღის ცივებათ შეიცვალა, ეს კარგი ნიშანია. როცა სამი დღის ცივება სხვა-გვარ ცივებათ შეიცვლება, ეს კი ცუდი ნიშანია. საზოგადოდ ადრე თუ გვიან ცივება, უეჭველია გაივლის. მაგრამ შეიძლება ცივებას სხვა ავადმყოფობაც დაერთოს და ავადმყოფი კიდეც გადაჰყვეს თავის სნეულებას; ტყირპის ავადმყოფობას დაერთვის ღვირძლის და თირკმელების მოშლა და ეს ძალიან გახდის და დაასუსტებს თვითონ ავადმყოფს. ამისთანა შემთხვევაში შეიძლება წყალმანკი და სურავანდიც გაუჩნდეს ავადმყოფს.

---

## წამლობა ციკვებისა.

პირველი საშუალება, რომ ციკვების სნეულებისაგან თავი დავიფაროთ ის არის, რომ განვეშოროთ იმისთანა მავნებელ ადგილს და ნივთებს, რომელთაც ჩვენზე ცუდი გავლენა აქვს, ანუ ყოველი ლონის-ძიება ვიხმაროთ, რომ გავაშოროთ დამპალი ტპები და ნოტიო ადგილები, რომლითაც ჰაერი ნიადაგ ფუჭდება და ციკვების ხაშმიც წარმოსდგება. როდესაც ერთი ადგილიდამ მეორე ადგილზე გადადიხარ, ისე უნდა დაიწყო ცხოვრება, როგორც იმ ადგილის მცხოვრებნი სცხოვრებენ; სასმელ-საჭმელს ადგილობრივს უნდა დაუწყო ხმარება, თუ ხედავ, რომ იმ სასმელ-საჭმლის ხმარებით ადგილობრივნი მცხოვრებნი უფრო იშვიათად არ ხდებიან ციკვებით ავად. მეტის-მეტად უნდა გაუფრთხილდნენ ლამით გაციკვებას. დაბლობ ადგილებზე, წყლის პირად და ზღვის პირად თუმცა დღე სიცხე იცის ძლიერ, მაგრამ ლამით ნამეტნავად აციკვდება და კაცი, თუ ძლიერ გაფრთხილებული და კარგად თბილად ჩაცმული არ არის, ადვილად გაციკვდება. მე როგორც შემინიშნავს, ას ციკვებიან ავადმყოფში ოთხმოცი თითქმის სულ ლამე გაციკვებით გამხდარან ავად. ამასთან უნდა ერიდო სასმელ-საჭმელის უზომოდ მიღებას; არ უნდა დადგე დიდხანს წამხდარი ტბების სიახლოვეს; არ უნდა დაიძინო ლამით ცა-წმიდას ქვეშ.

რაიცა შეეხება თვითონ წამლობას და ავადმყოფის მოვლას, როგორც კი შენიშნულ იქნეს პირველი ნიშნები გაციებისა, ავადმყოფი მაშინვე უნდა დაწვეს ლოგინში, მაგრამ საბნები არ უნდა დაახურონ თავზე, როგორც ჩვენში იციან. რასაკვირველია, ამისთანა ნამეტანი საბნის დახურვა ვერ გაათბობს სნეულს და უიმისოდაც გაჭირვებულ სუნთქვას და სისხლის მოძრაობას გაუძნელებს. თუ გაცივება ნამეტანია, საბნებით კი არ უნდა ცდილობდნენ, რომ გაათბონ, არამედ სხვა საშუალებით; უნდა გაათბონ ზეწრები ცეცხლზე და შემოახვიონ ფეხებზე, ანუ საბანში უნდა შეუდგენ გათბილებული ჭურჭლები. ამისთანა შემთხვევაში ცხელ წყალს ჩაასხმენ ბოთლებში, დაუცობენ კარგად პროპკით თავს და შეუდებენ საბანს ქვეშ, თუ ავადმყოფს უნდა მოთბობასმელი, არ უნდა მოუკაონ, მაგრამ ბევრი არ უნდა ასვან. თუ სნეულს პირის ღებინება აუარდა, მაშინ უნდა ასვან შუშხუნა სასმელი, აღწერილი № კბ ქვეშ. როდესაც სიცივეს გაუშვებს და სიცხეს მისცემს, მაშინ ნამეტნავათ არ უნდა დახურონ ჩქარა ოფლის მოყვანისათვის. სასმელად უნდა აძლიონ ციცი სასმელი ზომიერად. ანუ სასმელი, აღწერილი № კდ; თუ თავი ძლიერ ასტკივდეს, მაშინ ცივ-ცივი შემოსადები, ცივ წყალში დასველებული ტილოს ნაჭერი უნდა ადვან თავზედ და ხშირად უნდა უცვალონ. თუ თავის ტკივილმა მაინც მოუმატოს და შენიშნულ იქმნეს,

რომ სისხლი ნამეტნავათ მიდის თავში, მაშინ სასარგებლო იქნება, ერთი ანუ ორი წურბელა ცხვირში მოკიდონ და ამ სახით სისხლი გამოუშვან. ფეხების კუთებზე უნდა დააკრან მდოგვი, აღწერილი № ნ3 ქვეშე. თავში სისხლის ავარდნის დროს, როდესაც ნამეტნავად სტკივა თავი, სნეული ბოდავს და ცნობასაც ჰკარგავს, მაშინ სასარგებლო არის ფეხის აბანო, აღწერილი № მთ. მკლავიდამ სისხლი არასოდეს არ უნდა გაუშვან. პირველი ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ ავათმყოფი მუცელში შეკრული არ იყოს; და თუ შეკრულია, უნდა იხმარონ სასაქმებელი წამალი, აღწერილი № ქა ანუ № ით ქვეშე. თუ არ ასაქმოს, უნდა იხმარონ ოყნა, აღწერილი № ნზ ქვეშ. როდესაც ოფლის დენა დაიწყება, უცჟათ არ უნდა შეაწყვეტინონ, ოფლი კარგად უნდა დაასრულებინონ სნეულს, არც ტანისამოსი უნდა გამოუცვალონ, სანამ კარგად ოფლის დენას არ შეისრულებს.

ხინა პირველი წამალია ციების მოსარჩენათ; მაგრამ ისე ვერ მოარჩენს ავათმყოფს, რომ ციება არ მოუბრუნდეს კიდევ. წინეთ მრავალნი პირნი და ეხლაც ზოგიერთები ხინის ხმარებას სასარგებლოდ არ რაცხვენ. ზოგს ჰგონია, თუ ხინა ტყირპს აჩენს და არ ხმარობს. მაგრამ ეს ტყუილი არის. როგორ მოქმედებს ხინა ციებით ავათმყოფებზე, ჯერეთ კიდევ კარგად არ აუხსნიათ; მაგრამ ეს ყველამ იცის, რომ ხინის ხმარებით ციება გაქრება ხოლმე. ხინას მაი-

ლებენ ცალკე წყლით, ზოგი აბებათ გააკეთებინებს და ისე მიიღებს, ზოგი გასახვევში ახვევს და ისე ყლაპავს. ციებაზე, როგორი გვარიც უნდა იყოს, ანუ ცხელებაზე მე ეხმაროობ ხოლმე ერთნაირ «პარაშოკს», რომლის ხმარების შემდეგ ციება ძალე ანებებს თავს ავათმყოფს და ჩქარაც არ უბრუნდებაიგი. ეი ამ წამლის მომზადება: აიღე ნახევარი მისხალი რევანდის «პარაშოკი» და შიგ გაურიე თორმეტი გრანი გოგირდ-მჟავე ხინა, აურ-დაურიე კარგად ერთმანეთში და ოთხ პარაშოკათ გაჰყავი და მიეცი ავათმყოფს ორ-სამ საათში თითო პარაშოკი, ციებისაგან თავისუფალ დროს. ამ წამალს ორ-ნაირი მოქმედება აქვს. რევანდი მოქმედებს კუჭზე და ხინა— ციებაზე. ხინას გარდა კიდევ ხმაროობენ სხვა საშუალობათა, მაგრამ ის საშუალებანი უექიმოთ არ იხმარება. შენიშნულია ექიმებისაგან, რომ როცა ციება გადუვლის სნეულს წამლობის შემდეგ, კიდევ დაუბრუნდება მას მეშვიდე დღეზე, მეთოთხმეტეზე, და ოც-და-ერთზე და ოც-და-მერვე დღეზე. არ შეიძლება, რომ ავადმყოფმა არ იგრძნოს ორი დღის წინედ ციების დაბრუნება. ამისთვის ამ დანიშნულ დღეებზე თითო დღის წინედ ზემოდ, რომ ხინა ვსთქვით რევანდით შენზადებული, უნდა მიიღოს სნეულმა.

იმერეთში ციება მაინც ძლიერ არის გახშირებული. საუბედუროდ ხალხმა არ იცის, რა წამალია

ხინა და როგორ არჩენს ცივებიანებს. ზოგმა იცის, მაგრამ არ იცის ხმარება და ზოგს მისი საყიდელი ფულიც არ ემეტება. მე ბევრი მინახავს, რომ ორი შაურის წამალი მოუხოვნიათ აფთეკაში ცივებისათვის. ორ შაურათ ზოგან თითქმის ორ გრანს აძლევენ მარტო! განა ორი გრანით შეიძლება ცივებიანი კაცი მორჩეს? მერე ეს კაცი მიდის და სხვას ეუბნება: ცივების წამალი მე მოვიტანე და ვიხმარე, მაგრამ სნეულს ცივება არ გაუშვაო. სხვაც ამისთანა უგნური სიტყვისა გამო ჰკარგავს რწმუნებას ხინაზე და მთელი წელიწადი ტახტზე აგდია ცივებისაგან დავარდნილი.

ერთი მისხალი ხინა დღეს ორ აბაზათ არის და რევანდიც არ არის ძვირი; კაცი რომ სრულებით განთავისუფლდეს ამ სნეულებისაგან, სამი აბაზი მაინც დაჭირდება ამ წამლებში. ზოგი კაცი ორ დღეში იღებს ქირათ მანეთს. უგნურება მეტი იქნება კიდევ! ერთი დღის ჯამაგირი არ უნდა დახარჯოს და მთელი ზაფხული ლოგინზე კი აგდია, და შეიძლება კიდევაც მოკვდეს!!.

ცივებიანმა მორჩენის შემდეგაც კარგა ხანამდინ არ უნდა სჭამოს ხმელი თევზი, ყველი, რძე და მაგარი მოსანელებელი საჭმელი. სასმელებში უნდა ერიდოს ცოტა ხანს ღვინოს და სპირტის სასმელებს. ამ სასმელების ხმარებაზე მე ხშირად შემინიშნავს ხოლმე, რომ ცივება დაბრუნებიათ და ზოგიერთნი ხელახლა გამხდარან ავად. ხილის ჭამას უნდა მოერიდოს სნეული განსაკუთრებით მკვახისას, უმწიფარისას.

ხინა ძლიერ მწყრალ არის და ვისაც წმინდათ მისი მოლება ეზიზღება, მას ურჩევთ ხინა ისე მიიღოს, როგორც არის აღწერილი № ᲙᲐ ქვეშ.

---

## თავი მეთერთმეტე.

## ხკორბუთო, სურავანდი.

როდესაც კაცს ყვითელი ფერი სდევს სხეულზე, ფეხებზე ყვითელი, წითელი, ანუ მოლურჯო ხალები აქვს, ღრძილები დასივებული აქვს, რომელთაგანაც სდის სისხლი, მას უთუოდ სჭირს სურავანდი.

სურავანდის სნეულება იწყება ამ ნიშნებით: პირველად უფერულდება და უსივდება კაცს სახე პირისა, ეგრეთვე უფერულდებიან, ანუ ულურჯდებიან ტუჩები და ღრძილები და აქვს ყოველთვის მიდრეკილება ძილისადმი, გრძნობს დიდს სიმძიმეს მთელს სხეულში, ასე რომ შემდგომ მცირე მოძრაობისა, ანუ ძილისა, კაცი გრძნობს დიდ სისუსტეს ტანში.

თუ სნეულების დასაწყისშივე არ მიეცა შესაფერი წამალი სნეულს, შემდგომ რამოდენისამე ჟამისა მას უჩნდება მკერდისა და სახსრების ტკივილი, დაიწყებს იგი ტკივილი ადგილის ცვლასა და მით მისცემს სნეულს დიდს მწუხარებას: სიმძიმე სხეულისა მოემატება და მოძრაობა გაუძნელდება, გაუსივდება ღრძილებიც და მათგან სდის სისხლი; სნეულს პირში უდის ცუდი სუნი. კბილები უყვითლდება და სხეულზე გამოაჩნდება წითელი ანუ მოლურჯო ხალები, ეკიდეგ წამოუა ცხვირიდან, ანუ ყელიდგან სისხლი და შემდეგ სნეულს შეუხუთავს ხელებსა და ფეხებსაც.

უკეთუ სნეული ამისთანა მდგომარეობაში დარჩა დიდხანს უწამლოდ, მაშინ იგი იქნება უფიცხელეს სნეულებათაგან ტანჯული: მიეცემა სიცხე მთელს სხეულსა შინა, ღრძილები წაუხდება, კბილებიც დაეძერის და გაუყვითლდება, სუნთქვა ექნებაც დიდათ მძიმე, მუხლები დაუსივდება, ფეხებზედ გამოაჩნდება იარები და დაიწყებს სისხლის დენას; ბოლოს დაემართება წყალმანკი, ანუ მძიმე ყვანა, ხშირი გულყრა და შეიძლება სნეულის სიცოცხლეც დასრულდეს.

მიზეზნი, რომელთაგან წარმოსდგება ეს სნეულება, არიან შემდეგნი: ა) დაბალი ჭაობიანი ადგილი; ბ) ხმარება წამხდარისა და ცუდის საჭმელისა; გ) ცუდისა და წამხდარის წყლის ხმარება, დ) მრავალთა პირთა ერთად დგომა და უმეტესად ნოტიო სახლში ცხოვრება, სადაც არ განაახლებენ ხშირად ოთახის ჰაერსა და სხვანი...

## წამლობა ამ სნეულებისა.

როდესაც შენიშნული იქნება ზემო თქმული ნიშნები სურავანდის სნეულებისა, არ იქნება ურიგო, რომ სნეულს პირველად კუჭს გასაწმენდი წამალი მიეცეს. შემდგომ უნდა მიეცეს წამალი, აღწერილი № ᲓᲒ-სა, ანუ ბალახების წვენი, აღწერილი № ᲓᲓ. ქვეშე; მასთან უნდა ხმაროდნენ პირში გამოსავლებელ წამლებსა, აღწერილთა № ᲚᲮ, ანუ № ᲚᲮᲐ-სა ქვეშე.

საჭმელი უნდა იყოს ავადმყოფისათვის გაკეთებული ახლის მწვანილისაგან ე. ი.: მჟაუნასი ანუ კოწახურისა ნიუკასი, ისპანახისა, სტაფილოსი, კომბოსტოსი და სხვათა; უმეტეს მარგებელი არის ამ სნეულებისათვის ხრენი, ხახვი, ბოლოკი, მჟავე ბროწეული და სხვა მწიფე ხილი, მაგრამ ზომიერად ხმარებული. სასმელად უნდა მიეცეს სნეულს წყალი ლიმონისა, მჟავე ბროწეულის ანუ ისრიმის წვენით შეზავებული.

აგრეთვე უმეტესად საჭირო არის ამ საშიშარი სნეულებისაგან მოჩენისათვის სიფაქიზე და დიდი სიწმიდე, როგორც ტანთ-საცმლისა, ეგრეთვე სახლისაცა და განახლება ხშირად ოთახის ჰაერის ფანჯრისა ანუ კარის გაღებითა.

---

## თავი მეთოერმეტე.

## ე ე ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი.

ჩვეულებრივი მიზეზი ამ სნეულებისა გაციებაა, რომელიც წარმოსდგება სხვა-და-სხვა მიზეზთაგან, ანუ გაუფრთხილებლობით, როდესაც ცივი და ნოტიო ჰაერია, ანუ ცივი სასმელების დალევით — როდესაც ტანი შეხურებულია, ანუ ფეხის დასველებით და თბილის ოთახიდგან უცებ სიცივეში გამოსვლით. მაგრამ, გა-

ციების გარდა, ყელის ანთება შეიძლება წარმოსდგეს მტვერიანი და მაენებელის ორთქლის ხშირად შესუნთქვით. ყურადღების მიქცევა ამ მიზეზებზედ ამისათვის არის საჭირო, რომ ისინი ყოველთვის უჩვენებენ, რა უნდა იხმაროს ავად-მყოფმა, რომ უფრო კარგად უექიმოს. მაგალითად: თუ ყელის სნეულება გაციებისაგან არის, მაშინ ავად-მყოფი ყოველის ლონისძიებით უნდა ეცადოს, რომ ოფლი იდინოს, ტანი და მეტადრე ყელი ცივსა და ნოტიო ჰაერში კარგა თბილად იქონიოს. ყელის სნეულებას სხვა-და-სხვა თვისება აქვს. მსუბუქი ავად-მყოფობის დროს იმას მოსდევს მცირე სიწითლე, სიმსივნე და ჩხვლეტა ლუკმის ყლაპვის დროს.

უფრო საშიშარია სნეულება ყელისა მაშინ, როდესაც ყელში სნეულს გამოაჩნდება დიდი სიწითლე და ძლიერი სიმსივნე; ამასთანავე თუ ავადმყოფი გრძნობს ცივებას და სასა გაწითლებულია, იმას მაშინ არა თუ საჭმლის მილება, თვით სუნთქვაც ეძნელება. ამგვარი სნეულება, რომელსაც ხუნაგს უწოდებენ, გამოაჩნდება ან ერთბაშად ან ნელ-ნელა. ხუნაგი ძალიან საშიშია.

მესამე ნაირი ყელის ანთება ზოგჯერ უცებ არ გამოჩნდება. სასულეში ჩნდება ჯირყვალი, რომელიც თან-და-თან მსხვილდება და მაგრდება, და ნამეტნავად წითლდებათ ის დაალშობს სასულეს და დაალრჩობს კიდეც ავად-მყოფს. ავად-მყოფის ამგვარ მდგო-

მარეობას მოსდევს ციევება, ავად-მყოფი ხველების დროს ძალლიეთ ყეფს.

ამ სნეულებას რუსულად «კრუპს» ეძახიან, რომელიც უფრო ყმაწვილებს ემართებათ და ისე საშიშია, რომ მცირე ხანში იმას შეუძლიან ბოლო მოუღოს ავად-მყოფის სიცოცხლეს, ხშირად ყელის ანთების შემდეგ პირში და ყელში გამოჩნდება წყლულება, სადამაც სნეულს სდის მყრალი და გესლიანი ჩირქი. ამ ავად-მყოფობასაც მოსდევს ციევებ-ცხელების მდგომარეობა, რომელსაც ჰქვიან პარტახტის ციევება.

## წამლობა ყელის ტკივილისა.

ყელის ტკივილ ისეთი სნეულება არის, რომ მალე ითხოვს ექიმობას. როდესაც გამოჩნდეს ყელში მსუბუქი ანთება, რომელსაც ციევება არ მოსდევს, მაშინ პირველად იმისთვნა ლონის-ძიება უნდა ვიხმაროთ, რომ გარეგანი ყელის ჯანიც შევაფიცხოთ; ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ანთება შიგნიდამ გარეთ გამოვიდეს. ამისთვის კისრის გარეშემო უნდა დააკრან მდოგვი, აღწერილი № ნე. ეს მდოგვი იმდენ ხანს უნდა იყოს კისერზე დაკრული, სანამ ხორცის ჯანი არ გაწითლდება და შემდეგ უნდა მობანონ თბილი წყლით, მერე ახალი ლორის ქონი უნდა წაუსვათ ნაჭერ ფლანელზე ან მჩვარზე და კისერზე უნდა შემოახვიოთ. პირში სნეულმა უნდა იგლოს წამალი,

აღწერილი № ლვ-სა ქვეშე. საჭმელი უნდა იხმაროს ავად-მყოფმა უფრო მსუბუქი და რბილი. უნდა დაალევინონ დიდ-გულას ჩაე, აღწერილი № ლგ ქვეშე. ფეხები უნდა ჩააყოფინონ ნაცრის ტუტის წყალში, რომელიც აღწერილია № ნ-სა ქვეშე.

თუ ამ ზემო მოხსენებულის ლონის-ძიების შემდეგ ავათმყოფობამ არა თუ არ იკლო, არამედ გაძლიერდა და ცივება გამოაჩნდა, ანუ თუ უეცრად პირველადვე გაძლიერდა ყელის ტკივილი, ზედ ყელის ჩხვლეტა და ცივებაც დაერთო და ყლაპვა ველარ შეიძლო, მაშინ დაუბრკოლებლივ ექიმს უნდა მიჰმართონ, რადგანაც ამ შემთხვევაში საჭიროა სისხლის გამოშვება და სხვა ლონის-ძიების ხმარებაც, რომელიც დამოკიდებულია ექიმის გამოცდილებაზე. თუ ანთება ძლიერ უცებ ჩნდება და მ ურნალის მოშველება, გვიანდებოდეს, მაშინ უნდა დაუყონებლივ დაასხათ ყელზე ორივე მხრით წურბელა ათიდამ ოცამდე, როგორც წლოვანება და აგებულება მოითხოვდეს და როდესაც წურბელა დასცვივდეს, მაშინ თბილს წყალში დასველებულის ლრუბლით ნაწურბლი ადგილი უნდა იბანოს ხოლმე სნეულმა, რომ სისხლის დენა ერ შესწყდეს; შემდეგ ამისა ავად-მყოფმა ცოტ-ცოტად და ხშირად თბილი სასმელი უნდა სვას: ანუ ქერის, ანუ შვრიის ნახარში, რომელიც ასე შემზადდება: ერთი ჩარექა თბილს წყალში გარეცხილი ქერი ანუ შვრია ნახევარი საათი უნდა ადულო სამ ბოთლ

წყალში და რამდენათაც წყალმა მოიკლოს, იმდენათ თან-და-თან ხარშვის დროს მდულარე წყალი უნდა უმატო. შემდეგ ეს თხლე უნდა გაიწუროს და დაიდგას. ნახევარს საათის შემდეგ თხლე გადიღება სხვა ჭურჭელში და იმას მიემატება სამი კოვზი თაფლი და ლიმონის წვენი ანუ ძმარი; გარდა ამისა თეთრი პური უნდა ჩაიყაროს ცხელ რძეში და ისე შეჭიდონ ყელზე. როდესაც გაცივდეს, სხვა ახალი უნდა იხმაროს ხოლმე. თუ ავად-მყოფს სრულებით არ შეუძლია ყლაპვა, მაშინ უნდა გაუკეთონ აბანო, აღწერილი № მთ-სა ქვეშ; ცხელ წყალში ფეხების ჩადგმაც ძლიერ მოუხდება სნეულს. წყლულის დასამწიფებელად სნეულმა უნდა ივლოს ყელში თბილ-თბილი რძე, ნახარში ლეღვით ანუ დიდგულის ყვავილით.

მომეტებულად საშიში და საფრთხილებელი სნეულება არის კრუპი. ეს ავად-მყოფობა ჩვეულებრივ უფრო ყმაწვილებს სდევნის. კრუპი ზოგჯერ უეცრად გაჩნდება; მსწრაფლ აახრიტინებს და სუნთქვას გაუჭირვებს სნეულს, ძალლივით ყეფას დააწყებინებს; გამოაჩნდება ცივება და სთვლემავს; ეს ავად-მყოფობა უფრო ხშირად ისე შეემთხვევა, რომ კაი ხანი ცხადათ ვერც კი შენიშნავთ; ამისთანა შემთხვევაში ავად-მყოფი მხიარულობას ჰკარგავს, ხორცის კანი უხურდება, შუბუქი სურდო ხველა და ხრიწინი აქვს; ცივების მდგომარეობას ან სულ ვერ შეიტყობს, ანუ

ძალიან მსუბუქათ აქვს; შემდეგ ამისა ხრინწვა უმატებს, ძნელად და შტვენით სუნთქავს, ხველა მოსდის მშრალი და ხრინწიანი. ამასთანავე ემატება სეფდა და ცივება, პირის სახე და თვალები უწითლდება; ავადმყოფი ცდილობს ხოლმე, რომ სუნთქვა გაიადვილოს. დრო-დროთი ავად-მყოფი უცებ გრძნობს შელავათს, მაგრამ ცოტა ხნობით; შემდეგ სნეულობის გვემა უძლიერდება; მერე ხელახლად ჰგრძნობს ცოტაოდენ შელავათს, მაგრამ მერე კიდევ უფრო ძლიერ და უფრო მალე მოუბრუნდება თავისი სენი. სუნთქვა უმეტესად უძნელდება, ძარღვების კრუნჩხვა გამოაჩნდება, თავზე ოფლი მოუა, ყელისა და პირის ძარღვები დაეჭიმება, დიდი წვალების და ხველების შემდეგ ავადმყოფი პირიდგან ამოიღებს თეთრს ანუ მწვანე ნახველს, რომელიც დროებით სუნთქვას შეუმსუბუქებს. ეს სნეულება, როგორც წინეთ ვსთქვით, მალე მოქმედებს, ამისთვის საჭიროა, რომ აუცილებლად ავად-მყოფს დროზედ შემწეობა მისცონ და უყურადღებოდ არ დასტოვონ სნეულობის შემჩნეული ნიშნები; თუ მკურნალის ჩქარა მოსვლის იმედი არ არის, იმის მოსვლადმდე უნდა, უეჭველად, მიიღონ შემდეგი ლონის-ძიებანი; შეატყობთ თუ არა, რომ ავადმყოფი ისე ახველებს, თითქო ჰყეფსო და სუნთქვაც უძნელდება, მაშინათვე წურბლები უნდა დაასხათ კისერზე ორიდგან ათამდე, როგორც წლოვანება მოითხოვდეს. თუ ყმაწვილი სამი წლისაა, შეიძლება ოთხი

წურბელი დაასხათ, თუ ექვსისა—ექვსი, თუ რვისა—ათი და თუ მეტისა თუთხმეტამდე. ამავე დროს უნდა მდოგვი დააკრათ ფესებზე, აღწერილი № ნე. როდესაც წურბელა ჩამოსცვივდეს, უნდა ეცადონ, რომ სისხლი არ შესწყდეს მალე. ყველაზე უკეთესი წამალია, როგორც გამომიცდია, ცხვირის ნესტოებიდან სისხლის გამოშვება. ეს საშუალება ყოველგვარი ყელის ტკივილისათვის უებარია, ანთებისაგან იქნება იგი, თუ ჩვეულებრივ სისხლის მოსვლისაგან.

---

## თავი მეცამეტე.

## ბაციებისაგან გაჩენილი ცივება და ხველება.

როდესაც კაცს ტანში უვლის დღისით რალაცა ქრუანტელი და მასთან აქვს სურდო-ხველა და ღამით ეძლევა სიცხე, უნდა ვიცოდეთ, რომ კაცი მაშინ გაცივებული არის, სიცივე დაკრულია.

ეს ხდება ხშირად მაშინ, როდესაც შემდეგ ძლიერ სიცხისა უცფათ გაგრილდება, ანუ აცივდება და სინოტივე დაჰკრავს კაცს. ამისთანა მოულოდნელ ჰაერის გამოცვლაზე ადვილად გაცივდებიან, ვინც მუშაობით ძლიერ გაფიცხებულია. გაცივდებიან, როდესაც ოთახში ცეცხლის პირს ძლიერ გაფიცხებულნი არიან ცეცხლითა და თბილი ოთახიდან

გარეთ სიცივეშიგამოდიან ჩაუცმელნი, მაშინაც ადვილად გაცივდებიან. და როდესაც ნამუშევარი კაცი სველ ტანისამოსს არ გამოიცვლის. გაცივების შემდეგ ოფლის დენა, რომელიც კაცს ნიადაგ აქვს, უცებ შესწყდება. ყველაზე ცუდია და საშიშო სოველ ტანისამოსში დაძინება. უკანასკნელი მიზეზისაგან ხშირად გადამდები სნეულებაც ადვილად გაუჩნდება კაცს.

## ნიშნები ამ სნეულებისა.

გაცივებული ავად-მყოფი გრძნობს მცირე ცივებას, ანუ მსუბუქ ქრიალსა, მთელი სხეულის სიმძიმეს, ღამით სიცხესა, წელისა და წინა ნახევარი თავის ტკივილს. ამისთანა ნიშნები ან კაცის რომელიმე ტანის ცალკე იარაღში იგრძნობება და ან მთელი ტანი ერთად წვალობს და იგვემება.

ამ დროს ავად-მყოფს ცხვირიდამ მოსდის ნაზლა, თვალები უწითლდება და ცრემლი მოსდის, მკერდი შეხუთვილი აქვს, ყლაპვა უძნელდება, საჭმელი სძულს, მადა დაკარგული აქვს, ენა თეთრად აქვს დაფარული, სხეულის კანი ძლიერ გაფიცხებული აქვს და ხმელი.

## წ ა მ ლ ო ბ ა.

პირველად ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება კუჭის გაწმენდას, სხეულის კანის დარბილებას და ოფლის გამოყვანას. კუჭის გასაწმენდელად უნდა სნეულმა მიიღოს წამალი, აღწერილი № კა-სა ანუ

№ ПОТ-სა ქვეშე. ოფლის მოსაყვანად საუმჯობესო იქმ-ნება სნეულს ასვან დიდ-გულის ყვავილის ჩაი, აღწერილი № ლბ-სა ქვეშე. სხეულის ტანის დასარბილებ-ლად კარგი საშუალება არის ძმარში დასოვლებუ-ლი ლრუბელი, რომ მთელ ტანზე წაუსვან. ეს საშუალება ძლიერ არბილებს კანს, რაც უნდა გაფიც-ხებული იყოს. სასაქმებელი წამალი კიდევ უნდა მისცენ მეოთხე დღეს, რომ მუცელში არ შეკრას სნეული.

თუ სნეულს ენა თეთრი აქვს, გულს ერევა, პირი მწარე აქვს, ჭამის მადა არა აქვს, მაშინ უნდა მიეცეს პი-რიდამ სასაქმებელი წამალი, აღწერილი № კბ-სა ქვეშე; ანუ თბილი წყლის დალევით და ყელში თითის ჩაყოფით უნდა ეცადოს სნეული, რომ მასს პირიდამ ასაქმოს.

ამ სნეულების დროს ავად-მყოფმა უნდა იხმა-როს საჭმელი მსუბუქი და ადვილად მოსანელებელი, ესე იგი: ძლიერ მოხარშული ბურღულის შორბა— შეჭამადი მცირეს ერბოთი, ანუ კარგის ზეთით გაკე-თებული, ანუ ძლიერ მოხარშული ვარიის, ანუ ქათ-მის მარტო წვენი; ანუ მოხარშული მარტო გამხმარი ქლიავი, ანუ მარტო შემწვარი ვაშლი შაქარ დაყ-რილი.

როდესაც ბალლმისნაირი ნახველი დაუწყებს დე-ნას და ამასთან ცოტა ოფლიც მოუვა, ეს კარგი ნი-შანია. ამისთანა შემთხვევაში ჩვენ უნდა ვიხმაროთ

წამალი, აღწერილი № ჲე-სა შინა; ეს ნახველის ამოღებას გაუადვილებს. ოთახში, სადაც სწევს სნეული, უნდა იყოს ზომიერი სითბო, რომ ოფლი უფრო მოუვიდეს; სნეული კარგად ჩაცმული უნდა იყოს.

ხანდისხან კაცი გაცივდება და ხველება აუტყდება, მაგრამ სხვა ზემოთ მოყვანილნი ნიშნები კი არ გამოაჩნდებიან. მარტო ხველება დიდათ საშიშო არ არის და შეიძლება, რომ ერთი ორჯერ ოფლის მოსვლით ხველებაც გადუგდოს სნეულს, მაგრამ თუ ხველება მომეტებული აქვს და ოფლის მოსვლითაც არ მოუჭრის სნეულს, მაშინ საჭირო არის, ყველა ზემო თქმული საშუალებანი და ზომანი ეიხმაროთ.

---

## თავი მეთოთხმეტე.

### მკერდის მჭვალი ფილტვების ანთებისაგან წარმოდგენილი, ფერდა.

მახვილის მსგავსად მჩხვლეტელს ტკივილს მკერდისას ციებით უწოდებენ მკერდის მჭვალს, ფერდას ფილტვის ანთებას.

ეს სნეულება ციებით იწყება; თუ ანთებას დიდი ადგილი აქვს დაკავებული, მაშინ ციებაც ნამეტანი აქვს სნეულს; თუ ცოტა ადგილზე არის ან-

თება, მაშინ ციებაც მცირეა, ავადმყოფი ძლიერ შეშფოთებულია, ხან აცივებს, ხან დიდ სიცხეს ჰგრძნობს. მაგარი და მოუთმენელი ტკივილი აქვს სნეულს მთელს მკერდში და ანუ რომელიმე ადგილას; ეს ტკივილი უფრო მოუმატებს ჩასუნთქვაზე. ტკივილი ამოსუნთქვაზე კი შემცირდება ცოტათი და სუნთქვის დაჭენებაზე. აქვს სნეულს ხმელი ხველება; ხანდისხან ნახველს ატანს სისხლსა. თავი სტკივა, პირი ძლიერ გამხმარი აქვს და წითელი, როტავს, სხეულის კანი ძლიერ გაფიცხებულია, შარდი მცირე და მოწითალო. ყველა ეს მოხსენებულნი ნიშნები ლამით უმეტესად გაძლიერდებიან. ხანდისხან სნეულს გული ერევა, პირიდამაც ასაქმებს. ხელით დაწოლის დროს ტკივილს ჰგრძნობს სნეული.

ხშირად ამისთანა მკერდის მჭვალი, ქარის სნეულებისაგანაც წარმოსდგება; მაგრამ თუ ამისთანა მჭვალები მკერდის ქარების მიზეზით არის, ამით უნდა შეიტყოს კაცმა, რომ ციება არ ექმნება, ამასთან ამოსუნთქვაზე და ჩასუნთქვაზე ტკივილი არ ემატება სნეულს და არც ხელის დაჭირებაზე ჰგრძნობს ტკივილს.

თუ სნეულს ტანის აგებულება და მოყვანილობა მკერდისა კარგი აქვს და ამასთან მკერდის ავადმყოფობით წინეთაც არ ყოფილა ავად, მაშინ ადვილად შეიძლება სნეული განთავისუფლდეს ამ ავადმყოფობისაგან. უნდა გაუფრთხილდნენ, რომ სნეულს

არ მისცონ რაიმე მხურვალე საჭმელი და სასმელი, არც ღვინო, არც არაყი და არც მიხაკ-დარიჩინიანი რამე. თუ სნეულს ავად გახდომამდის ფილტვის რომელიმე ადგილი ჰქონდა დაშავებული და დაზიანებული, ეს მით იცნობება, რომ სნეულს ცივება ყოველს დღეს მოუვლის, ამასთან მაჯის ცემაც ექნებაარა სწორი და ძლიერ სუსტი. თუ ეს ნიშნები აქვს სნეულს, მაშინ ავადმყოფობა ძლიერ მძიმე მოსარჩენია და საუმჯობესო იქნება, რომ ექიმს მოუწოდონ, საიდამაც უნდა იქნეს.

თუ ავად-მყოფს მეორეს, ანუ მესამეს, ანუ მეოთხე დღეს გაუჩნდა ოთხი ნახველი, რომელშიაც მცირე სისხლი ურევია და ამასთან ნახველიც ადვილად ამოაქვს, ეს კარგი ნიშანია. თუ ამისთანა ნახველის მაგიერ სნეულს ამოაქვს მარტო სისხლი, ანუ ყვითელი ნახველი, ანუ წწვანე, ანუ შავი, მაშინ ეს ნიშნები კარგის შომასწავებელნი არ არიან. ისიც ცუდია, თუ სულ ჯრავითარი ნახველი არ მოდის ოთხ დღემდისინ. თუ სნეულს ოფლი გამოაჩნდა, მაგრამ მჭვალი და სხვა ტკივილი და ცივება არ შეუმცირდა, მაშინ ძლიერ საეჭვო არის სნეულის მორჩენა და თუ მერვე ანუ მეცხრე დღეზე ოფლი გამოაჩნდა და მცირეთაც სნეულება შეუმცირდა, მაშინ საიმედო არის სნეულის მორჩენა. თუ მკერდის მჭვალი ერთი ადგილისაგან მეორეზე იცვლება, ქარისაგან იქნება და საშიშო არ არის.

# წამლობა ამ სნეულებისა.

თავ-და-პირველად უნდა შეიტყონ, მუცელში შეკრულია სნეული თუ არა და, თუ ყაბზათ არის, უნდა მისცონ მასს სასაქმებელი წამალი, აღწერილი № კ-სა ქვეშე; ანუ გაუკეთონ ოყნა, აღწერილი № ნზ-სა ქვეშე. მკერდზე, განსაკუთრებით სადაც ნამეტნავად აქვს მჭვალი, უნდა დააკრან მდოგვი, აღწერილი № ნე-სა ანუ შპანსკი, აღწერილი № ნდ-სა ქვეშე, და ვიდრემდის კარგა ბარაქიანათ წყალი არ გამოიტანოს, არ უნდა აიღონ. თუ ნამეტნავად შეხუთვილი აქვს სნეულს მკერდი და სულის ამოღება უძნელდება, სასარგებლო იქნება ათი წრუბლის მოკიდება გვერდებზე. შიგნივ სასმელად უნდა ხმარობდენ ნახევარ საათში თითო სტოლის კოვზს წამალს, აღწერილს № ჲე-სა შინა. წყლის მაგიერ სნეული უნდა სვამდეს ქერის ანუ ბრინჯის წყალს. უნდა ცდილობდნენ, რომ როგორიმე გზით ოფლი მოგვარონ სნეულს, რომლითაც დიდი სალავათი მიეცემა. თუ ნახველი მოსდის ყვითელი და სისხლ-ნარევი, სისხლის გამოშვება და ძალით ოფლის მოგვრა სნეულს კიდევაც აწყენს, რადგან სიცხის შემატება მკერდს ძლიერ ავნებს. ოთახი უნდა იყოს ზომიერად თბილი და ხშირად უნდა გასწმინდონ ოთახის ჰაერი კარის, ანუ ფანჯრის გაღებით. თუ მჭვალი სნეულს არ ემატება, მაჯის ცემაც წყნარი

აქვს, მაშინ მარტო ერთი წამალიც, რომელიც აღწერილია № ᲥᲗ-სა ქვეშე, საკმაო იქნება სნეულის მოსარჩენად.

მეშვიდე, მერვე და მეცხრე დღეზედ, თუ სნეულს მოუვიდა ოფლი, ანუ ნამეტნავად შარდზედ დაიწყო სიარული, ანუ ხშირად ტანიდამ საქმობა დააწყებინა, უთუოდ სნეულება შემცირდება.

სნეული ძლიერ გაფრთხილებული უნდა იყოს სასმელ-საჭმელის მიღებაზე, ვიდრემდის კარგად არ მორჩეს. ერთჯერ თუ გაცივდა კაცი, მეორეთაც ადვილად გაცივდება და ამისთვის ძლიერ უნდა გაუფრთხილდეს სნეული თავის-თავს, რომ მორჩენის შემდეგ ხელმეორეთ არ გაცივდეს.

---

## თავი_მეთუთხმეტე.

## პირიდამ საქმობა და მისი წამლობა.

ხშირად კაცს პირიდამ ასაქმებს კუჭის ბალღამზე. ეს დაემართება ხშირად ცუდი საჭმელისაგან, ანუ ბალღმით კუჭის დამძიმებისაგან. პირველად კაცი ჰგრძნობს გულის რევას, გულის კოვზის სიმძიმეს, სიცივეს, ანუ მცირე ტანში ჟრჟოლას, საჭმლის სიძულილს და ნამეტნავად ხორცისას; მასთან თავ-

ბრუ ესხმის, ენა თეთრი აქვს, პირი მწარე, ღამით ცოტა ოფლი მოდის და მჟავე სასმელის სურვილი აქვს ძლიერ.

ამ სნეულებისაგან მოსარჩენად საიმედო წამალი არის თბილი წყლის სმა, რომლითაც კუჭის უწმინდურობა გათხელდება და ადვილად ასაქმებს სნეულს; თუ თბილმა წყალმა არ ასაქმა სნეულს პირიდამ, გულის რევა, მწარე პირი და საჭმლის სიძულვილი კიდევ აქვს, მაშინ უნდა მისცონ პირიდამ სასაქმებელი წამალი, აღწერილი № კბ-სა ქვეშე.

შემდეგ პირიდამ საქმობისა სნეული გაფრთხილებული უნდა იყოს, რომ მძიმე მოსანელებელი საჭმელი არა სჭამოს რა და კუჭი მით არ დაიმძიმოს. პირის ღებინების მოსაჭრელად უნდა თითო ყლაპი ცივი წყალი სვას ხოლმე სნეულმა დრო გამოშვებით.

---

## თავი მეთექვსმეტე.

## პირიდამ და ტანიდამ საქმობა და მისი წამლობა.

ხან-დის-ხან ერთსა და იმავე დროს კაცს აუტყდება პირიდამ და ტანიდამ საქმობა.

აი ამ სნეულების ნიშნები: სნეული მუცელზე არის შემობერილი, ხშირი ბლოყინი აქვს, გულს ერევა, პირიდამ და ტანიდამ ასაქმებს, განავალი სნეულს თეთრი აქვს, ანუ შავი, ანუ მწვანე, ანუ ყვითელი, მაჯის ცემა პირველად

მაგარი და ჩქარი, მაგრამ ბოლოს კი სუსტი. როდესაც ამისთანა ნიშნები მომეტებულად აქვს სნეულს, ძლიერ ლონიერი კაციც რომ იყოს იგი, დიდათ დაასუსტებს; ამ მდგომარეობაში რამოდენიმე საათის შემდეგ კაცი ნამეტნავად სუსტდება.

ამისთანა მდგომარეობაში რამოდენიმე საათის შემდეგ კაცი ნამეტნავად სუსტდება.

ამისთანა მდგომარეობაში სნეული ძლიერ მწუხარებას გრძნობს და, თუ ავათმყოფი უყურადღებოდ იქმნა დარჩენილი დიდხანს, საძნელოც შეიქმნება მისი მორჩენა.

ეს სნეულება ხშირად ჩნდება წამხდარი ნალველისაგან, რომელიც უმეტესად მოხდება მომეტებული სიცხეში მუშაობისაგან. აგრეთვე წამხდარი და დამპალი საჭმელი-სასმელისაგან, უზომოდ ხმარებისაგან მხურვალე სასმელ-საჭმელისა, ბევრი ხილის ჭამით და ნამეტნავად მკვახისა, უმწიფარისა.

როდესაც პირიდამ და ტანიდამ საქმობა გაფუჭებული ნალველისა, წამხდარი და დამპალი საჭმელისაგან არიან გაჩენილნი, მაშინ სნეულს უნდა მიეცეს თბილი წყალი ცოტ-ცოტა და ტანიდამ სასაქმებელი წამალი, აღწერილი № თ-სა ქვეშე, რომ კუჭი გაიწმინდოს. ამასთან უნდა მიეცეს სნეულს ნელ-თბილი წყლისაგან გაკეთებული ოყნა, აღწერილი № ნზ-სა ქვეშე. სნეულს უნდა ასვან მოთბო წყალი რძე გარეული. არას გზით ღვინო და მხურვალე სასმელი და საჭმელი არ უნდა მისცონ სნეულსა. მუცელზე, კუჭის სწორა, უნდა

ადებდენ პიტნით გატენილ პატარა პარკებსა ანუ მოზელილ და გამთბარ ქატოსა, აღწერილს №ნ8 სა ქვეშე. თუ პირიდამ და ტანიდამ საქმობა აქვს გაჩენილი რაიმე საწამლავის გადაყლაპვით, მაშინ საჭიროა არის ექიმს დაუძახონ და თუ ექიმი არ არის, ისე მოიქცნენ, როგორც ამ წიგნში არის დარიგება მოწამლულთათვის.

---

## თავი მეჩვიდმეტე.

### მსუბუქი ყვანა, ღურღულა და მისი წამლობა.

ხშირად კაცს აქვს გულის რევა, პირის სიმწარე, საჭმლის სიძულილი, დამძაღებული, ანუ მჟავე ერბოს მსგავსი ბლოყინი და გარეთ გადის მცირე ყვითელ განავალზე, რომელიც არის ბალღმის მსგავსი სითხით დაფარული.

ზოგიერთ შემთხვევაში ამისთანა ყვანა სასარგებლოც არის, ამისათვის რომ ამ ყვანით ჩვენი ტანი გადარჩება სხვა საშიშარ სნეულებას და არც დიდი წამლობა უნდა ამას; მხოლოდ ამ ღროს უნდა აერიდოს კაცი ცუდი მაგარ სასმელ-საჭმლის ხმარებას, ძლიერ მსუქან და მძიმე საჭმელს და უმეტესად ხორცისას, რისაც უნდა იყოს; აგრეთვე მოხარშულ

კვერცხსა. სასმელად უნდა იხმაროს ქერის წყალი, აღწერილი № ნთ-სა ქვეშე.

თუ ამისთანა ყვანა გაგრძელდა დიდხანს და ავათ მყოფი დასუსტდა და ამასთან სნეულს მუცლის ტკივილიც აუვარდა, მაშინ უნდა მისცენ ტანში გასაწმენდი ზეთი, აღწერილი № ით-სა შინა, ამის შემდეგ უნდა დაალევინონ ერთი პატარა ფინჯანი პიტნის ჩაე, აღწერილი № ლვ-სა შინა, ორჯერ დღეში დილას და საღამოს, სანამ კარგად კუჭი დაუმაგრდებოდეს. საჭმელად შეიძლება მიეცეს სნეულს წამოდულებული რძე, რომელშიაც ცოტა პიტნა უნდა იყოს ჩაგდებული. თუ საჭმელს ვერ ინელებს, მაშინ შეიძლება ცოტა ღვინოც მიეცეს ავათმყოფს საჭმლის მოსანელებლად.

---

## თავი მეთვრამეტე.

### ბნედა, ავი ჭირი, ავი ზნე, უხსენებელი.

ბნედას, ავზნეს, ავჭირს ეძახიან ისეთს ავათმყოფობას, რომელ ავადმყოფობის დროსაც კაცს ეკარგება ცნობა, ფარდება მიწაზე და სხეული საშიშრად ემანჭება და მოძრაობს უნებურად.

ეს საშიშარი ავათ-მყოფობა მშობლებისაგანაც გადაეა შვილებზე, რომელსაც უწოდებენ თან შობილს

და სხვა მიზეზებითაც გაუჩნდება. თუ დედმამათაგან რომელიმეს ჰქონდა ბნედა, უთუოდ გამოაჩნდება შვილსაც. შეიძლება დედ-მამას არ ქონებოდეს, მაგრამ მათ პაპას ანუ ბებიას სჭირდა, შეიძლება შვილს არ გამოაჩნდეს ეს სენი და შვილი-შვილს კი დაემართოს. ბნედით უმეტესად ქალები ხდებიან ავად, ვინემ კაცები. ძლიერ ღრმა მოხუცებულებს და ბავშვებს პირველ თვეებში დაბადებიდამ, ძნელად შეიძლება ბნედა გამოაჩნდესთ.

ბნედა ემართებათ ნამეტნავად ხმელი ტანის მქონე პირთა, მომთვრალეთა და მეჩუკუნეთა (ასოს ხელით მწვალებელთა). ნამეტანი შეშინებს, დაუსრულებელი გაზდა თავის ძვალისა, ტვინს და ძვალს შორის გამჩდარი გამაგრება, ანუ შეხორცება ძვალზედ, ანუ ტვინზე ტვინის ბუდისა, სხვა-და-სხვა მუწუკები და სიმსივნე ტვინში, ანთების შემდეგ დარჩენილი რამე წყალი ტვინში, ხანგრძლივი წყალმანკი, ანუ გასივება ტვინისა, არიან ისეთი ტვინის სნეულებანი, რომელთაგან კაცს ხშირად ემართება ბნედა. ზოგიერთ სევდიან ქალებს ბნედა გაუჩნდებათ პირველად მამაკაცთან შეერთების დროს. დიდი უსულოს ჭიისაგანაც გაუჩნდება კაცს ბნედა.

სხვა-და-სხვა პირთა ბნედა სხვა-და-სხვა ნაირათ მოუელის. ზოგნი ცნობის და გრძნობის დაკარგვამდის ფეხებიდამ დაწყებული თავამდის-გრძნობს რაღაცა მავალ-ქარის მოძრაობას. ზოგი ჰგრძნობს რაღაცა ქაფილს,

სიცხეს, ხორცის გაშეშებას, ანუ ტკივილს თავის სხეულის სხვა-და-სხვა ადგილს. ზოგნი ამის მაგიერ გრძნობს სხვა-და-სხვა ადგილას სხეულზე ადგილობრივ დამბლობას და ძარღვის გაჭიმვას. ზოგი კიდევ ამათ მაგიერ ჰგრძნობს, ბნედის მოსვლამდე, ყურების ბუბუნს, ხედავს ნაპოწკიალებს თვალის წინ და სხვა-და-სხვა ყვავილებს და თავის რეტის დასხმას.

როგორი გრძნობითაც უნდა მოუვიდეს კაცს ბნედა, ის წინეთ ერთს დაიყვირებს და დაეცემა ძირს უგრძნობლად; ხშირად დაეცემა ანუ ზურგზე გულალმა, ანუ გვერდზე. სრულებით ველარ მოასწრებს, რომ კარგი ადგილი გამოარჩიოს დასაწოლად. წაიქცევა თუ არა კაცი ბნედით, ხელ-ფეხი დაუწყებს ცახცახს, თავი გადიწევა უკან, ანუ ხშირად გვერდზე: კბილები შეეკვრის და მაგრათ ერთი ერთმანეთზე მიეკვრიან, თვალები ნამეტნავად გამოხელილნი ინძრევიან. მკერდი არ ინძრევა, მაგრამ სუნთქვა შეუტყობელი აქვს დროებითად; პირის სახე ულურჯდება. გაშეშებული პირის სახე დაიწყებს სხვა-და-სხვა ნაირ მოძრაობას; კბილები ერთი ერთმანეთზე დაიწყებენ რახა-რუხს, თვალები ხან-და-ხან გაეხილება, ტუჩზე მოუა ქაფი, დუჟი. ხელები და ფეხები ისეთ მანჭვას დაიწყებს ხშირათ, რომ ძვლები გადატყდებიან და სხვა...

ამისთანა სხვა-და-სხვა მოძრაობანი, სნეულის გაუგებლად, მრავალნი აღსრულდებიან. ავათმყოფები ერთ ღრმა ძილში ვარდებიან, როდესაც ბნედა

გაუელის მათ, ძლიერ უკვირთ, რომ სხვის სახლში ანუ სხვა უცხო ადგილას არიან დაწოლილნი. სრულებით მათ არა აწსოვთ რა, თუ როგორ მოუვიდათ ბნედა და როგორ წვალობდნენ.

## წამლობა ამ სნეულებისა.

როდესაც ოჯახობაში ჩამომავლობით სჭირსთ ბნედა, ამისთანა პირები არას გზით არ უნდა მიეთხოვონ ერთი ერთმანეთს, თორემ ჩამომავლობით ყველა ბნედიანები შეიქნებიან.

ეს სნეულება ისეთი ძნელი საექიმო არის, რომ საუმჯობესოა ყოველ შემთხვევაში გამოცდილს ექიმს მოუწოდონ, თუმცა ხშირად, საუბედურად, გამოცდილი ექიმისაგან ხმარებული საშუალებაც დიდ სარგებლობას ვერ აღმოაჩენს ხოლმე.

თუ ბნედიანები ძლიერ ხმელნი არიან, უნდა ეკადონ, რომ კარგი საჭმლის საშუალებით ტანი გაიმრთელონ. ბევრ კითხვას, წერას და საზოგადოთ გონებით ცდილობას, რომელიც ძლიერ ასუსტებს კაცს, თავი უნდა დაანებონ სნეულთ. ამისთანა სნეულები უნდა მოძრაობდენ. ბნედიანი ბავშვები დიდ ხანს ვერ უნდა კითხულობდენ წიგნს. ქალაქებში ყოფნას საუმჯობესოა მათთვის, რომ სოფელში სცხოვრებდნენ და სოფლის წმინდა ჰაერით სარგებლობდნენ. ძლიერ ნამეტნავად უნდა მიაქციონ

ყურადღება სნეულის ყოფა-ქცევას. უნდა შეიტყონ ხომ არ მიჩვეულან იგინი ძლიერ გარყვნილებას, ჩუკუნებას (ასოს ხელით წვალებას) და მთვრალობას; თუ შეტყობილ იქმნეს რომელიმე ეს ცუდი მოქმედება, ფიცხლად უნდა დაუშალონ მათ, თუ ბნედა სისხლ ნაკლებობისაგან ანუ სატკბურისა და ათაშანგისაგან წამოსდგება, მაშინ პირველად ამ მიზეზებს უნდა მიაქცირონ ყურადღება და უექიმონ. თუ შენიშნული იქმნება, რომ ბნედიანი სისხლ-ჭარბიანია, მაშინ საუმჯობესოა შცენარის საჭმელი იხმაროონ. თუ შენიშნული იქმნა, რომ ბნედის მიზეზი დიდი უსულოჭია არის, მაშინ უნდა იხმაროონ უსულო ჭიის წამალი. შპანსკის დაკვრა კისერზე და დიდ ხანს გაჩერება და წყლის დენა ამ ადგილიდამ დუგუნის მსგავსად, რომელიც აღწერილი არის № ნდ-სა ქვეშე, ძლიერ სასარგებლო არის ხან-დის ხან.

სოფლებში არიან ზოგიერთები, რომელნიც ჩეშულობენ ბნედის მორჩენას. მაგრამ ჩვენის აზრით, ისინი ატყუებენ მხოლოდ ხალხს. ისინი ამბობენ ბნედის მოსარჩენად ირმის რქის წაფხეკს და ხშირად მოხდება, რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ ბნედამ გადაუაროს კაცს და ალარ მოუვიდეს, მაგრამ ეს ამ წამლობისაგან კი არ მოხდება, თვითონ ბნედას ისეთი თვისება აქვს, რომ ზოგს ერთჯერ მოუვლის და ბოლოს თვითონ გადუგდებს და დიდხანამდის ალარ გაუვლის ტანში სნეულს. ხშირად მოხდება, რომ

რამოდენიმე მოვლის შემდეგ ბნედამ სულაც გადაუაროს. სხვა წამლებიც ბევრია მისი მოსარჩენი და, მართლა, ზოგიერთები ამ წამლობით ექიმებისაგან კიდევაც მრავალნი რჩებიან, მაგრამ ეს იმისთანა წამლებია, რომლის ხმარება მარტო ექიმს შეუძლია.

ამ ავათმყოფობისაგან იმდენი არ კვდება, რამდენიც გაუფრთხილებლობისა და მოუვლელობისაგან კვდებიან. წინეთაცა ვსთქვით ჩვენ და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ისე უცფათ მოუვლის ბნედა კაცს, რომ იმის მოფიქრებაც ალარ შეუძლია საწყალს ბნედიანს, ხეირიანი ადგილი გამოარჩიოს დასაწოლად მიწაზე. ამისათვის საწყლებს მოუვათ თუ არა ბნედა, ზოგი მალლიდამ ვარდება. ბნედას კი გადურჩება კაცი, მაგრამ წყალს, ცეცხლს, მალლიდამ გადმოვარდნას კი ველარ გადურჩება. ნიადაგ კაცი გაფრთხილებული უნდა იყოს, რომ ბნედიანი დაიცვას უბედური შემთხვევისაგან. ერთი გზირი სულ მიჩენილი უნდა ყავდეს სნეულს. ბნედიანი არასოდეს ხეზე არ უნდა შეეიდეს; არც წყალში უნდა გაჩერდეს, თუ არავინ უყურებს და მშველელი არ ჰყავს. ლოგინი ისე უნდა ჰქონდეს მოწყობილი, რომ არ გადმოვარდეს. თუ კაცი არ უყურებს, ადვილად შეიძლება პირქვე დაეცეს კრაოტზე, ანუ ლოგინზედ, ბალიშში თუ პირი ჩადვა, სულს ველარ ამოაიღებს და მოიხჩობა. როდესაც ხელ-ფეხი და სხვა ადგილები სხეულისა საშიშრად დაუწყებს მანჭვას, ძალით გასწორება არ

უნდა დაუწყონ, თორემ ეს ნამეტნავად შეაწუხებს ბნედიანს. არავის არ უნდა ეშინოდეს ბნედიანის მიკარებისა, რადგან ეს სნეულება გადამდები არ არის და არც ეშმაკეულობით გაჩნდება, როგორც ზოგიერთებს გოხიათ. დანით გარეშემო მიწის შემოხაზვა და თავით დანის დასობა სისულელე არის. ამას არავითარი სარგებლობა არ შეუძლია აღმოუჩინოს ბნედიანს.

ეს ავათმყოფობა დღემდისინ არ ჰქონიათ გაგებული და არც სარწმუნო წამლობა იყო გამოგონებული მის მოსარჩენად, მაგრამ დღეს ზოგიერთ ექიმებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ამ სნეულებას და თან-და-თან უფრო იკვლევენ ბნედის სნეულებას და იმედია ბოლოს წამალსაც გამონახვენ...

---

## თავი მეცხრამეტე.

### ჭიით სნეულება და მისი წამლობა.

ადამიანის შიგნეულობაში, წელებში ხშირად ბუდობს ერთგვარი მატლი, რომელსაც ჭია ვეძახით და კაცის ავათმყოფობის მიზეზია. ჭია ადამიანის წელებში ბევრ-გვარია, მაგრამ უფრო ხშირად სამნაირია. ერთია წვრილი, მატლის მსგავსი, წამხდარ ყველში რომ ჩნდება, იმგვარი; ნამეტნავად უკანა

კართან ბუდრობს, ამ ადგილს აქავეას და კაცს ხშირად ფარეთ გასასვლელად ატარებს. მეორე გვარი ჭია მრგვალია, ჭიაყელას ჰგავს და მესამე გვარი ბრტყელი ჭია ორ-გვარია: მოკლე სახსარიანი და გრძელ სახსრიანი. გრძელ სახსარიანი ბრტყელი ჭია ჩვენში უფრო ხშირად მოკლე სახსრიანზე, ბრტყელი და და ძალიან გრძელია, ისე რომ ხან-დის-ხან სამოც ადლზე მეტია. თავი წმინდა გრძელ ძაფს უგავს, სი-გრძე სახსრებით აქვს დაყოფილი და თითო სახსარი გოგრის კვახის თესლს ემსგავსება.

ჭია უფრო სუსტ აგებულების ადამიანს უჩნდება და ვინც წელებში უფრო წალა იცის; ამისთვის ჭია მეტადრე ყმაწვილებს უჩნდებათ, ვიდრე წლოვანებს. მაგრამ ბრტყელი ჭია პატარა ყმაწვილებს იშვიათად აქვსთ და ძუძუ-მწოვარ ყმაწვილებს თითქმის არას დროს არ უჩნდებათ.

ხანში შესულებს და ყმაწვილებს თითქმის ერთ-ნაირად უჩნდებათ ჭია. ნიშნები ჭიით სნეულებისა არის შემდეგი: სახე ცოტათი თითქო უსივათ, ფერი ეკარგებათ, თვალების ირგვლივ მოლურჯო ფერი ეცემა, ცხვირი შიგნით ექავებათ, ცხვირის ნესტოების ნაპირები ცოტათი უსივდებათ და უწითლდებათ, პირში ნერწყვი ძალიან ხშირათ მოსდით. მეტადრე დილაობით უბმოთ რომ არიან; ხშირად ცხვირს აცემინებს, თვალის შუა ბაია, გუგა უგანიერდებათ, რაც უნდა საღ სინათლეს უყურებდნენ; ზოგჯერ

მადა ეკარგებათ და ზოგჯერ კი დიდი მჭამლელი ხდებიან; მუცელი უმძიმდებათ ჭაჭის შემდეგ, მეტადრე თუ იმისთანა საჭმელი მიიღეს, რაც ჭიაზედ ცუდათ მოქმედებს, მაგ. სტაფილო, მცხარე საჭმელი, ხრენი, მდოგვი, ხახვი, ნიორი და ყველა ამგვარი რამე; ვისაც ჭია აქვს, მუცელი დიდი ექნება ხოლმე და მაგარი, ტანის სხვა ნაწილები გამხდარი აქვსთ; შარდი მღვრიე აქვს, თითქო რძე ნარეევი იყოს და ძილი მოუსვენებელი.

რომელ ყმაწვილსაც ჭია აქვს, მუდამ ავადმყოფია, მაგრამ ძალიან მჭამელი კია; ზოგი კი ჭამას არ ეტანება, მაგრამ წამ-და-უწუმ წყალსა სვამს. გული ერევათ და მუცელი სტკივათ. ხან-დის-ხან მშრალი ხველა მოსდისთ, ყაბზობა, ანუ კიდევ ბაყლზე მუცლის ყვანა ემართებათ. ამისთანა ყმაწვილები ძალიან მდუნენები და მძინარეები არიან. ძილის დროს ძალიან ოფლი იციან, კბილებს აკრიჭინებენ და ძილში კრთებიან ხოლმე. ავადმყოფობა რომ უძლიერდებათ, ცივება, გულ-ყრა და ხუთვა მოსდით. ტანის ზოგიერთი ნაწილი ებუჟებათ, ტანზე მეწუკსა ჰყრის და ენა უკრთებათ. წვრილი ჭია, როგორც ზემოთა ვსთქვით, წელებში უკანა კართანა ბუდობს; ქავილის ატეხა იცის და ადამიანის გარეთ ხშირად გაყვანა. მრავალმა ჭიაყელის მსგავსმა ჭიამ ცხვირის შიგნითა აქაოება იცის და ჭიპთან ტკივილი. ვისაც ბრტყელი ჭია აქვს, ისა გრძნობს მუცელში

თითქოს გორგალი ეხვევაო; ხან-დის-ხან ჭვალივით მოსდის ტკივილი, თავ-ბრუს სხმა, ძლიერი გულის რევა, გულ-ყრა და ბნედა ემართებათ.

ვისაც ბრტყელი ჭია აქვს, ძალიანა სწყინს სქელი და მეტადრე ფქვილით გაკეთებული საჭმელი, მაგალ.: ფაფა ხინკალი, რბილი პური, აგრეთვე მსუქანი წვენი, ყველი, თევზი, კვერცხი, ნაღები მოუხდელი რძე, ჩაი და ყავა. ძალიან მარგებელია: ლერწოიანი ადვილად მოსანელებელი საჭმელი; ამასთან ბოსტნეული, რომ მუცელს არ შემობერავდეს, სტაფილო; მწვანილეულის ძირი, მაგალითებრ: ვარდკაჭკაჭისა; მარილიანი და ცოტა მომწარო საჭმელი, მჟაუნა, ხახვი, ნიახური, ბოლოკი, ხრენი, სხვა-დასხვა ხილი და სანელებელი; ეს საჭმელები წალას გამოიყვანენ წელებში, რომელიც ჭიებისთვის მავნებელია, ასე რომ წელებიდგან ხშირად გამოდიან.

რომელ ყმაწვილსაც ჭია აქვს, ძალიან კარგი იქნება, რომ ხშირად სტაფილო აჭამონ, სანამ მუცელში გახსნიდეს; აგრეთვე კარგია აჭამონ თხილი და კაკალი, რასაკვირველია, ზომიერად.

სასმელად ყველას ცივი წყალი სჯობია, ცოტა წითელის ღვინით ნარევი; აგრეთვე სხვა მჟავე სასმელებიც კარგია. ცივი წყალი უზმოთაც უნდა სვან, ან კიდევ მის მაგიერათ პირმოხდილი რძე შაქარ-ნარევი და ამისთანა პირმოხდილ რძეში ხახვი, ანუ ნიორი უნდა ჩააგდონ და აადუღონ. აგრეთვე კარგია,

ყმაწვილებს დილ-დილობით მუდამ კარაქ-წასმული პური აჭამონ ზედ წვრილათ დაჭრილის წიწმატით.

სიარული და მოძრაობა მომეტებულად საჭიროა, მისთვის რომ სნეულს მუცელი ერყეოდეს; ხანში შესულთათვის ხშირად ცხარეთ სიარული და გრილ წყალში ბანაობა კარგია.

როდესაც ჭია წელების ქვემოთა ნაწილებში საჭმელს ველარ პოულობს, მაღლა მიდის და კუჭში შედის. ამის გამო ავადმყოფს უჩნდება ცივება, გულყრა, გულის რევა და ამგვარი ძნელი გვემა; ამ შემთხვევაში ჭიის წამალი მალე არ უნდა იხმაროონ. ჯერ უნდა ეცადონ, რომ ჭია ისევ ძირს წელებში დააბრუნონ, ამისათვის იმისთანა სასმელები უნდა მისცენ, როგორც ზემოთა ვსთქვით და იმგვარი საჭმელი აჭამონ ავად-მყოფს, რომელიც ჭიისათვის მავნებელია, მაგალითებრ: სტაფილო, ბოლოკი, ხახვი, ხრენი, ნორი, მდოგვი, და სხვა ამისთანა. რაკი ჭია ძირს დაიწევს, მაშინ გარეთ გამოსაგდები წამალი უნდა მისცენ ავადმყოფს.

ჭიის დასაგდები წამალი ბევრ-გვარია, მაგრამ ზოგიერთი საშიში წამალია; იმისთანა კაცის ხელში, რომელსაც ექიმობის სწავლა არ მიუღია, ბევრჯერ წამალი საწამლავად გადაექცევა სნეულს. ამისთანა საწამლავი გახდება ყველა ბალახეულობა და სხვა წამალიც, რაც კი ძალიან გახსნის ხოლმე მუცელში. მწარე გოგრა და სხვა ამისთანები საშიშო სახმარე-

ბელია და ექიმის დაუკითხავათ არ უნდა იხმარონ; შინაური დედაკაცების წამალი არ უნდა იხმარონ, რომ უბედურებას არას შეემთხვევა ავადმყოფი.

ეს ქვემო ხსენებული წამლები საშიშონი არ არიან და ყველას შეუძლია იხმაროს:

ა) მარილი დილაობით უზმოთ უნდა მისცენ ავადმყოფს, თუ მოზდილია, ერთი ჩაის კოვზი წყალში გახსნილი და თუ პატარაა, იმაზე ნაკლები.

ბ) ანგლიის, ანუ მწარე მარილი ისე უნდა იხმაროს, როგორც უბრალო მარილი. ამას აფთიაკში ყიდიან.

გ) ჭინჭრის კარგა მოწეული თესლის ნადული რძეში. ერთ ბოთლ რძეში ნახევარი მუჭა თესლი საკმაოა. ეს ნადული ყმაწვილმა თითო პატარა სტაქანი და წლოვანმა თითო ფინჯანი უნდა დალიოს. ამ ზემოხსენებული წამლებისა ერთ-ერთი უნდა იხმაროს სამი დღე ერთმანეთზე. მეოთხე დღეს სასაქმებელი წამალი ანუ ზეთი მიიღონ. ყოველგვარი ჭიისათვის თითქმის კარგი წამლებია აღწერილი № ძმ-სა ქვეშე. პატარა ბავშვებისათვის ძლიერ კარგია სანტონინის კანფეტები, რომელიც აფთეკაში იყიდება; არის კიდევ სანტონინის დესლისაგან მომზადებული ჭიის წამალი, რომელსაც კანფეტივით სჭამენ ბავშვები. გრძელი დიდი ჭიისათვის კარგია კუსო, რო-

მელსაც აფთეკაში ჰყიდიან. კილამფურას ძირს სოფელში ჭიის წამლად ხმაროობენ და კარგადაც მოქმედებს. სოფლებში ხორასნის თესლს აძლევენ თაფლით და ამითი თავისუფლდებიან სნეულნი ჭიისაგან.

---

## თავი მეოცე.

## შაკიკის და საზოგადოდ თავის ტკივილის წამლობა.

ექვს ფინჯან წყალში ორი სტოლის კოვზი დაფხვნილი მრავალ ფარფლებიანი ყვითელი ბაია უნდა ჩაყარო და რამდენიმე ატმის ფოთოლიც უნდა შეურიო; მერე სულ ერთიანად უნდა გამოხარშო მაგრად დაცმულს ჭურჭელში, როცა წვენი გაციდება და დადგება, მერე უნდა იხმარო ყოველს დღეს სამი სტოლის კოვზი ამ წვენისა უნდა დალიო დილით, შუადღისას და საღამოით, დაწოლის წინათ. ეს წამალი ორი თვის განმავალობაში ნიადაგ უნდა სვა. ამისთანა წამლით არამც თუ თავის ტკივილი გაუქრება ავადმყოფს, მადასაც მოგვრის და კუჭიც გაუმაგრდება. ამ წამლის სმაშიაც თმობა არის საჭირო. ბევრი ოფლის დენა თავზე შაკიკის მოარჩენისათვის ძლიერ კარგი და უებარი წამალია.

შაკიკის წამალს უფრო ექიმი გამოარჩევს, რადგან ამ ბოლოს დროს გამოიგონეს მრავალგვარი წამლები ამ სნეულების წინააღმდეგ.

---

## თავი ოც-და-ერთი.

### თვალის ტკივილი და მისი წამლობა.

თვალის ტკივილი სხვა-და-სხვანაირია. თვალის ტკივილი, რომელიც ნერვის ძარღვების და თავის ტვინის დასუსტებისაგან წარმოსდგება, ძნელი საექიმოარის და უთუოდ ექიმის რჩევით და დარიგებით უნდა იქმნეს წარმოებული. ეს შეიტყობა მით, რომ თვალის ტკივილის დროს თვალები წითლადარ აქვს სნეულს.

თუ სისხლის მოსვლისაგან არის თვალის ტკივილი გაჩენილი, ეს მითი შეიტყობა, რომ თვალები ანთებულია და გაწითლებული. ეს მოხდება სამთელზე ნამეტანი წიგნის კითხვით და წერით, კომლიან სახლში დგომით, თვალში სხვა-და-სხვა პატარა ნივთის ჩავარდნით, ოფლიანი პირით თბილი ოთახიდამ სიცივეში გარეთ გასვლით, უძილარობით, მომეტებული ღვინის და ვოდკის სმით და სხვა მიზეზთაგან.

პირველად უნდა გამოვიძიოთ და შევიტყოთ მიზეზი თვალის ტკივილის გაჩენისა და უნდა ვეცადოთ, რომ ამ მიზეზებს ავშორდეთ, ეს ყველაზე

უკეთესია. თუ ნამეტანს ლოთობს კაცი, კომლიან სახლში დგას და თვალებს იცივებს, რას მოეხმარება მას წამალი. თუ ამ ზემოთქმულ მიზეზებს კაცი მოერიდა, მაგრამ თვალები სტკივა, მაშინ უნდა ვიხმაროთ წამლები, აღწერილნი № ID-სა და IE-სა ქვეშე. ამასთან უნდა ვიხმაროთ ცივი შემოსადები, აღწერილი № ნბ-სა ქვეშე. თუ ძლიერ ანთებული და გაწითლებულია თვალები და მასთან კიდეც სტკივა, მაშინ სასარგებლო იქნება შპანსკის დაკვრა საფეთქლების სიახლოვეს, რომელიც აღწერილია № ND-სა ქვეშე. სიხსლის გაშვება შუბლიდგან და კისრიდგან ძლიერ მავნებელია თვალების ტკივილისათვის. თუ კაცს თვალები სტკივა, სიცხეშე არ უნდა დადიოდეს. თუ მიუცილებელი საჭიროება არის იაროს, მწვანე სათვალეები უნდა ჰქონდეს გაკეთებული თვალებზე. თუ რამე ჩავარდნილია თვალებში, სრესა არ უნდა დაუწყო, უნდა ეცადო, რომ ფრთხილად გამოიღო. ყოველგვარი შელოცვა თვალის ტკივილისა სისულელე არის და არაფერ სარგებლობას არ უნდა მოელოდეს მისგან სნეული.

ხუთ გრძნობაში ყველაზედ უმთავრესი არის მხედველობა. ამისათვის ამ წიგნის დამატებაში ჩვენ მოვიყვანთ მშვენიერ დარიგებას თვალების მოვლაზედ. ეს დარიგება ჩვენ ცალკე წიგნაკადაც გამოვეცით.

# განყოფილება მეოთხე.

## ცოფით, ანუ ბრაზით კაცის ავად გახდომა, გაცოფიანება.

### თავი ოცდა-ორი.

ცოფი დაემართება კაცს ცოფიანი ძაღლის, ანუ მგელის დაკბენისაგან. თავისით კაცს ეს სნეულება არასოდეს არ დაემართება. ცოფი კაცს ცოფიანი ძაღლის დაკბენისაგან რომ გაუჩნდება, ისე სხვა ცოფიანი ცხოველებისაგან დაკბენით არ უჩნდება. გამოცდილებით შეტყობილი არის, რომ ყველა კაცის ტანზე ერთნაირად არ მოქმედებს ცოფი.

ცოფიანი ძაღლის დაკბენის შემდეგ კაცი მალე არ გახდება ავად. ზოგს ცოფი გამოაჩნდება მერვე, მეთოთხმეტე დღეზე და ზოგს კი გვიან, მეთორმეტე და მეცამეტე თვეზე. ამ უკანასკნელ დროს შეიტყეს,

რომ ცოფიანი ძაღლის დაკბენისაგან ორი წლის შემდეგაც გამოაჩნდება კაცს ცოფი, ბრაზი, ჩვეულებრივად ცოფი უფრო ხშირად მეორმოცე დღეზე გამოაჩნდება კაცს. დაკბენილს პირველად ნაკბენ ადგილას იარა გაუკეთდება, მაგრამ ხშირად იარა რჩება ხოლმე, სანამ ცოფი გამოაჩნდებოდეს.

ძლიერ გასაკვირველია, რომ ეს მორჩენილი დაკბენილი ადგილი, როგორც ცოფი გამოაჩნდება კაცს, მაშინვე ხელახლა ასტკივდება სნეულს. ტკივილი, როგორც შეუნიშნავთ, ამ ნაკბენი ადგილიდამ დაიწყება ხოლმე და მივა ყელამდის. თუ ამ ტკივილს არ გრძნობენ, მაშინ ძაღლისაგან ნაკბენი ადგილი როგორღაცა მოწყვეტილი და გაბრუშებულია.

პირველ შემთხვევაში ცოფის გამოჩენისა ავათმყოფები ძლიერ შეწუხებულნი არიან სულით. ეძიებენ ცალკე მყუდროდ ყოფნას. შიშობენ; სხვადან გაქვავებულნი და რაღაცაზე დაფიქრებულნი; განსვენებას მაინც ვერ პოებენ. ზოგიერთები უჩივიან თავის თავს, თუ რათ ეშინიათ, ანუ რად ეხუთებათ სული და ხშირად ამასთან ოხვრენ, რომლის მიზეზი თვითონაც არ იციან. ზოგნი კი გაჩუმებულნი არიან, ნიადაგ ცუდი ფიქრები აწუხებსთ და ნამეტურ აწუხებსთ ის, რომ ავადმყოფობა მოუბრუნდება მათ მალე. ძილი ამისთანა ავადმყოფებს აქვსთ მოუსვენარი და საშიშარი სიზრმების ნახვით მალ-მალ ეღვიძებათ ხოლმე. ამ წვალებას დაერთობა სულის შეხუთვა და კრუნჩხვის

ჭარების სსეულება გულ გვამში. ბოლოს სნეულნი დაიწყებენ ლრმათ და გაჭივრებულად სუნთქვას. ყველა ეს პირველი ნიშნები არიან ავადმყოფობისა.

მეორე ნირი ავადმყოფობისა დაიწყება მრთ, რომ ავადმყოფი წყლის დანახვაზედ, ანუ დალევაზე სულს ველარ ამოიღებს და ყლაპვასაც ველარ ახერხებს, რადგან სუნთქვა ნამეტნავად დარღვეული და მოშლილი აქვსთ. როგორც გაახსენდებათ წყალი ანუ დაინახვენ მას, მაშინვე აუვარდებათ ყელში ხუთვა და სულს ველარ ამოიღებენ; როგორც გაახსენდებათ წყალი, კიდევ ხელახლა აუარდებათ მკერდის და სასუნთქავი ძარღვების ჭიმვა და მეტის-მეტად წვალობენ. წყლის მიტომ ეშინიათ ცოფით ავადმყოფებს, რომ წყალი ყლაპვას მოაგონებს მათ და ეს მოგონება აუძრავსთ მათ ათასნაირს წვალებას და ტანჯვას სასულეში და მკერდში; ავადმყოფი, რაც უნდა ცოტა ნერწყვი ჰქონდეს მას, მაინც არ ყლაპავს და გარეთ აფურთხებს. ამას მიტომ შვრება, რომ ყლაპვაზე და მის მოგონებაზე საშინლად იტანჯება, ყელი და სასულე ძლიერ დაიწყებს ჭიმვას და მისი ეშინია სნეულსაც, მეორე ნირის ავადმყოფობაში ავათმყოფები გრძნობენ ძლიერ მოწყენას და გულის წუხილს.

ბოლოს ავადმყოფი გიჟდება და ძნელიც არის ხოლმე მათი დაკავება. ამისთანა გაგიჟების დროს ალარაფერს ზოგვენ იგინი. რაც შეხვდებათ, სცემენ, კბენენ, პოტნიან და არც თავის თავს იზოგვენ, თუ

არ შეხედეს და ყურადღება არ დაიკავეს მათზე; ამ დროს ძალლის ყეფის მსგავსად ახველებენ. ხშირად ავადმყოფები თვითონ აფრთხილებენ მომვლელებს, რომ ნუ მიეკარებიან მათ. ამასთან ავადმყოფობა უძნელდებათ თან-და-თან სამი, ანუ ოთხი დღის განმავალობაში და ამისაგან მეტის-მეტად სუსტდებიან. ავადმყოფები თან-და-თან სუსტდებიან, ხმა წაუთ და ხრინწიანდებიან. სუნთქვა აქვსთ არა ღრმა, მაგრა სუსტი, ჩქარი და არა თანასწორი და ბოლოს მოჰყვება სიკვდილიც მთელი ტანის დამლაში ჩავარდნით. ხშირად რომ ჰგგონია, სნეული ეხლა მორჩაო, მაშინ ჰკვდება.

## ამ სნეულების წამალი.

რომ ამ სნეულებით ხალხი არ წვალობდეს და არ იხოცებოდეს, რასაკვირველია, მართებლობაც ვალდებულია მიაქციოს ნამეტანი ყურადღება ამ საქმეს. რაიცა შეეხება წამლობას, ყოველნაირი ძველებური წამლობა დღეს თითქმის მოსპობილია. პასტერისაგან გამოგონებული ცოფის აცრით, რომელიც თითქმის ყველგან არის გავრცელებული და ყველა დაკბენილებს მუქთად არჩენენ, ოლონდ დაკბენილმა მიაშუროს იმ ადგილებს, სადაც ექიმობენ ამ საბით.

## თავი ოცდა-სამი.

## გველის ნაკბენი და მისი წამლობა.

თუ ხაშმიანი გველისაგან არის კაცი დაკბენილი, მას მალე გამოაჩნდება შემდეგი ნიშნები: პირის სახე უფერულდება, უყვითლდება, სცივა, აცივებს, ცივი ოფლი მოსდის, ამასთან დაერთვის გულის წუხილი, გულის თრთოლვა და, თუ არ უწამლეს, მალეც მოკვდება.

ხაშმის გაქრობისათვის წინეთ გველის ნაკბენ ადგილას კოტოშს მოჰკიდებდენ, დანით დაუსერავდენ ნაკბენ ადგილს და დასერილ ადგილზე დაასხამდენ ნიშადურის წყალს. ამ ადგილზე ირას აჩენდნენ და დიდხანს არ არჩენდნენ. ხან-დის-ხან თოფის წამლით ამოსწვამდნენ გველის ნაკბენ ადგილს, მაგრამ დღეს ექიმები გველის ნაკბენის მოსარჩენად ახალ წამალს ხმარობენ. ეი ერთი რუსული ჟურნალის სიტყვა ამ ახლად გამოგონილი გველის ნაკბენის წამლის შესახებ.

გამოცდილი ექიმები ურჩევენ ხალხს, რომ ტანისამოსი იხმარონ იფნის ხის ნაცარ ტუტეში გარეცხილი ან დანამული იფნის წვენით (გამონადენილით), ეს წვენი კეთდება ასე: ქვაბში იქნება თუ ქოთანში უნდა ჩაყარონ იფნის ფესვის ნაგლეჯები, ფოთლები, ნათალი და ქერქი და კარგად გადმოადულონ. ხელები და ყველა ადგილი ჩვენის ტა-

ნისა, რომელსაც ტანთ-საკმელი არ ფარავს, იფნის წვენით უნდა დაიბანონ. ისეთნაირად მოქმედებს გველებზედ ეს ხე, რომ მის ახლო ყოფნით არამც თუ ჰკარგავენ შხამის ყოველს ძალას, არამედ, თუ როგორიმე გზით ამ ხეს შეეხო გველი, მაშინვე მოკვდება იგი. იფნის გადმონადენი რომ დაასხა თავზედ გველს, საკოდავად დაიწყებს ხლაკვნას ერთსა და იმავე ადგილას, აღებს პირსა, საიდგანაც ქაფსავით რაღაც მოყვითანო ნერწყვი გამოდის პირიდგან და ხუთი წამის განმავლობაში კიდეც ჰკვდება.

გველმა რომ უკბინოს ვისმეს, მაშინვე უნდა დაადვან ნაკბენს ადგილს იფნის წვენში დასველებული რამე მჩვარი; ამ ნაირად უნდა იხმაროონ რამოდენიმე ხანი და ნაკბენი ადგილი მორჩება. ეს გამოცდილებით არის დამტკიცებული. წამალი, რომელიც აქ არის მოხსენებული, ძალიან ადვილი საშოვარია; თითქმის ყველას უდგია ვენახში იფნის ხე, უნდა წინდაწინვე ჰქონდეს მომზადებული ეს იფნის წვენი, რომ ვინიცობაა უკბინოს ვისმეს, მალე მიაშველონ. *)

---

*) სოფლებში არიან ზოგიერთ ადგილას მოხუცებული დედაკაცები, რომელნიც ჩემობენ ხაშმიანი გველის დაკბენისაგან მორჩენას; მე ვეცადე, რომ ამ დედაკაცების საიდუმლო წამალი შემეტყო და ჩემდა გასაგვირგლად, ერთი დედაკაცისაგან დამადლებით შევიტყე. ეს მისი საიდუმლო წამალი იფნის ხის გადმოხადული წყალი ყოფილა. ბევრი რამ წამლობა იციან

# თავი ოც-და-ოთხი.

## ბუზთაგან ნაკბენის ტ მისი წამლობა.

ფუტკარის და სხვა ბუზთაგან ნაკბენს ადგილზედ მალე გამოაჩნდება სიმსივნე, სიწითლე და ტკივილიცა, და ზოგიერთ პირთ ემართებათ ხან-დის-ხან ცივებაცა. თუმცა ამ სიმსივნის დაკარგვისა და ციების შემცირებისათვის იხმარება სხვა-და-სხვა ლონე, მაგრამ ყველაზედ სასარგებლო არის ტყვიის წყლის ხმარება, ანუ მარტო ცივის წყლისა, რომელშიაც უნდა გაეჩრიოს მცირედი ნიშადური; ამაში დასველებულ ტილოს უნდა ადებდენ ხშირად ნაკბენ ადგილას. სიმსივნე ყინულით, ანუ გაპრტყელებულის ტყვიის დადებითაც დაუცხრება კაცს. აგრეთვე დიდად არგებს ზეიოუნის ზეთი, რომელიც უნდა ხშირად უსვან ნაკბენ ადგილას. ფუტკრების ნაკბენ ადგილას რომ ნავთი (ლამპაში სახმარებელი) წაუცხო, ძლიერ მალე მოარჩენს ტკივილს...

---

სოფელში, რომელიც ჯერეთ ექიმებსაც არა აქვსთ შეტყობილი. მეგრ გასაკვირველ ხაშმიანი გველის ნაკბენის მორჩენას მოგვიხრობენ სოფელში, მაგრამ ყველა დასაჯერი არ არის. ჩვენში ხაშმიანი გველი ძვირადაც არის...

ავტორი.

## განყოფილება მეხუთე.

# გარეგანი სნეულებანი.

## თავი ოცდა-ხუთი,

## ღერი, მუნი.

მუნი, ღერი პატარა მუწუკების გამოყრით და მოუთმენელი ქავილით დაიწყება. ეს ავადმყოფობა წინეთ ექიმებს არ ჰქონდათ კარგად გაგებული, მაგრამ ბოლოს კი შეიტყეს და ნახეს, რომ ეს პატარა მუწუკები მუნის ჭიებისაგან ჩნდებიან. ამ ჭიებს კაცი თვალით ვერ დაინახავს, თუ გასადიდებელი შუშით არ დახედა. კარგად რომ გასინჯეს ეს ჭიები, ნახეს, რომ ამ ჭიებს ფეხებიც აქვსთ და თვალიც, დედალიც არის და მამალიც. ჩვენი ხორცის კანზე ისე დაიწყებს იგი სიარულს, რომ ჩვენ მასს ვერ დავინახავთ. სადაც რბილი და თხელი ხორცის კანი აქვს კაცს, მაგალ.: თითებშუა, უკანა კართან, პირის სიახლოვეს, ისე ჩაძვრება ეს ჭია, რომ ჩვენ კიდევაც ვერ შევიტყობთ. ის ადგილი, სადაც ეს ჭიები ჩაძვრებიან, ასტკივდება კაცს და სანამ ნამეტანი მოფხანვით სულ არ მოიგლეჯს, მანობამდის

ქავილი არ მოესპობა. ეს ჭიები ერთი მუწუკიდამ რომ გამოვლენ, მეორე ადგილას ჩაძვრებიან კანში და აეადმყოფს ძლიერ შეაწუხებს, თუ თავი არ მოირჩინა. ვისაც ღერი სჭირს, იმას ეს პატარა ჭიები ტანისამოსშიაც და ლოგინშიაც ბევრი აქვს. ამისათვის ღერიანს კარგა მყოფი არ უნდა მიეკაროს და მასთან არ დაწვეს ერთ ლოგინში და არც მისი ტანისამოსი უნდა იხმაროს. ღერი შეხებით გადაედება კაცს. ყველამ იცის, თუ როგორი ცუდი სნეულება არის ღერი და როგორ წვალობს კაცი ქავილით. ეს სნეულება, რასაკვირველია, გაჩნდება უწმინდურობისაგან, მაგრამ ხან-დის-ხან იმისთანა პირებსაც დაემართებათ, რომელნიც ძლიერ სუფთად ცხოვრობენ. ღერი უწამლოთ არ გაქრება, რამდენი ხანიც უნდა გაუშვა.

## წამლობა ღერისა.

ჩვენში ღერით ძლიერ დიდ ხანს წვალობენ, რადგან მისი წამლობა არ იციან. ღერისთანა ადვილი მოსარჩენი არაფერი სნეულება არ არის. წამლობა ბევრ-ნაირია. ზოგი წამლობით ექვსი-რვა დღეზე რჩება ავადმყოფი. ზოგი წამლობით კი რამოდენიმე საათის განმავლობაში.

ღერის მოსარჩენად ხმარობენ აფთეკის მწვანე საპონს და გოგირდს. მწვანე საპონი უნდა წაისვა ყველა ღერიან ადგილებზე დღეში ორ ჯერ და არ

უნდა მოიბანო, სანამ წანასვამი ადგილები ძლიერ არ გაწითლდეს. ბოლოს ეს ადგილები აიქერცლება და ქერცლთან დახოცილი მუნის ჭიებიც ჩამოსცვივდებიან ძირს. ამისთანა ექიმობა ექვსი დღე უნდა გააგრძელო. ბოლოს ტანისამოსიც სუფთა და წმინდა უნდა ჩაიცვა. უფრო საიმედო არის, რომ აილო ღერის მწვანე საპონი ორი წილი და დანაყილი წმინდა გოგირდი ერთი წილი, შეურიო ერთად და ეს იხმარო წასასმელად. ეს საშუალება მალეც მოქმედებს და საიმედოც არის. მალე მორჩენისათვის ღერს აი როგორ წამლობენ კიდევ: უნდა წაისვა მთელ ტანზე მწვანე საპონი (აფთეკაში იკითხე) და ნახევარი საათი მოიცადო. ბოლოს ნახევარ საათს თბილ აბანოში უნდა იბანაო. აბანოდამ რომ ამოხვალ, უნდა წაისვა გოგირდ-ნარევი კირი (აფთეკაში იკითხე) და ნახევარი საათი უნდა მოიცადო. ნახევარი საათის შემდეგ ისევ ნახევარი საათი აბანოში უნდა იბანაო. ექიმობა ამით გათავდება სულ ორი საათი. ტანისამოსი თუ იმისთანა სიცხეში გაიჩერე, რომელშიაც კვერცხის ცილი გამოცხვება, ყველა მუნის ჭიები დაიხოცება; ტანისამოსი მდუღარე წყალში დამდუღრული უნდა ჩაიცვა. ტანზე იქნება კი ალარ შეყვეს ღერი კაცს, მაგრამ ტანისამოსში თუ შეჰყვა, ისევ გამოაჩნდება. ზოგიერთები ღერისაგან მოსარჩენად დანაყილ გოგირდს სმენ წყლით! ეს იმას ჰგავს, კაცი რომ რწყილების დასახოცად რწყილის პარაშოკს სვამდეს!... ერთი

ფუთი რწყილის წამალი რომ შეჭამო, მით ერთი რწყილი არ მოკვდება კაცის ტანზე და არც მოერიდება ეს უნამუსო ცხოველი! ეგრეთვე ღერის ჭიები არის. შიგნივ მიღებული წამლით ღერის ჭიებს ვერ დახოცავ. თურმე ექიმები ასე ტყუვილა ასმევდნენ ღერიანებს გოგირდის ფხვნილს ძველ დროში!.

სოფელში საადვილო სახმარებელი ღერის მოსარჩენი წამალი არის ერთნაირი წასასმელი, რომელიც აფთეკაში იყიდება. ამ წასასმელ წამალს ეძახიან გელმერიგოვის წასასმელ ღერის წამალს. ეს წამალი ძვირად არ იყიდება აფთეკაში. თუ ამის მოტანის საშუალებაც არ არის, იმ შემთხვევაში შინაც შეიძლება მოამზადო კაცმა ეს ღერის წამალი, თუ გოგირდი იშოვება. უნდა აიღო კარგა წმინდად დანაყილი გოგირდი ოთხი მისხალი და რვა მისხალი უმარილო კარგი ღორის ქონი. მოზილე კარგად და შეინახე პატარა შუშის ბანკაში. ეს უნდა წაისვა ორჯერ დღეში იმ ადგილას, სადაც ღერისაგან გექავებოდეს ხორცის კანი. ამითაც შეიძლება რვა დღეში მორჩეს ღერისაგან კაცი.

## თავი ოცდა ექვსი.

## რამოდენიმე სიტყვა საზოგადოდ მუწუკებზე ⁄ მათ წამლობაზე.

იქ, სადაც ჩირქი, ანუ ჩირქის მსგავსი წყალი არის შენიშნული ხორცში, ყოველთვის უნდა ვიცოდეთ, რომ ანთება ყოფილა, ანუ არის, თუმცა ხან-დის-ხან ძნელად შესატყობია ანთება ამისთანა ადგილებზე. ზოგიერთ პირთა, რომელნიც ჯან სალად არ არიან, სულ უბრალო მიზეზით ანუ უმიზეზოთ, გაუჩნდებათ სხვა და-სხვანაირი მუწუკები. ეს მუწუკები მრავალ-გვარია; ზოგი პატარა გაიზდება და ზოგი ბავშვის თავის ტოლა. ამისთანა სიმსივნე და მუწუკები მარტო ერთ ადგილას კი არა, ყველა ჩვენი ტანის ადგილზე გამოვა. ამ მუწუკების თვისებაც სულ სხვა-და-სხვანაირია. ზოგი ცხელია და მტკივანი, ზოგი ცივი და არა მტკივანი. ზოგი თავისით მწიფდება და თავისით გამოირწყვის; მაგრამ ზოგი უწამლოთ დიდხანს არ მწიფდება და გაუკვეთლად არ გამოირწყვის. გასივებული და ამაღლებული მუწუკი დამწიფდება და ბოლოს ანუ ერთ ადგილას გამოტეხს, ანუ რამოდენიმე ადგილას. ხშირად გაკვეთა არის საჭირო. მუწუკში, როგორც იგი გაიკვეთება და იქიდგან გამოვა ჩირქი, შევა ჰაერი; ხორცი უფრო ნამეტნავად წახდება და ჩირქი

დაიწყებს დენას. თუ ნამეტნავად დაიწყო ჩირქმა დენა, ავადმყოფს დაასუსტებს, ძვლები გამოუჩნდება, სნეულს ცივი წეპოიანი ოფლი დაუწყებს დენას და თანაც გადიტანს, თუ ავადმყოფს ყურადღება არ მიაქციეს.

მიზეზი მუწუკის გაჩენისა არის ანთება და ტანის სხვა-და-სხვა სნეულებითი მდგომარეობა.

ექიმობა მუწუკისა ბევრნაირია. როგორც შენიშნული იქნება გასივებული ადგილი ჩვენს ტანზე, რომელსაც გაწითლებული თავი აქვს, ძლიერ სტეხავს, გარეშემო მომაგრო არის და შიგნივ წყალივით დგას რალაცა წვენი, ჩვენ ყოველისფერი ღონის-ძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ეს ადგილი მალე დავაშწიფოთ. დასამწიფებელი საშუალება არის სითბილე, თბილ-თბილი შემოსადებლები, ამისთანა თბილ-თბილი შემოსადებლები ბევრ-ნაირია. სადაც თხელი და ნაზი კანიანი ადგილია, მაგალ.: ყურების სიახლოვეს, მკერდზე და პირის სიახლოვეს, უნდა იხმაროთ თბილი შემოსადებლები, პურის გულისაგან მომზადებული რძეში მოხარშული, სელის თესლის ფაფა იმისთანა ადგილებზე, რომელნიც ცოტა გრძნობა მოკლებულნი არიან, მაგალ.: ზურგზე, ფეხებზე, ხელებზე და ფეხის გულზე უნდა იხმაროთ: რუსული მჟავე პურის გული მოხრაკული ღორის ქონში მარილით, ანუ სელის თესლისაგან მომზადებული დასამწიფებელი ფაფა, ანუ ხახვი შემწვარი, კარტოფილი, სტაფილო, ნიორი, ან მარტო ან სელის თესლით, ან მჟავე პურის ცომით.

თუ გვსურს მუწუკი ჩქარა დამწიფდეს ამ თბილის სადებს ნიადაგ უნდა უცველიდეთ, რომ სადები არ გაციედეს მუწუკზე. თუ მუწუკი ძლიერ ჭეტის ძეტად სტეხავა და სტკივა კაცს, მაშინ სასარგებლო არის მუწუკზე ერთი ანუ ორი წურბელა მოჭიდონ; თბილ შემოსადებელ წამალში უნდა გაურიონ ლენცოფას ფოთლები, ანუ ხაშხაშის თავი, დანაყილი წმინდათ. ამისთანა ექიმობით ორი დღიდამ ექვს დღემდისინ მუწუკი უთუოდ ღამწიფდება და თვითონ გაიკვეთება.

მაგრამ არ უნდა უყურეს კაცმა თავისით მუწუკის გამორწყვას, თუ მუწუკი გაჩნდა: ა) ხელების და ფეხების ფრჩხილებში, მკერდის კიპკიპებთან და მუხლის თავზე. ბ) როდესაც მუწუკი არის თვალის სიახლოვეს, უკანა კართან და კისერზე; გ) თუ მუწუკი არის ღრმა ადგილას და საშიშო არის ძირ ჩასვლა ჩირქისა, ანუ თუ ძვლის და ხტილის სიახლოვეს და სხვა ამისთანა მსგავს ადგილებზეა. ამისთანა შემთხვევაში არასოდეს არ უნდა უყურეთ მუწუკის თავის-თავად გაკვეთას, არამედ უნდა გავკვეთოთ, თუ შესაძლოა, ექიმის საშუალებით. გაკვეთა შეიძლება ნეშტრით, ჯოჯოხეთის ქვით და სხვა საშუალებითაც. მუწუკი ყოველთვის იმა ადგილას უნდა გაიკვეთოს, სადაც კანი ძლიერ გათხელებულია. თუ ექიმი არ იშოვება, მუწუკი უნდა გაიკვეთოს უიმისოდაც აი ასე: მარჯვენა ხელში ცერით და ერთი მაჩვენებელი თითით უნდა დაიკავო ნეშტარი, ისე

როგორც კალამი; იმდენი უნდა გამოაყოფინო თავი ნეშტარს, რამდენიც საჭირო იქნება მუწუკის გასაკვეთად. მარცხენა ხელის ორი თითით უნდა მოსწიო ცოტა მუწუკს და მუწუკი მაშინ უფრო აიწევს ზემოდ. მერე უნდა ჰკრა ნეშტარი; ჩირქი გამოვა თუ არა, უნდა გამოიღო ნეშტარი. ღრმად მყოფი მუწუკი მუცელზე, მკერდზე და ძარღვების სიახლოვეს უთუოდ ექიმს უნდა გააკვეთინონ. როდესაც ჩირქი გამოვა მუწუკიდამ სრულებით, შემდეგ უნდა გაუკეთონ ფილთა ზეთში გასვრილი და შეახვიონ კარგად.

კიდევ ერთნაირი ცივი მუწუკია, რომელიც კაცს არ სტქივა ისე, როგორც სხვა ცხელი მუწუკები; ამის მოსარჩენად ჯერედ სხვა-და-სხვა ნაირი წასასმელი წამლები უნდა იხმაროთ, რომ ეს მუწუკები გააქროთ და თუ არ გაქრა, მაშინ ამისთანა მუწუკების წამლობა უთუოდ ექიმს უნდა მიანდოთ.

მუწუკის მოსარჩენად, თუ კაცი ტანმრთელია და მისი ტანის სითხელე მოწამლული ანუ მოშლილი არ არის, არაფერი არ არის საჭირო. მუწუკიდამ ჩირქი ყოველთვის უნდა გამოწურონ და გამოუშვან; სუფთად უნდა შეახვიონ და მუწუკი მცირეს ხანში თვითონ მორჩება.

სუსტი ტანის მქონებელთა და მათ, ვინც ლარიბია და ცუდ საჭმელს ხმაროობს, ანუ ცუდ ადგილას დგანან, ცივი მუწუკები აქვსთ და ძნელად ურჩებათ; ამისთვის მათ მოსარჩენად საჭიროა ექიმისაგან დანიშნული საშუალება.

## თავი ოც-და-ოთხი

## უბრალო მუწუკი.

უბრალო მუწუკი ჩნდება კან-ქვეშ ხორცის ანთებისაგან. გაზდილი მუწუკი ძლიერ მტკივანი, მაგარი და გაწითლებული არის; ზოგი დიდია, ზოგი პატარა, რომელიც გაჩნდება შემდეგი სახით: რომელიმე ჩვენი ტანის სხეულზე კან-ქვეშ გამოჩნდება პატარა თხილისოდენი მრგვალი მომძრავი კოპი, და თან-და-თან დიდდება, მაგრდება და ასტკივდება კაცს; ამ სახით გაჩნდება მუწუკი, რომელშიაცა ჩნდება მჩხვლეტავი მოუთმენელი ტკივილი და სიცხე. მუწუკი ბოლოს შავ მოწითლოდ შეიქნება. ძლიერ მგრძნობიარე ტანის მექონეთა, როდესაც მუწუკი გამოუთ ძარღვების სიახლოვეს, ცივებაც გაუჩნდებათ, ჭამის მადაც დაეკარგებათ და ძილიც გაუტყდებათ. ბოლოს მუწუკის თავი თან-და-თან გაწვრილდება, დარბილდება და გამოირწყვის; პირველად გამოვა სისხლ-ნარევი ჩირქი და ბოლოს მარტო თეთრი ჩირქი. ჩირქის გამოსვლის შემდეგ მუწუკი გარეშემო დარბილდება და ბოლოს სულაც მორჩება.

მიზეზი მუწუკის გაჩენისა ბევრ-ნაირია, მუწუკები გაუჩნდებათ ხშირად იმათ, ვინც მუშაობას არის შეჩვეული, მაგრამ აღარ მუშაობს; ვინც ნოყიერ საჭმელს ხმარობს და ზარმაცად ცხოვრებს; ვინც სისხლის გამოშვებას არის დაჩვეული, მაგრამ თავის დანიშნულ დროზე აღარ გამოუშვებს სისხლს. ადვილად გაჩნდება

მუწუკები შემდეგ მძიმე ავადმყოფობისაგან მორჩენისა; შემდეგ დედათა წესის დაკავებისა; აგრეთვე ადვილად გამოაჩნდებათ ტანზე მუწუკი მათ, ვინც სნეულად არის სურავანდით, სატკბურით და ვინც სუფთა ტანის არ არის.

## წამლობა მუწუკისა.

ჩვენ ყოველისფერი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ მუწუკი დავაშწიფოთ და მალე გამოვრწყოთ, ამისთვის მუწუკზე უნდა ვადებდეთ თბილ-თბილ სადებს, ფაფას რძისა და მჟავე პურის ცომისაგან გაკეთებულს, შემწვარ თალგამს, ხახვს, სტაფილოს, თაფლით მოზელილ მჟავე პურის ცომს და სხვათა. ეს საშუალებანი უნდა ვიხმაროთ, ვიდრემდის მუწუკი არ გამოირწყება და მუწუკის ბუდეც გარედ არ გამოვა, სანემ მუწუკს გარეშემო ადგილები მაგარი და შესივნებული აქვს, დასამწიფებელი სადებლების ხმარება არ უნდა შესწყვიტონ. ყველა ამისთანა დასამწიფებელი თბილი სადებები არიან აღწერილნი № ნბ-სა ქვეშე.

---

## თავი ოცდა-რვა.

## სიმსივნე, ბმო, ბებერა, კოპი ⁊ კუნძი.

ჩვენს ტანზე, როგორც გარედ ისე შიგნივ მრავალგვარი სიმსივნე, ბმო, ბებერა, კოპი და კუნძი ჩნდება ხოლმე. ისინი ზოგი არიან მომცრო მუხლ-

დოს ოდენა და ზოგჯერ ქათმის და მტრედის კვერ-ცხის-ოდენა; მაგრამ ზოგი ბავშვის თავის სიმსხოა; ისინი იწონიან ერთი მისხალიდამ ოც-და-ათ გირვან-ქამდისინ. ისინი ჩვენს ტანზე ზოგი ლრმად არის ჩამ-ჯდარი, ზოგი ძლიერ ზემოდ არის და ზოგი პატარა ხორცით ჰკიდია ხორცის კანზე, როგორც ვაშლი ვაშლის კირწზე. იგინი კან-ქვეშ ბურთივით აქეთ-იქით იმძვრევიან ხელის მოკიდებით. მათში ზოგში არის დაბუგებული წყალი, ზოგში არის რაღაცა სქელი ნივთი, ჩირქი, ქონი, თმა, ძვლის ნამტვრევი და სხვანი. ესენი თუმცა კაცს არ აწუხებენ ტკივილით, მაგრამ ზოგს ძლიერ უშლის სხეულის ხმარებას, უკარგავს კაცს მხედველობას თუ თვალში გამოუვიდა, უკარგავს ყნოსვას, როდესაც ცხვირში გამოდის, უშ-ლის სულის ამოღებას, როდესაც სასულე ყრონჭში ჩნდება, უშლის სისხლის მოძრაობას, როდესაც ამის-თანა რამე გამოუდის კაცს გულზე, დაუკავებს შარდს, დედათა წესს, თუ საშოში გამოუვიდათ და შარდის ბუშტში.

ყველა ამისთანა სიმსივნე, ბმო, კოპი, ბებერა და კორძი ძნელად მორჩება თავისით. საჭიროა გა-მოცდილი ექიმი ამის მოსარჩენად. ჩვენ აქ იმისთვის ვსთქვით რამდენიმე სიტყვა ამათზე, რომ ყველა ავად-მყოფი გავაფრთხილოთ თავის დროზე უჩვენონ ექიმს თავი და დროზე იექიმონ.

---

## თავი ოც-და-ცხრა.

## წყლული, დამპალი იარა.

კაცის სხეულისაგან განუწყვეტლივ თხელი, მყრალი, ყვითელი, მწვანე, ანუ შავი ჩირქის დენას ეძახიან წყლულს, დამპალ იარას.

ამისთანა დამპალი იარის მიზეზით არის სხვადა-სხვა აეადმყოფობა, მაგალ.: ათაშაგნი, სურავანდი, მჭამელი და სხვანი. ამისთანა დამპალი იარა ჩნდება ხოლმე მაშინ, როდესაც ღრმად დაიკოდება რომელიმე ჩვენი სხეულის ადგილი რომელიმე გარეგანი მიზეზისა გამო.

დამპალი იარა სხეულს არა თუ მარტო მყრალი ჩირქის დენით და ტკივილით აწუხებს, არამედ ხშირად ძლიერ ასუსტებს მას და ახმობს, მჭლევებს.

წყლული, დამპალი იარა მარტო გარეგანი წამლების ხმარებით არ განიკურნება, თუ შინაგანი მიზეზით არის გაჩენილი. უთუოდ პირველად იმის გაჩენის მიზეზს უნდა უექიმოს კაცმა და მაშინ ადვილად მორჩება იარა. თუ კაცმა ვერ შეიტყო დამპალი იარის გაჩენის მიზეზი, ისე მისი ექიმობა არ შეუძლიათ. თუმცა იარა გარეგანი მიზეზით არის გაჩენილი, ის ადვილად მორჩება, მაგრამ შინაგანი მიზეზისაგან გაჩენილი იარის მოსარჩენად უფრო კარგია, რომ ექიმს მოუწოდონ.

## წამლობა იარისა.

ხშირად წყლული თან და თან ძნელდება, მარტო იმა მიზეზითა, რომ კარგად შეხვეული არ არის. ამისთანა იარებზე ძლიერ ცუდი გავლენა აქვს ჰაერსა, ამისთვის ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ როგორიმე გზით ისე შევახვიოთ იარა, წყლული, რომ მასს ჰაერი არ მოხვდეს; ჩვენ უნდა დავფაროთ იარა ანუ მალამოთი, ანუ ზეთით, ანუ სამთლით, ანუ თოლხო კვერცხით და შევახვიოთ კარგად. იარას რომ შევახვევთ, მანობამდე არ უნდა გავხსნათ, სანამ იგი კარგად არ ასტკივდება ანუ შიგ ჩირქი არ მოგროვდება, ანუ სანამ ძლიერ არ აქავდება. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ რამდენად მალ-მალე მოხსნით იარას და ჰაერს მიუშვებთ მასზე, იმდენად უმეტესად გაძნელდება იგი; თუ სუფდად იქონიებენ იარას, კარგად შეახვევენ, თბილად იქონიებენ და რბილად, მაშინ იგი თავისით მორჩება. თუ იარაზე ხორც-მეტები გაჩნდა, მაშინ ის უნდა მოვწვათ ჯოჯოხეთის ქვით, ანუ დამწვარი შაბით, რომელიც აღწერილია № ჲზ-სა ქვეშე.

ზომიერად საჭმლის და ღვინის მილება, იარის თავისუფლად შენახვა და სისუფთავე ძლიერ დაეხმარება მორჩენას როგორი გვარიც უნდა იყოს იარა. როდესაც დაეტყობა, რომ იარა რჩენაში მოდის, მაშინ შეიძლება დავაფაროთ მას მჩვარი თუთის მალამოთი

წასმული. *) ამ სახით შეიძლება, მოარჩენა, თუ იარა დიდი ხნის არ არის და სხვა ტანის მძიმე ავადმყოფობის მიზეზით არ გაჩენილა იგი.

თუ იარა, ანუ წყლული, სხვა ავადმყოფობის: სურავანდის და ათაშანგის მიზეზით გაჩენილა, ძლიერ გასივებული, დამპალი, მყრალი, გაწითლებული და ანთებულია, მაშინ უთუოდ საჭირო არის ექიმს ვაჩვენოთ და მისი დარიგებით უწამლოთ.

---

## თავი ოცდაათი.

### ნუჟრიანი იარა, წყლული (ფისტულა)

ნუჟრიანი იარა არის აგრეთვე წყლული იარა, მაგრამ ის ძლიერ ძველია, და ამასთან ძლიერ პატარა თავი აქვს და ხშირად ხორც-მეტიანი, რომლიდამაც გამოდის ჩირქი, ანუ წყლის სხვანაირი ბალღამი. ნუჟრიანი იარა ბევრ-ნაირია: ზოგი ღრმად არის ხორცში და ზოგი მაღლა; ზოგს შორს საგალი გზა აქვს და ზოგს მოკლე, ზოგს სწორი მილი აქვს და ზოგს გრძელი მიხვეულ მოხვეული კან-ქვეშ. თუ გვინდა შევიტყოთ ნუჟრიანი იარის სიგრძე და სათავე, უნდა

---

*) თუთის მალამო აფთეკაში იყიდება. მას ჰქვიან რუსულად: სგინცოვაია მაზ.

ავტორი.

ზონდით, ერთნაირი მართულის საჩენით გავიგოთ, რომელიც აფთეკის მალაზიებში იყიდება.

მიზეზი ამისთანა იარის გაჩენისა ხშირად არის ის, რომ ხორცში რჩება ტყვია, საფანტი, მჩერის ნაგლეჯი, ანუ სადმე ძვალი იქნება წამხდარი; ხშირად სისხლის გაცხარებასაც კი შეუძლია ამისთანა წყლულის გაჩენა.

ნუჟრიანი იარა თუმცა ტკივილით არ აწუხებს სნეულს, მაგრამ ნამეტურ აწუხებს იარის სინოტიავე და უწმინდურობა, რომელიც ამ იარისაგან წარმოსდგება.

ნუჟრიანი იარის მოსრჩენისთვის თავდაპირველადვე უნდა ვეცადოთ, რომ ის მიზეზი, რომლისაგანაც წარმოსდა იგი, მოვსპოთ. ე. ი., უნდა გამოვიღოთ ხორციდგან ტყვია, საფანტი, უნდა ამოვსთხაროთ წამხდარი კბილი, მოვაშოროთ როგორიძე გზით წამხდარი ძვალი და მაშინ, თუ რომელიმე ამა მიზეზთაგამო არის იარა გაჩენილი, მალე მოსრჩება იგი. თუმცა ამისთანა ნუჟრიანმა იარამ ბიგნით ერთ-ნაირი ლორწოიანი მილი გაიკეთა, მაშინ თუ მთელი საავალი გზა ამ იარისა მილის სიგრძეზე არ გაიჭრა, ისე არ მოსრჩება. ამისთვის რომ ექიმს დაეკითხონ. ანუ კარგ გამოცდილ ფელდშერს, ძლიერ კარგი იქნება. ხშირად ამისთანა იარები უჩნდება კაცს გაცივებით. სადაც მილები გადის, იმ ალაგზე რომ შპანსკები დააკრან ხშირად, ძლიერ მოუხდება და

შეიძლება, რომ სულაც მოარჩინოს ამან ამისთანა იარები.

---

## თავი ოცდა-თერთმეტი.

## მჭამელი, ძვლის სნეულება.

მჭამელი, ძვლის სნეულება, ჩნდება ხოლმე ძვლის გაფუჭებისაგან. ეს ისეთი იარა არის ძვლისა, რაც წყლული არის რბილი ხორცისათვის. როდესაც რაიმე მიზეზისა გამო ჩვენი ტანის რომელიმე ძვალი წახდება, ანუ დაზიანდება, ის წამხდარი და დაზიანებული ძვალი სხვა ძვალს მოშორდება; მაგრამ ამას ჩვენ ვერ ვნიშნავთ, ეს წამხდარი და დაზიანებული ძვალი გაშავებული არის, ის არის ცოტა ამაღლებული და ისეთი სიმაგრე არ აქვს, როგორიც აქვს მთელ ძვალს. როდესაც საშინჯით *) ნახვენ ამ ძვალს, საჩენი (ზონდი) მასში შედის. ძვლის პატარა ნახვრეტისაგან გამოდის რალაცა მოშავო წყალი, ჩირქის

---

*) საშინჯს, ზონდს უძახიან წინდის ჩხირის მსგავს პატარა მართულს, რომელსაც ვერცხლისა და სხვა ნივთისაგან აკეთებენ. როგორც გინდა, ისე მიხრი-მოხრი ამ საჩენს. თავის აქვს მრგვალი ქინძის თავი მსგავსად. როდესაც მას მუწუკში შეუყოფენ, რადგან თავი მრგვალიაქვს, მუწუკი დიდად არ სტკივა სნეულს...

ავტორი.

მსგავსი. ხანდისხან მომძერალი ძვლის ნატეხიც გამოვა ჩირქთან. ძვლის კანი ნელ-ნელა აენთება. ბოლოს ძვალი შიგნი გულამდის გაიხვრიტება და შუშუტო ადგილში შეუწევს, სადაც ძვლის ტვინია. ამ დროს გარეშემო ხორცი სივდება ხორცის-ფრად; შიგნივ სნეული გრძნობს ძლიერ ღრმად მჩხვლეტავ ტკივილს. ეს გასივებული ხორცი ხშირად აენთება, დამწიფდება, გასკდება და შიგნიდამ გამოვა მყრალი სხვა-და-სხვა-ფეროვანი ჩირქი; გასივებული ადგილი ღამე უფრო აწუხებს კაცს, ვიდრე დღე და განსაკუთრებით სითბილეში. იარის პირი ღრუბლის მსგავსად არის გასივებული და ხორც-მეტიანია. იარას დიდი პირი არა აქვს, ის არის ნუჟრიანი იარის მსგავსი.

მჭამელი ჩნდება გარეგან და შინაგან მიზეზთაგან. გარეგანი მიზეზნი არიან შემდეგნი: ჭრილობა, დაშავებულობა ძვლისა, ანუ მისი კანისა, ძვლის გადატეხა და ძვლის ჭრილობა, იარა ანუ წყლული, რომელიც ძვლამდის უწევს.

შინაგანი მიზეზები არიან: სისხლის სიცხარე, რომელიც წარმოსდგება სურავანდისა, სატკბურისა, ათანშაგისა და სხვა ამისთანა სნეულებათაგან. გარეგანი მიზეზები გააჩენენ მჭამელს გარეგან ძვლებში და შინაგანი კი შიგნივ ტანის ძვლებში. მჭამელი, რომელიც გარეგან მიზეზთაგან ჩნდება, უფრო ადვილად მორჩება, ვინემ შინაგანი მიზეზისაგან გაჩენილი. თუ მჭამელი მუწუკი ძვლის სახსრებში გაჩნდა, მაშინ

სულ მთლად გაფუჭდება ძვლის დაშუტული თავი და ვინემ ძვალი სულ არ გამოიღება, ძნელად მორჩება კაცი, მჭამელი მუწუკი დიდ ძვლებში და სახსრების ადგილას საშიშო არის, მაგრამ მჭამელი, გამჩდარი პატარა ძვალში, მაგალ., თითებისაში, ამდენად არ არის საშიშო.

მჭამელი მუწუკის წამლობის დროს ჩვენ უმეტესი ყურადღება უნდა მივაქციოთ მის გაჩენის მიზეზს; თუ გარეგანი მიზეზისაგან არის გაჩენილი მჭამელი, საკმაო არის მარტო, რომ იარა სუფთად ვიქონიოთ, ჩირქს თავისუფალი სადენი ადგილი გაუკეთოთ, გარეშემო, თუ ხორცი გაწითლებულია, დავადვათ სალოობი დასამუშავებული თბილ-თბილი სადებები; თუ ჩირქი მყრალია, იარა უნდა გამოირეცხოს გვირილის გადმონადული წყლითა, რომელიც აღწერილი არის ჯ ლა-ს ქვეშ. უნდა ვეცადოთ, რომ ჰაერი არ მიეუშვათ ხშირად ნატკენ ადგილზე და ამიტომ იარა კარგად შეხვეული უნდა გვქონდეს. ამისთანა ექიმობით გაფუჭებული ძვალი მოგვჭრება და გარედ ჩირქთან გამოვა; გამომპალი ხორცის მაგიერი ახალი ხორცი ამოვა და ბოლოს სრულებით მორჩება იარა.

თუ მჭამელი შინაგანი მიზეზისაგან არის გაჩენილი ანუ თავის, წვივის, თეძოს და ხირხიმლის ძვლებშია, მაშინ მიუცილებლად საჭიროა ექიმის მოწვევა და მისი რჩევით და საშუალებით ექიმობა.

---

# თავი ოც-და-თოთხმეტი.

## ნალრძობები, საზოგადო დარიგება ნალრძობის გასწორებაზე, ჩაგდებაზე.

ნალრძობს უძახიან, როდესაც მომძრავი ძვალი გამოვა თავის ბუდისა და სახსრისაგან. ნალრძობი ორ-ნაირია; სრული—როდესაც ძვალი სულ გამოვა სახსრის ბუდისაგან და არა სრული,—როდესაც ძვალი ნახევარზე არის გამოსული თავის ადგილიდამ; ხან-დის-ხან ნალრძობზე არც ხორცი არის გაჭრილი და არც ძვალია გატეხილი. ზოგი ნალრძობი ჭრილობით და ძვლის გადატეხით ხდება ხოლმე.

ნალრძობის შეტყობა ადვილია. ნალრძობ ასოს, ანუ ძვალს თავისუფლად ვერ ხმარობს კაცი და ერთ-რომელიმე მხარეზე სრულებით არ შეიძლება ასოს ხმარება. ამისთანა ნალრძობი ასო ხან მოკლე არის და ხან გრძელი მეორე მის ტოლ ასოზე. სახსრის ადგილი ცარიელია და ამ ადგილას ხორცი ძირს არის დაწეული.

მიზეზი ასოს ლრძობისა ბევრ-ნაირია. იგი წარ-მოსდგება, უმთავრესად, რაიმე მძიმე ნივთის აწევი-საგან, მძიმე ნივთის დაცემისაგან, ზევიდამ გადმო-ვარდნიდამ, ძლიერ მძიმედ დაცემისაგან, თხრილზე გახტომისაგან, მაღლა თავით აწევისაგან, როდესაც პატარა ბავშვებს ასწევენ მარტო თავით.

პირველად ყოველ-ნაირ ნალრძობ ადგილას ჩნდება მარტო ტკივილი. თუ ნალრძობი მალე ჩაადდეს თავის ადგილას, ტკივილს კაცი სრულიადაც ალარ გრძნობს, მხოლოდ რამოდენიმე ხანს მარტო სისუსტეს გრძნობს ნალრძობ ადგილას. მაგრამ თუ ნალრძობი დიდ ხანს დარჩა უყურადღებოდ, სახსრის ბუდის ადგილი გამოიმსება ხორცითა, გასივდება, ბოლოს ხმება, სუსტდება და სულაც დადგება მოძრაობა ამ ალაგას. *)

ხორცის გაგლეჯით და ძვლის გადატეხით ნალრძობი საშიშია და უსათუოდ ექიმი უნდა იქნეს მოწოდებული ამისთანა ნალრძობის მოსარჩენად; მაგრამ თუ უბრალო ნალრძობია, მაშინ შეიძლება ავადმყოფს ნალრძობი ადგილი ჩაუგდოთ თავის ადგილას უექიმოთაც. ნალრძობის ექიმობა მდგომარეობს მასში, რომ ნალრძობი ძვალი ჩავაგდოთ თავის ადგილას. ამისათვის ნალრძობი ასო უნდა გასწიოს ერთმა ძლიერ და მეორემ ძვლის თავს უნდა მისწიოს თავის ადგილას და ჩაადოს. ზოგ ნალრძობ ასოს დიდი წევა სჭირდება, მაგრამ ზოგს კი ნაკლები. ხან-დის-ხან ნალრძობი ასოც უნდა გასწიო და ის ასოც, რო-

*) ძლიერ საშიშია არის თავით აწევა ბავშვებისა; ხშირად ამ დროს ბავშვებს კისრის ძვალი ელრძობათ. მაღლიდამ რომ ჩამოუშვიათ ბავშვი, მოიხდარა, რომ იგი მკვდარი დავარდნიათ ხოლმე ხელიდამ.

ავტორი.

მელზედაც არის მიბმული ნალრძობი ასო და ამნაირად ნალრძობი ჩავარდება თავის ადგილას. თუ ნალრძობი დიდხანს დარჩენილა ჩაუგდებლად თავის ადგილში, ამის მოსარჩენად უთუოდ ექიმს უნდა მოუწოდონ.

ერთჯერ ნალრძობი ასო ადვილად შეიძლება რომ კიდევ რამდენჯერმე ილრძოს კაცმა; ამისათვის პირველ ლრძობაზე კარგად უნდა შეუხვიონ; მორჩენის შემდეგ ოთხი-ხუთი კვირა არ უნდა გაამძრიონ ნალრძობი ასო. ნალრძობ ასოზე, რომ ანთება არ გაჩნდეს და სისხლი არ მოგროვდეს, ცივ-ცივ ძმარ-გარეულ წყალში დასოვლებულ ტილოს ნაჭერს უნდა აფენდნენ, თუ ნალრძობი სახსარი ძლიერ გაწითლებული არის და სტკივა კაცს, რამოდენიმე წურბელაც რომ მოჰკიდონ ამ ადგილზე, უსარგებლო არ იქნება.

ხშირად მოხდება ხოლმე ლრძობა ხელ-ფეხისა, ყბისა, წვივის ძვლისა და კიპკიპისა. ძვირად მოხდება ლრძობა ხირხიმლის ძვლისა. თუ ჩვენი ცდილობით ნალრძობი ასო თავის ადგილას ვერ ჩავაგდეთ წვევით და სწორებით, მაშინ უსათუოდ უნდა მივაშუროთ ექიმს, წინაალმდეგ შემთხვევაში რამოდენი მეტი დრო გაივლის, იმდენად ძნელი მოსარჩენი შეიქნება ნალრძობი.

## თავი ოცდაცამეტი,

## ძვლების გადატეხა და მოკლე დარიგება მათ ექიმობაზე.

ჩვენი ტანის ძვლები იმ ადვილად გადატყდებიან, როგორც ჯოხი. ძვალი გადატყდება: ანუ მძიმე რაიმეს დაცემით, ანუ კუთების მაგრად გაჭიმვისაგან.

ძვლის გადატეხა ბევრნაირია. ხშირად რამოდენიმე ძვალი ერთად გადატყდება და ხან მარტო ერთი. ძვლის გადატეხა მრავალგვარია. ზოგი ძვალი სწორა გადატყდება, გეგონება გაჭრილიაო, ზოგი გრძლად გადატყდება, ზოგი შუაზე გასკდება, ზოგს ტკოჩი ავარდება და სხვა...

ხან-დის-ხან ძვალი ნალრძობიც არის და გადატეხილიც. ძვლის გადატეხა, რასაკვირველია, ხშირად ხდება ხოლმე მდაბიო ხალხში და ისიც მოხუცებულებში უფროა შენიშნული, რადგან მოხუცებულთა ძვალი უფრო ხმელია, სუსტი და ადვილი გასატეხი.

გადატეხილი ძვლის შეტყობა ადვილია. იქ, სადაც ძვალია გადატეხილი, ჩვენ ვამჩნევთ, რომ ასოგრძელია. ეს მაშინ ხდება უმეტესად, როდესაც ძვლის თავები აქეთ-იქით გაიწევენ. ძვალ გადატეხილი ასოს სწორი მოძრაობა მოშლილია და თავისუფლად კაცი ვერ მოქმედებს იმ ასოთი; ძვლის თავები ერთი-

ერთმანეთს მოძრაობის დროს თავებს უსმენ, რომ-ლის ხმა ადვილად გასაგონია. იმ ადგილას, სადაც ძვალია გადატეხილი, მჩხვლეტავ მოუთმენელ ტკივილს ჰგრძნობს სნეული.

ძვლის გადატეხა ზოგი საშიშო არის და ზოგი არა. ხშირად როდესაც ძვალი გადატყდება, კუთები ისე გაიწევიან აქეთ-იქით, რომ ძლიერ საძნელოა ძვლების თავების ერთი-ერთმანეთზე მიტანა.

თუ ძვლის გატეხის დროს რბილი ხორციც დაზიანდა, ეს უფრო საძნელო მოსარჩენია. ბავშვების გადატეხილი ძვლები იმდენად საშიშო და ძნელი მოსარჩენი არ არიან, როგორც მოხუცებულთა. გადატეხილი ძვლები უფრო ძნელი მოსარჩენია, თუ დაშავებულია კაცი ათაშანგით, სატკბურით, და ან სხვა სნეულებით არის ავად, ვინემ ტან-მრთელთა.

## ექიმობა გადატეხილი ძვლისა.

გადატეხილი ძვლის მორჩენა ადვილია, თუ მალე მიასწრო კაცმა. თუ გადატეხილ ძვლებს შუა ხორცი გაჩნდა და დიდხანს დარჩა გაუ წორებელი, ბოლოს ექიმიც ეელარაფერს მოახერხებს. შეენიშნაუთ თუ არა ძვლის გადატეხას, მაშინვე უნდა ეეცადოთ, რომ ძვლების თავები ერთმანეთზე მივადგათ და ის ასო, რომლისაც ძვალია გადატეხილი, თავის დონაზე დავაყენოთ და ისე გავაჩეროთ, როგორც კარ-

გად-მყოფობაში იყო. ბოლოს უნდა შევახვიოთ მაგრად. ძვალი რომ არ გაბრუნდდეს, ორტაში უნდა გაუკეთოთ და არ უნდა გავანძრიოთ დაშავებული ასო ხუთ კვირამდის. ორმოცი ანუ სამოცი დღის განმავლობაში ძვლები ისევე შეეხორცებიან, მიეკრებიან ერთმანეთს და ძლიერ დამაგრდებიან. ძვალ გადატეხილ ადგილას ძვალი ცოტა აბუკული დარჩება და ხორციც ამის გამო აწეული, მაგრამ ეს არაფერი საშიშოა.

თუმცა შესაძლო იქნება და იპოვება ექიმი ანუ ფელდშერი, ძლიერ კარგია, რომ მისი საშუალებით და დარიგებით შევახვიოთ გადატეხილი ძვალი და თუ არც ერთი მათგანი არ იშოვება, მეტი საშუალება არ არის, თვითონ უნდა ვეცადოთ. გადატეხილი ძვალი სწორა უნდა იყოს შეხვეული და ავადმყოფი, სანემ ძვლები კარგა მაგრა არ მიეკრებიან ერთმანეთზე, არ უნდა ადგეს ლოგინიდამ.

თუმცა იმ ადგილას, სადაც ძვალია გატეხილი გაჩნდა სიცხე და ტკივილი, უნდა ვეცადოთ, რომ ცივ-ცივი საფენებით გავაბნიოთ ნამეტნავად მოსული სისხლი ამ ადგილას; აგრეთვე, თუ საჭირო იქნება, სასარგებლოა რამოდენიმე წრუპელის მოკიდება ამ ადგილას.

---

## თავი ოცდა-თოთხმეტი.

### ახალი იარა ჭრილობისაგან, კაცის ხორცის ჭრილობა და მისი წამლობა.

ახალ იარას ეძახიან ჭრილობის, ნაცემის და სხვა-და-სხვა მიზეზებისაგან მომხდარ სისხლის დენას. ამისთანა იარების ჭრილობისაგან ხან ბევრი სისხლი მოდის და ხან ცოტა. პირველად ეს იარები ძლიერ ასტკივდება კაცს; ტკივილი თან-და-თან ემატება და ზოგ ავად-მყოფს ძლიერაც აწუხებს. ზოგი ჭრილობა ძლიერ საშიშარი დასანახავია. როდესაც ცოტა ხანი გაივლის, მერმე ჭრილობის, ანუ იარის ნაპირები ასივდება, გაწითლდება და ხშირად მთელ ტანში ავადმყოფს სიცხე ეძლევა.

შემდეგ რამოდენიმე დღისა იარა იწყებს წყლულებას და დაჩირქდება. დაჩირქების შემდეგ ტკივილი იარისა შესწყდება; სიმსივნეც შემცირდება; ამასთან სიწითლე და სიცხეც იკლებს.

პირველი წამლობა ახალი იარისა ის არის, რომ უცფად ჭრილობის პირები ერთი-ერთმანეთზედ მიიტანონ და ისე შეხვიონ, რომ სისხლი არ უნდა გა-

გამოუშვან. ასე მსწრაფლ შეხვეული იარა მალე მორჩება. თუ ეს არ მოხერხდება, იარიდამ სისხლის დენა, კარგა მოწმენდის შემდეგ, უნდა შესწყვიტონ. იარის ნაპირები ერთი-ერთმანეთს დაუახლოვონ და ისე შეუხვიონ პირსახოცით, ანუ სხვა სახვევით. თუ სისხლის დენა გინდათ შესწყვიტოთ, ტილოს დაწეწილი ძაფები ბლომად უნდა დაადვათ იარაზე და შეუხვიოთ; შეიძლება ამით სისხლი შესწყდეს. ჭრილობა ძლიერ კარგად უნდა გავსინჯოთ შეხვევამდინ, რომ შიგ არაფერი ნაჭერი, ნატეხი და რამე ამისთანა არ დარჩეს, თორემ ძლიერ შეაწუხებს ავადმყოფს. თუ ჭრილობა არ ასტკივდა სნეულს, აღარც კია საჭირო გახსნა იარისა, სანამ სულ არ მორჩება. თუ საჭირო იქნა გახსნა, მაშინ ყოველთვის იარა მოწმედის შემდეგ კარგად უნდა შეახვიონ, ჭრილობას ერთი-ერთმანეთზე პირი უნდა დაუსიახლოვონ და ზეიდამ დაადვან წეპოიანი მალამო, აღწერილი № № 10-სა, ᲔᲑ-სა და ᲔᲗ-სა ქვეშე.

ჭრილობა, თუ ანთება არ გაჩნდა, მალე მორჩება, მაგრამ ხშირად ანთება უჩნდებათ ჭრილობაზე და, თუ ღრმად არის ჭრილობა, საძნელოა მისი მორჩენა.

თუ ჭრილობის იარა ტანსნეულ კაცს აქვს, მა-

შინ ეს ახალი იარა გადაექცევა მასს დამპალ იარად. ამისთანა შემთხვევაში ამ დაძველებულ იარას ისე უნდა უექიმონ, როგორც ძველ წყლულ მუწუკს *).

---

## თავი ოცდა-თუთხმეტი.

## დუდკო, ფრჩხილის ავად-მყოფობა (საწერელა) ⁊ მისი წამლობა.

ფრჩხილთან ტყავქვეშ მოგროვილ ჩირქისაგან გაჩენილ ტკივილს ეძახიან დუდკოს, საწერელას.

ამის მორჩენისათვის უნდა ვიხმაროთ სხვა-დასხვა საშუალებანი, რომ მალე დაამწიფოს წამხდარი ხორცი და გამოვიდეს ჩირქად. ამისთვის ძლიერ სა-

---

*) ძლიერ კარგად არჩენენ ახალ-ჭრილობას თურმანიძეები, რომელნიც შორაპნის მაზრაში სცხოვრებენ. მათი ექიმობის სარგებლობა ექიმთაც და საზოგადოებამაც კარგად იციან. თურმანიძეებმა იციან ერთი საშუალება, რომელიც ძლიერ საადვილოა, მაგრამ არავის უმხელენ. მათგან ხმარებული საშუალება ჭრილობაში ანთებას არ აჩენს და ეს ყველაზე უფრო საჭიროა ჭრილობის ექიმობისთვინ. ეს საშუალება წააგავს მყავე ბურის ცომს. რაც უნდა გახურებული და ანთებული იყოს ჭრილობა, ეს წამალი ძლიერ ჰკრეფს სიცხეს ჭრილობიდამ. რიგია ამას მიაქციონ ყურადღება ექიმებმა. თურმანიძეები ბევრია, მაგრამ ყველამ კი არ იცის წამლობა, რასაც ტყუვილად არ ჩემობენ. გარდა ახალი ჭრილობისა თურმანიძეებმა სხვა ექიმობა არ იციან. მათ არ შეუძლიათ მუწუკების და დამპალი იარების მორჩენა.

სარგებლო არის რძეში მოხარშული მჟავე პურის გული, დანაყილი სელი, ქერის ფქვილი, რომელიც უნდა ადვან ტკივან თითზე ნელ-თბილი, სანამ ჩირქი გამოერწყოდეს. როდესაც გამოერწყვის, შემდეგ უნდა იხმაროან მალამო, აღწერილი № ლე-სა ქვეშე; თუ ფრჩხილი ავარდეს, მაშინ ფრჩხილის-ოდენი პრტყელი სამთელი უნდა დაადვან ფრჩხილის ადგილზე, სანამ ფრჩხილი ამოვიდოდეს.

ამ სნეულების დროს ავადმყოფი მხურვალე საჭმელს და სასმელს არ უნდა ხმაროვდეს, რადგან იგი ავნებს მას.

---

## თავი ოც-და-თექვსმეტი.

## დამწვრის წამლობა.

ბევრგვარი წამალია, რომელთაც ხმარობენ ცეცხლისაგან დამწვრისა ანუ მდულარე წყლით დაფუთქულის მორჩენისათვის. დამწვარი სამგვარია: ზოგი დამწვარი ადგილი ცოტა მოწითლოა და მცირედ ტკივილს ჰგრძნობს ავად-მყოფი. ზოგი დამწვარი ძლიერ გაწითლებულია, გასივებული, გაცხელებული და აბურცებულია; ზოგი დამწვარი ადგილი სრულებით გაშავებული და უგრძნობელია.

მორჩენისათვის ამ სამგვარ დამწვართა კაცმა

უნდა იხმაროს სხვა-და-სხვა საშუალებანი. პირველ შემთხვევაში, უნდა დამწვარ ადგილს ადვან ტილოს მჩვარი, დასველებული ცივ წყალ-ძძარში, ანუ ტყვიის წყალში, რომელიც აღწერილია № 8-საქვეშე; ანუ მასზე ადვან მაწონი, ანუ დო, ანუ რძის ხაჭო, ანუ მჟავე პურის ცომი.

მეორე შემთხვევაში დამწვარს ალაგას უნდა დღეში სამჯერ წაუსვან ზეითუნის ზეთი, ანუ კარგი სელის ზეთი, ანუ ნაღები, ანუ კარაქი.

მესამე შემთხვევაში დამწვარს უნდა დღეში ორჯერ უსვან თეთრი ნავთი, რომ ეს ადგილი გრძნობაში მოიყვანონ...

ყველაზე უკეთესი წამალი ზეთია. მდუღარე ანუ ცეცხლზე დამწვარ ადგილას მაშინათვე კარგად ზეთში ამოვლებული ბამბა უნდა დაადვან და დღეში ერთხელ უნდა გამოუცვალონ. ბევრი რომ გასწიოს ამ წამლობამ, სამი ოთხი დღე, თორემ მეტი არ რჩება მოურჩენელი. თუ დამწვარს მაშინვე უწამლეს, არც კი აბურცდება და თუ კი აბურცებულია, ზეთიანი ბამბა ნელ-ნელა გამორწყავს აბურცებულ ადგილს და მალეც მოარჩენს. ბევრს გამოუცდია, რომ მდუღარე წყლით დამწვარი ხელი ზეთით ერთ დღეშივე მორჩენია.

ტკივილის დასაყუჩებლად ძლიერ კარგი საშუალება არის ცივ წყალში დამწვრის ადგილის ჩაყოფა და შიგ გაჩერება დიდხანამდის.

რაც ნავთის ხმარება გახშირდა ჩვენში, ბევრი კაცი დამწვარა ლამპის გასკდომის დროს. როდესაც ცეცხლი წაეკიდებათ საცოდავებს, სცდილობენ ტანისამოსი შემოიგლიჯონ ტანზედ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამ უბედურების დროს ყველაზედ უმჯობესია წყალში ჩავარდნა. თუ წყალი არ იშოვება, საუმჯობესოა ცეცხლ-მოკიდებულს გარედამ ნაბადი ან სქელი ხვა რამ შემოახვიონ ტანზედ და ამით დაქრება ცეცხლი.

---

## თავი ოც-და-ჩვიდმეტი.

## ნაცემის, ანუ დაჟეჟილის წამლობა.

დაკვრისაგან, ნაცემისაგან, დიდის სიმძიმის დაწოლისაგან, ანუ ამისთანა შემთხვევათაგან გამოაჩნდება კაცს დაცემულ, ანუ დაჟეჟილ ადგილას, სიწითლე, ანუ მოლურჯო სიმსივნე, რომელსაც ეძახიან დაჟეჟილისაგან ნატკენს.

ამისთანა ადგილებზე ხშირად გამოაჩნდება კაცს ანთება, ტკივილი და ხანდისხან გაუჩნდება ანტონის ცეცხლიც. ამ შემთხვევაში უნდა ვეცადოთ და ვიხმაროთ ისეთი საშუალებანი, რომელნიც დაქექილი ადგილიდამ სისხლს გაუანტავს. ამისთვის საჭირო არის ვიხმაროთ წამლები, რომელნიცა აღწერილნი არიან № ნბ-სა ქვეშე და რომელნიცა კან-ქვეშ მოგროვილ სისხლს გაფანტვენ და დაქექილ ხორცს ამით მისცემენ საღავათს. ეს წამლები უნდა იხმაროს სანემ ტკივილი სულ გაქრებოდეს. თუ ზემო თქმული წამლები არ იშოვება, მაშინ უნდა ორ-ორი ფინჯალი წყალი და კარგი ძმარი და ერთი ფინჯალი არაყი ერთად აურიოს და იმაში ჩაყაროს ერთი პატარა კოვზი დანაყილი ნიშადური, თუ ნიშადური არ იყოს, მაშინ ორი მისხალი ქაფური გაურიოს შიგ და ამაში დასოველებული ტილოს ნაგლეჯი ადვილ ხშირად დაქექილს.

ხშირად ეს უბრალო საშუალება საკმაოა დაქექილის მოსარჩენად. თუ ავადმყოფი ცუდად შეიქნა და დაცემულ ადგილას ანტონის ცეცხლის ანთება გამოაჩნდა მაშინ უთუოდ უნდა მოუწოდოს ექიმს.

---

## თავი ოცდა-თვრამეტი.

### სისხლის დენა ცხვირიდამ ⁊ მისი წამლობა.

ვისაც ცხვირიდგან ხშირად სდის სისხლი, ის ღონიერად არასოდეს არ უნდა მიიმძრ-მოიმძრეს, არ უნდა ჭამოს გამახურვებელი საზრდო, არ დალიოს ღვინო და არც ვოდკა, არც ცხელი ჩაი უნდა სვას; როცა სიცხეა თავ-შიშველი არ უნდა დადიოდეს.

ცოტა სისხლის დენა ცხვირიდგან კიდეც მოუხდება კაცს და ამიტომ, თუ კაცს წავარდეს სისხლი ცხვირიდგან, მაინც-და-მაინც უცებ არ უნდა შეაყენონ. მაგრამ თუ სისხლი კამარათ მოდის ცხვირიდგან და ამის გამო კიდეც სუსტდება კაცი, მაშინ უნდა ვიხმაროთ ყოველ ნაირი ზომა სისხლის შესაწყვეტად. პირველად ავადმყოფს უნდა დავალევინოთ ლიმონის წვნიანი ციცი წყალი, მერე ტილოს მჩვარი უნდა დავალბოთ ლიმონის წყალში და შეუდვათ იმ ნესტოში, რომლიდგანაც სისხლი სდის; ძმარში უნდა ჩაყაროთ მარილი, იმაში დაასველოთ ტილო და თავზე უნდა ადვათ, საფეთქლებზე, ლოყებზე და გულის კოვზზედ. ეს შემოსადები მუდამ უნდა ასველო, რომ არ გაშრეს. როცა სისხლის დენა შესწყ-

დება, მალე არ უნდა გამოიღო ბამბები და მჩერები ცხვირის ნესტოებიდამ; ავადმყოფი უნდა იჯდეს გაუნძრეველად და თავი ძირს არ უნდა დახაროს. ზოგიერთი ექიმები ურჩევენ ცხვირიდამ სისხლის დენის შეწყვეტისათვის, რომ მაგარი რამე ჩაიდვან პირში კაცმა და ღეჭოს კარგა ხანამდისინ. ზოგი მაღლა ხელების აშვერას ურჩევს ცხვირიდამ სისხლის დენის შესაწყვეტად.

---

## თავი ოც-და-ცხრამეტი.

## გაცივებით ხმის წასვლა.

ვისაც გაცივებით ხმა წასვლია, იმის მოსარჩენად უნდა ავიღოთ ორი მუჭი მალინა*) ორი სტოლის კოვზი თაფლი, ორი სტოლის კოვზი ზეითუნის ზეთი, დაფხვნილი კოჭი, იმბირი (აფთეკაში იკითხე) ერთი ჩაის კოვზი, აურიეთ ერთმანეთში, დაასხით ზედ ერთი ბოთლი წყალ-გარეული ლუდი, პიეთ და ქოთანში მოხარშეთ. მერე ეს წამალი დილით და საღამოით თითო ჩაის კოვზი უნდა დალიოთ. ამასთანავე ზოგიერთი საჭმელი უნდა დათმო; მასთან ხორცეული არ უნდა ჭამო, არც ღვინო დალიო და არც უნდა შეიცივო. ეს წამალი ყელის ავადმყოფობასაც უხდება.

---

*) მალინა მოცვის მსგავსი ნაყოფია. აფთეკაში ისყიდება.

## განყოფილება მეექვსე.

საჭირო ⁊ სასარგებლო დარიგებანი თუ როგორ უნდა უშველოთ ნახშირის სუნისა ⁊ წყლისგან დამრჩვალთა, გაყინულთა, თოკით დამრჩვალთა მიმკვდარებულთა და თავბრუდასხმულთა.

### თავი ორმოცი.

### ნახშირის სუნისაგან თავის ტკივილი და მისი წამლობა

მდაბიო ხალხი, რომელიც შეშის მაგიერ ნახშირს ხმარობს, ანუ კარგად დამწვარ ნახშირს ბუხრებში ანუ ფეჩებში მალე თავს დახურავს სითბოსთვის, ხშირად ემართება თავის ტკივილი, «უგარი», რომელიც ხშირად კიდევაც გადიტანს კაცს. ამ სნეულებისაგან

თავის დაცვისათვის ყველანი დიდად უნდა ფრთხილობდნენ, რომ არ დახურონ ფეჩი ანუ ბუხარი ადრე, ანუ მაყალი ნახშირით გაღუებული არ დაიდვან წინ, სანამ კარგად არ გაჩაღდება და სრულებით არ გაქრება მოლურჯო ალი და ნახშირის სუნი; არც ქურას ქვეშ უნდა გაავლიონ ნახშირი. როდესაც გაუფრთხილებლობით დახურვენ ბუხარს, ანუ ფეჩს, ანუ ადრე შემოიტანენ სახლში მაყალს, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს მოლურჯო ალი და ასდის ნახშირის სუნი, იმ სახლში მყოფ პირთა დაემართებათ «უგარი», რომლის გამო კაცს აუვარდება ძლიერი თავის ტკივილი, თრთოლა გულისა, თავბრუს სხმა, თვალების სიბნელე, ძლიერი შფოთვა და გულ-ყრა, და უკეთუ მალე არ მიეშველნენ კაცს, იგი კიდეც მოკვდება.

ის, ვინც ნახშირის სუნისაგან გაჩდება ავად და ანუ თავი ასტკივდება, უნდა დაუყონებლივ გაიყვანონ სხვა სახლში და, თუ თბილი ტაროსია, გარედ ეზოში და ასუნებინონ ცხარე ძმარი, ანუ სასუნებელი სპირტი, აღწერილი № 8-სა ქვეშე; ანუ ძმრით გაკეთებული მდოგვი. სასმელად უნდა მიეცეს ცივი წყალი ძმრით; ლიმონის ანუ კოწახურის წვნით შეზავებული; თავზე უნდა უსვან თოვლი, ანუ ყინული, ანუ დაადვენონ ტილოს ნაჭერი წყალ-გარეულ ძმარში, ადვან თავზე და იხმარონ ესე სანამ სნეული განთავისუფლდებოდეს და კარგად შეიქნებოდეს.

თუ კაცი ძლიერ გულ-შემოყრილია და გრძნობა აღარ აქვს, მაშინ ის უნდა გაიტანონ გარედ, გახადონ ტანისამოსი და მიაწვინონ საფენზე; მთელს სხეულზედ უსვან მაუდის ნაჭერი, დასველებული ცივს ქმარში, ანუ წყალში, და ცხვირთან ხანგრძლივ დაიკავონ ცხარე ძმარი ანუ სასუნებელი სპირტი, აღწერილი № ზ-სა ქვეშე; ანუ პიტნა, ძმრით შეზავებული და ულიტინონ პირში ფრთა.

უკეთუ ამ წამლობით არ მობრუნდეს კაცი, მაშინ უნდა კლავში საკმაოდ გამოუშვან სისხლი და მისცენ მას ოყნა, აღწერილი № ნზ-სა ქვეშე. უკეთუ ამ წამლობითაც არ მობრუნდეს, მაშინ უექიმოდ, ანუ სანამ ნამდვილი ნიშნები არ გამოჩნდეს სიკვდილისა, არ უნდა დამარხონ მიცვალებული.

---

## თავი ოთხმოცდა-ერთი.

## რა საშუალება უნდა ვიხმაროთ წყალში დამრჩვალთა მოსაბრუნებლად?

წყალში დამრჩვალი კაცი, წყლიდამ სიფრთხილით გამოღების შემდგომ, უნდა დაუყოვნებლივ წაიღონ მახლობელს სახლში სიფრთხილით, რომ თავი არ ექნეს ჩამოკიდებული და არ ინძრეოდეს. უნდა

დაასვენონ თბილს სახლში და გახადონ ტანისამოსი სრულებით და მშრალი პირსახოცებით გაუწმინდონ სხეული.

კიდეც რომ ხან ყოფილიყოს წყალში დმრჩვალი, მაინც მისი მობრუნებისათვის უნდა იხმაროონ აქა ხსენებულნი ღონენი: ა) პირიდგან და ცხვირიდგან უნდა გამოწმინდონ ნუზლა, დუჟი ზეთში დასველებულის ფთითა; ბ) უნდა გაახვიონ გამთბარს ლოგინში, ანუ სხვა საფენში. ანუ გარეშემო შემოუწყონ გამთბარი ბალიშები, ანუ პარკები, სავსე თბილის ნაცრითა, ანუ ქატოთი, და თბილ-თბილს ხშირად უნდა უცვლიდენ; ანუ წაუსვან მაუდის ნაჭერი, დასველებული თბილ წყალში, ანუ ძმარში, ანუ მოუწვინონ ორსავე გვერდზედ კარგად მყოფნი კაცნი, ანუ გაახვნონ ახალ გატყავებულ ძროხის ანუ ცხვრის ტყავში და მომეტებულად უნდა ცდილობდენ მის გათბობას; გ) პირის სახე, საფეთქლები და ყურების უკანა ადგილები უნდა ასხურონ და უსვან ძმარ გარეული არაყი, ანუ მარტო ძმარი, და ხშირად ასუნებინონ სასუნებელი სპირტი, აღწერილი № ზ-სა ქვეშე; დ) ავადმყოფს უნდა მიეცეს ოყნა ნელთბილი დუნე არაყისა, ანუ ძმრისაგან; ე) როდესაც გულის ცემა შეემჩნევა, მაშინ უნდა ხშირად უსვან მუცელზე, ფეხებზე, ხელებზე, წელზე და გულის კოვზთან თბილის შალის ნაჭერი ანუ მაუდისა სიფრთხილით.აგრეთვე უნდა უსვან ღორის ჯაგარი, ანუ

დასხეიპონ ჭინჭრითა, რადგან ამით ძალა ეძლევა დამდგარს სისხლს და იწყებს მოძრაობას. თუ შეესაძლოა, დამრჩვალი უნდა ყელამდინ ჩასვან თბილს წყალში, ანუ ფეხები მაინც ჩაუდგან მუხლამდინ. 3) გამთბარი მაუდის ანუ შალის ტანზე წასმა უნდა იყოს მოუწყვეტელად აღსრულებული საბნის ქვეშ, რომ არ შესცივდეს. უკეთუ მობრუნდა დამრჩვალი და შეიძლო ყლაპვა, მაშინ მას უნდა მიეცეს ცოტ-ცოტა თბილი ჩაი, გაკეთებული გვირილის, ანუ ცაცხვის ყვავილისაგან, მცირედი ღვინო, ანუ წყალი არაყ-ნარევი, ეგრეთვე თბილი წვენი ქათმისა, ანუ კარგი ცხვრის ხორცისა; მაგრამ სანამ მან არ შეიძლოს თავისუფლად ყლაპვა, ძალად არ უნდა ჩაასხან რამე პირში დამრჩვალსა.

უკეთუ ზამთარში მოიშთოს კაცი წყალში და გაჰყინოს, მაშინ მისი მობრუნებისათვის ისე უნდა მოიქცნენ, როგორც გაყინულს მოქქცევიან.

ყოველი ეს ხსენებული წამალი და ღონე უნდა აღასრულონ მოუწყვეტელად, გულს მოდგინებით ათ საათამდი და არ უნდა აიღონ ხელი შემწეობის მიცემისაგან, სანამ სრულებით არ გაცოცხლდება, ანუ არ გაუჩნდება ნამდვილი ნიშანი სიკვდილისა. ყოფილა მაგალითი, რომ თორმეტი საათის შემდეგაც მობრუნებულა მომშთვალი.

ნიშნები მომშთვალის მობრუნებისა არიან ესენი: ტყავის თან-და-თან დარბილება, სითბოს გამოჩენა

სხეულზედ, მცირედი ცემა გულისა, მცირედი მოძრაობა თვალების ქუთუთოებიაა და მკერდისა, პირის სახისა და ტუჩების გაწითლება და შემდგომ ამოოხვრა, სუნთქვა, თრთოლვა, ხველება, ცხვირის ცემინება, პირიდგან ქაფის მოსვლა და ნელ-ნელად ლაპარაკი და სხვ.

მომშთვალი არ უნდა დასდვან ძალიან თბილს სახლში, არც ცეცხლის ახლო და არც იქ, სადაც ჰკრის ქარი; უნდა ნელ-ნელად გაუთბონ სხეული თბილის შალის, ანუ მაუდის წასმითა; უნდა ფრთხილობდენ, რომ პირველადვე ძლიერი გამაღვიძებელი საშუალება არ იხმარონ, ესე იგი, ღორის ჯაგრის წასმა, ანუ დასხვეპნა ჭინჭრითა. სისხლის გამოშვება ხშირად იქმნება მავნებელი მომშთვალთათვის. როდესაც მომშთვალს ექმნება პირის სახე მოლურჯო, ანუ წითლად გასივებული, მაშინ უნდა მარჯვენა მკლავში გამოუშვან სისხლი ერთი სტილი, ანუ ცოტა უფრო მეტი და იარა შეუკრან კარგად.

---

## თავი ოთხმოცდა-ოთხი.

## გაყინვისა და სიცივისაგან სხეულის დაძვრა და მისი წამლობა.

როდესაც რომელიმე ასო ანუ მთელი სხეული კაცისა დიდის ყინვისაგან გაიყინება, ანუ დაიძვრის,

მაშინ ამ ადგილს ფერი გამოეცვლება, სითბო და გრძნობა მოაკლდება, ანუ სრულებით ალარ ექმნება.

დამძრალი კერძო სხეულისა პირველად სტკივა კაცს, წითლდება, სივდება და შემდეგ თეთრდება და უკანასკნელ რამოდენიმე ჟამისა, უკეთუ წამალი არ იქმნა ნახმარი, შავდება და ჰკარგავს სრულებით გრძნობას. უმეტესად ემართება ეს მდაბიო ხალხს, რომელიც გაყინვის დროს მსწრაფლ გათბება ცეცხლთან, ანუ დაწვება ფეჩის, ან ბუხრის ახლო, რომ ამით შეუმცირდესთ ტკივილი და ნაცვლად სარგებლობისა დიდი ვნება ეძლევათ.

გაყინულის და დამძრალის წამლობა მდგომარეობს მასში, რომ გაყინულ ასოს დაუბრუნონ ბუნებითი ფერი, მოძრაობა და გრძნობა; გაყინულს და დამძრალს ადგილს უნდა მსუბუქად უსვან რბილი მაუდის ნაჭერი, ანუ თოვლი, ანუ ყინული, ან გაყინული ასო ჩაყონ ცივ წყალში ერთ საათამდინ და შემდგომ ამოიღონ წყლიდგან და წაუსვან მასზედ ნავთი, ანუ წამალი, აღწერილი № ᲝᲚ-სა ქვეშე, ანუ ბატის ქონი, ან კარგი კუპრი. ეს წამლობა ორი-სამი საათის გამოშვებით უნდა აღასრულონ, სანამ მოძრაობა და გრძნობა მიეცემოდეს გაყინულს ადგილსა.

როდესაც სრული სხეული კაცისა დიდ სიცივისაგან გაიყინება, მაშინ დაუყონებლივ უნდა შეიტანონ კაცი გრილ სახლში. მობრუნების და გრძნო-

ბის მიცემისათვის უნდა პირში და ცხვირში ულიტი-
ნონ ფრთა, უხრჩოლონ ცხვირის წინ დამწვარი
ბუმბული, ანუ ქალალდი, ანუ ჯღანი, ან ასუნე-
ბინონ სასუნებელი სპირტი, აღწერილი № 8-საქვეშე-
გაყინული მსწრაფლ ცეცხლის ახლო არ უნდა დას-
დვან, რადგან მისთვის დიდათ მავნებელია სითბო.

როდესაც სხეული შეთბება და გამოაჩნდება
ნიშნები სიცოცხლისა, მაშინ უნდა წყლიდამ ამოი-
ღონ და დააწვინონ თბილს სახლში, რბილს ქვეშსა-
გებზედ და ასვან თითო საათში ხუთ-ხუთი კოვზი
თბილი წყალი მეოთხედ არაყ ანუ ღვინო-გარეული
შაქრით, ანუ თაფლით დამტკბარი და ასვან მინამ
ოფლი მოუვიდოდეს. შემდგომ ოფლის მოსვლისა
ავად-მყოფს უნდა მიეცეს საყუათო საჭმელი, ესე
იგი, წვენი კარგის ვარიისა, ანუ შორბა ბურღულისა,
ანუ ბრინჯისა, კარგის ერბოთი, ანუ ზეთით შეზა-
ვებული და სასმელად უნდა იხმაროს წყალი მცირე-
დის ღვინით შეზავებული და ნელთბილი; აგრეთვე
ხშირად უნდა ასმევდნენ ჩაის, გაკეთებულს პიტნისა,
გვირილისა, დიდგულისა ანუ ცაცხვის ყვავილისაგან,
ორ-ორ ფინჯანსა.

---

## თავი ორმოცდასამი.

### როგორ უნდა გადავარჩინოთ სიკვდილს თოკით დამხრჩვალი.

რასაკვირველია, წინაპირველად კაცს უნდა გამოუხსნა თოკის ნასკვი და დასდო იგი დედამიწაზე, ან ლოგინზე; საფეთქლებზე და ყურის ძირებში უნდა მოჰკიდონ ათი-თორმეტი წურბელი, ან მოჰკიდონ წყვილ-წყვილი ორთავ ცხვირის ნესტოებში. თავზედ გაუწყვეტლივ უნდა ადონ ყინული ანუ ბანონ თავი ცივი წყლით. გვერდზე და მაღლა ბეჭებზედ უნდა ადონ მდოგვი, აღწერილი № ნ-სა ქვეშე, ანუ დანაყილი ხრენი. სასარგებლოა ფეხები და ხელები ჩაუყონ მარილის ანუ ნაცრის აბანოში, აღწერილსა № მთ-სა ქვეშე. მომაკვდავს თუ სხეულის კანი ცივი ჰქონდეს და სისხლის მოძრაობა სუსტი, მაშინ უნდა გაუხურონ სხეული ტანის ხეხით, რომელიც შეიძლება მაუღის ძველი ნაჭრებით, ანუ ჯაგრით, მაგრამ დიდის სიფრთხილით კი, რომ ძალიან არ შეირყეს კაცის ტანი; მალ-მალ უნდა მოჰხოცონ ცხვირი, ულიტინონ ცხვირში ფუთით და არ გამოულიონ ცხვირთან სხვა-და-სხვა ცხარე სუნიანი ნივთები. როდესაც ავადმყოფი გონზე მოვა, სასარგებლოა ჩაყლაპონ მასს პატარა-პატარა ყლაპი ალაყ-ნარევი

წყალი. ნათოკარ ყელზე კარგია შემოადონ ძმარში დასველებული ხელსახოცი, ანუ სხვა რამე.

---

## თავი ოთხმოცდა-ოთხი.

### როგორ უნდა გაარჩიონ მიმკვდარებული კაცი მკვდარისაგან?

ხან-დის-ხან მოხდება ხოლმე, რომ ადამიანი მკვდარი არ არის, მაგრამ მკვდარს ემსგავსება ხოლმე. კაცს დაეძინება ერთნაირი ძილით, რომელსაც მსწავლულები უწოდებენ სალათას ძილს. კაცს სძინავს რამოდენსამე დღეს, რამდენსამე თვეს; ამ დროს იგი სრულებით მკვდარსა ჰგავს. ეს არის ერთნაირი ავადმყოფობა. ამ ახირებული ავად-მყოფობისა გამო ბევრი საშინელი შემთხვევა ხდება ხოლმე. რამდენჯ ამისთანა ავადმყოფს აიღებენ და ჩასდებენ ცივ მიწაში? როცა დრო მოუათ და გამოელვიძებათ, ეს საცოდავები იწყებენ ერთ საშიშარ ბრძოლას, რომ როგორმე გამოვიდნენ საფლავიდამ, მაგრამ ტყუილად! უცოდინარობის მსხვერპლი აბარებს თავის გამჩენს სულს დიდ ტანჯვაში. განათლებულმა ხალხმა მიაქცია ყურადღება ამ საშინელ მოვლენას. ეხლა ევროპაში სასაფლაოებთან არის გაკეთებული თითო დიდი სახლი. მიმკვდარებულის კაცის სხეულს აქ სდებენ

ხოლმე. როცა გამოიღვიძებს, იმისთვის გასაჭირი არ იქნება გამოსვლა და ამასთანავე ყარაულიც უყენია, რომ მალე გამოიყვანონ. ამბობენ, რომ ერთმა მდიდარმა ფრანცუზმა მარკიზორმა (სახელია იმ ფრანცუსისა) დასდო საჩუქრად ოცი-ათასი ფრანკი (თითო ფრანკი უდრის ჩვენებურ ხუთ შაურს) იმისთვის, ვინც გამოიგონებს იმისთანა კარგ და ყველასფვის ადვილ ლონის-ძიებას, რომლითაც სწორედ გაარჩევენ მიმკვდარებულს მართლა მკვდრისაგან. გამოჩნდა ერთი ექიმი ფრანცუზი

თუ მართლა მკვდარია, მაშინ სამთლის შუქზე ხელი შავათ ქვასავით დარჩება, არავითარ ფერს არ მიიღებს.

## როგორ უნდა უშველოთ მიმკვდარებულ კაცს?

მიმკვდარებული კაცი უნდა შეიტანონ გრილ ოთახში, გახადონ ტანსაცმელი და ტანზე უსვან მაუდის ნაჭერი ჯერ ცოტათი, მერე ძლიერ, მინამ ხორცის კანი არ შეწითლდება; ცხვირთან უნდა გაუჩერონ ცხარე სპირტი, ხრენი, დამწვარი ფთა, ბალანი და სხვა ამგვარები, რომ მიმკვდარებული როგორმე მობრუნდეს.

---

## თავი ორმოცდა-ხუთი.

### თავბრუს დასხმა.

თავბრუს დასხმა არის უცფად დაკარგვა გრძნობისა და მოძრაობისა სუნთქვის შეყენებით.

თავბრუს დასხმა წარმოსდგება უცფად გულის ცემის დაყენებისაგან. როდესაც გულის ცემა დადგება, მაშინ სისხლი ტვინში აღარ მივა და ტვინის მუშაობაც დადგება და იმის გამო ყველა გრძნობანი— მოძრაობა და სუნთქვაც დადგებიან. პირველი მიზეზი თავბრუს დასხმისა არის გულის ტკივილი, ანუ გუ-

ლიდამ გამოსული სისხლის მასრების ავადმყოფობა, ანუ ფილტვის სნეულებანი. ამასთან ხშირად თავბრუ დაესხმის კაცს ნამეტანი მწუხარებისაგან და სისხლის ჭარბობისაგანაც.

## წამლობა.

ავადმყოფი უნდა გაიტანონ გარედ, წმინდა ჰაერზე, შეკრული ტანისამოსი უნდა გაუხსნან, რომ სისხლის მოძრაობა შეუმსუბუქონ. თავბრუ დასხმული უნდა დააწვინონ სწორ ადგილზე და თავი ძირ ტანის სწორა უნდა დაუდვან. კარგია, რომ ავადმყოფს წაუსვან რამე ტანზე, აჩქეფონ ცივი წყალი, ძმარგარეული პირის სახეზე, უნდა ასუნებინონ გოგირდის ეთერი, ანუ ნიშადურის სპირტი, აღწერილი № დ-ს და № ზ-სა ქვეშ.

---

## თავი ოთხმოცდა-ექვსი.

### ათაშანგი (სიფილისი) და დარიგება, თუ როგორ უნდა მოიქცეს, ვისაც ეს სენი დაემართება.

ერთ საშიშარ და ძლიერ ადვილ გადამდებ ავადმყოფობას შეადგენს ათაშანგი (სიფილისი).

ექიმების სიტყვით დღეს ეს ავადმყოფობა გადუდებელად არ უჩნდება კაცს. ის გადაედება ყოველთვის სნეულისაგან კარგად მყოფს. ეს სნეულება ქალიდამ კაცს გადაედება, შეერთების დროს, და კაცისაგან ქალს.

ათაშანგის ხაშმი ჰაერით არ გადაედება კაცს როგორც ყვავილის და სხვა გადამდები ავადმყოფობისა. ხაშმი არის ყოველთვის ათაშანგის ჩირქში და როდესაც მოხვდება სადმე კაცს ხორცზე, ისე აეკრება, როგორც ყვავილის ჩირქი. ათაშანგისაგან გაჩენილი ჩირქი სხვა უბრალო მუწუკების ჩირქისაგან არაფრით არ განირჩევა. ეს ჩირქი თუ სადმე მოხვდა ჩვენს ხორცზე ნამეტურ იქ, სადაც კანი მოგლეჯილია, ანუ ადვილად შეიძლება კანში ჩირქის შესვლა, ამ ადგილას მალე გაჩნდება ადგილობრივი ანთება კანისა და ცოტა ხანში გაჩნდება მუწუკიცა. ამას უძახიან პირველ ათაშანგის მუწუკს, ანუ შანკერს. ცოტა ხნის შემდეგ ამ ერთი მუწუკისაგან კიდევ გარეშემო სხვა მუწუკები გაჩნდებიან. თუ უწამლოდ დარჩა და მალე არ განთავისუფლდა კაცი, შეიძლება თავისითაც გაქრეს ეს მუწუკები, მაგრამ სისხლში შეერევა კაცს და მთელი ტანი მოიწამლება. თავდაპირველად ათაშანგი (სიფილისი) ადვილი მოსარჩენია, მაგრამ თუ გაუშვეს უყურადღებოდ და მუწუკისაგან ჩირქი სისხლში დაიბნა, შემდეგ ძნელია მისგან გაწმენდა ტანისა. კაცი თავის სიცოცხლეში ვერ თავისუფლდება ამ სნეულებისაგან და არა თუ ძარტო ის,—ვერც მისი შვილი. სისხლში რომ გაებნევა კაცს ჩირქი, ჯერედ რბილ ხორცში გაჩნდება სხვა-და-სხვა გვარი ავადმყოფობა, გაუფუჭებს კაცს თმის ძირებს და თმა ჩამოსცვივა თავიდამ; მერე დაეცემა ხრტილიან ადგილებს,

ხრტილებს დაალპობს. ვის არ უნახავს ათაშანგისაგან ცხვირ-მოჭმული კაცი? სახის ფურცლები გაუფუჭდება, ხმა წაუხდება და დამახინჯდება. ბოლოს ათაშანგის ხაშმი დაეცემა ძვლებს. კაცს გაუჩნდება მჭამელი და ასე გაძალლებულად უნდა გაატაროს თავის სიცოცხლე ამ საძაგელი სნეულებისაგან წვალებით!

ეს ავადმყოფობა ხშირად გადაედებათ ხოლმე სხვა გზითაც, მაგალ., ძუძუს ბავშვებსაც შეხვდებათ ათაშანგი ძიძისაგან, როდესაც ძიძას სჭირს და ბავშვი მის დამუწუკებულ ძუძუს სწოვს; ადვილად შეეყრება კაცს, როდესაც ტანმრთელი ათაშანგიან ავად-მყოფთან ერთ ჯამში და ერთი კოვზით სჭამს.

ამ სნეულებაზე ჩვენ იმიტომ კი არ მოგვიყვანია ორიოდე სიტყვა, რომ მისი წამლობაც აღვწეროთ. ამ სნეულების მოსარჩენად ხმარობენ ეერცხლის წყალისაგან სხვა-და-სხვა მომზადებულ საშუალებათა. მაგრამ ეს წამლები ისეთი საშიშო სახმარებელი არიან, რომ უექიმოდ მათი ხმარება არ შეიძლება. თუმცა მატყუარა სოფლის ექიმები არჩენენ ათაშანგის სნეულებას, მაგრამ სხვა საშუალებით კი არა, ისინიც ამ წამლებს ხმარობენ, რომელსაც ფარულად შოულობენ. არის მაგალითი, რომ ათაშანგიანი კაცები მოერჩინოსთ სოფლის ექიმებსაც, მაგრამ აი როგორ მოხდება ეს: ნასწავლი ექიმი როდესაც წამლობს ათაშანგიანს, რასაკვირველია, რადგან ესმის მას ამ წამლების მოქმედება კაცის ტანზე, ცოტას აძლევს

და ბევრს არ მისცემს, რომ კაცი არ მოიწამლოს. იმან კარგად იცის, თუ რამდენი მისცეს კაცს, მაგრამ იმისგან დანიშნული წამლის წყეო არ კმაროებს ავადმყოფობის მოსარჩენად. ხშირად გულმოსული ავადმყოფი სტოვებს ექიმს და სოფლის ვილაცა მატყუარა ექიმთან მიდის. ამ მატყუარამ სრულებით არ იცის, თუ რა საშიშია ეს წამლები და იმდენს მისცემს ერთად, რასაც ნასწავლი ექიმი ათ ავადმყოფს არ მისცემს. თუ გადურჩა ავადმყოფი იმ წამალს, ხომ კარგი, მართლა, მისი ტანიც იწმინდება ათაშანგის ხაშმისაგან, მაგრამ, ვაი, რომ ათშე ერთი რჩება და სხვა კი კვდება!..

მე ყოველ კაცს ურჩევ, რომ თუ უბედურება ეწიოს და ეს სნეულება შეექნეს, ექიმს მიაშუროს, სადაც უნდა იქნეს. ექიმს შეუძლია ხავდაპირველადვე, სანემ სისხლში შეეიდოდეს ხაშმი, ადგილზეე მოარჩინოს და თუ სისხლში გაებნა, მაშინაც ექიმმა უკეთესად მოარჩენს, ვინემ სოფლის მატყუარა ექიმი.

იქნება სთქვას ვინმემ, რომ ექიმი რომ ვერ ვიპოვო, როგორ ვუშველო ჩემს თავსო. ეს სნეულება გავრცელებულია ნამეტურ ქალაქებში, სადაც გარყვნილებას ღრმად აქვს ფესვები გამდგარი, და ქალაქებში ყოველთვის შეუძლია კაცმა ექიმი ნახოს და მისი რჩევით იექიმრს. ექიმი რომ ვერ იპოვოს, საკმაოა პირველ შემთხვევაში ფელდშერის დარიგებაც.

სუყველაზე უკეთესი საშუალება ის არის, რომ

კაცი აერიდოს გარყვნილ ცხოვრებას, თუმცა ჰსურს, რომ შვილიერობით დასტკბეს და ამ წუთის სოფლის ცხოვრება არ გაიმწაროს!...

---

## თავი ოთხმოცდა-შვიდი.

### ორიოდე სიტყვა საწამლავებზე. მოწამლული კაცის ნიშნებზე და მის ექიმობაზე.

საწამლავები ბევრნაირია. როდესაც კაცს გაუგებლად ჩაჰყვება საჭმელში საწამლავი, თუ მალე არ მიეშველენ მას, ადვილად შეიძლება კაცი მოკვდეს. კაცი ზოგი საწამლავისაგან მალე კვდება. ამ საწამლავების წინაშეიმდეგ არიან მოსარჩენი წამლები გამოგონებულნი. ამისთვის საჭიროდ ვრაცხთ მოვიყვანოთ აქ ორიოდე სიტყვა ზოგიერთ საწამლავებზე, და მათ ექიმობაზე. არც ერთი ავადმყოფობა არ ითხოვს ისე ჩქარა მიშველებას, როგორც მოწამლულები; რამდენიმე წამის და საათის დაყონებით კაცი საუკუნოდ უნდა გამოეთხოვოს ამ წუთი სოფელს...

### ვეცხლის წყლისაგან მომზადებული საწამლავები:

**მოწამვლის ნიშნები:** ყელი გახურებული აქვს ავადმყოფს და ეწვის, კისერი ეჭიმება, ლორწკი მოსდის პირიდამ, სული ეხუთება, პირს აღებინებს, მუცლის ფალარათობა აქვს ტკივილით, ჰუტყდება ჭინტვა, ხმა წაერთმევა, სლოკინი აქვს, მუცელს ბერავს, მოუა

ცივი ოფლი, ეშინია, სუნთქვა ჩქარი აქვს, შარდზე ძნელად გადის, დაყრუვდება, პირის კანში შიგნით ანთება გაუჩნდება.

**წამლობა:** პირველად მისცემენ თბილს წყალს, რომ პირიდამ ასაქმოს ავადმყოფს, შემდეგ მისცემენ კვერცხის ცილას წყალში გადღვებილს (თუთხმეტი კვერცხის ცილი ორ გირვანქა წყალში), მუხის ქერქის გადმონადული წყალიც კარგია. სხვა საშუალებაც ბევრი არის ამ საწამლავის წინააღმდეგ, მაგრამ იმათი ხმარება შეუძლია მარტო ექიმს.

## სხვა-ტ-სხვა ტეკვიის მარილების საწამლავები.

**მოწამვლის ნიშნები:** პირის ზიდება და ღებინება, სლოკინი, კუჭის და წელების ტკივილი, ხშირად ყაბზობა, ხორცის ჭიმვა, სხვა-და-სხვა კერძო ასოების დამბლობა და ნამეტურ ხელ-ფეხებისა, შიში, გულის შეხუთვა, თავბრუს დასხმა.

**წამლობა:** მოწამლულს უნდა მისცენ ანგლიის და გლაუბერის სასაქმებელი წამლები, აღწერილი № კა-სა ქვეშე. უნდა მიაღებინონ მომეტებულად კვერცხის ცილი და საპონის წყალი.

## კალის მარილების საწამლავები.

**მოწამვლის ნიშნები:** სიცხარე პირის გემოისა, ყანყრატოს ჭიმვა, პირიდამ ზიდება, სულის შეხუთვა, პირის ღებინება, მუცლის ჭრა და ფალარათი, დასუსტება და ხორცის ჭიმვა.

წამლობა: მოწამლულს უნდა მიეცეს დასალევად რაც შეიძლება ბევრი რძე და, თუ რძე არ იშოვება, უნდა ასვან თბილი წყალი.

## ვერცხლის მარილების საწამლავები და ჯოჯოხეთის ქვისაგან მოწამვლა.

**მოწამლულის ნიშნები:** სულის შეხუთვა, პირის ლებინება, მუცლის ჭრა, მუცლის ფაღარათობა, დასუსტება, მოკლე სუნთქვა, დაყრუება, ხორცის ჭიმვა და დამბლა.

**წამლობა:** ავადმყოფს უნდა ასვან მარილ-წყალი. მარილ-წყალი და განსაკუთრებით ზღვის მარილისა ძლიერ საიმედო წამალი არის.

## შუშის ნატეხი.

**წამლობა:** თუ ვისმეს ჩაცდა შუშის ნატეხი ანუ დანაყილი შუშის ფხვნილი და მოიწამლა მით, ავადმყოფს პირველად უნდა მისცენ პურის გული, ანუ კაპუსტა, ცერცვი და ბოლოს მისცენ პირიდამ სასაქმებელი წამლები.

## შვანსკის ბუზები.

**წამლობა:** თუ ვინმე ამ ბუზებით მოიწამლა, უნდა მისცენ ბლომად თბილი წყალი სასმელად. მისცენ ცოტა ქაფური შიგნივ დასალევად. გარედამაც უნდა წაუსვან ტანზე ქაფურის ეოდკა.

## ხაშმიანი სოკოებისაგან მოწამლულნი.

**მოწამვლის ნიშნები:** რამოდენიმე ხნის შემდეგ სოკოს ხმარებისა აუტყდება კაცს გულის ზიდება, მუცლის ჭრა, წყურვილი, ცივება, ფალარათობა; ამასთან უჩნდება ფილენჯის ქარის სნეულება, ჭიმვა ხორცისა, სისუსტე; უტყდება თავის რეტი და ტკივილი, დაყრუვდება და ხშირად ლრმა ძილში ჩავარდება მოწამლული.

**წამლობა:** მოწამლულს უნდა ასვან ზომიერად მარილ-წყალი, უნდა დაალევინონ ყავა და ცოტ-ცოტა გოგირდის ეთერი, რომელიც აღწერილია № 11-სა ქვეშე, უნდა მისცენ სამ-სამი ანუ ხუთ-ხუთი წვეთი შაქარზე დასხმული, ანუ წყალში გარეული.

## თაგვის შაქრით მოწამლულის მიშველება.

**მოწამვლის ნიშნები:** ამ საწამლავით ვინც მოიწამლება, ძლიერ მალე გაუცხარდება გემოვნება, დაუწყებს ხუთვას, პირის ზიდებას, სული მოეხუთება პირის ლებინება აქვს წყლისნაირი და ხშირად სისხლ-გარეული; კუჭი ეწვის, წელებს სჭრის, მუცლიდამ ასაქმებს და სისხლს ატანს, მუცელს ბერავს; შარდი წითელი აქვს, ანუ სულ არა აქვს. ხელ-ფეხები დაუწყებს ჭიმვას, ეშინია, სული ეხუთება, შეაცივნებს, აუტყდება გულის ცემა, პირის სახე უყვითლდება და სახე ძლიერ გამოეცვლება.

**წამლობა:** უნდა მისცენ ავადმყოფს თბილი დაშაქრული წყალი და როგორიმე გზით პირის ლებინება უნდა აუტეხონ.

## ბანგის საწამლავი, ხაშხაშის თავის მარცვალი.

**მოწამვლის ნიშნები:** მთელი ტანის გაბრუება, კუთების დასუსტება, გრძნობის დაკარგვა, გაბრუება, თავის სიმძიმე და გარეტება, ძლიელ ღრმა ძილი, სუსტი სუნთქვა, სუსტი მაჯა, სხეულის კანის გაცივება, პირის სახის სიყვითლე, კუთების ძლიერ დასუსტება, ცოტა ყელში ხრიალი და ბოდვა.

**წამლობა:** ავადმყოფს უნდა მიეცეს პირიდამ სასაქმებელი წამლები, ძლიერ მაგარი შავი ყავა ერთი სტაქანი, მელნის გუნდის ნახარში და ბოლოს მქავე სასმელები და ყველაზე უკეთესია ლიმონის წყალი.

### თ უ თ უ ნ ი.

თუთუნით მოწამლულს უნდა მიეცეს იმისთანა წამლები, რომელიც აღწერილნი არიან ბანგით დათესლით მოწამლულთათვის.

### მ ქ ა ვ ე უ ლ ო ბ ა ნ ი.

როდესაც ვინმე მქავე ნივთისაგან იქნება მოწამლული, მას უნდა დაალევინონ ბევრი წყალი, რომელშიაც უნდა იყოს გაზავებული და გარეული მაგნეზია, აღწერილი № ლ.სა ქვეშე; ან უბრალო მელი, ან უნდა მისცენ საპონის წყალი, ან ზეთი.

თუ სადმე ექიმი იშოვება, ყველა შემთხვევაში უნდა მიაშველონ მას, მაგრამ მის მოსვლამდინაც არ უნდა დასტოვონ სნეული უწამლოდ.

# დამატება.

1. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე.

2. სასარგებლო დარიგება ორსულ და მშობიარე დედაკაცთათვის და ახალ დაბადებულ ბავშთა მოვლის შესახებ.

---

# დარიგება

## მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე.

ფრთვრმეტყველნი აქებდენ ფიალს, ბოეტები მას აღამკობდენ, მაგრამ თვალის სრულიდ-დაფასება გამოიხატება გამოუთქმელ მწუხარებაში იმ საბრალოთა, რომელთაც ეგი ერთხელ ქონიათ და დაუკარგავთ.

ალბრეხტ ფონ-გრეფი.

## I. თვალების მუშაობაზე.

(მეცადინეობის ხანგრძლიობა. ხშირის დასვენების მიუცილებლობა. მანძილი სამზერ საგანსა და თვალებს შუა. წვრილი სამუშაო).

§ 1. ადამიანის სწორე და სალი თვალი ისეა შოწყობილი, რომ, თუ საგნები კარგათ განათებულია, მას გაუჭირეებლათ შეუძლია მაღი განხილვა საკმაოთ შორს მანძილზე. ახლო მდებარე საგნების დასანახავათ საჭიროა თვალების დაცქერება, მათი ამუშავება,

რისთვისაც თვალის შიგნითა და გარეთა პაწაწინა კუთები უნდა მოჭიმო, მოამოკლო. ამისთანა მუშაობაში არის თვალი ყოველს, საგნის მოსაახლოებელ, მეცადინობის დროს, ე. ი. კითხვაში, წერაში, წვრილ ხელთ-საქმობაში და სხვ. როგორც ყოველი სხვა სამუშაო, ეგრეთვე თვალის სამუშაო არ უნდა იყოს დამღალავი და რიგ-რიგზე უნდა ასვენებდე თვალებს. უამისოთ თვალების განიადაგებულს მუშაობას მოსდევს კუთების სამუდამო დაქანცულობა. მუდმივს დაღალულობას კიდევ მოჰყვება მათი ავათმყოფობა: თვალების დასისხლიანება, მხედველობის დასუსტება და სხვა სატკივრები.

§ 2. მუშაობა მით უფრო საძნელოა თვალებისათვის, 1) რაც უფრო ხანგრძლივია იგი; 2) რაც უფრო თვალთან ახლოა გასახილავი საგანი; 3) რაც უფრო პატარაა, წვრილია ეს საგანი.

§ 3. თვალების ხანგრძლივი მუშაობის დროს, ფრიად სასარგებლოა მუშაობის შეწყვეტა, ასე კთქვათ, ოთხელ ნახევარ საათში 5 წამით. ამ შესვენებაში ყველაფერს ისა სჯობია, თვალები დაფარო ქუთუთოებით, და, თუ ოთახშიაც გაივლ-გამოივლი, ეს კიდევ უკეთესია. ამითი თვალებს ეძლევა საჭირო დასვენება და შელავათი, და ასცდებიან ისინი სისხლის მოწოლას, რომელიც მუშაობას მოსდევს.

§ 4. საჭირო საგანი ყოველთვის, რაც შეიძლება, უნდა მოშორებით დაიკავო თვალებთან. რაც

უნდა იყოს, საღს თვალს წვრილის ნაბეჭდის გარჩევა ცხადათ შეუძლია 14-ის დიუიმის სიშორეზე. ამ წესს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვებისათვის პირველს დაწყებითს სწავლებაში: მიუცილებლათ საჭიროა, რომ მუდამ უყურებდე და ბავშვებს არ მისცე ნება თავი მიიტანონ წიგნთან, ან რვეულთან 14 დიუიმზე უფრო ახლოს. (დიუიმი ნახევარ გოჯაზედ ცოტა მეტია). ნამეტან ახლო თავის დაკავება საწერ-საკითხავთან, რაკი თვალს ახლო ცქერას ჰჩვევს, ყველაფერზე უფრო ადრე აბეცებს (ბეცობა ჰქვია ისეთ თვალის ტკივილს, რის გამო კაცი ახლო კარგათ ხედავს, შორს კი—ცუდათ). ბეცი, მაგალითად, წიგნს კარგა კითხულობს, ნაცნობ პირისახეს კი ვერ ცნობ-ბილობს რამდენიმე საჟენის სიშორეზე.

§ 5. წვრილ ნაბეჭდს წიგნს, თუ შესაძლოა, სულაც არ უნდა კითხულობდე, მეტადრე სუსტის მხედველობის პატრონი და ძლიერ ბეცი. *)

§ 6. საწვრილო ხელთ-საქმარსაც აგრეთვე უნდა ერიდო, რაც შეიძლება. ბავშვებისთვის ხომ მავნებელია და მავნებელი ამისთანა სამუშაოები, როგორიცაა: კილოების ამოხვევა, ასოების დაკერვა

---

*) რომ თვალების მავნებელი დალალულობა არ გამოგიწვიოთ, ასოს უნდა ქონდეს სიმალლე არა ნაკლებ 1, 5 მილიმეტრისა (ტვიფარი, „კორპუსი") საბავშო წიგნებს—არა ნაკლებ 1, 75 მილიმეტრისა (ტვიფარი «ციცერო»).

(мѣтка), მწვრილის ძიებით ოჭვა, სახის კერვა, ქარგვა, მანქანების (კრუჟევების) მუშაობა და მისთანები.

საზოგადოთ, ნათქომიდგან ეს გამოდის, რომ უნდა მოხპო ისეთი ხელ-საქმარი, რაც მიუცილებლათ ითხოვს თვალთან მიიტანო საგანი 14 დიუიმზე უფრო ახლო.

§ 7. სწავლების პირველ წელიწადს, რაც შეიძლება, უნდა შემოკლდეს წერის გაკვეთილები, რაკი ესენი კითხვის გაკვეთილებზე უფრო მეტს თხოულობენ ბავშვებისგან თვალების დაძალვას და დაცქერებას. სწავლა ბავშვს უნდა დააწყებიო კითხვით, ჯერ დიდრონ ასოებზე, მერე წიგნში და ბოლოს წერაზედაც გადიყვან. ამ თანისთანობით ბავშის თვალებს უფრო ხშირათ შორეულ საგნების მზერას შეჩვეულებს, მხედველობა ნელ-ნელა უვითარდება და უმაგრდება, რაც ასე საჭიროა ახლო სამზერ მეცადინეობაში.

§ 8. წერის სწავლებაში ხმარება ძველათ გავრცელებულის, ესრეთ წოდებულის «ადლერის» რეეულებისა, რომელშიაც უნდა შემოავლო კალმით ძლივს შესამჩნევი, პაწია წინწკლებით აღნიშნული ასოები,—დღეს ცნობილია მავნებლად. ცხადია, რომ ამ წერილებზე დაშტერება, ეგებ როგორმე კალამი იმათ უსწორო, მათზე თვალების ჩაკირკიტება, გამოიწვევს თვალების მეტათ დალალულობას.

## II. დღის და ხელოვნურ სინათლეზე.

(სინათლე. მკაცრი გადასვლა სინათლიდგან სიბნელეზე. მომეტებული ბრწყინვალე სინათლე. სინათლის ნაკლებობა. სინათლის მიმართულება. განათება სკოლებში. ხელოვნური განათება და მისი თვისებები. ლამპები და სანთლები. ჩამოსაფარებლები (აბაჟურები).

§ 9. სინათლე ისე საჭიროა თვალისათვის, როგორც საჭმელი კუჭისთვის, როგორც ჰაერი ფილტვებისთვის. თვალი ცოცხლობს სინათლით; მაგრამ გადაჭარბება განათებაში დაღუპავს მას: ყველამ იცის, რომ კაშკაში, ბრწყინვალე სინათლე აბრმავებს თვალებს, ხანგრძლივი ყოფნა ბნელეში ასუსტებს მათ და ზომიერს სინათლესაც კი ვერ აიტანენ ისინი.

§ 10. ამიტომ უნდა მოერიდონ მკაცრს გადასვლას სინათლიდგან სიბნელეში, რადგანაც სწორეთ ამისგან წარმოსდგება გადაჭარბებული მავნე მოქმედება სინათლისა თვალებზე.

§ 11. ამ მოსაზრებით საწოლ ოთახში ფანჯრები არ უნდა დახურო, როგორც ჩვენში შვრებიან, სრულიად მჭიდრო, უმჭვირვალო დარაბებით, ეს იმიტომ, რომ სრულს სიბნელეში მოსვენებითგან გადასვლა დღის კაშკაშს განათებაზე, მეტათ საგრძნობელია თვალებისთვის. ყველას სჯობია, გააკეთო ლუში ფარდები (პარუსინისა), რომელზედაც ღამის სიბნელეს

ნელ-ნელა ცვლის სინათლე, თვალი კი ამასობაში ადრევე, გამოლვიძებამდე, ემზადება სადღეო მუშაობისთვის.

§ 12. იმათ, ვისაც ვერ აცდებათ ყოფნა მეტათ კაშკაშს განათებაზედ (მაგ. თოვლიან მთებზე; ზაფხულის მზის სხივებ ქვეშ ხანგრძლივი დგომა და სხვა), უნდა იშოვონ დამჩრდილავი სათვალეები (კონსერვები), რომელთა შორის ყველას ჯობია ბოლის ფერები (ყიდიან აგრეთვე ლურჯ კონსერვებს, მაგრამ იმათ ბოლის ფერები ჯობია).

§ 13. განათების ნაკლებობა სინათლის გადაჭარბებაზე ნაკლებათ არ ვნებს თვალებს. მეტადრე მავნებელია სინათლის ნაკლებობა თვალების მუშაობაში, ე. ი. კითხვასა, წერასა, წვრილს ხელ-საქმარებსა და მისთანებში.

სუსტ განათებაში თვალი ტყუილ-უბრალოთ ჯაფას სწვევს, რათა გაარჩიოს იგი, რაც მას ადვილათ და თავისუფლათ შეეძლო დაენახა რიგიან სინათლეზე. მეორის მხრით განათების ნაკლებობა მუდამ განდომებს ვასახილველი საგანი თვალს მიუახლოვო, რომ უკეთესად გაშინჯო იგი; ამასთანა დაახლოვებას კი, როგორც ზევითაც იყო ნათქომი, პირდაპირის გზით მიჰყევხარ ბეცობამდე.

§ 14. აქითგან აშკარაა შემდეგი დასკვნა:

კითხვას რომ მიადგები, მეტადრე ხანგრძლივს, უთუოთ ისე უნდა მოეთავსო და წიგნიც ისე დაი-

კავო, რომ იგი კარგად იყოს განათებული; პირდა-პირს მზის სხივებს მაინც კიდევ უნდა მოერიდო.

§ 15. წერის დროს ყველაზედ უფრო სამარჯვოა—სინათლე მარცხენა მხრით ხვდებოდეს, რადგანაც წინითგან მომდგარი სინათლე თვალებს ლალავს, მარცხნით ანუ უკანითგან მომდგარი სინათლე კი ქალალდს ჩრდილავს მარჯვენა ხელით, ანუ მთელის ტანით.

საზოგადოთ სამაცადინო სტოლი ოთახში უნდა დადგა ისე, რომ სინათლე მარცნით მოდიოდეს.

§ 16. რიგიანი განათება მიუცილებლათ საჭიროა სკოლებში, სადაც ყმაწვილების თვალები რამდენისამე საათის განმავლობაში ზედიზედ დღითიდღე დასალალავ მუშაობაშია. ამასთანავე ის უნდა შენიშნოთ, რომ ყმაწვილის თვალს სუსტი, სათუთი, ჯერ გაუმაგრებელი გარსი აქვს, და ამიტომ ძალიან ადვილათ ფუჭდება მავნე მიზეზების ზედ-მოქმედებით.

§ 17. სკოლაში, როგორც ამბობს პროფესორი კონი, თავის დღეში არ შეიძლება მომეტებული სინათლე იყოს.

«სკოლას», როგორც გვირჩევს ქალალი, უთუოთ ამდენი სინათლე ჭქონდეს, რომ ლრუბლიან დღეებშიაც კი კლასის უბნელესი კუნჭულები საკმაოთ განათებული იყოს.

§ 18. სკოლის ფანჯრები ამიტომ, რაც შეიძლება, უნდა მიქცეული იყოს სამხრეთისკენ, ანუ აღმოსავლეთისკენ, როგორც უფრო სინათლიან მხარეებისკენ.

§ 19. სრულათ კარგი საკლასე ოთახი ჰქვიან მხოლოდ ისეთს ოთახს, რომელშიაც ფანჯრები იმდენათ ბევრია, რომ თვითეულს იატაკს ოთხ-კუთხ ფუტზე მოდიოდეს არა ნაკლებ 30 ოთხ-კუთხი დიუიმი ფანჯრის მინის სიფართე, ე. ი. რომ მინის სიფართე ეშესაბამებოდეს იატაკის სიფართეს, როგორც 1: 5 (პროფ. კონი).

§ 20. კლასის სტოლები ისე უნდა იყოს დალაგებული, რომ სინათლე მარცხენა მხრით შემოდიოდეს.

§ 21. სკოლები უნდა შენდებოდეს საკმაოთ თავისუფალ ადგილებზე, რომ პირის-პირ მდებარე მაღალი სახლები სინათლეს არ უნდა უფარავდეს მათ. იმავე მიზეზით სკოლის სახლების გარშემო არ უნდა დარგონ მაღალ-მაღალი ხეები.

§ 22. კლასების ფანჯრები უნდა იყოს მორთული ფარდებით (ყველას ისა სჯობია, თუ ნათელ-ლუში ფერია, ტილოსი), მეტათ ძლიერის, მზის სინათლისგან დასაფარავათ.

§ 23. კედლების შეღებულობა არ უნდა იყოს ბრჭყვიალებულის და არც თეთრის ფერისა; საუმჯობესია, რაც იგი ლუშ-ყირმიზი ფერისაა.

§ 24. ხელოვნურ გათენებაზე რომ გადავდივართ, ყველაფერზედ უწინ უნდა ვსთქვათ, რომ ბინდ-ბუნდში ბეცადინეობა, როცა დღის სინათლე თან-და-თან ილევა, და ლამპრები ჯერ არ ანთებულა, — მეტათ მავნებელია თვალებისათვის: თვალები თვითონ მო-

მუშაკისათვის შეუნიშნავათ ილალებიან სულ უფრო და უფრო, რამდენადაც უფრო ჩასცქერებიხარ ცუდათ განათებულ საგანს.

§ 25. ხელოვნური განათება უნდა ბაძავდეს ბუნებას, დღის სინათლეს კი, როგორც ყველამ იცის, აქვს შედეგი უმთავრესი თვისებები: 1) იგი არის ფრიად ცხადი; 2) იგი არის თანაბარი, ე. ი. არ პარპაშობს, მაგ. როგორც სანთლისა; 3) მას არა აქვს სიფერადე; 4) დღისით გათენებით ჩვენ გვეძლევა, ესრეთ წოდებული, დაფანტული სინათლე; თვითონ სინათლის წყარო, მზე, ზევითგან დაგვყურებს და ჩვეულებრივ მოძრაობაში ჩვენის თვალებითგან მიფარებულია; ჩვენი თვალები სწორეთ ისეა მოწყობილი, რომ ზევითგან დაფარულია წარბების კარკალით და ზედა ქუთუთოთი მზის პირ-და-პირის ზედმოქმედებითგან.

ამ, დღის სინათლის, თვისებებისგან გამომდინარობს შემდეგი წესები ხელოვნურ განათების შესახებ:

§ 26. **უსათუოდ მაგნებელია მეცადინეობა ცუდ ხელოვნურ განათებაზე.** მბეჟუტავი ლამპრები, სანთლები და სხვ. ხმარებაში აღარ უნდა იყონ.

§ 27. საღამოის მეცადინეობაში უნდა გქონდეს საკეროსინე ლამპრები ცხად სინათლიანი, მაგ. ლამბრები მრავალ სამწვიანი და ორმაგ-საზიდიანი სილპერისა, კუმბერგისა, შტობვასერისა (ჰელიოსის), ბერლინის საგიგენო ლამპრით, კობიზევის ლამპრით (ოთხ-ბრტყელ სანათურიანი) და სხვ.

განსაკუთრებით უნდა იზრუნონ კარგს ლამპარზე მოსწავლეებისათვის. ამისთანა ლამპრისთვის ხარჯს არ უნდა მოერიდოს თვითონ შედარებით ღარიბი სახლობა: შვილების საღი თვალები ერთი ასად გამოისყიდის ამ დანახარჯს.

§ 28. ხშირათ გაგვიგონია, რომ ვითომც კეროსინით განათება მავნებელი იყოს მეცადინეობაში, და რომ უმჯობესიაო სანთლებთან მუშაობა. ეს სრულიად ცრუ აზრია. სანთლის სინათლე ძლიერ სუსტია და გარდა ამისა თითქმის მუდამ ტოკავს; ამისთანა ბჟუტვას სინათლისას სრულიადაც გერ ეწყობა თვალი და ამიტომ იგი ძლიერ ბღეზდება მისგან. თუ მაინც კიდევ სანთლებთან მუშაობა ვერ დაგიშლია, უნდა აიღო ისინი სამი, ოთხი და მათი ალი დახურო საერთო საფარებელით (აბაჟურით).

§ 29. თვალები უფრო მოსვენებით და წყნარათ არის მაშინ, როცა ლამპრის ალი მოფარებულია მათგან და როცა ცოტაოდნათ ზევითგან დაჰნათის. რამდენისამე წუთის განმავლობაში რომ დააცქერდე ლამპრის ალს, მაშინვე იგრძნობ, რომ თვალები აბრჭყვიალებულია კაშკაშ სინათლით. დაუხურავ სამწვესთან თვალები მუდამ ბრჭყვიალობს ცეცხლის გავლენით, საგრძნობლებიანი (აპკიანი) მათი ფარსი კი განუწყვეტლივ შეტის-მეტათ გაბღეზებულია და ამიტომ მალე იღალება.

§ 30. აქითგან ჩანს, რომ ლამპრის ალი უნდა

**დასურული იყოს საფარებლით;** მაგრამ საფარებელი როგორი უნდა?

§ 31. აბაჟური არ უნდა იყოს მთლათ გაუმჭვირვალო, რადგანაც ამ შემთხვევაში თვალებზე მოქმედებს მკაცრი განსხვავებით კაშკაშათ განათებულ სტოლსა და მთლათ ბნელ საფარებელ შუა (სინათლის წინააღმდეგობანი შეადარე § 10) **უველაზედ საუკეთესო და სასარგებლოა თავწოწოლა საფარებლები, ესრეთ წოდებულის რძის ფერი მინისა.**

თუ, ძლიერ კაშკაშ ლამპარზე, ამისთანა საფარებელი მეტათ გამჭვირვალე გამოდგა, მას უნდა წაახურო მეორე საფარებელი, ერთის ფურცლის უბრალო საწერ ქაღალდისაგან გაკეთებული. ბურთის, ტულპანის და სხვაგვარი საფარებლები ფრიად გამოუდეგარი არიან მეცადინეობაში, რადგანაც ჩამოსაფარებელის დანიშნულებას, სინათლის ქვეითკენ დაშვებას ვერ ასრულებენ.

§ 32 **სამუშაო ლამბრის ჩამოსაფარებელი არას შემთხვევაში არ უნდა იყოს ფერადი** (წვანე, ლურჯი და სხვა). სწორეთ, აგრეთვე, საღი თვალების პატრონმა არ უნდა იმუშაოს წვრილ საგნებზე ფერად სათვალეებ აფარებულმა.

§ 33. საკაბინეტო ლამპრებში ყველაზე უფრო სამარჯულოა იმისთანები, რომელშიაც ჩასასხმელის (რეზერუარის) მისი სამწვიანათ აწევ-დაწევა და ჭახრაკით (ვინტით) დამაგრება შეიძლებოდეს. კარგი

აგრეთვე მოძრავი ჩამოსაკიდი ლამპრები, რომელნიც საჭიროა სიკაშკაშისათვის უნდა ძირს დაიშვებოდენ: ერთ ან სამ მეოთხედ არშინზე სტოლიდგან.

## III წერა-კითხვის დროს როგორ უნდა იჯდეს კაცი და როგორ უნდა ეკავოს თავი?

პირდაპირი დაჯდომა. მავნებლობა თავის დახრისაგან წერა-კითხვის დროს. სასკოლო აგეჯეულობა (мебель).

§ 34. მხედველობის დასაცავად საკმარისი არ არის მარტო კარგი სინათლე: საჭიროა იზრუნო და მიაჩვიო თავის-თავი რიგიანათ ჯდომას მეცადინეობის დროს. ურიგო ჯდომა უთუოთ მიგაახლოებინებს თვალებს რვეულთან ან წიგნთან, და ასეთი მიახლოება, როგორც ზევით ახსნილია, ძლიერ მავნებელია თვალებისათვის. *)

§ 35 თვალების და მთელის სგეულობის სწორეულისათვის მიუცილებლათ საჭიროა კარგათ აყენო და თავი სამუშაოზედ ან დახარო. გაუსაკუთრებით მშობლებმა და მასწავლებლებმა გულსმოდგინეთ თვალი

---

*) ლოგინზე წოლის დროს კითხვა, მეტადრე ლამით, აგრეთვე ძალიან მავნებლად უნდა ჩაითვალოს; განათებაც ხომ ამ მდგომარეობაში საკმარისი არ არის (უფრო ხშირათ ერთი სანთელი).

უნდა დაიკავონ ბავშვებზე ამ შემთხვევაში. რადგანაც ბავშვის აგებულება ჯერ გაუმაგრებელი და დაუსრულებელია, ამიტომ ბავშვის მოხრილი მდებარეობა მეცადინეობის დროს ბოლოს და ბოლოს ხერხემალს უმრუდებს მას (მობლუნძულობა და სხ.) თავის დახრილობას მოზდევს მუდამი სისხლის შეჩერება თვალებში, შემდეგ კი თან-და-თან—ბეცობაც. ზოგიერთი ბავშვები მიდიან იქამდე, რომ კითხვასა და წერაში ნიკაპს აყრდნობენ სტოლზე,—ამაზედ უფრო მავნებელი მდებარეობა წარმოუდგენელია.

§ 36. რომ უფრო სიადვილით დაიკავო თავი გამართულათ, სასარგებლო არის წიგნი ანუ რვეული მოათავსო გეზათ (გორიზონტარულათ) კი არა, არამედ კუთხეს ქვეშ დაახლოებით 14° გეზის სადებელისკენ. საუმჯობესოა, თუ სამუშაო სტოლი ისე მოწყობილია, რომ ამნაირათ დაფერდებულია თოთხმეტ გრადუსათ, როგორც ეს აქვს საკლასე სტოლებს.

§ 37. მეცადინეობის დროს აგრეთვე უნდა მოეთავსო ისე, რომ ორივე თვალი თანახწორ მანძილზედ დაშორებული იყოს წიგნიდგან, თუ რომ წიგნს მიუჯექი გვერდით და იკითხე ალმაცრივ, მაშინ ერთი თვალი დაიღალება მეორეზე უფრო. ამისთანა **ურიგო** მდებარეობა ხშირ-ხშირად გამოიწვევს თვალის ელამობას.

§ 38. წერის გაკვეთილების დროსაც მიუცილებლათ საჭიროა ფური უგდო, რათა ბავშვებმა თავი

არ დასარჩენ მარჯვნივ, ანუ მარცხნივ, რასაც ისინი ხშირად ჩადიან კალმის მომარჯვების დროს. ამის გამოვე მაენებელია მეტად ირიბული წერა (ხელი), რომლისთვისაც ბავშვები უნებურათ თავს იხრიან გვერდზე: „ბავშვებს აბრუციანებენ იმისთვის, რომ ლამაზი ირიბული წერა ასწავლონ“, სთქვა დოქტორმა ფარნერმა.

§ 39. სასკოლე სტოლები. რომლებთანაც მოსწავლეები რამდენისამე წლის მიმდინარეობაში ყოველ დღე ოთხ-ხუთ საათს ატარებენ, ერთობ დიდად მოქმედობენ მათ ჯდომაზე, და, მაშასადამე, თვალებზედაც. ამ გავლენას დიდი ხანია ყურადღება მიაქცეს ყველა გამოჩენილმა ექიმებმა და მასწავლებლებმა, ათასი დაკვირვება მოახმარეს ამ საქმეს, და ამიტომ აშკარაა, რომ სასკოლე ავეჯეულობის შესახები კითხვა არა თუ მთლათ გადაწყვეტილია, სრულიად გონივრულათ, არამედ, პროფესორ ვებერის სიტყვით, «შეკეთესად გადაწყვეტა თითქმის ადარც კი შეიძლება».—მრავალ გვარის გამოკვლევის და გაზომის მეოხებით, დღეს ამისათვის დადგენილია შემდეგი წესები:

«მოსწავლეები ხდებიან მობლუნძულები (დაღრეკილები) და ბეკები მრუდის ჯდომისა გამო. ცუდს ძველებურს სასკოლო ავეჯზე. ისინი სხედან, მრუდეთ, თუ სკამი სტოლიდგან შეტათ დაშორებულია, შეტათ დაბალია სტოლის სიმაღლესთან შედარებით და თუ

შას არა აქვს შესაბამისი საზურგე. ამიტომაც, სასკოლო აგეკი მხოლოდ მაშინ არ არის მაგნებელი, როცა იგი უმაწვილს მეცადინეობის დროს გამართულათ აყენებს და აგრეთვე ამ მდგომარეობაში არჩენს მას ხანგრძლივათ და დაუღალავათ.

ამის გულისთვის: 1) სკამის სიმაღლე იატაკიდგან ანუ საფეხურ ფიცრიდგან უნდა იყოს ბავშვის წვივის სიგრძე მუხლ-ქვეშეთის ფოსოდგან ფეხის გულამდე; 2) სკამის სიგანე უნდა ედრებოდეს თეძოს სიგრძეს მუხლის ქვეშეთი ფოსოთგანვე მოკიდებული ხირხიმლის ბოლომდე; 3) შემორგვალებული წინა კიდე სკამის უნდა შედიოდეს სამიდამ ხუთ სანტიმეტრზე (დიუიმი სტოლის შიგნი კიდეს ქვეშ); 4) დასაჯდომი უნდა იყოს ისე მალალი, რომ ბავშვს შეეძლოს წერა, სტოლზე წინა მხრებ დადებით და ამ დროს იგი არ უნდა იძულებულ იყოს მხრები ასწიოს ანუ წინისკენ დახაროს თავი და გვერდი. 5) სკამის საზურგე უნდა იმყოფებოდეს უკანასკნელ წელის ძვივ სისწორივ (ესრეთ წოდებულის «უკანალის ზურგი»); 6) სტოლის ზედა პირი უნდა იყოს დაფერდებული 14° კუთხეს ქვეშ (ანუ გადახრილობა 1: 6).

მთელს გიმნაზიას, გამოანგარიშებისაებრ, მოსწავლეების სიმაღლე რომ ჩავთვალოთ 109—175 სანტიმეტრამდე და იმას ზევითაც (43—69 დიუიმამდე), უნდება სტოლები სულ 7 სხვა-და-სხვა ზომებისა (ყველაზე უფრო სადა, სამარჯულო და იაფი

არის კუნცის მოწყობილობის ავეჯი შესაწევ-გამოსაწევ ფიცრიანი.

§ 40. მოსწავლეებს, რომელთაც სიმაღლე $3^1/_2$ დიუიმზე მეტით არ განირჩევა ერთმანეთისგან, თამამათ შეუძლიათ მუშაობა ერთსა და იმავე სტოლთან. მაგრამ თუ მოსწავლეების სიმაღლე ერთმანეთისგან სხვავდება $4^1/_2$ დიუიმზე (11 სანტიმეტრზე) მეტით, მაშინ მათ უნდა იმუშავონ სხვა-და-სხვა სტოლებთან.

## IV. ტკივანი თვალების მოგლაზე.

(ბეცობა, ბეცობის სხვა-და-სხვა შესაფერი სათვალეები. მთელი ტანის სიმრთელის გავლენა თვალებზე. შორმხედველობა. მოხუცებულობის შორმხედველობა. თვალების ანთება. მათის ექიმობის მავნებლობა შინაური საშუალებით. ზოგიერთი თვალის ტკივილის გადამდებლობა).

§ 41. წინა თავებში განხილულია ის წესები, რაც მეცნიერებას გამოუკვლევია მხედველობის და თვალების სიმრთელის დაცვისათვის. ამ წესების აუსრულებლობას მიუცილებლად მოჰყვევს თვალების დაზიანება: 1) თვალები თან-და-თან (თავდაპირველად შეუნიშნავად, ბეცდება; 2) თვალები ხდებიან სუსტნი, მალე იღალებიან მუშაობაში; ადვილათ დასისხლიანდებიან და ანთება მოსდისთ.

მაინც როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ თვალები ასე, თუ ისე დაგვიავადმყოფდა და დაგვისნეულდა?

§ 42. ბეკი თვალების პატრონმა კიდე უფრო სასტიკათ უნდა მისდიოს ზემო ნაჩვენებს რჩევებს.

§ 43. შემდეგ ბეკმა უთუოდ უნდა მოიპოვოს შესაფერი სათვალეები. ბევრს გონია, ვითომ კ სათვალების ტარება კიდევ უფრო აძლიერებდეს ბეკობას, —ეს შემცდარობაა. ბიგზე შერჩეული სათვალეები თვალებს იცავს ბეკობისა და ბრეტიანობისაგან. მაგრამ არაოდეს არ უნდა იყიდო სათვალები, საზოგადოდ, და განსაკუთრებით ბეკი ყმაწვილებისთვის, ექიმის ნებადაურთველათ და აურჩეველათ.

§ 44. ბეკებისთვის სხვა და-სხვანაირი სათვალებია მიჩენილი, იმის მიხედვით, თუ რომელ ხარისხზე დგას ბეკობა. ამ ხარისხის გამოცნობა, —რა თქმა უნდა, ექიმის საქმეა. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი, ფრიად საჭირო, წესი: ბეკობისათვის სათვალეებს უფრო ხშირათ უნიშვნენ მხოლოდ შორს სახედველათ, რადგანაც ბეკებს შორს მხედველობა აკლიათ. ახლო მეცადინეობაში ბეკს სათვალე არ სჭირდება; მისთვის საჭიროა მხოლოდ, როგორც ზევით ნათქვამია, რაც შეიძლება, ყოველთვის მოშორებით დაიკავოს სახედავი საგანი. ზოგჯერ ექიმი ბეკს უნიშნავს სათვალეებს ახლო სამეცადინოთაც (საკითხავად და საწერად), მაგრამ ეს ათასში ერთხელ. საზოგადო დებულობა კი ესეთია: «თუ ბეკი უსათვალებოთ არჩევს ნაბეჭდს 12—14 დიუიმის მანძილზედ, მან სათვალე აღარ უნდა იხმაროს»; თუმც ვერ

არჩევს, მაშინ ექიმის შეხედულობით, მას ენიშნება ეფერო სუსტი სათვალები საახლოოთ.

§ 45. ზოგჯერ ბეცობა მიიღებს «წარმატებითს ხასიათს», ე. ი. ბეცობის ხარისხი თანდათან მატულობს და, ამისდა შესაბამისათ, მხედველობა სულ უარესდება და კლებულობს. არის შემთხვევები, როცა ამისთანა „წარმატებითი ბეცობა» თავისთავათ შეჩერდება ხოლმე, მაგრამ სამაგიეროთ იმისთანა შემთხვევებიც არის, როცა მას მოზდევს ულმობელი სიბრმავე.—ვისაც ამისთანა ბეცობა სჭირს, მან ყველაფერზედ უწინ ხელი უნდა აიღოს ხანგრძლივის ვადით ყოველგვარის თვალისთვის ახლო სახედავ მეცადინეობისაგან: ერთბაშათ არც უნდა იკითხოს და ერთი პწკარიც არ უნდა სწეროს რამდენისამე თვის განმავალობაში. შემდეგ ამისთანა ავადმყოფებმა უნდა იზრუნონ თავისის აგებულობის გამაგრებაზე კარგის საზრდოობით, გიმნასტიკით, სხეულის (ფიზიკური) მუშაობით, რომელიც თვალების დაძალვას არ თხოულობს (იხ. ქვევით) და საზოგადოდ უნდა იყოს ექიმის მხედველობას ქვეშ.

§ 46. აგებულობის საერთო სიმრთელე თვალის სისაღესა და სიმრთელესაც დაეტყობა ხოლმე. შენიშნულია, რომ ბეცობა ყველაზედ უმალ უჩნდება სუსტს, სისხლ ნაკლებ, დუნეს, ტანში შეკრულობით ავადმყოფს ბავშვებს. ამიტომაც ბეცობისთვის საზოადოდ დიდებისთვისაც და პატარებისთვისაც მიუცი-

ლებლათ საჭიროა ზრუნვა სხეულის განვითარებაზე: მუდამი რიგისებრი გიმნასტიკური ვარჯიშობა, ხშირათ წმინდა ჰაერზედ მოძრაობა, კარგი, ნოყიერი (ხორ-ცეული) საზრდო, ცივი საჭმელები,—ესენი მოუტანენ მათ დიდს განუზომელ სარგებლობას და მოეხმარებიან ბეცობის შეყენებას. სასარგებლოა, აგრეთვე, ყოველ დღე, დილა-საღამოს, ხანგრძლივათ (ხუთიოდე წამს) თვალების ბანვა გრილის (არც ძალიან ცივის) წყლით (თვალის გრილება).

უნდა ახსოვდეთ აგრეთვე, რომ ვიწრო საყელოებს, მოჭერილ კარსეტებს აქვსთ მავნე გავლენა თვალებზედ, გამოიწვევენ რა მათში სისხლის შეჩერებას.

§ 47. ბეცობას გარდა სათვალებს უნიშვნენ რამდენადმე შესამჩნევ შორმხედველობისათვის, ე. ი. ისეთი სატკივრისთვის, როცა თვალი კარგათ იხედება შორს და ცუდათ—ახლოს. მხოლოთ, შორსმხედველობისთვის სათვალები სრულებით სხვაგვარის მოწყობილობისაა; იგიც, აგრეთვე, ექიმს უნდა დაანიშვნიო. შორს მხედველობისთვის, თუ სათვალები საჭიროა, იმისი ნიშანი ის არის, რომ მეცადინეობაში თვალი მალე იღალება; თვალებში მალე გრძნობ ზვას, ჩხვერას, ტკივილს; ეს გრძნობა ვრცელდება თვალების ახლო-მახლოს, შუბლში და საფეთქლებში; ასოები ბრუნდათ მოჩანან, ინარებიან და შემდეგ სრულიად უჩინარდებიან. ცოტა დასვენების შემდეგ კითხვა

ხელახლავ შეიძლება, მაგრამ მას უკან ისევ იწყება იგივე გრძნობები და ასოების აბლანდვა.

§ 48. არის კიდევ ერთი მხედველობის ცვლილება, რომელიც თხოულობს სათვალეებს. ეს არის, ეგრეთ წოდებული «მოხუცებულობის შორმხედველობა».

ხანში შესვლისათანავე, ე. ი. 40—45 წლიდგან ყველას ეწყება ნაკლები მხედველობა ახლოს, თუმცა ამასთანავე მათ შორს-მხედველობა თითქის იგრევე უჭირსთ, როგორც უწინ. ამ ასაკში შესულებს კითხვა შეუძლიათ კი, მხოლოთ წიგნს ძალიან შორს იკავებენ თავის უკან ოდნავ გადაწევით. თვალებში, ამას გარდა, იწყება იგივე დაღალულობა მეცადინეობაში, როგორც აწერილია წინა მუხლში. აღნიშნული ცვლილება აგრე რიგათ საშიშარი არ არის, რათგანაც 1) იმის გასწორება ძალიან ადვილია შესაფერისი სათვალეებით, რომელიც იხმარება მხოლოდ მეცადინეობაში, და 2) იგი, არსებითად, ავადმყოფობა როდია,—ეს საზოგადო ხვედრია ადამიანებისა, მაგრამ სათვალების უხმარულობა ამისთანა დროს, როგორც ზოგიერთნი შვრებიან თვალების დაზიანების შიშით, სრულიადაც არ არის კეთილ-გონიერება: სათვალები თვალს არ აფუჭებს და უიმისოთ კი კაცი ტყუილ-უბრალოთ საქმეს იჭირვებს მეცადინეობაში.

§ 49. ბეცობას გარდა, თვალებს, თუ კარგათ არ მოუარე, შეიძლება სხვა რამ სატკივარიც შეხვდეს.

მათგან ყველაზე უფრო საშიშარია ანთება სხვა და სხვა ფორმისა, რომელთა საზოგადო ნიშანია, უფრო ხშირათ, თვალების სიწითლე, ცრემლვა, სინათლის ფრთხობა.

ამისთანა შემთხვევაში ყველაზედ უმჯობესია ექიმს მიმართო და, რაც შეიძლება, საჩქაროთ; უნდა გახსოვდეს, რომ თვალის ტკივილის დროს თვითეული წამი ძვირად საღირალია.

§ 50. თავის დღეში არ უნდა უაქიმო თვალებს შინაურის საშუალებით: რძეს, კვერცხის ცილს, შაქარს, პილპილს, შაბს კვერცხის ცილაში არეულს, ლურჯ ქვას (შაბიაბანს) ფხვნილათ და მისთანებს ძალიან ხშირათ ხმაროობენ ყოველგვარ სატკივრისთვის ერთგვარათ, და ძალიან ხშირათ აფუჭებენ თვალებს ისე, რომ მათი გასწორება აღარაფრით შეიძლება. მარტო ის უნდა იფიქრო, რომ მაგ. რძე და კვერცხის ცილა, ქუთუთოების ნაკეცებში რომ ჩაჯდებიან, შემჟავდებიან და აჩენენ ხაჭოსებურ სიდამპლეს, რის გამოც ამგვარი ექიმობა მეტად მავნებელია. ჩვენ მხარეში ძალიან გავრცელებულია ქალის რძით თვალის ექიმობა, და, სამწუხაროთ, თვითონ განათლებულ მხარეებშიაც კი. *)

*) აქ კავკასიაში ძლიერ გავრცელებულია თვალის ექიმობა ქალის რძით და არა თუ უსწავლელ ხალხთა შორის, არამედ ნასწავლებთ შორისაც. ზოგიერთ სოფლებში მკითხავები ენითლოცვენ თვალებს მორჩენისათვის. (?!) ამისთანა ექიმობა მავნე-

§ 51. შინაური ექიმობა იმას კი არ ქვია, რომ თვალები დააჩირქიანო სხვა-და-სხვანაირის სამზარეულო ნათხუპნით, არამედ, პირიქით, იგი უნდა შეინახო მტკიცე სისუფთავით. ეს არის საუკეთესო შემწეობა და დახმარება ექიმისა.

ტკივანი თვალები უნდა ამოსწმინდო ან დახვეწილის (გიგროსკოპიულის) ბამბით (აფთიაქებშია), ან ძალიან სუფთა ტილოთი; ჭუჭყიანი ცხვირ-მანდილი არამც და არამც არ უნდა მიაკარო თვალებს.

§ 52. სხვა-და-სხვანაირ თვალების ანთების დროს ჩირქს, უმეტესად თხელ ჩირქს გადამდები თვისება აქვს: იგი რომ მთელს თვალს მოხვდეს, იქაც გააჩენს იმისთანასვე ანუ მსგავს ანთებას. ამიტომაც საუმჯობესოა სიფრთხილისათვის, ყოველ გვარს თვალითგან გამონადენ ჩირქს ისე უყურებდე, როგორც გადამდებს. ამისთანა შემთხვევაში უნდა მიიღო შემდეგი ღონისძიება: ავათმყოფს უნდა ჰქონდეს პირისათვის სხვა პირსახოცი, ცხვირისათვის — სხვა ცხვირსახოცი და სხვა.; იგი თუ მარტო არ წვება, მაგალ. რამდენიმე ბავშვი ერთად, მაშინ თვალ ტკივანი უნდა გააცალკევო. ამისთანა ავადმყოფების მომვლელი, ხშირათ უნდა საპნით იბანდეს ხელებს, რათა სნეულება მრთელ თვალებზე არ გადიტანოს.

---

ბელია ისეც თვალისათვის და, ამას გარდა შეიძლება თვალებს დამართოს ამ ექიმობამ სხვა სნეულებაც, თუ მკითხავს სჭირს სხვა რამ ისეთი.

§ 53. მიუცილებლათ საჭიროა აგრეთვე გაფრთხილება, რომ თვალში არ მოხვდეს რამე გამაბლეზებელი ნივთიერება ანუ ხიწვი ჰაერითგან ატანილი ამიტომაც იმ პირებმა, ვინც ცხოვრობს მტვერიან ადგილებში (მაგ. საქვანახშირეში, სამარგანეცეში და მისთანებში) და რომელთაც უთუოდ თვალები დაბუსტებული აქვთ,—უნდა რამდენჯერმე დღეში თვალები ამოიბანონ სუფთა წყლით და ატარონ დამფარავი სათვალები ექიმის გამორჩევით.

## V. თვალების ზოგიერთ ავადმყოფობაზე.

„ახალ-დაბადებულთა თვალების ჩირქიანი ანთება. ბავშვების თვალის ტკივილი წითელასა და ყვავილს შემდეგ. დურბლის ანთებები. წყლული და დაშავება თვალისა. გაციებით ავადმყოფობა თვალისა (კუთების დამბლა). თვალების ტკივილი ღვინისა, თუთუნისა და ათაშანგისაგან. კატარაქტა (თვალის ფრჩხილი) და გლაუკომა ტრაქომა“.

§ 54. რა კი ჩამოვთვალეთ თვალების მოვლის საზოგადო წესები, ახლა კერძოთაც ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა თვალების უმთავრეს ავადმყოფობაზე, რომლებიც თან სდევს სხვა-და-სხვა ასაკს.

ახალ-დაბადებული ყმაწვილიც-კი არ არის დაცული თვალების ავად-მყოფობისაგან; ძალიან ხშირია, რომ მას თვალების ტკივილის ნასახი თან დაჰყვება

ხოლმე: ყველაზედ უმთავრესი, უფრო ხშირი ად უფრო საშიშარი ავადმყოფობა ამ ასაკში ის არის, რომელსაც ეძახიან „ახალ-დაბადებულის თვალების ჩირქიან ანთებას“, აი რა არის ეს ავადმყოფობა: დაბადების პირველ ან მეორე დღეს ყმაწვილს თვალები აებანდებათ; ქუთუთოები ერთმანეთს მიეკვრის; წამწამებზე უჩნდება გამხმარი წირპლები; ყმაწვილი ძლივს ახელს თვალებს. შემდეგ, ავადმყოფობის მეორე—მესამე დღეს ქუთუთოებს ქვეშითგან იწყებს დენას წითელ-ყვითელი სითხე. ყმაწვილს ქუთუთოები ამ დროს უწითლდება და უსივდება. კიდევ ორ-სამ დღეს შემდეგ ეს შეუწყვეტლად თვალებითგან გამომდინარე სითხე თან-და-თან სქელდება, იმლვრევა, შემდეგ ყვითლდება და ჩირქს დაემსგავსება. ქუთუთოების სიმსივნე გასტანს ორ კვირაზე მეტსაც; და როცა დანაბოლოს ყმაწვილი თვალებს გამოახელს, მაშინ მშობლების გასაკვირლად გამოჩნდება, რომ თვალებზე მას გასჩენია უშველებელი ბასტი (ლიბრი), ზოგჯერ თვალებიც აღარა ჩანს: ისინი ბალლმად გამოდენილან და მიჭყუტულან.

ახლა სრულიად გამოკვლეულია, რომ ეს საშინელი ავადმყოფობა ქმართება ყმაწვილის თვალებს თვითონ დაბადების დროს, თუ მოხდა რომ მშობიარეს სეზონზე ერთგვარი საშიშარი ავადმყოფობა, რომელსაც უწოდებენ გონორეა-ს. *) აი აქეთომ ძალიან საჭიროა,

*) ამ სნეულების დროს საშოს მილიდგან სდისთ დედათა ერთნაირი თეთრი წრბოლი, რომელიც მოეცხება თუ არა მრთელ ხორცს, მალე აღანთებს და დაჩირქებს.

რომ დედა-კაცმა, — თუ მას ამისთანა სენი სჭირს, ადრევე, შობიარობის წინ აცნობოს ეს ნასწავლ ბებიას. ბებიამ კი მაშინვე, დაიბადება თუ არა ყმაწვილი, უნდა მობანოს მას თვალები თბილი წყლით და ჩაასხას თვითეულ თვალში თითო წვეთი წყალი, რომელშიაც უნდა იყოს გახსნილი ჯოჯოხეთის ქვა, რომელიც აფთიაქში ისყიდება, მხოლოდ ექიმის რეცეპტით. ამ წამლის შოქმედებით სენი ადარ მატულობს. თითქმის ყველა მშობიარეთა დამხმარებელ თავშესაფარებში ახლა მიღებულია წესათ, და ყველა ახალდაბადებულებს გამოუკლებლივ უნამვენ თვალებს ამნაირ წვეთებით. ამიტომაც ამ სამშობიარო სახლებში თითქმის არაოდეს არ ნახულა თვალების ჩირქიანი ანთება (ამ საშუალებას ჰქვია „დოქტორის კრედეს დამტკეცი საშუალება“).

თუ სენი უკვე არის, მაშინ ექიმები უკეთებენ წასაცხებლებს ესრედ წოდებულის შეერთებულის აბკისას (Оболочка) ქუთუთოების შიგნი კიდეზე ლიაპისის მაგარ ნაზავისას, რასაკვირველია, დიდის სიფრთხილით. თუ თავიდგანვე ხელი მოკიდე, ამ ავადმყოფობის მორჩენა შეიძლება სრულიად უნაზლოდ; თუ თავი მიანებე, ამ სენს მოსდევს თვალებში უკურნებელი ღრმა ცვლილება და ძალიან ხშირად სიბრმავეც. «ბრმათა მასწავლებლების მეორე კრებაზე ევროპაში გამორკვეულ იქმნა, რომ ბრმა ყმაწვილები თითქმის ნახევარი დაბრმავებულა სწორედ ამ ახალ-

და ბადებულთა თვალების ანთებით“, ამბობს დოქტორი რეიხი.

საქმე ხომ ასე საშიშარია, და მშობლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ახალ-დაბადებულების თვალების ავადმყოფობას. ხშირად გაგვიგონია ასეთი შეხედულება, ვითომც თვალის ავადმყოფობა წარმოსდგება იმისგან, რომ ყმაწვილი «ყვავილობსო» და ვითომც მას ექიმობა არ ეჭივრებაო, არც კი უნდა მიაჩვიოთო ყმაწვილი წამლების ხმარებასო“. ეს ძალიან ცრუ და მავნებელი შეხედულებაა და რომელი მშობლებიც ამას დასდგომია, მათ თავისის შვილის თვალები დასაბრმავებლათ გაუმეტებიათ.

ჯოჯოხეთის ქვის (ლიაპისის) ნარევი დასაცხრებელს გარდა, ექიმობას ხელი უნდა შეუწყოს თვალების სუფთად შენახვამ, რაც მთლად დამოკიდებულია მშობლებზე. უნდა მალ-მალე ამოუწმინდოთ თვალები ბამბის ნაწეწვით, რომელიც უნდა დაასველოთ ესრეთ წოდებულის ბორის სიმჟავეში (ერთი საჩაე კოვზი ბორის სიმჟავე უნდა შეურიოთ ერთ სტაქანს გადმონადუღ და გაგრილებულ წყალში). ამასთანავე უნდა გახსოვდეს, რომ ქუთუთოებს ქვეშითგან გადმონადენი ჩირქი ძალიან გადამდებია და სალი კაცის თვალშიაც რომ მოხვდეს, ისეთსავე ძლიერს ანთებას გაუჩენს.

ამისთანა ანთება ხომ უამისოთაც შეიძლება გაუჩნდეს კაცს, თუ მას თვალში მოხვდა ცოტაოდენი ჩირქი ათაშანგით ავათმყოფისაგან გადმოსული.

დიდების თვალების ბალღმიანი ანთება უფრო საშიშარი და სამძიმოა, ვიდრე ბავშვებისა: ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, რომ კაცი დაბრმავებულა ავათგახდომის მეორე დღეს. ამიტომაც, თუ ვისმე, ამისთანა სენით შეპყრობილს, თვალები ასტკივდეს და ქუთუთოები დაუსივდეს, მან დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმს. ამგვარის სენის ასაცილებლათ უნდა ყოველთვის ფთხილათ იყო, რომ თვალებში ჩირქი არ მოგხვდეს, და არამც და არამც თვალებს გასვრილი ხელი არ უნდა მიაკაროს. *)

§ 55. ყმაწვილობის დროს თვალების ტკივილს აჩენს, უფრო ხშირათ, წითელა, ყვავილი და სატკბურას (დურაბელის) სნეულებანი. წითელას და ყვავილით ავათმყოფობის დროს, ყველამ იცის, რომ თვალების ტკივილიც დაჰყვება ხოლმე. მათ ექიმობა უნდა წესიერად, გულსმოდგინეთ და მინდობილი უნდა ქონდეს ექიმს. ამ შემთხვევაში, აქ, კავკასიაში, განათლებული კაცები უნდა ებრძოლონ ყოველის

*) ახალ დაბადებულების თვალების ავადმყოფობა დაწვრილებით განხილული აქვს დოქტორს რეიხს სახალხოდ დაწერილ მშვენიერ წიგნაკში, სახელად „როგორ უნდა დაიფარო ბავშვების თვალები ჩირქიანის ანთებისგან და როგორ უნდა უაქიმო“. შეორე გამოც. ს. პ. ბ. 1886 წ.

ლონისძიებით ერთს გავრცელებულს ცრუ-მორწმუ-ნეობას: აქაურ ხალხს, მეტადრე სოფლებში, მტკიცედ სწამს, ვითომც წითელა და ყვავილი იყოს რაღაც უხილავი სულები და ვითომც ამ სახადების ექიმობა შეუძლებელია: «ბატონები» არ გავახელოთ, გავანაწყენოთო. ამის გამო საბრალო ბალანა, ამ ავათმყოფობით ტანჯული, წევს თავისთვის უექიმოთ და დაუხმარებლათ. მიუცილებელ საჭიროებათ მიაჩნიათ მხოლოდ ის, რომ დააკმაყოფილონ ყოველგვარი მისი სურვილი და აჩემება და გაართონ ჩანგურით, სიმღერით და ცეკვით: ბატონებს იამებათო და ავადმყოფს უსალავათებენო». რა თქმა უნდა, რომ ასეთი ცრუ შეხედულება არის უგნურობის ნაყოფი, რისგამოც ასობით თვალები იღუპება და ემსებათ საბრალო ბავშვებს.

თუ როგორ უნდა უექიმო თვალებს ამ ავადმყოფობის დროს, ექიმის საქმეა. შინაურებმა მხოლოდ მისი რჩევა და დარიგება უნდა აასრულონ კი, მოუარონ ავადმყოფს და დააწვინონ წითელიანი მობნელო ოთახში: თვალებს სინათლე აღარ გააბღეზებს, გააცხარებს და ტკივილისაგან დაიფარებიან. ყვავილის შესახებ კი ეს უნდა შევნიშნოთ, რომ საუკეთესო საშუალება თვალების დაცვისათვის არის ყვავილის აცრა. თუ ყვავილ აცრილს მაინც და მაინც დაემართა ბუნებითი ყვავილი, ამისთანა შემთხვევაში, როგორც

ყველა ექიმები მოწმობენ, თვალებს არა უშავსრა, ტკივილი არ დაჰყვება.

ახლა მოვილაპარაკოთ სატკბურაზე, რომელსაც ხშირად დაჰყვება ხოლმე თვალების ტკივილი, მეტადრე გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ავადმყოფობა ამნაირად მომდინარობს: ბავშვებს თვალები უწითლდებათ, უცრემლდებათ, სინათლისგან ეჭყუტებათ. თვალების ცილაზე, მეტადრე რქის ფერ გარსის კედრით, ხშირად თვითონ ამ უკანასკნელზედ, ჩნდება პაწაწა ბუშტები: ცოტას ხანს უკან ბუშტები სქდება და ჩნდებიან პაწია წყლულები. ეს პაწია წყლულები, თუ მათ შესაფერათ არ უაქიმე, შიგნისკენ მიიწევიან და ზოგჯერ შუაში გახვრეტენ თვალის გარსს. მაშინ თვალებითგან გამოდის სითხე, შლამი, რასაც მოსდევს მეტად სამწუხარო შედეგი. რიგიანის ექიმობით ეს პაწია წყლულები ძალიან მალე და ადვილათ მოსაშველებელია და გასამრთელებელი, მაგრამ ხშირად აქაც ცრუმორწმუნება ხელს უშლის ექიმობას. ჩვეულებრივათ, ყმაწვილზე ამ დროს სატკბურა სხვაფრივაც იჩენს თავს: პირის სახის სიყვითლე, მოსხლეტილობა, პირზე მუწუკები, მწბოლვარე ზღმურდლები მთელს სხეულზე და მისთანები ზედ ერთვის. აი ამიტომაც ბავშვის მომვლელები ამბობენ,—რომ «ეს თვალის სენი კი არაა, სატკბურა გამოდის გარე თვალებში და ამიტომ ექიმობა უფრო ავნებსო». ამისთანა შეხედულობა სრულიად უარყოფილია მეც-

ნიერებისაგან. თვალების ტანჯვა ტკივილი სრულიად იმას არ გვიჩვენებს, ვითომც სატკბურა გარე გამოდიოდეს თვალების ექიმობა კი არაოდეს ხელს არ უშლის თვითონ სატკბურას ექიმობას.

## VI. თვალების გოგიერთ უფრო მძიმე ავათმყოფობაზე.

§ 56. მოზდილ ასაკში, სხვა-და-სხვა მუშაობის დროს, ან სხვა მიზეზების გამო, კაცმა ხშირათ შეიძლება მიიღოს თვალებზე ჭრილობა, ანუ სხვაფრივ დაშავება.

დაშავებულ თვალზე ძალიან სასარგებლოა დაიდო ყინული, და თუ ეს არ იშოვება, სოველი ტილოს ნაგლეჯები ცივ წყალში ამოვლებული; გათბება თუ არა ტილო, მაშინვე უნდა გამოუცვალო.

ჭრილობის დროს, ჯერ ჭრილობა უნდა გაბანო ზემოთ ნაჩვენების ბორის სიმჟავით (ერთი ჩაის კოვზი ერთ სტაქან გადმოდულებულ წყალში), მერე უნდა დაადვა ძალიან სუფთა ტილოს ნაგლეჯი, ზედ სუფთა გაპენტილი (გიგროსკოპიული, აფთიაქში ისყიდება) ბამბის ფთილა და უნდა შეიხვიო სუფთა რბილი ტილოს არტახით.

ბორის სიმჟავის ნაზავი და სუფთა შესაკრავ-შესახვევები ჭრილობას იცავს სიდამპლისაგან და მით

ხელს უწყობს მალე მორჩენას. თვალი უნდა სუფთად იქონიო. უსუფთაობა, ყოველი ჭუჭყიანი ნივთი, მეტადრე მავნებელია ტკივან თვალზე დადება აბლაბუდას ქსელისა, მიწისა, ცხოვლის ფეინის, ჩონჩორიკისა (ამასაც ხმაროობენ გლეხები), ამისთვის რომ ყოველივე ეს საშინლად აჭუჭყიანებს თვალებს და საშინელ სიდამპლეს და დაბალლმებას აჩენს. *)—მერე ამ ასაკში ჩნდება ხშირად ავათმყოფობები, რომელთაგან ფრიად საყურადღებოა თვალების კუთების დამბლები, (ისიც კი უნდა ითქვას, რომ ამისთანა დამბლები სხვა მიზეზებისაგანაც შესდგება ხოლმე) ზოგჯერ, აგერ რომ კაცს სადმე გზაში გამოულვიძია, ციე ტაროსში ლია ჰაერზე ძილს შემდეგ, ცვარიანში... უეცრად უჩნდება ბრუციანობა: ერთი თვალი ცოტაოდნათ გვერდზეა გადახრილი; უფრო ხშირად გარეთკენ ანუ შიგნისკენ და იშვიათად ზევითკენ ანუ ქვევითკენ. ამასობაში თვალტკივანს ყოველი საგანი ერთი-ორად ეჩვენება; ეს მუდამი ორმაგობა

---

*) ჩვენს ქვეყანაში სოფლის ექიმები ხშირათ ხმაროობენ რალაცა ყომრალ თუ მოწითლო ფხვნილს, რომელსაც, უმეტესათ, ამზადებენ ნაცრისგან, ბალახ-ბულახისგან და ფრინველის სკინტლისგან. ეს მეტათ მავნებელია, რადგან შიგ ბლომათ ურევია სიდამპლის გამჩენი ნივთიერება. იმას რომ თვალში ჩაეყრა, უბრალო იარები და სუბუქი ანთებები გადადიან ბალლმიან სიმპალეთ, რაც ან მთლად, ამსებს თვალს, ან ზედ სტოვებს მოურჩენელ ბისტს.

სარწმუნო ნიშანია თვალთა მოძრაობის სიმრუდისა. იგი თავდაპირველ შეუჩვევრობის გამო, მეტათ სამძიმოა თვალტკივანისათვის. იგი ველარ იცქირება, ველარ დადის, რადგან მას ჰგონია ყველაფერი ორ-მაგდება და მის წინ მოძრაობს. ასეთი მდგომარეობა თავბრუს ასხამს და რომ ამას გადურჩეს, ერთს თვალს იხვევს ხოლმე.

თუ მალე წესიერათ უაქიმე ასეთს ავადმყოფობას, იგი უფრო ხშირად დაუმავებლად, უნაზლოდ ჩაივლის. თუ შეაგვიანე და მიარჩინე, მაშინ კუთის სიდამბლით დამართებული თვალის დაბრეკიანება სამუდამოთ რჩება და გადახრილ თვალში მხედველობა სუსტდება სამუდამოთ.

მიზეზდილს ასაკში ხშირია თვალის საგრძნობლისა (ნერვის) და კუბოკრულის გარსის ავათმყოფობები სხვა-და-სხვა გესლებით სხეულის ხანგრძლივის მოწამვლისაგან. ამისთანა გესლია მაგარი სასმელების ხმარების გადაჭარბება, თუთუნის წევა და ათაშანგის სენით და მისთანებით სხეულის დაავადმყოფება. ყველა ამ შემთხვევებში ხშირათ ისეთი ცვლილება მოხდება თვალის საგრძნობელში, რასაც მოსდევს მხედველობის ნელ-ნელა შესუსტება, და აქაც თუ თავითვე შესაფერი ზომა არ მიიღე, ავადმყოფობა მატულობს და სნეულს მიგიყვანს სრულს სიბრმავემდე. ამგვარის დაავადმყოფების ასაცილებლად მოსახდენია: რაც შეიძლება ნაკლებ მიღება ღვინისა, ჭრაყისა და ცოტა

მოწევა თუთუნისა (თუ მთლათ მიტოვება არ შეგიძ-
ლიათ). ვისაც კი ეს ავადმყოფობა უკვე სჭირს, —
უნდა ხანგრძლივათ და წესიერათ იაქიმოს და საზო-
გადოთ თვალებს დაუკვირდეს, თორემ ამ სენთან
ხშირათ სხვაც თვალის ავათმყოფობები ჩნდება, მე-
ტადრე ანთებისებრი ხასიათისა (ანთება, რქისებრის,
ფერადის, საგრძნობლის გარსებისა); ამგვარ ანთე-
ბების ცხადი ნიშანია, სხვათა შორის, ის გარემოებაც,
რომ ისინი შედარებით ადვილათ და კარგათ რჩებიან
ათაშანგის წინაალმდეგის ხედმიწევნილი საშუალებებით.

§ 57. ახლა ხანში შესულ ასაკზე გადგიდეთ.
ამ ასაკის ავათმყოფობებში ჩვენ დავასახელოთ ძარტო
ორი: 1) კატარაკტა (რომელსაც ხალხი ეძახის თვა-
ლის ფრჩხილს, ძიგნითა ბისტს) და 2) გლაუკომა
(ძვანე წყალი თვალის სარკეზე).

ბისტი ანუ კატარაკტა იჩენს თავს იმითი, რომ
კაცი იწყებს თანდათან ცუდათ, უირესად და უარე-
სად ხედვას; ძხედველობა თანდათან უსუსტდება
იმდენათ, რომ სხვილ საგნებსაც კი ახლო მანძილზე
ველარ არჩევს. ბოლოს და ბოლოს ესეც აღარ შეუ-
ძლია და სხეულს ძარტო სინათლის სიბნელისგან და
ლაძის დღისგან გარჩევაღა შეუძლია. უფრო ხშირათ
ეს ჯერ ერთს თვალზე ემართება კაცს, ძერე მეორე-
ზედაც; სიბრმავე ნელ-ნელა ძატულობს: ზოგჯერ
თვეობით, ზოგჯერ წლობით. თვალში ამასობა ძი
ტკივილი არ არის, თითონ თვალი კი იცვლება
ძესახედავად: გუგა, როგორც ყველამ იცის, მრთელს
თვალებში ყოველთვის შავათ გამოჩანს; ბისტიანი
თუ არის თვალი, მაშინ აქვს თეთრი, რძის ფერი,
ან მოყვითლ-მოთეთრო ფერი: თითქო გუგას პაკი
გადაკვრიაო. მეორე ავადმყოფობის, გლაუკომეს

(წვანე წყალი თვალში) დროს აგრეთვე იწყება ნელ-ნელა მხედველობის დასუსტება; მაგრამ სანამ მის კლება დაიწყებდეს, უფრო ხშირათ აი რას გრძნობს ავათმყოფი: როცა იგი სანთლის ალს უცქერის, მის გარშემო მუდამ ეჩვენება ნაპერწკლებს და ცისარტყელასებრი წრეები. თვალებიც რომ ამოიფშვნიტო ხელებით, ეს მოჩვენება მაინც არ გაქრება, როგორც ეს მოხდება ხოლმე ბაშინ, როცა ქუთუთოებს ქვეშ ლორწო ჩადგება (უბრალო კატარრი თვალების).

მერე კიდევ გლაუკომე ვისაც ჭირს, ხშირათ თვალებში გრძნობს ძლიერ ტკივილებს; თვითონ თვალს რომ ხელით შეეხო, ძკვრიტად გეჩვენება; ზოგჯერ ქვასავით მაგარია. ავადმყოფობა ჩნდება ჯერ ერთზე და შემდეგ მეორე თვალზე. *)

ორსავე ამ ავადმყოფობას საექიმოთ სჭირდება აპერაცია, თვითეულისთვის სხვა-და-სხვანაირი; საჭიროა ამისთვის ეიცოდეთ ერთი თვისება: კატარაქტის (ბისტის) აპერაცია მაგდენათ მოსაჩქარებული არაა; მხოლოდ, როცა, როგორც იტყვიან, «დაძწიფდება», ე. ი. სანამ გუგას რომ გარსი აქვს გადაკრული (ამღვრეული ჭვირი, ანუ ბრილი), იგი ძთლათ არ დაბინდდება. გლაუკომეს (თვალის გაწყალებას) კი, პირიქით, რაც ძეიძლება ადრე უნდა უყო აპერაცია, ავადმყოფობის დაწყებისთანავე. აძიტომაცაა რომ ერთ ბრძა მოხუცს თუ ექიმი ურჩევს აპერაციაზე ძოსვლას ერთ თთვეს უკან, მეორეს ბრძას, ანუ დასაბრმავებელს, იგი ეუბნება ახლავე აპერაცია-უნდა

*) რამდენათ სახუმრო ალარაა ეს ავადმყოფობა, ეს შემდეგითგან სჩანს: დოქტორის დიაკონოვის მიერ შეკრებილ ცნობებით (სიბრმავის სტატისტიკა, მოსკოვს 1888 წ. გვ. 176) 9192 ორივ თვალით ბრმებში 635 კაცი იყო ბრმა გლაუკომეთ, ე. ი. 22 ნაარალი.

გიყოვო, თორემ შეიძლება მარჯვე დრო ჩაივლის და მერე აპერაცია ვეღარას უშველის. ამიტომაც დიდი უგნურებაა ავადმყოფის მხრით, როცა იგი აპერაციას გადადებს ხოლმე, ან თითონ თავისის შეხედულობით ნიშნავს იმის ვადას. კეთილ-გონიერება ის არი, თუ ყოველი, სიბრმავეზე მიმდგარი, კატი ეტდება ექიმს ეჩვენოს, რაც შეიძლება, ადრე და აპერაციას შეაგვიანებს მხოლოდ მაშინ, როცა ექიმი ამბობს ამის ნებას.

ძნელია აქ ამ ავადმყოფობის დროს საჭირო აპერაციის შესახებ განმარტების მიცემა. ის კი უნდა დავასახელოთ, რომ კატარაკტის აპერაციას ზოგჯერ უშვრებიან სოფლური ექიმები; კავკასიაში მეტად ბევრია ამისთანა აპერატორები თუ აქაურები, თუ სპარსელები; ათასში ერთხელ მათ, ალალობედზე, კარგათ მოუხდებათ ხოლმე აპერაცია, მაგრამ ბევრათ უფრო ხშირათ თვალებს აფუჭებენ საუკუნოთ, რადგან აპერაციას ძალიან ტლანქათ და ბინძურათ უშვრებიან. ჩვეულებრივათ, ეს აპერატორები თვალში გვერდით ჩხვლეტენ ნემსს, ანუ სადგისის წვერს, გააყოლებენ თეთრი აპკის, ანუ ბისტისკენ, გახვევენ, ანუ ჩამოწვევენ ხოლმე დაბლისკენ. ამ სახით თავისს სამაგრებელს მოგლეჯილი ბისტი მაინც თვალშივე რჩება, დახამხამობს თვალის სითხეში და მუდამ აბლეზებს თვალს, რადგან ბისტი ზოგჯერ ქვიშასავით მაგარია. თვალი ამას ვერ უძლებს, ანთებაში ვარდება და თან და თან ბრმავდება. გარდა ამისა, ხელსაწყობის უსუფთაობით წყლულს ხშირათ გადამდები ჩირქი ეცხება და ლპება, რაისა გამოც აპერაციას მაშინვე შეიძლება მოჰყვეს თვალის მოჭყუტვა.

სამკურნალო აპერაციის დროს ბისტი სრულიად გამოცლილია თვალითგან ძალიან წმინდა-კი ხელსა-

წყობის შემწეობით, რომელთაც გულსმოდგინეთ გაასუფთავებენ ხოლმე, სანამ ხელს მიჰყოფენ აპერაციას.

ამ საშუალების წყალობით თვალს აღარ აბლეზებს მისს ფოსოში მოძრავი მაგარი ნამცეცი. აპერაციის შემდეგ თვალი უნდა მობანო სიმპალის ამცილებელი ნაზავით (დეზინფექცია, არ გადამდებლად გახდომა) და უნდა შეხვიო სუფთა სახვევლით.

§ 58. აქ ჩამოთვლილი თვალის ტკივილები ხან ერთს ასაკს მოსდევს, ხან მეორეს, მაგრამ ამაზე გარკვევითი კანონი არ არ არის დადგენილი: მაგ., თვალის ბისტი ზოგჯერ ბავშვსაც-კი ემართება და, პირიქით, დურბლის ანთება ზოგჯერ დიდებსაც უჩნდებათ. გარეშე ამისა, არის იმისთანა ავათმყოფობებიც, რომელიც ერთგვარათ ხშირია ხოლმე ყველა ასაკებში. დავასახელებთ ერთს თვალის სენს, რომელიც საშინელი რამ არის თავისი გადამდებობით, სახელდობრ «ტრახამას». ეს სატკივარი თავს იჩენს იმითი, რომ ჩნდება რალაც ხორცმეტი თვალის კაკლის დახურულის ქუთუთოების შიგნი პირზე. ეს ხორცმეტები ან გავს ცოტათ გამსჭვირვალე რბილ ბუშტებს, ან მაგარ მეჭეჭებს. ამ სენის მავნებლობა ის არის, რომ ამ ხორცმეტების გამოისობით, ქუთუთოების სარჩული ხორკლიანდება, რისგამოც მუდამ ეხეხება რქის ფერი, თვალის კაკლის, გარსი. ამითი ეს გარსი, წინეთ კამკამი და გამსჭვირვალე, ახლა თანდათან იმღვრევა, ფორაჯდება, იხორკლება, და მაცი ძალიან ცუდათ იხედება. გარდა ამისა ხორცკეტები ხანს რომ მოათევს, ქრება, მაგრამ სტოებს ნაკენკებს, რომლებიც, ასე ვთქვათ, მოფხუწვენ ხოლმე ქუთუთოებს. ქუთუთოების ქვედა, საწამწამე კიდეები შიგნისკენ შეიგრიხებიან, წამწამები კი ისეთ მდებარეობას მიიღებენ, რომ მუდამ ეგლისებიან თვალს

და ეს მოძრაობა კი ძალიან შემაწუხებელია ავათ-მყოფობისათვის: ასე ჰგონია თვალში ხიწვებიმაქვსო.

თვალები ეცრემლება, რქის ფერი გარსები იმღვრევიან თანდათან უარესათ და უარესათ და ამისდა მესაბამად მხედველობაც სუსტდება.

მე დავასახელე ეს ავადმყოფობა იმისთვის კი არა, რომ რჩევა მივცე ვინმეს, როგორ უნდა უწამლო მას; ტრახომის ექიმობა შინაური საშუალებით შეუძლებელია, უექიმოდ. მე ის მინდოდა მეჩვენებია თუ, როგორ გადამდებია ეს ავადმყოფობა და როგორ მიუცილებელი საჭიროა სასტიკი ზომები გასა-ფრთხილებლად, რაიცა დამოკიდებულია ამისთანის თვალტკივანის მონათესავეებზე. ჩვეულებრივ, ტრაქომა ძალიან ვრცელდება ხოლ. ს

§ 59. ამ სატკივრების მიმოხილვით ცხადია შემდეგი დასკვნა: დღითი დღიურ ცხოვრებაში ასეთი ნაკლები ყურადღება არ უნდა ექცეოდეს თვალებს, მეტადრე სნეულ თვალებს, როგორც ახლაა, თითქმის ყველა ოჯახებში. გონიერის ზომებით უნდა შეინახოთ თვალების სიმრთელე, გონიერულის ღონისძიებით უნდა მიეშველოთ სენების განკურნებას. არ შეიძლება ასე უდარდელათ თვალების მოპყრობა, არ შეიძლება ეს ასეთი უძვირფასესი გრძნობის იარაღი უსწავლელ ექიმბაშების ხელში ჩაეგდოთ. ყოველი კაცის ვალია, რომ ეს აზრი ჩაეგონოთ მდაბიო ხალხს. ამისთანა გავლენა ცოტა საშუალება როდია საბრძოლველად ჩვენში ასე გავრცელებულს სიბრმავესთან. გამოანგარიშებულია, რომ ჩვენს ქვეყანაში, კავკასიაში, ათი-ათასზე თუთხმეტი ბრმა მოდის. ისე თვალტკივანი და ბეცი რამდენია, ეს კიდეე სხვაა.

## VII. დ ა ს კ ვ ნ ა.

(ბეცობა იმეს გვიჩვენებს, რომ თვალებს რიგიანათ არ უვლით.—მოსწავლეთა თვალების გამოკვლევა—ბეცობა სწრაფად ვრცელდება მოსწავლე ბავშვებში).

§ 60. ამ «დარიგება»ში ჩვენ ვიგულისმოდგინეთ აგვეხსნა უმთავრესი მიზეზები, რაც თვალების მავნებელია, ამასობაში მკითხველი დარწმუნდებოდა, რომ, თუმცა გაძლიერებულის თვალის ტკივილის საექიმოდ ეს არ კმარა, მაგრამ სამაგიეროთ მას ხელთ აქეს ღონისძიება იმათ ასაცილებლად, თვალების სიხალისის და მათი ღონებრივი მხედველობის შესანახად. ეს საშუალებები საზოგადოდ გვიჩენენ შემდეგს საზრუნავს: თვალები არ უნდა დაიქანცოს განაადგებულის მცადინეობით; ოთხკლოვის კარგა მოშორებით თვალ-

თავან უნდა დაიკავოს სამზერი საგრები; მცადინობის დროს კარგი, კამკამი განათება იქონიოს; თავის სწორათ დაკავებას უნდა მიეჩვიოს ლმუშობაში გამართულათ ჯდომას.

ამ რჩევების სიძნელე მდგომარეობს იმაში, მხოლოდ, რომ ვალდებულად გახადო თავისი თავი აღასრულო ისინი მუდამ, ასე ვთქვათ, ყოველ დღე; მათს აღუსრულებლობას, ჯერ თუ მალე, მოსდევს თვალების დასნეულება, და ბეცობა არის პირველი ავადმყოფობა, შედეგი ამ კანონების დარღვევისა. ბეცობა არის ცხადი მაჩვენებელი იმისი, რომ მეცნიერების მოთხოვნილება თვალებს შესახებ არ სრულდება, როგორც რიგია. ამ სთანა დასკვნა მტკიცდება აუარებელის დაკვირვებებით; ყველაზე უფრო კი ამას ამტკიცებს მოსწავლეთა თვალების გამოკვლევა.

1861 წლიდგან აქამომდე გამოკვლეულია, საერთო რიცხვით, ასი-ათასამდე მოსწავლეების თვალები, უფრო საზღვარ გარეთ (ამ რიცხვში მარტო ერთმა ბრესაველ პროფესორმა კონმა გამოიკვლია ათი-ათასზე მეტი მოსწავლე).

მოსწავლეები ეკუთვნოდნენ სხვა-და-სხვა სასწავლებლებს, სხვა-და-სხვა წოდებებს და სხვა-და-სხვა შეძლებისას. მაგრამ ყველგან, ყოველ ადგილებში და ყველა მკვლევარებმა იპოვეს ერთი და იგივე კანონი: რაც უფრო ცუდათ მოწყობილია სახლი, რაც უფრო სუსტია კლასის განათება, რაც უფრო მოსაქანცავი და ხანგრძლივია მცადინობა მასში, — მით უფრო ბევრი ბეცი მოსწავლეებია, მით უფრო მალე ხარის ხამდა ძისრული ბეცობა.

ამ გამოკვლევებთან დამტკიცდა ისიც, რომ ბეცების რიცხვი მატულობს იმდენად, რამდენ მეტ წელიწადს დაჰყოფს ხოლმე მოსწავლე სკოლაში, ე. ი. ზედა კლასებში უფრო მეტია. მოსწავლეები მიდიან სკოლებში, უფრო ხშირათ, კარგის მხედველობით;

მერე კი, რამდენისამე წლის განმავალობაში დატეირთულები კარგა დიდის შრომით, თვალებზე უბრუნველობით—ჯერ სკოლაში, რიგიანის ძოუველობით, ოჯახში, ისინი ნელ-ნელა იფუჭებენ თავის ხედველობას.

ნათქომის დასასურათებლად საკმაოა ძოვიყვანოთ ნაწყვეტები რუსულის გამოკვლევებითგან, რაც უფრო ახლოა ჩვენ ზე: 1870 წ. დოქტორმა თ. თ. ერისმანმა გამოიკვლია 4358 მოსწავლე 13 სხვა-და-სხვა სასწავლებელში ქ. პეტერბურგს (ამ რიცხვში მან იპოვა 1317 ბეცი!) გამოკვლეულ სკოლების ძირა კლასში აღმოჩნდა ბეცები ასში ოც-და-ათიდამ სამოც-და-ოთხამდინ.

1871 წ. დოქტორმა ა. ნ. მაკლაკოვმა გამოიკვლია მოსკოვში 759 მოსწავლე. ბეცები აღმოჩნდნენ ქვედა კლასში 24%-მდე, ზედა კლასებში კი 43%-საამდე.

1877—1881 წლებში დოქტორმა მ. ი. რეიხმა გამოიკვლია თფილისის 8 სასწავლებელში 2422 მოსწავლე. ამ სკოლების ძირა კლასში ორთა შუა რიცხვით გამოდგა ბეცები ასში ექვსიდამ ცამეტამდე, ზედა კლასებში 15%—70%-მდე.

ეს ციფრები ცხადათ გვეუბნებიან, რომ ბეცობა, თუმცა ნელ-ნელა ჩნდება, ძაგრამ შედარებით ძალიან სწრაფად ძატულობს: ბეცი ძოსწავლების რიცხვი 6—8 წელიწადს (ქვედა კლასითგან ზედამდე) არა თუ ორკეცდება, კიდეც ჭარბობს.

აშისთანა სისწრაფე ბეცობის გაჩენისა და გავრცელების საუკეთესოდ გვიღალადებს ჩვენ, რათა განუწყვეტლივ და ყოვლის ღონიძიებით ვიზრუნოთ თვალების სიმრთელის შენახვაზე.

# სასარგებლო დარიგება

## ორსულ და მშობიარე დედაკაცთათვის

და

## ახალ დაბადებულ ბავშვთა მოვლის შესახებ.

## სასარგებლო დარიგება ორსულ და მშობიარე დედაკაცთათვის და ახალ დაბადებულ ბავშვთა მოვლის შესახებ.

---

თუმცა ორსულობა ბუნებითი საქმეა და ავადმყოფობათ არ შეირაცხება, მაგრამ ორსულობის გამო ხანდისხან ისეთი ცვლილებანი მოხდებიან ორსული დედაკაცის სხეულში, რომ ყურადღების მიუქცევლობა არ შეიძლება თუ გსურს, რომ ტანის სიმრთელე ორსულისა არ შეირყეს და ყრმის აღორძინება და გაზრდა მიდიოდეს რიგიანად. ჩვენს მოვალეობად ვრაცხთ შეძლებისა დაგვარად მივაწოდოთ საჭირო და სასარგებლო დარიგება ორსულთა და მშობიარე დედაკაცთა, რომელნიც მრავალს ადგილას

ჩვენის ქვეყნის სოფლებში სრულებით მოკლებულნი არიან გამოცდილ და ნასწავლ ბებიებს (окушерка) და ექიმის დახმარებას. ზოგიერთი მაინც სოფლიური ჩვეულებანი და უცოდინარობა სულ უბრალო სწავლისა ორსულთა და მშობიარე დედაკაცთა მოვლაზედ ხშირად მიზეზია მათი ამ ქვეყნისაგან საუკუნოდ გამოთხოვებისა.

---

## შეიძლება თუ არა ნაძდვილად შევიტყოთ ორსულობა პირველ თვეში?

ვიდრემდის ჩასახული ნაყოფი, ბავშვი არ იძვრის არ შეგვეიძლია გარდაწყვეტით ვსთქვათ, რომ ქალი ორსულია. ბავშვი იძვრის ორსულობის პირველი ნახევრის გათავებისას, ე. ი. მეოთხე თვის შემდეგ. ეს ძვრა იწყება მეოცე კვირის დასასრულს და იგრძნობება ორსულთაგან მცირე ცემითა მარჯვნივ ანუ მარცხვნივ მხარეს ქვემო პატარა მუცლისა. არც ერთ ექიმს არ შეუძლია, არა თუ პირველ კვირეებში, არამედ პირველ თვეშიც, დამტკიცებით სთქვას, რომ დედაკაცი ორსულია. მართალია ზოგიერთ დედაკაცებს

დაორსულების შემდეგ აუტყდებათ გულის რევა, განსაკუთრებით დილაობით, სუნთქვის შეხუთვა, თავბრუსმოსვლა, გრძნობა სიცივისა და ხან სიცხისა, პირის სახის ფერის შეცვლა, თავისა და კბილის ტკივილი, სიანჩხლე, სევდა, შეძულება ჩვეულებრივის საჭმელისა და ნდომა არა ჩვეულებრივი საჭმელისა. მაგრამ ეს მიზეზები ხშირად დაემთხვევიან სხვა ავადმყოფობის დროსაც. უფრო დამტკიცებულად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დედაკაცი ორსულად არის მაშინ, როდესაც ზემო აღნიშნულ ნიშნებთა გარდა შეინიშნება, რომ დედაკაცს თვალები ჩაცვინული აქვს და ქვემო ქუთუთო მოლურჯო, ძუძუები მოიმატებს, შესწყდება დედათა წესი. და ქვემო პატარა მუცელი იწყებს გადიდებასა და ყველა ამათთან გრძნობილ იქნება მოძრაობა ყრმისა.

ამ მიზეზთა გარდა პირველი ორსულობის დროს, ზოგიერთ მგრძნობიარე ტანის აგებებულების დედაკაცთა, შეემთხვევათ მრავალგვარი სნეულებანი, რომელნიც დღემდისაც ექიმთათვის საძნელო ასაწერი და გასაგებია. მაგრამ ყველა ეს მიზეზობა და ორსულობის ნიშნები არა რაიმე საშიშარის შედეგის მომასწავებელნი არ არიან. ოთხი თვე ნახევრის შემდეგ ყრმის ზრდისათანავე იგინი თან-და-თან შემცირდებიან და ბოლოს, ბავშვის დაბადების მოახლოვების დროს, სრულებით გაქრებიან.

ჩასახული ნამყოფი ექვსი კვირის განმავალობაში თითქმის მსხლისოდენა შეიქმნება. ამ დროსაც შენიშნულია ნამყოფში ძვლები და სხეული და ეტყობა რამდენიმე ხუთ გრძნობათაგანიც. ამ დროიდგან ძლიერ მალე იზრდება ბავშვი. თორმეტი კვირის განმავალობაში ის კარგა მოზრდილი შეიქმნება. ამ დროს უკვე კარგად სჩანს თვალები, პირი, ენა, თითები ხელებზედ და ფეხებზედ და სქესის გარჩევაც ადვილად შეიძლება. მეოცე კვირას მთელი სხეული ბავშვის გაზრდილია და კიდეც იწყებს მოძრაობას. ორსულობა გაგრძელდება ცხრა თვე, მაგრამ მოხდება ხშირად დაბადება ყრმისა ადრე და ცოტა გვიანაც. ხან-დის-ხან ყრმა დაიბადება მეშვიდამერვე თვეზედ და დაბადებული ცოცხლობს ხოლმე.

საშო დედაკაცისა დაორსულებამდისინ შუათანა მსხლისოდენა არის, მაგრამ ბავშვის ზრდის გამო დიდ ადგილს დაიჭერს და ძირ პატარა მუცელს სრულებით დაიკავებს და შესამჩნევათ გამოიწევს გარეთ: გამსხვილებული საშო დააწვება სისხლ მომდინარე ძარღვებს, ნერვებს, მსხვილ წელს და შარდის ბუშტს. ხშირად გამსხვილებული საშო ძლიერ შეავიწროებს კუჭს და ფილტვებსაც. აი ამისაგან წარმოსდგება სურვილი ძალ-მალე შარდზედ მიდგომისა, ამასთან ხშირი ყაბზობა, საჭმლის მონელების შეცვლა და სულის შეხუთვა. სისხლის მომდინარეობა ფეხების ძარღვებში

საშოს დაწოლისაგან სისხლის მილებზედ თავისუფლად ვერ წარმოებს და ამიტომ ორსულ ადამიანს ხშირად ფეხები უსივდება და შავი სისხლის ძარღვები ნამეტნავად დაბერილნი არიან. აი ამისთანა საშოს გადიდებისაგან, საგრძნობელი და სისხლ-მომდინარის ძარღვებზედ მისი დაწოლისაგან აღიხსნება სხვა-და-სხვა სვედის სნეულება, გულყრა, თავის ტკივილი, თავ-ბრუსხმა, სულის შეხუთვა და საჭმლის მადის გამოცვლა ორსული ადამიანისა.

ნამეტანი ნაწილი სისხლისა ორსულობის დროს საშოსკენ მიიზიდება; ერთის სიტყვით, მთელი სხეულის მოძრაობა ყრმის აღზრდაზეა მიქცეული და თვითონ ორსულის ტანის ზრდა შეჩერებულია. ამისთვის არის ძლიერ მავნებელი ტანის სიმრთელისათვის, როდესაც მცირე წლოვანს, დაუსრულებელი ტანის პატრონს ათხოვრებენ, ადრე ჯვარსა სწერენ.

არც ერთი წამალი დედისაგან მიღებული ორსულობის დროს არ დარჩება, რომ გავლენა არ იქონიოს ყრმაზედ. სისხლის მოკლება, საჭმლის ნაკლებობა და მძიმე ავად-მყოფობანი, როგორც დედაზე ისე ბავშვზედ მოქმედებენ. ნამეტანი სიხარული და მწუხარება, უეცარი შეშინება ხელს უშლიან რიგიანად ყრმის ზრდას და შეიძლება ამისთანა მოვლენანი მიზეზიც შეიქმნენ ყრმის სიკვდილისა და ადრე მისი დაბადებისა. ამისათვის ორსული ადამიანი ძლიერ

უნდა ცდილობდეს თავის ტანის სიმრთელეზედ, უნდა ეცადოს რომ ფიზიკურად და სულიერად დამშვიდებული ცხოვრება ჰქონდეს.

ორსულობის დროს დედაკაცმა განსაკუთრებით-ყურადღება უნდა მიაქციოს **ზომიერ** საჭმელ-სასმელს, **ტანისამოსს, სხეულის მოძრაობას, სუფთაობას** და **შუქების** მდგომარეობას.

---

## სასმელ-საჭმელი ორსულთა

სასმელ-საჭმელი ორსულმა, რასაკვირველია, ისევ ის უნდა იხმაროს რასაც წინეთ ხმაროობდა და რომ-ლის ხმარების შემდეგ ყოველთვის იგი **კარგად** გრძნობდა თავის-თავს, მაგრამ სრულებით უნდა ერიდოს იმისთანა სასმელ-საჭმლის მიღებას, რომელიც ნამეტნავად აჩენს ქარს მუცელში, მუცელს ბერავს. ორსული უნდა ხმაროობდეს ადვილად მოსანელებელ საჭმელს და ერიდებოდეს მაგარ სასმელებს. ორსულ ქალს ხშირად მოუა სურვილი რალაც ახირებული საჭმელებისა. თუ ამისთანა საჭმელები ორსულისათვის და მისი ტანმრთელობისათვის საზარალოა არა-

ხოდეს არ უნდა მიეცეს ნება თავის ახირებული სურვილის დაკმაყოფილებისა. ტყუილია ის აზრი ვითომ ამისთანა ორსული ქალის ახირებული სურვილის აღუსრულებლობა ცუდ გავლენას იქონიებს ყრმაზედო.

ორსული არ უნდა ხმარობდეს მძიმე მოსანელებელ საჭმელს, ნამეტან მსუქანს. უნდა ერიდებოდეს აგრეთვე იმისთანა საჭმელებს მცენარეულობისაგან მომზადებულს, რომელიც შარდის დენას უმატებს მაგალითებრ: ოხრახუში, წიწმატი და სხ. უნდა ერიდებოდეს ორსული, რომ ერთბაშად ბევრი არ სჭამოს და კუჭი არ დაიმძიმოს ნამეტანი საჭმლის მილებით.

---

## ტანისამოსი.

ორსულმა ქალმა ყურადღება უნდა მიაქციოს ტანისამოსის სითბილეს და სივრცეს: მკლავები, მკერდი და კისერი კარგად უნდა იყოს მისგან დაფარული. კორსეტის და სხვა შემოჭიმული ტანისამოსის ხმარება არ შეიძლება. «კორსეტი» მაინც ნამეტნავად ავნებს ორსულს. მაგრამ შეკვრა ტანისა

კორსეტით თუ გინდ სხვა ზორნებით ხშირად მიზეზია სულის შეხუთვისა, გულის ძგერისა, თავბრუსხმისა და ხანდისხან მუცლის მოშლისაცა. ორსულთ ხშირად ფეხები უცივდებათ. ამისთვის უნდა ხმარობდენ თბილ შალის წინდებს. უნდა ერიდონ ფეხშიშველი სიარულს და განსაკუთრებით ფეხების გაცივებას.

---

## მოძრაობა და მოსვენება.

არაფერი არაა ისე სასარგებლო ორსული ადამიანისათვის. როგორც სხეულით მოძრაობა წმიდა ჰაერზე. თუ ტაროლი ცუდია, მაშინ უთუოდ სხეულის მოძრაობას სახლში უნდა ასრულებდეს. ოთახში წინ და უკან სეირნობა კი არ შეადგენს სასარგებლო მოძრაობას, არამედ ოჯახის საქმიანობა და ხელსაქმობა. მაგრამ ორსული ნამეტნავად დასაღალად, უაჯალოთ არ უნდა მოძრაობდეს და შრომობდეს. ორსული ცხენით მოგზაურობას უნდა ერიდებოდეს, ღამე უნდა ეძინოს და დღე მოძრაობდეს.

თუ ორსული ადამიანი სისხლ ჭარბია, როგორც ხშირად ნოხდება, დიდი მიდრეკილება აქვს ძილისადმი და მოძრაობაც ეზარება, არასოდეს არ

უნდა მიყვეს ამისთანა საზარალო სურვილს. ტყუილად ყოფნა და ძილი უფრო მოუმატებს სისხლის ჭარბობას და ეს უკანასკნელი გამოიწვევს ბუასილის სნეულებას, ანთებით სნეულებას და სისხლის დენასაც.

---

## ს უ ფ თ ა ო ბ ა.

პირველი საშუალება სხეულის სილამაზობისა არის სუფთაობა და ეს უკანასკნელი არის უმთავრესი პირობა ჯანმრთელობის დაცვისათვის. მართალია ტანის ბანაობა თბილ წყალში კარგია სუფთაობისათვის, მაგრამ ორსულობის პირველ თვეებში ნებადაურთველად ექიმისა არას გზით არ შეიძლებ ნების მიცემა. ორსულობის უკანასკნელ დროს კი ძლიერ საჭიროა ბავშვის შობის გაადვილებისათვის. მაგრამ ორსული ადამიანი ძლიერ უნდა გაფრთხილებული იყოს, რომ არ გაციოდეს: ვისაც შეძლება და მოწყობილება არ აძლევს ნებას მთელი ტანის ბანაობისას, მიუცილებელად საჭიროა საზოგადოდ ყოველთა ქალთათვის და განსაკუთრებით ორსულთა ყოველ დღეს იბანდენ ასოს და მუდამ სუფთათ იქონიონ ეს ად-

გილი. ორსული ადამიანი თბილ წყალში ფეხების ბანას უნდა ერიდოს, რადგან ხშირად თბილი წყლით ფეხების ბანაობა გამოიწვევს მუცლის მოშლას.

---

## ლოგინის მომზადება მშობიარისათვის.

მშობიარისათვის ლოგინი შეიძლება მოაწყო თვითეულს ჩვეულებრივს საწოლზე, ტახტზე ან დივანზე.

თივით გატენილ ტომარაზე უნდა გადააფინო დოშაკი ან ლეიბი, ზევით კი სუფთა ზეწარი. თუ ლოგინად დივანი ან ტახტია, მაშინ ზეწარი გადიფინება ამ საწოლის გადაკრულ პირზე. ზეწრის შუაგულზე უნდა დააფინო მუშამბის (კლეონკის) ნაჭერი (ასე ალაბ ნახევარი) და იმაზე—ძველი, რამდენჯერმე დაკეცილი ზეწარი, რომ ლოგინი არ გაისვაროს. ლარიბი მშობიარე ქალები მარტოკა ზეწრით დაფენილ, თვიან ტომარაზედაც წვებიან. სხეულის ზედა ნაწილის დასადები ლოგინის ნახევარი ბალიშებით უნდა აამაღლო იმდენად, რომ თავი და გულ-მკერდი ცოტათი აწეული უნდა იყოს. მხოლოდ დაწო-

ლა უნდა მაგრათ და უძრავათ. ისიც ძალიან საჭი-
როა, რომ მშობიარეს წელი დადებული ქონდეს
რამდენათმე ამაღლებულ მაგარ ამოსადებზე. ეს სა-
ჭიროა, ერთი, იმისთვის, რომ ადვილათ შესაძლო
იყოს მიუცილებელი შინაგანი გამოკვლევა. მეორეთ,
საჭიროა იმისთვის, რომ ბებიამ საშოს წინაპირის
ნაწილებში ყმაწვილის თავის გამოელის დროს შესძ-
ლოს რიგიანათ დაკავება და მარჯვედ დაჭერა საშოს
პირისა, რომელიც საშოდგან უკანაკარამდე არის
და რომელიც უამისოთ ადვილად შეიძლება გაიხეს;
მესამედ —დაბადებულ ყმაწვილის მოხერხებულათ
ჩამორთმევა შეიძლებოდეს და მეოთხედ, მისთვის, რომ
მშობიარისთვის საჭიროა, ტკივილების გამო ჭინთვაში
წელქვეშ მაგარი დასაყრდნობელი ქონდეს. ამითი ჭინ-
თვა უფრო აადვილებს ბავშვის დაბადებას და ტკი-
ვილებსაც ეშველავათება. ამოსადებად იხმარება ორად
დაკეცილი და შუაზედ გადატეხილი საბანი და შეკ-
რული ბალიში; ყველას კი სჯობია განსაკუთრებით
ამისთვის შემზადილი, ბზით გატენილი ბალიში, რო-
მელსაც სიფართე აქვს ნახევარი ალაბი, სიგძე—ცოტა
მეტი და სიმაღლეც ამ ზომის ნახევარი. ამისთანა
ბალიში მშობიარეს უნდა ამოუდო წელქვეშ.
მშობიაროობის გათავების შემდეგ ამ ბალიშს
გამოაცლიან ხოლმე და მშობიარე იმავე
ლოგინზე თავისუფლათ ისვენებს. ბალიშებში, საშე-

ლავათოდ შეიძლება კიდევ ჩაუდო ბალიში, ანუ რამდენჯერმე გაკეცილი ზეწარი. ჭინთვის დროს რომ მშობიარეს ფეხების დასაბჯენი ალაგი ქონდეს, ამისთვის თუ საწოლი ფეხებზე გადარჩენილია, იმის ბოლოს უნდა ჩაუდვა მაგარი საგნები, მაგალ. მაგარი მუთაქა, დივნის ბალიში, საფეხე სკამი, ყუთი და მისთანები. საფერხეს ორივე მხრით გამობმული უნდა ქონდეს ტილოები, ანუ მაგარი არტახები, რომლებზედაც მშობიარე ჭინთვის დროს ხელებით მოეჭიდე. ბა. ლოგინს ყოველ მხრივ უნდა შემოეველებოდეს-დასახურავად ყველაფერს სჯობია ჩვეულებრივი მატყლის ან ბამბის საბანი; ღინღლის ლეიბი მავნებელია, იმიტომ რომ მომეტებულად ათბობს.

---

## მშობიარობა.

მშობიარობა ის მოქმედებაა, რომლითაც ნაყოფი, ყველა მისი ნამატური საშვილოსნოთგან გარე გამოდის. უკვე რამდენიმე ხნით ადრე მშობიარობამდე, ზოგჯერ ოთხის კვირითაც, უფრო ხშირად კი რამდენიმე დღით წინდაწინ, საშვილოსნოს შიგ-

ნეულობა ბავშვიანათ, ქვევით და ქვევით იწევს. ამის გამო მუცლის ზედა ნაწილს სიმსხო აკლდება, დედაკაცს ტანისამოსის შემოჭერა ცოტათი ეადვილდება და სულის ამოთქმაც თავისუფალი აქვს. სამაგიეროდ ახლა კიდევ უფრო უჭირდება შარდზე გასვლა და ყვანა, რადგანაც ყმაწვილის თავი მაგრათ აწვება საშარდე ბუშტს და პირდაპირ გვამის ქვედა ნაწლევს. ორსულ დედავაცს კიდევ უფრო ხშირად მოუნდება ხოლმე შარდზე გასვლა, ყვანაც თანდათან უჭირდება და ზოგჯერ ტანში შეკრულია, რასაც უნდა მალე უშველო. გვერდზე წოლა და თბილი წყლით ოყნა ძალიან შველის ამ შემთხვევაში. ყმაწვილის თავის მოწოლვის გამო, მენჯის ფოსოში დაბლა მდებარე ნაწილებში გრძნობს უსიამოვნო ტკივილს მუცლიდამ წელამდე. ეს ტკივილები ხანგამოშვებით ძალიან მწვავდებიან. ამ ტკივილებს ქვია მშობიაროობის წინამსწრობი ტკივილები და ხანგამოშვებით გრძელდება რამდენსამე საათს, ზოგჯერ კი რამდენსამე დღესაც. როცა ეს ტკივილები მეტად გაძლიერდება და რიგრიგზე, თანაბრათ წამოუვლის ხოლმე, ამით უნდა მიხვდე, რომ მშობიაროობა მოახლოვდა. უმთავრესის მოქმედების მოახლოებას, დაბადებას, რომ იგრძნობს, მშობიარე შფოთავს, დარდობს, წუხს, ერთ ალაგას ვერ დგება, ხან აკივნებს, ხან ცხელა, მუცლის ზედა ნახევარი ტკივილის მოვლაზე. იბე-

რება და მაგრდება; მაგრამ ისევ მალე რბილდება, რაკი ჭინთვა იკლებს. საშვილოსნოს ზედა ნაწილი იკუმშება. პირი მისი ძირა ნაწილის თანდათან ფართოვდება, იშლება, რომ ნელნელა გზა უტიოს გამოსელას. ეს მუცლის ტკივილი, რომელიც საშვილოსნოს შეკუმშვითგან წარმოსდგება, რომელსაც მშობიაროობის მოსამზადებელი ტკივილები ჰქვია და რომელიც უცადს მშობიარეს ოთხითგან რვა საათამდე გასტანს ხოლმე, თანდათან მატულობს და ხშირდება წვლილდგან დაწყებული საშოს გარეთა ნაწილებისკენ. საშოს პირი თანდათან იშლება და გამოჩანს ძალზედ გაჭიმული ბუშტი, რომელიც გავსებულია ნაყოფზედ გარშემოსხმულის სითხით. როცა ეს აპკები ძალზედ გაიჭიმება, ბუშტიც სწრაფად სკდება, ზოგჯერ დამსწრეებისთვისაც გასაგონად; თანვე ნაყოფს გარშემოვლებული წყალიც გარეთ გამოიღვრება. მაგრამ მთლად არა. მისი უმეტესი ნაწილი ჯერ შეჩერებულია ყმაწვილის წინმოყენებულის ნაწილით (უფრო ხშირად მისის თავით), რომელიც საკობიით გამოყენებული აქეს საშოს პირს. როცა საშვილოსნოში შეკული ნივთიერება მის გამოსავალ გზებთან შედარებით მცირეა და ამიტომ მძიმეთ არ მოაწვება მათ, მაშინ ზოგჯერ, თუ ბუშტის კანი მაგარია, მოხდება ბავშვი ბუშტის გაუხეთქლად დაბადოს. უმეცარი ხალხი ამას ქუდბედს ეძახის და ბევრსა

ჰგონია, რომ ქუდბედიანათ დაბადებული ყმაწვილი ცხოვრებაში განსაკუთრებით ბედნიერი იქნებაო. როცა ბუშტი გასკდება, მაშინ მშობიარეს რამდენათმე შელავათი ეძლევა. ამ დროს იგი ძალლონეს შემოიკრებს შემდეგის უფრო ძნელი ჯაფისათვის. შემდეგ ყმაწვილი თანდათანი ძირს იწევს (ჩვეულებრივათ თავით) და უახლოვდება მშობიარის საშოს გარეთა ნაწილებს. მშობიარეს ჭინთვა უფრო და უფრო უხშირდება, რის გამოც კვნესის და ოხრავს, ზოგჯერ ხმა მაღლაც კივის და ჩხივის. ამასობაში იგი უნებურათ იჭიფხება, ხელების მოსაჭიდს ეძებს და უკანასკნელს თავის ძალლონეს ხმაროობს, როგორმე ნაყოფი შვას. პირის სახეზე იგი ნამეტნავათ წამოწითლდება, მთელს სხეულს სიმწრის ოფლი ასკდება. ბოლოს საშვილოსნოს ლულითგან გასაჭირით მოძვრება ჯერ თავი და მერე ყმაწვილის სხვა ნაწილებიც დანარჩენის ნაყოფგარეშეთის სითხით ანუ ლორწოთი. მაშინ ხელახლა დიდ გაწამაწიას შემდეგ იწყება დაშოშმანების ხანა. ამ ხანაში საშვილოსნოთგან ჩვეულებრივათ იწყება ნელნელი სისხლის დენა, რაიც საშიშარი არ არის. რამდენსამე ხანს უკან ტკივილები ხელახლა იწყება, მაგრამ ბევრათ უფრო სუსტათ. მალე მას მოყვება დედა-ბუდის, მომყოლის დაბადება

მომეტებულის სისხლის დენით. მშობიარობა თავდა-პირველი ტკივილებიდგან დაწყებული ნალეკის ანუ დედა-ბუდის მომყოლის დაგდებამდე, სხვა-და სხვა ადამიანებისათვის, ზოგჯერ ერთისა და იმავე ადამიანისათვი. სხვა და სხვა მშობიარობაში, ზოგჯერ ხანგრძლივია და ზოგჯერ ხანმოკლე. ზოგჯერ მშობიარობა მხოლოდ რამდენსამე საათს გასტანს, მაგრამ ხანდ-ხან ერთ დღე და ღამეზე მეტ ხანსაც გძელდება. ორთა შუა რიცხვით კი ექვსი საათიდგან ათ საა-თამდე გასტანს ხოლმე. პირველ მშობიარეებს უფრო უგვიანდებათ, ვიდრე რამდენჯერმე ნაშვილიერებს. ბრძენს და გულშემატკივარ ბუნებას საქმე ისე მო-უწყვია, რომ ორს სამშობიარო ტკივილებს შუა ყოველთვის სასვენი გაუჩენია და საშალავათო ხანა; ამ სასვენში მშობიარეს შეუძლია რამდენათმე სულის მობრუნება და დაშოშმინება. უტკივარი მშობიარო-ბა სასურველიც არ არის, რადგან ეს იმის ნიშანია, რომ საშვილიერო ასოები მოდუნებულია, მობერე-ბული და საგრძნობლების (ნერვების) მოქმედებაც დაუძლურებულია. მშობავთა სანუკვარად უნდა ახ-სოვდესთ ის გარემოება, რომ, რაც უნდა გაჭივრე-ბული და გამწარებული იყოს მშობიარობა, ამას არავითარი მავნებელი გავლენა არ აქვს დედის სიმრ-თელესა და სიცოცხლეზე. რაკი ყმაწვილი დაბადე-ბა, დედას ავიწყდება მთელი თავისი შიში, ტანჯვა

და ყველა ტკივილები: ახლა მას გულში ყავს ჩახუტებული მათი სამაგიერო ჯილდო.

---

## რას უფრო უნდა მიექცეს ყურადღება მშობიარობის დროს?

შვილის ყოლის დრო რომ მოახლოვდება, ორსულმა ადამიანმა უნდა შეჰიკრიბოს ძალა, მოთმინება და მხნეობა; გული უნდა დაწყარებული ქონდეს, რომ იგი მშობიარობას მშვიდობით გადურჩება. როგორც რომ მშობიარობა უტკივრათ და უტანჯველათ არ მოხდება, ეგრეთვე უეჭველია ისიც, რომ მშობიარეს თითქმის არასოდეს მარცხი არ მოელის. ის მშობიარე, რომელიც გულმოგრეთ შეხვდება მშობიარობის ტკივილებს და მოთმინებით შეჰყურებს მშობიარობის დასასრულს, რომელიც ნამეტანათ არ კივის და არ ტოკავს თავის ლოგინში, იგი ყოველთვის უფრო ჩქარა და უფრო ადვილათ გადურჩება ამ განსაცდელს. მოუთმენლობა, სულ მოკლეობა და ხმა მაღალი შემზარავი ოხვრა აშინებს დამსწრეებსაც და ბებიასაც, რომელიც მშო-

ბიარეს ჰშველის. ამიტომაც ბებია ხშირათ თანხმდება, იხმაროს ძალდასატანი საშუალებები, რაც ასე ხშირათ ენებს ხოლმე მშობიარეთა. გარდა ამისა ხმა მაღალი ყვირილი, ძლიერი შფოთვა და ძრევა-რყევა მშობიარეს უსუსტებს ძალას, რომელიც მისთვის ძლიერ საჭიროა მშობიაროობის გათავებისას.

იგრძნობს თუ არა მშობიარე ადამიანი, რომ ტკივილები მუცლისა და წელისა თანაბარის ხანგამოშვებით იწყება და ყუჩდება, რომ მუცლის ზედა ნახევარი, ტკივილების ატეხის დროს, ივსება და მაგრდება, ტკივილის გაელის ჟამს ხელ ახლაე რბილდება; როდესაც საშვილოსნოს ბუდითგან გამოდის ლორწო, ზოგჯერ სისხლნარევი,—მაშინ უნდა ბებიას, ან აკუშერს მოუწოდონ და მოამზადონ ყოველივე, რაც საშობიაროთ საჭიროა, ან სარგო. ბებიამ ყველაზე უწინ ი ა უნდა შეიტყოს, ჰქონდა თუ არა მშობიარეს იმ დღეს რიგისაებრ გარეთ გასელა და გაეიდა თუ არა შარდზედ. თუ გარეთ არ გასულა უნდა გაუკეთოს ოყნა გვირილის (რომაშკის) ჩაისა, რომელსაც მიემატება ერთი სტოლის კოვზი ნუშის ზეთი და იმდენივე მარილი, თუ მშობიარე გარეთ გასულა, მაშინ უნდა გაუკეთონ

ოყნა იმისივე, მაგრამ უმარილოთ. უნდა აგრეთვე ურჩიო მშობიარეს, რომ შარდზედ გავიდეს, თუ კაი ხანია არ გასულა. თუ შარდზე გასვლა უჭირს და არ შეუძლია, მაშინ ბებიამ შარდი უნდა გამოიყვანოს ვერცხლის «კატეტერის» (შესაყოფი) მილის შემწეობით.

შემდეგ ბებია უნდა დარწმუნდეს იმაში, ყმაწვილის თავით გამოდის თუ არა. თუ მან თავი ვერ ნახა ქვეით, მაშინ უთუოდ უნდა მოითხოვოს აკუშერი. ეს მიუცილებელია აი რისათვის: თუმცა ამისთანა შემთხვევებშიაც მშობიაროობა ხშირად გათავებულა მშვიდობიანობით, ექიმის დაუხმარებლათ, მაგრამ შეიძლება მიუცილებლად საჭირო იქმნეს აკუშერის რაიმე დახმარება, რითაც ყმაწვილის სიცოცხლე, ასეთს საშიშროებაში ჩავარდნილი დაცულ იქმნება. თუ მშობიარეს სჭირს ძნელი, ბუასილით დამიზეზებული სიმსივნეები, ანუ სხვა რამ, წინანდელ მშობიაროობის ნაზლი, მაშინ მან ეს უთუოდ უნდა აცნობოს აკუშერს ანუ ბებიას.

თუ რომ მშობიარეს ფეხის ძარღვები დაებერეს, მაშინ წვივებზე არტაშნები უნდა შამოუჭირო. თუ თიაქარი აქვს, იმ შემთხვევაში ან სხვამ უნდა დაუკავოს ხელით თიაქარი, ან თითონ მშობიარემ თავისის ხელით დაიკავოს, თუ რომ შეეძლება და ეხერხება.

მშობიარობის დაწყებისას ქალს შეუძლია თავისს ნებაზე ჯდომა და სიარული. მაგრამ რაკი ჭინთვა გაუძლიერდება და მოუხშირებს, რაკი საშოს პირი იწყებს უფრო გაშლას, რაკი საშვილოსნოს კაპკები, ნაყოფის სითხის ჩამოწოლით გამოჭყეტილები ბუშტივით დაიბერება, მაშინ დედაკაცი უნდა დაწვეს ლოგინში და აღარ მოშორდეს მას. ბუშტის გახვეთქას ზოგჯერ ისე სწრაფად მოჰყვება მშობიაობა, რომ ყმაწვილი უეცრად იატაკზე ვარდება და თუ დედა ლოგინში არ წევს, დაშავდება. თუ მშობიარეს უნდა, შეუძლია ხან ერთს გვერდზე დაწვეს, ხან მეორეზე, ხან ზურგით დაწვეს, ხან ოდნავ წამოჯდეს, გაიშოტოს.

როცა საშვილოსნოს პირი იმდენათ გაფართოვდება, რომ ყმაწვილის თავი იწყებს იქიდგან გამოჩენას, ამ წამითგან მშობავი უნდა იადვილებდეს შობვის ცასაჭირს ლონიერის ჭინთვით. აქაც იგეთივე ჭინთვა უნდა, როგორიც ტანშეკრულობის დროს გაძნელებულს ყვანაზე. მშობავმა არ უნდა იწყოს ჭინთვა ამ ნაჩვენების (ყმაწვილის თავის გამოჩენის დროამდე, და აქაც მხოლოდ მშობიაობის ტკივილების განმაელობაში.

ქალმა თუ ჭინთვა ტკივილების ატეხამდე დაიწყო, ამით იგი სრულიადაც შობვას ვერ დაეხმარება და ტყუილ-უბრალოთ, ძალ-ლონეს გამოილევს. მაგ-

რამ ჭინთვა თავისით მოუნდება ხოლმე მშობიარეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს ნამდვილი საჭირო და სასარგებლოა. ასე რომ მშობიარე თავათ შეატყობს ამის საჭიროებას და ყური არ უგდოს არც ბებიას და არც სხვებს, რომელნიც უღროვო დროს ურჩევენ მას: გაიჭინთ-გაიჭიფხევო. ჭინთვის დროს მშობიარემ თავი უკან არ უნდა გადიგდოს, არამედ წინისკენ უნდა დაღუნოს. თუ ასე არ მოიქცა, შეიძლება გაუჩნდეს ყიფი (ჩიყვი). თუ მშობიარეს საშვილოსნო გამოვარდნაზე აქვს, იგი აღარ უნდა იჭინთოდეს, თორემ ეს ავადმყოფობა გაუძლიერდება. მშობიარემ უნდა მოითმინოს და ჭინთვა შეწყვიტოს მაშინვე, რაკი ყმაწვილის თავი მიაღწევს საშოს გარეთა ადგილებამდე, როცა ყოველ ახალ ტკივილების ატეხაზე თავი თანდათან გამოჩანს ასოს შუა და თან საშოს ხვრელის გარე პირი ძალზე გაგანიერებას იწყებს. მშობიარე უნდა იწვეს ზურგით, ისე რომ ფეხები ცოტა მოხაროს მუხლებში და ძალიან არ გადაშალოს აქეთ-იქით. ყოველივე ეს მიუცილებლად საჭიროა. თუ ასე არ შესრულდა ადვილათ შეიძლება უკანა ჯარსა და ასოს შუა ადგილი გასკდეს. რაც უფრო ნელნელა გამოვა ყმაწვილის თავი სასქესო

ნაპრალში, მით უფრო შიში აღარაა საშოს შიდა რგოლის დაშავებისა. ბებიის მოვალეობაა, რომ, როცა ყმაწვილის თავი და მხარ-ბეჭი მოძვრება, მაშინ ლონივრათ უნდა ამოაწვეს ხელის გულით ქვევითგან ზევითკენ საშოს შიდარგოლს და მით ააცდინოს იგი გახეთქას. საშო რომ ცოტაოდნათ არ დაუზიანდეს, მეტადრე პირველ მშობიარეს, ეს შეუძლებელია, მაგრამ მალე უშუშდებათ ჟანაზლოთ. მაგრამ შიდარგოლის გახეთქას ხშირათ მოსდევს ხანგრძლივი და მწარე ცვლილებები. ბავშვის შობის დროს ბებიამ არ უნდა დაიწყოს ჩქარობა, არ უნდა შეშინდეს, რომ კიდეც რამე უჩვეულო შენიშნოს და არ უნდა იყვიროს. სოფლებში ხშირად იციან დაბერტყა, მშობავის რყევა, ფეხზე გაჩერება და დაჩოქება იმ მიზნით, რომ ვითომ მშობიარე უფრო ადვილად შობავს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს ძლიერ მავნებელია მშობიარესათვის და თითონ მშობიარემაც რომ ისურვოს არ უნდა მისცენ ნება.

მშობიარობაში დედაკაცებს ხშირად აწუხებს წყურვილი. საუკეთესო სასმელია უბრალო, შინ ნადგომი წყალი, თუნდაც დაშაქრული; შეიძლება აგრეთვე ცოტა ღვინოც შეურიონ, ან მჟავე რამ ხილის წვენი (ლიმონის და სხ.) ღია ჩაე, ან გვირილის წვენი მაკდენათ საჭირო არ არი. ყავა, არაყი, ღვინო სულ არ უნდა მიაკარო მშობიარეს, თორემ სა-

შვილოსნოს აეიწროებს და ამკვრივებს. საჭმელად საუმჯობესოა რძე, ხორცეულის წვენი (ბულიონი) და ცოტაოდენი პური. თხელი ლობიც (იმერეთისკენ) სასარგებლოა, როგორც სუბუქი საჭმელი.

ახალ დაბადებული ჯერ მაინც ძიბმულია საშვილოსნოში ჭიპით. სანამ ამ ჭიპში ძარღვის ცემა არ შეწყდება, სანამ ყმაწვილი სუნთქვას არ დაიწყებს და რიგზე ყვირილს არ მოართავს, ჭიპი არ უნდა გადაჭრა. ამ წამს კი ბებიამ ჭიპის ნაწლევს ორის ანუ სამის გოჯის სიგრძეზე ყმაწვილის მუცლითგან, ორჯერ უნდა შამოახვიოს და შემოუჭიროს წვრილი ტილოს ზორტი, მერე უნდა გადასჭრას. ყმაწვილი თფილ ზეწარში შეხვიოს და მოხერხებულ ადგილას დასდოს. ახლა პირველი მისი საზრუნავია დედა. იგი უნდა დარწმუნდეს იმაში: იკუმშება თუ არა რიგიანად საშვილოსნო; სისხლის დენა ხომ არ ატეხია, მეორე ბავშვი ხომ არ ყავს დედას საშოში; საზოგადოდ, როგორ მდგომარეობაში არის მშობიარე. შემდეგ უნდა გაბანოს ახლად დაბადებული. გასაბანათ უნდა შემზადილი ჰქონდესთ თფილი წყალი 28—29° მენაკისა (გრადუსისა) რეომიურის სითფოს საზომით. ყმაწვილის ტანი მთლათ წყალში უნდა იყოს, თავი კი ზევით უნდა დაიკავო და უთუოთ ლრუბლით უნდა გაწმინდო. მხოლოდ ლრუბელი თვალებს არ უნდა მიაკარო. წყალში მყოფი ტანი ნელ-ნელა უნდა

გაასუფთაო ლრუბლით ჭუჭყისაგან. ჭუჭყი მთლად რომ არ მოაშორო პირველ დაბანაზე, მითი არა უშავს-რა, მეორე დაბანაზე მოშორდება. თუ გაბანვით არ მოშორდეს ჭუჭყი, მერე კვერცხის გული უნდა წაუსვა იმ ადგილებს, საცა ჩამჯდარი აქვს გემსი. ამას რომ მერე ლრუბელი, ან რბილი ტილო წაუსვათ, გემსი მოშორდება. ბანვა ექვს ან ათ საათს იქით არ უნდა დააყოვნო და მასუკან გასაშრობად ტილო კი არ უნდა წაუსვათ, არამედ სწრაფად უნდა გაუშშრალონ მთელი ტანი ზეწრის შემოხვევით და მერე უნდა შეფუთნო.

ჭიპის ნაწლევის დანარჩენს კარგი დაკვირვება უნდა, იგი უნდა შეხვიოთ თხელს, სუფთათ ზეთით გაზიფთულ ტილოს ნაჭერში, მუცლის მარცხენა მხარეს დაადვა და არტახი უნდა შამოარტყა დასამაგრებლად. სამ ან ოთხ დღეს უკან იგი დაჭკნება, შეახმება და თავის თავად მოვარდება.

ყმაწვილის მოელას რომ ამნაირად მორჩება, ბებია ახლა ისევ მშობიარეს მიუბრუნდეს დედაბუდის, მომყოლის გამოსაღებათ. საშვილოსნოს რამდენისამე მსუბუქი შეკუმშვით, რომელიც დაბადებას მოჰყვება, ჩვეულებრივათ საშვილოსნოს ლულაში ჩამოვარდება ყმაწვილის ბუდე, ჭიპიანათ და ნაყოფის აპკებიანათ, (დედაბუდე, მომყოლი ამას ქვია). აწ იმისი იქითგან გამოღება ბებიისთვის ძნელი აღარაა. თუ

მაინცა-და-მაინც დედა ბუდე კიდევ შეჩერდა საშვილოსნოში, მაშინ ბებიამ ცოტაოდნათ მომყოლი უნდა გამოსწიოს. თუ მაგრა გამოსწია, ეს ჭიპის ნაწლევი ხელში შეაწყდება და მერე უფრო ძნელი გამოსაღებია. თუ გაუფრთხილებლათ გამოსწია ბებიამ, შეიძლება მშობიარეს საშვილოსნო გადმოუბრუნოს და ეს ძალიან საშიშია. ხანგრძლივათ რომ ხელის გული მუცელზე უსვა საშვილოსნოსკენ, იგი გამოიწვევს საშვილოსნოს შეკუმშვას და ეს დედა ბუდეს, მომყოლს აშობინებს. თუ ნახევარი საათის განმავლობაში დედა ბუდე არ გამოვიდა, მაშინ ბებიამ უნდა კაცი აფრინოს აკუშერთან. თუ საუბედუროდ, სისხლის დენაც აუტყდა და აკუშერიც დროზე აღარ მოდის, მეტი გზა აღარ არის, თავათ ბებიამ უნდა შეუყოს ხელი საშვილოსნოს ფოსოში და გამოიტანოს დედა ბუდე. საშვილოსნოთგან სისხლის დენა, დედა ბუდის გამოცლის შემდეგ შეწყდება, და თუ მაინცა-და-მაინც კიდევ არ შეწყდა, მაშინ ბებიამ უნდა ასვას მელოგინეს დარიჩინზე დაყენებული წვენი. ექიმზე კაცის გაგზავნა მაინც კი არ უნდა დაივიწყონ.

რაკი დედა ბუდე გამოტანილია, ბებიამ უნდა თფილის წყლით დასველებულ ლრუბლით უნდა მოსწმინდოს მელოგინეს ბარძაყები და საშოს ნაწილები. ამ მოსუფთავების შემდეგ შეუძლია ბებიამ გაიგოს —

ზომ არ გახეთქია, გახევია შიგნიც რგოლი, თუ გახეულია რამდენაა ნახეთქი. რამდენიც უნდა იყოს გახეული ადგილი, უთუოდ უნდა საჩქაროდ მოუწოდონ ექიმს, რომელიც მასთანვე დოსტაქარიც (ხირურგი) უნდა იყოს. თუ შუანა კარი ცოტაოდნათ არის გაბზარული, მაშინ უნდა იარაზე ადონ წითელ ღვინოში, ან გვირილის ჩაეში დასოვლებული ტილოს ტლე. ამასთანავე მშობიარეს ფეხი-ფეხზე მიდებული უნდა ჰქონდეს, თუ პირსახოცით შეიკრავს მათ ერთად ეს კიდევ უკეთესია. თუ შეკვრა უნდა მუხლებსა და მუხლებ-შუა უნდა დაიტანიოს სქლად დაკეცილი ტილო ან ბალიში. მეორე, თუ მელოგინეს სურს იმავე ლოგინში დარჩენა, ბებიამ უნდა გამოაცალოს გასვრილი საფენი, დაუფინოს სუფთა ზეწარი, შუცელი ფართო სარტყლით შეუკრას და მოსვენებით დააძინოს, რაც ისე ძალიან უნდა მელოგინეს. თუ მეორე ლოგინზე გადაწოლა უნდა, მაშინ გადიყვანოთ წამოუყენებლათ. არც თავათ უნდა გადვიდეს, თორემ შეიძლება სისხლის დენა აუტყდეს და საშვილოსნო მელოგინეს, მალე დაბადვის შემდეგ, ძირ ჩამოეწიოს. თუ საჭმელი მოუნდეს უნდა მისცეს ერთი ფინჯანი რძე, ბულიონი, ჩაე ან ცოტა ღვინო.

ზოგიერთ ჩვენი ქვეყნის სოფლებში კიდევ სუფევს ძლიერ საშიშარი ჩვეულებანი განსაკუთრებით

მდაბალ ხალხში. მშობიარეს დაბანენ ხოლმე თფილი ან ცივი წყლით როგორც დაბადებს ბავშვს და მომ-ყოლს. დაბანენ ან როფში, ან გობში და ან ფეხზე გაჩერებენ; ან და მშობიაროობისაგან განთავისუფ-ლებისათანავე დაალევინებენ არაყს ან მაგარ ღვი-ნოს, ლონის მოსაგვრელად. ამათ გარდა საგანგებოთ თავმოყრილი მონათესავენი დაიწყებენ ქეიფობას და თოფს ისვრიან არა ერთ გზის. ყველა ეს ჩვეულება ძალიან საშიშნი არიან და არასოდეს არ უნდა ასა-რულონ და არ გადავიდენ იმ დარიგებებს, რაც ზე-ვით არის ნათქვამი. შობვის შემდეგ მელოგინისათ-ვის სიწყნარე და სიჩუმე ძლიერ საჭიროა. ბევრი გამ-ხდარა მსხვერპლად ამ ცუდი და მავნე ჩვეულებების ასრულებით. მაგრამ სამწუხაროდ უგუნური ხალხი თავის უბედურებას სულ სხვა მიზეზებს აწერს და იმას კი ვერ მიმხვდარან, რომ თითონ არიან მელო-გინის სასტიკი სნეულების, დახრუკების და ხშირად სიკვდილის მიზეზნი. აქ ჩვენ არაფერს არ ვამბობთ ხევსურების უბედურ ჩვეულებებზედ მელოგინე ქალთა შესახებ. მარტო ამის გამოკვლევა შეადგენს ერთ-ლად წიგნს და კაცი გაშტერდება მელოგინეთა უბე-დურ მდგომარეობაზე და წვალებაზედ, მაგრამ ეს ექიმებისათვის მიგვინდვია.

ამ მოკლე დარიგებებს რომ ვწერთ, ჩვენ მაინც ამას ურჩევთ გამოუცდელ ორსულ ქალებს, რომ

ორსულობაში მათ მიმართონ გამოცდილ აკუშერებს, გაიგონ მათი დარიგება და მშობიარობის დროს მათს თვალყურის დევნას მიენდონ. აკუშერმა ყველაფერზე უკეთ იცის, საჭიროა თუ არა მისი შემწეობა და როდისაა საჭირო. თუ შემწეობა საჭირო შეიქნა, მაშინ მშობიარე მასთან უფრო თამამათ იქნება.

---

## საჭირო დარიგებანი ლოგინობის დროს.

არას დროს დედაკაცის საელ სხეულში ისეთი ლრმა ცვლილებები არ მოხდება, როგორც მშობიარობისაგან განთავისუფლების შემდეგ დედისა და ყმაწვილის სხეულში მოხდება ხოლმე. თუ ამ ცვლილებებს უწესო მოქცევით დონებრიეი, რიგიანი მიმდინარეობა დაურღვევია, მაშინ დედასა და ახალ დაბადებულს არა თუ მძიმე სატკივრები აუტყდება, არამედ ზოგჯერ მთელ სიცოცხლეში მოურჩენელი თანმოშლილობაც დასჩემდება და ეგეთ სიკვდილიც მოჰყვეს. მართლაცა და მშობიარობის შემდეგი დრო ძალიან

საფათარაკოა დედისა და შვილისთვისაც. ჩვენ ჯერ ის უნდა განვიხილოთ, რაც დედას შეეხება.

მძიმეობის, ორსულობის დროს ქალს მუცელი ძალიან უმძიმდება და უმსხვილდება. საშარდე ბუშტი, ნაწლავები, ღვიძლი, კუჭი, თვითონ ფილტვები და გულიც შესაჩნევად შეხუთული იყვნენ და ძნელათ ასრულებდენ თავის დანიშნულებას. მათს მუშაობასაც ცვლილება დაეტყო. სისხლის მიმდინარეობა შეხუთულ ასოებს მოაკლდათ და საშვილოსნოს კი მიემატა. თვითონ სისხლის თვისებაც შეიცვალა ორსულობის გამო. ძლიერ გაჭიმული საშვილოსნო ახლა შეიკუმშა და მისი სიმსხო ხუთ-ექვს ჯერ ნაკლებია უწინდელზე. მისი შიგნი ფოსო დედა ბუდის გამოცლით დაპატარავდა. საშვილოსნო ასოები მშობიარობის გამო მეტათ თუ ნაკლებათ დაზიანდა. ყოველივე ეს, ორსულობისა და მშობიაროობის გამო მომხდარი ცვლილებები, მოშლილობანი და დაზიანებანი, უნდა ლოგინობაში გამრთელდეს და მორჩეს. თავიანთის ალაგებისგან დაძრული ასოები ანუ ორგანოები უწინდელს მდებარეობას უბრუნდებიმნ და იწყებენ მიღებას სისხლის იმ ნაწილისას, რომელიც აქამომდე საშვილოსნოს მიეედინებოდა. ახლა კი კარგა ძალი სისხლი მიიმართება ძუძუ-მკერდისკენ რძის მოსამზადებლად. სხვა ნაწილი კი სისხლისა კანისაკენ მიმდინარეობს ოფლის გასაძლიერებლად.

საშვილოსნოს დახეთქილ ადგილებითგან პირველ დღეებში სდის წრეზოლი. გარდა ამისა საშვილოსნო ყოველ ახალ ჭინთვაზე თანდათან იკუმშება, ასე რომ პირველად ყმაწვილის თავისოდენა ახლა თითქმის ისე პატარავდება, რამოდენიც იყო ქალწულობაში. მშობიაროობისაგან დატოვებული დაზიანებულობა თან-და-თან შუშდება.

რაც ზემოთ ვსთქვით, იმას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ მშობიაროობა დედას ძალიან ახუსტებს და დაქანცავს. ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ მელოგინე ყველა სხვაზე უფრო ადვილათ, ცოტა მიზეზის გამო, მძიმედ ავათ შეიქნება ხოლმე. მიუხედავათ ამისა მშობიარეებს ადვილათ შეუძლიათ ფადურჩენ ამდენ ფათერაკს, ამ სათუო ხანას და დაიცვან თავიანთი სიმრთელე, თუ გულმოდგინედ შეასრულებენ ქვემორე აღწერილს წესებს. მელოგინეობა სნეულობა არ არის, იგია ბუნებით მოქმედება მშობიარე დედაკაცის სხეულის გამომრთელებისა, ბავშვის დაბადების შემდეგ...

---

## მშობიარის სასმელ-საჭმელი

დაბადების, შემდეგ გამოიღვიძებს თუ არა მშობიარე, ჩვეულებრივათ ცოტაოდნათ მადა ეხსნება.

მაშინ შეიძლება მიაწოდო მას ერთი ფინჯანი წყალნარევი ძროხის რძე, ანუ ნუშის რძე. ჩვეულებრივი შავი—ჩაეც, გვირილის ან პიტნის ჩაეც, ბულიონიც და ღვინოც შეიძლება მიეცეს სახმარებლად. არავითარი მაგარი საჭმელი არ მისცენ ამ დროს მელოგინეს. რძე მოთფო უნდა იყოს. წმინდა წყალიც დალიოს თუნდაც დაშაქრული, მაგრამ არა ცივი. პირველ 3—4 დღის განმავლობაში მელოგინის აგებულობა ძალიან ცოტა საჭმელს თხოულობს. ეს, ერთი იმიტომ, რომ სხეულითგან ჯერ კიდევ არ გამოცლია ის წვენი, რაც წინეთ ყმაწვილს ასაზრდოებდა; მეორეთ იმიტომ, რომ რძე ჯერ ცოტ-ცოტა მოუდის. ამ სახით მელოგინისთვის საკმარისია სუბუქი წვენი, მაგალითათ: შვრიისა, თეთრის პურისა, ან თხელის ფაფის. სამესამედღეო. ხაჭაპურები, ხორცის საჭმელები, მწვანილი, შავი პური, ბოსტული, თუნდა მოხარშული, მჟავეულობა, ყავა, ღვინოლუდი, არაყი და ამისთანები სრულებით არ უნდა მიაკაროთ მელოგინეს.

მეხუთე დღის შემდეგ მშობიარეს შეიძლება აჭამონ ხბოს ხორცი და ქათმისა.*) შეიძლება აგრე-

*) ინდოსტანის ქვეყანაში სარწმუნოება უკრძალავს მშობიარებს, რომ ხუთის დღის განმავლობაში სასმელ-საჭმელი რამე მიიღოს. ძალიან ბევრს მელოგინეს ღუპავს ამისთანა უდიერი ჩვეულება.

თვე წყალნარევი ღვინო და სუსტი ლუდიც დაალევინოთ, თუ წინადაც სვამდა ამგვარ სასმელებს. მეცხრე დღითგან მელოგინე თან-და-თან უბრუნდება თვისს წინანდებურ ცხოვრებას. ჯერ მაინც უნდა ხმარობდეს მხოლოდ თეძრ ხორცეულობას, ცოტა ოდენს კარგ კარტოფილს, ახალ სტაფილოს, წითელ კომბოსტოს, ისპანახს, ბრინჯს და სხ. საღამოობით ხორცი სრულიად არ უნდა ჭამოს, რადგანაც ხორცეულობა ადვილად უშფოთებს ძილს. ამისთანა წესი სასმელ-საჭმლის ხმარებაში ზოგს ქალს მოუჩვენება სასტიკ მეტიჩრობათ. მაგრამ მელოგინესთვის ძალიან საფუთერაკო რამ არის სტომაქის დამძიმება ნამეტანის ჭამით, იმიტომ რომ ამას ხშირათ მოჰყვება მმობიარეთა ცხელება. თუ ქალს ისე დიდი მადა აქვს, რომ აქ აღნიშნული საჭმელები ვერ აკმაყოფილებს, მაშინ იგი უნდა დაეკითხოს ექიმს, რომელიც მას დაუნიშნავს სხვა შესაფერ საჭმელ-სასმელს.

---

## დაკვირვება რიგიანად შარდზე გასვლასა ⁄ ყვანაზე.

პირველ ორ-სამ დღეს, მშობიარობის შემდეგ ქალს ჩვეულებრივი ყვანა არ აქვს. ეს მოხდება მით,

რომ სხეულისათვის უვარგისი ნივთიერების ბლომა ნაწილი სხეულის კანში ამოდის ორთქლად და მეორეც იმის გამო, რომ მშობიარე ახლა მაგარ საჭმელებს ნაკლებად მიიღებს. მაგრამ თუ სამ დღეს უკანაც არ ასაქმა მელოგინეს, მაშინ უთუოდ ოყნა ახმარეთ. ოყნა მზადდება გვირილის გადმონადულები წყლით, რომელშიაც უნდა აურიოთ ერთი კოვზი ზეთი და ნახევარი კოვზი მარილი. თუ საჭირო იქნეს ოყნა ყოველ დღე უნდა გაუკეთოთ. არასოდეს ნამშობიარევი სასაქმებლათ ლოგინითგან არ უნდა ადგეს და არ დაყუყდეს. ამისათვის რგი უნდა ხმარობდეს დაბალ პრტყელ ჭურჭელს და მწოლარეს შეუდგან ლოგინში სასაქმებლათ. წინაალმდეგ შემთხვევაში ძალიან ადვილათ შეიძლება, რომ საშვილოსნო ძირს დაეშვას, ან გაუმრუდდეს და საშვილოსნო მილი გარეთ გადმოუარდეს. თუ ოყნა ნამეტნავათ ეჯავრება, მაშინ ექიმს უნდა დაანიშვნიოს კარგი რამ საფალარათო და არამც და არამც არ დალიოს ქერმენის და ან სინამაქის ფოთლის ჩაე, არც მოხარშული ბოსტნეულობისა სჭამოს, თორემ ესეები მუცლის ანთებას გამოიწვევს. მელოგინე დღეში ორჯერ მაინც უნდა გადიოდეს შარდზე, მაგრამ პირველ ცხრა დღის განმავლობაში დაწოლითვე. თუ შარდი ბუნებითად

არ მოდის, ბებიამ უნდა გაუკეთოს კატეტერი (შესაყოფი მილი).

---

## გაცივების წინააღმდეგ სიფრთხილე.

გაცივებით ყოველ წლივ ათასობით კვდებიან მელოგინეები. მათი გაცივება ერთობ ადვილათ მოხდება ხოლმე, რადგან მათ განუწყვეტლად ოფლი სდით. ამ ოფლის შეყენება შეუძლია ცოტაოდენ გამკრავ ქარს, გაუფრთხილებლად ცივის პერანგის ჩაცმას და მაშინ სწრაფად უჩნდება მძიმე ავადმყოფობა, როგორც, მაგალითად, საშვილოსნოს ანთება. ამიტომ მიუცილებელია: 1) ოთახში დაიცვა თანაბარი სითბო 15—16° მენაკზე (გრადუსზე) რეომიურით, 2) ლოგინი კარსა და ფანჯარას შუა არ უნდა იდგას და ცეცხლის ნთების დროს—ფანჯარასა და ბუხარს შუა. ეს იმიტომ რომ ამ ადგილებში მიქრი-მოქრის ცივი ჰაერი, რომელიც მრთელ კაცს ვერას ავნებს, მაგრამ მუდამ ოფლის დენაში მყოფ მელოგინესთვის ადვილად საგრძნობელია მისდა სახიფათოთ. ამასთან ის კი არ უნდა დაივიწყო, რომ მელოგინის ოთახს დღეში ორჯერ უნდა ჰაერის განახლება, მაგ-

რამ ისე კი, რომ ცივმა ჰაერმა მშობიარეს არ დაჰკრას. თუ ლოგინს ფარდები აქვს, ესენიც უნდა მიაშვეტო ჰაერის განიავების დროს, (სხვა დროს-კი არასოდეს). ამ დროს უფრო სქლად უნდა დახურო მელოგინე და პირზედაც კი უნდა დააფარო თხელი რამ დასაფარებელი. რაც უფრო მაღალი და სრულია ოთახი, მით უფრო ცოტას ხანს უნდა განიავება. კიდევ უკეთესია თუ მშობიარისთვის მოარჩენილია ორი ზედი-ზედ მობმული ოთახი და ორი საწოლი. როცა ერთში ჰაერი იწმინდება, მელოგინე მეორეში, წინათვე გაწმენდილ, განიავებულ ოთახში უნდა გადააწვინო, (რადგან ლოგინის აშლა და აბერტყვაც ძალიან აფუჭებს ჰაერს ოთახში). ყოველ დღე პერანგი და მისი ამხანაგი უნდა იცვალოს მელოგინემ და იბანოს საშვილოსნო ასოები მოთფო წყლით. ასე უნდა მოიქცეს იმ დროს, როცა კანის ორთქლი ძალიან ცოტა ადის, ე. ი. უმეტესად შუადღისას. საცვალი არ უნდა იყოს არც ნესტიანი არც ცივი. ლოგინის ზეწარი და აგრეთვე ქვეშ ამოსადები, ყოველ დღე უნდა გამოეცვალოს და ისინიც არ უნდა იყონ ნესტიანი და ცივი. სხვამ, მრთელმა ადამიანმა წინდაწინ მთელ ღამეს თვითონ უნდა დაიფინოს მეორეს დღეს მელოგინისათვის დასაფენი ზეწარი და ქვეშ ამოსადებიც მანვე წინდაწინვე ამოიდოს ფეხებ ქვეშ. საგებსახურავიც პირველ 4—5 დღეს მაშინ უნდა აშალო,

როცა სიცვალს უცვლიან მელოგინეს, ამ დროს იგი მეორე ლოგინზე უნდა გადაწვეს. მერე და მერე დილა საღამოს უნდა აშალოს ლოგინი. თუ ქალი მშობიარობამდე მიჩვეულია ფლანელის ან აბრეშუმის პერანგის ხმარებას, მან ახლაც არ უნდა გადაავდოს ეს ჩვეულება, თუნდაც ზაფხული იყოს. ამგვარი საცმელი ადვილათ იფარავს მას გაციებისაგან. საზოგადოთ ფლანელის პერანგის ტარება ჩვენებურს ცვალებადს ჰაეაში ძალიან სასარგებლოა. სასმელ-საჭმელიც მელოგინემ, როგორც ნათქვამია ზევით, ყოველთვის თფილი უნდა მიიღოს.

დასასრულ, არასოდეს ღინღლის საგებ-სახურავი არ უნდა ახმარო მელოგინეს, რადგანაც იგი ძლიერ ათფოფს სხეულს და ნამეტნავათ ოფლს მოიყვანს. ამის გამო ტანზე წვრილ მუწუკებს ჰყრის, რაც ძალიან საწყენია ქალებისათვის. როცა მელოგინე ლოგინს აირეკს, მან უნდა ჩაიცვას ზემო ნაჩვენების მებრ. მეტადრე უნდა უფრთხილდებოდეს ოთახში გამკრავ ნიავს.

---

# სხეულის და სულის სიმშვიდეზე ზრუნვა.

პირველ ცხრა დღეს შვილის ყოლის შემდეგ მელოგინე მუდამ უნდა იწვეს თავისს ლოგინში, გარდა იმ ორიოდე წამისა, რომელიც გადის გადაწვენასა და ლოგინის აბერტყასა და გამოცელაში. ეს საჭიროა, პირველად, იმიტომ რომ მშობიაროობისაგან იგი ძალიან დაქანცულია; მეორეთ ვაციებას უფრო აიცდენს ლოგინში და მესამედ, საშვილოსნო ორგანების მდგომარეობა თხოვილობს ამას. საშვილოსნო ყრმის დაბადების შემდეგ ჯერ კიდევ ყმაწვილის თავისოდენა სივრცე აქვს და ლულაც ყმაწვილის შიგ გამოსვლის გამო გაჭიმული და გაგანივრებულია. თუ ამ დროს მელოგინემ ამართული მდებარეობა მიიღო, შეუძლებელია, რომ საშვილოსნო არ დაეშვას ქვევით, არ გამოვარდეს და ან არ გამრუდდეს; ლულაც, რა თქმა უნდა გადმობრუნდება და სხვანი. *) ეს დაზიანება და დაშავება ხომ ძნელი რამ არის; ამაზე უფრო ძნელია საშვილიერო ორგანოების დაბრუნება

---

*) მდაბიო ხალხის ქალებს ხშირათ ეშართებათ საშვილოსნოს დაწევა და გადმოვარდნა. ეს იმის გამო, რომ ისინი არა თუ ზეზე დგებიან, მუშაობენ კიდეც პირველ დღეებშივე ნაშობიარევზე.

იმავე მდგომარეობაში, რომელშიდაც ორსულობამდე იყვენ. საშვილოსნოს შიგნითა კანზე ყმაწვილის ნაბუდევის, ნასადგურევის გამოსვლით იარები, წყლულები რჩება. აუარებელი წვრილ-წვრილი ძაფები, რომელნიც გაბმულნი არიან საშვილოსნოსა და ყმაწვილების ბუდეს შუა, ყველანი წყდებიან. მათ ნაწყვეტ ძირებთაგან ნაშობიარევის პირველ დღეებში დინდება სისხლი, რომელიც ლულითგან გამოდის წყალ-ლორწო ნარევ სითხედ. სისხლნარევი დენა მანამ არ შეწყდება, სანამ ამ გადახსნილს, სისხლთამზიდველი მილების თავები არ წაუშველდებათ. ამის ნაცვლად აწ ლორწოიანი წყალი იწყებს დენას, რაც სხვა-და-სხვა გვარის აგებულობის პატრონს სხვა-და-სხვა ვადამდე გასტანს ხოლმე. ამისათვის ლულითგან გამონადენი სითხე (ესრეთ წოდებული ნამშობიარების გაწმენდა) პირველ დღეებში წითელია, მერე მოწითალო, მოყვითალო და ბოლოს თეთრი. ეს დინება, თუ დედა თვითონ აწოვებს, გასტანს სამითგან ექვს კვირამდე, თუ არ აწოვებს და, მაშინ მეტს ხანსაც გასტანს ხოლმე. გაივლის თუ არა ნამშობიაროობის დაწმენდა, წესი, საშვილოსნოც დაპატარავდება, კიდეები უთხელდება, და სისხლიც შიგ ნაკლებათა რჩება. საშვილოსნოს დაპატარავებას აქა�მოსდევს ტკივილებიც, რომელიც ხშირათ, მეტადრე ბევრ ნაშობიარევისთვის, ფრიად მწვავია. ამ ტკივილებს მაშინ

უფრო იგრძნობს ხოლმე, როცა მელოგინე ბალანას ძუძუს აწოვებს და რამდენისამე დღის განმავლობაში მშობიარობის შემდეგ უახლდება. ნამშობიარეობის დაწმენდა, წესის შეკლება და შეკუმშვა საშვილიერო ასოებისა დაურღვეველის წესით მიმდინარეობს მხოლოდ მაშინ, თუ ქალი მუდამ მწოლიარე მდებარეობაში არის თფილ ლოგინზე. ნაშობიარობის დინების შეშლა ყველაზე უფრო წარმოსდგება გაციებისა და ავგუნებობის მიზეზით და ამას ყოველთვის საშიშარი შედეგი მოსდევს.

ცხრა დღის შემდეგ მელოგინეს შეუძლია წამოდგეს, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე საათობით დღეში. შეუძლია მნახველებიც მიიღოს და ხელსაქნარიც აკეთოს. თუ თავის თავს სრულებით კარგათ ატყობს, ორ-სამ კვირაზე შეუძლია პირველათ გამოვიდეს გარეთ, მხოლოდ თფილათ ჩაცმული კარგს და თფილ ტაროსში. მაგრამ რომ არ გაცივდეს, ჯერ შორს არსად უნდა წავიდეს და არც სტუმრად. მხოლოდ მაშინ, როცა ხელახლა სრულიად შეეჩვევა გრილს ჰაერს, შეუძლია ეკლესიაში წავიდეს და ღმერთს მადლობა შესწიროს. საზოგადოთ ექვს კვირამდე უნდა ერიდებოდეს სამძიმო სამუშაოს და სიარულს, მძიმე საგნების აწევ-

დაწევას და ზიდვას. მძიმე ასაწევ-დასაწევით შესაძლებელია, რომ საშვილოსნო გამოუარდეს, მეტადრე სუსტსა და ფართო მენჯებიან ქალებს.

---

## ზრუნვა საშვილოსნოს თავის დონეზე მოსვლისათვის.

ჩვეულებრივათ ექვს კვირაზე საშვილოსნო თავის დონეზე დგება და მუცელსაც თითქმის უწინდელივე სახე ეძლევა. მუცლის ცოტაოდენი გამობერილობა შემდეგ რამდენისამე მშობიარობისა, საზოგადოდ არაფერი დამაბრკოლებელია, მაგრამ თუ საშვილოსნო რიგიანათ არ შეიკუმშა, მაშინ ქალს მუცელი მუდამ გამაგრებული ურჩება და ამ შემთხვევაში იგი ძნელათ შეიძლება, რომ ხელახლათ დაორსულდეს. ამიტომაც მიუცილებლათ საჭიროა, რომ ნალოგინევმა თფილი ფლანელის მუცლის სახვეველი გაიკეთოს. მუცლის შეკვრა და შეთბობა ძალიან შველის საშვილოსნოს დაპატარავებას. მუცელზე შემოსაკრავი უსარგებლოა თვითონ ლოგინობაში, სანამ ლოგინს არ აირეკავს დედაკაცი. ძუძუს წოვება

პირველი ხელის შემწყობია საშვილოსნოს შეკუმშვისა და გასწორებისათვის. ძუძუ-მკერდის კუთ-ძარღვებს ისეთი მჭიდრო კავშირი აქვთ საშვილოსნოსთან, რომ, წოვებაში ძუძუ-მკერდში აღძრული კუმშვა, ხანგამოშვებით, საშვილოსნოში მკრუნჩხავ ტკივილებად იგრძნობება ხოლმე.

ამგვარად დედაკაცის სიმრთელისათვისაც ხელის შემწყობია ძუძუს წოვება და ვინც თავისს ბავშვს ძიძას აძლევს ხშირად ამისთანა დედებს საშვილოსნოს ტკივილი აწუხებსთ. როცა საშვილოსნოს შეკუმშვა გვიანდება და დუნეთ მიდის, როცა მუცელში, ხელის შეხებით, ამჩნევ მრავალს გამაგრებულს სხეულს, მუდამ ერთის ზომისას, მაშინ უნდა მუცლის ქვედა ნაწილი ღონივრათ და ხანგრძლივათ ზილო ხელის გულით. ხელის გულზე დამზელავს უნდა წასმული ჰქონდეს ზეთი, ან ქონი. ამით ზელვაც გაადვილდება და არც კანი ეტკინება მელოგინეს. ცხარე სასმელით ხელის დასველება და მისი კანში ჩაზელვა უსარგებლოა. ექვსის კვირის შემდეგაც რომ უზილო ქვედა მუცელი, ამაზე უკეთესი საშვალება არ არის მისთვის, თუ საშვილოსნო გამრუდებით, ან სხვა რამ მიზეზების გამო საკმაოთ არ შეიკუმშა. ამასობაში მუცლის ქვედა ნაწილი უნდა თფილათ იქონიო. ამისათვის საჭიროა ფლანელით

ქონდეს შეკრული იგი ნიადაგ. მუდამ უნდა ზრუ-ნავდეს მშობიარე ნაწლევების რიგიანათ გაწმენდაზე და ყვანაზე, თუ უნდა რომ საშვილოსნოც რიგიანათ შეიკუმშოს. ყაბზობის დროს საკმარისია ზემოთ ნაჩვენები საშუალება—ოყნა თფილი წყლისაგან. თუ ამანაც არ უშველა, ექიმს უნდა მიმართონ შესაფერი საფალარათოს დასანიშნავათ.

---

## მელოგინის ტანისამოსი.

როცა მშობიარე ლოგინს აირეკავს, პირველი მისი საზრუნავი უნდა იყოს ის, რომ მუცელი შეიკრას ფლანელის სახვევით. ფრიად სასარგებლოა აგრეთვე, ზამთარსა და ცივს ტაროსში ნალოგინევ ქალი იცვამდეს მატყლეულობის პერანგის ამხანაგსა და იგეთსავე და ან აბრეშუმის ფუფაიკას. ეს ჩვეულება აქვთ ევროპიელ ქალებს და კარგადაც შკრებიან. ერთი სიტყვით თფილი ტანისამოსისთანა მოსახდენი არა არის რა მელოგინე ქალებისათვის, რადგან ისინი ამ დროს ძალიან ადვილად ცივდებიან და გაციებას ძალიან საფათერაკო შედეგები მოსდევს. გულ-მკერდი

და ძუძუების თფილათ შენახვა ბამბით, მატყლით, კატის ტყავით, გედის ღინღლით, ყარეუმით და მისთანებით ძალიან ხშირათ იცავს ამ ნაზ ორგანოებს ძნელი ანთებების სატკივრებისაგან.

---

## ყმაწვილის მოვლა.

ახლა იმაზე უნდა ვილაპარაკოთ თუ, რა ზრუნვა უნდა ვიქონიოთ ახალ დაბადებულ ყმაწვილზე. დედის მკერდთან მდებარე ყმაწვილი იწყებს ახალ ცხოვრებას, რომელიც დიდათ განსხვავებულია მისს ცხოვრებასთან დაბადებამდე- დაბადებამდე რომ მისი სულდგმულობა მთლად დედაზე იყო დამოკიდებული, ახლა იგი თავის თავათ ცხოვრობს. იგი ჰფშვინავს, სულს ითქვამს, მისმა სისხლის დენამ თავისი გზა იცვალა; თუ აქამომდე საზრდოობდა, ჭიპის წელის საშუალებით, თუ აქამომდე სხეულის კანი სინოყივრეს ისრუტავდა და თუ აქამომდე ყმაწვილი ნაყოფ გარშემოს სითხეს ყლაპავდა, ახლა საჭმელს პირით სჭამს და სტომაქი ინელებს. თუ აქამომდე მუდამ ერთგვარ (30°-ს), წყლისგვარ სითხეში ცურავდა,

ახლა სულ სხვა მდგომარეობაში უნდა იცხოვროს: სხვა სითფოა, სხვა ჰაერის ზედმოქმედება, სხვა გავლენა, მეტადრე აღზრდისა. ყველა ამ მკაცრის ცვლილებების გამო ახალ დაბადებულ ყმაწვილს ემართება მრავალგვარი ავადმყოფობა, რითაც ათასობით წყდებიან ყოველ წელს ბავშვები, ან არა და—მათი ნაზლი მთელს სიცოცხლეში ამჩნევიათ. ვინ არ იცის, რომ ახალგაზდა დედებს პირველ ნაყოლი შვილები ეხოცებათ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი გამოუცდელები არიან ბავშვების მოვლაში. ამიტომაც ამათ მომეტებულის ყურადღებით უნდა იკითხონ და გადიკითხონ ქვემორე ამისა დაწერილი ფურცლები და გულსმოდგინეთ მისდიონ მათ, თუ სურსთ შერჩეთ მათთვის უძვირფასესი არსება ნიადაგ.

---

## ახალ-დაბადებულის ბანაობა.

ახალ დაბადებულის წყალში გაბანვა ყველგან იციან. ამით უნდათ, რომ ყმაწვილი გაასუფთაონ, გამოაცოცხლონ და მასთანავე ტანს საზრდო შეასრულონ. ახალ დაბადებულის კანი მეტათ სათუ-

თია, მგრძნობიარე და სისხლოვანი და იგი მომთავ-
რებულის კაცის ტყავზე უფრო იწოვს მასაზრდოებელ
ნივთიერებას. ამიტომ ძალიან კარგსა შვრებიან, რომ
საბანებელ წყალში ურევენ რძეს, ბულიონს, მეტა-
დრე თუ ბავშვიც სუსტია. ის კი მეტად მავნებელი
იქნება, თუ საბანებელ წყალში შეურიეს გამამაგრე-
ბელი ნივთიერება მაგალითად: არაყი, ოდიკალო-
ნი და მისთანები. ყმაწვილის კანი მეტად ნაზია და
ანთების მოსაგვრელათ მოწყობილია; მაგარი სასმე-
ლები ხომ ამას ხელს უწყობს. ამავე მოსაზრებით
წყალი ცხელი არ უნდა იყოს, თორემ ახალდაბადე-
ბულს გაუჩენს წითელ ქარს. შესაფერი სითფოა სა-
ბანელ წყლისთვის 29° რეომიურის ტერმომეტრისა
(სითფოს საზომისა). ახლად ძუძუ მოწოვებულს ყმაწ-
ვილს დაბანა ვნებს, ერთ საათს მაინც უნდა აცადო.
დაბანვისათვის დილა და საღამოა საუკეთესო დრო.
საღამო კიდევ იმიტომ არის კარგი, რომ მაშინ ყმაწ-
ვილი იგრე ადვილათ არ ცივდება. ზოგმა იცის ცი-
ვის წყლით ბანას შეეაჩვევო და მაგარის აგებულო-
ბის იქნებაო. ეგ დიდი შეცდომაა. ყმაწვილს ჯერ
ამდენი საკუთარი სითფო არ აქვს, რომ გაუძლოს
ამის დაკარგვას, რასაც ცივისწყლით ბანა დამართებს.

საზოგადოდ ვისაც უცდია ასე ადრეულად ყმაწვილის აგებულობის გაჭახმაგება, ყველანი სამწუხაროშედეგს შეესწრებიან და ამიტომ კეთილ-გონიერმა მშობლებმა ამ ცდაზე ხელი აიღეს. ამიტომაც ზოგიერთ ქვეყნებში, მაგ. ავსტრიაში, კანონით ნაბძანებია, რომ ყმაწვილი ეკკლესიაში კი არა უნდა მონათლონ, არამედ თფილ სადგომში. არა ერთხელ მომხდარა, რომ ეკკლესიაში წაყვანით ყმაწვილი გაციებით საშიშრად ავად გამხდარა. თუ საჭიროა გახდეს, პირველ რვა დღეს ახალ დაბანილ ყმაწვილს ტანზე ქონი უნდა წაუსვა. ტყაპუჭი თავჩედ გადაკრული გემლი ახალ დაბადებულს ხშირათ უხმება, ექერტლება და იმ ადგილებზე, სადაც ტყაპუჭი გადაკლია, ადვილად უჩდება ქაჩალი და იარები, წყლულები, რაც ძალიან სტანჯავს საწყალ ბავშვს. ამიტომაც პირველ კვირეებში დღეში ერთხელ მაინც უნდა გაბანო ბავშვი. ამით ტყაპუჭის გაქერქეშებას და დახეთქას ძალიან უკლებს. ხორციან ყმაწვილებს საზოგადოდ ადვილად უწყლულდებათ კანი, მეტადრე იმ ალაგებზე, რომელიც ხშირად ეცვრებათ. ამისთანა ადგილები ხშირ-ხშირად უნდა გამობანოთ მოთფილო წყლით. გაშრობის შემდეგ ძლიერ კარგია, თუ ზედ მიაფრქვევ გამამშრალებულს ფშხვნილს; ან არა და ზედ უნდა დადვა სიფრიფანა ბამბის ფთილა (კორპია). გამხმარ ბავშვებს არ ესაჭიროება ფთილების დადება.

ზოგჯერ ბავშვებს თავზე ჭუჭყის ფერი თებო აქვსთ ჩაგემსილი. ზოგთ ამ ჭუჭყის გადაწმენდა საშიშარი გონიათ და ხელს არ ახლებენ. მაგრამ სად გაგონილა, რომ ჭუჭყს და ტალახს სხეული გაემრთელებიოს? პირიქით -მისგან ბევრგვარი ავადმყოფობა წარმოსდგება. ეგებ იმას ფიქრობენ, ეს ნივთიერება თავს იფარავსო და ან ტვინს იცავს მომეტებულის სისხლის მოდენისაგან? მაგრამ ეს სულ ტყუილია, გემსი კანში ორთქლის ამოსვლას უშლის, აჩერებს, და თუ თავზე თებოს მოაშორებ და ოშხივარ ამოსავალ გზას მისცემ, ამით ბავშვი ტვინის ანთებას ასცდება. თუ გინდა ეს ჩაწებებული თებო მოაშორო, უნდა იგი ჯერ ზეთით დაალბო და მერე თბილ წყალში დასოვლებულის ხელსახოცით გადააცალო. შემდეგ რომ აღარ გაუჩნდეს თებო, უნდა დღეში ორჯერ დაბანო ყმაწვილის თავი საპნიანის წყლით.

---

## ბავშვების ტანსაცმელი.

ქალებს ერთი ცუდი ჩვეულება სჭირსთ: ყმაწვილს შეფუთნიან ხოლმე სახვევლებში და ისე მაგრა

გაუჭერენ ჩვრებს, რომ ყმაწვილს არც ფეხის და არც ხელის განძრევა არ შეუძლია. ამ გაცოდვილებას ეძახიან «შეგრაგნას», «შებლარდნას». ვერავითარი მოსაზრება ამ შებლარდნას ვერ გაამართლებს. მხოლოდ ეს არის, რომ შეკრულ ბალანას საძრაობა აღარ აქვს და ყურის გდებაც მაგდენი აღარ უნდა. ამასთანავე მისს საცვალზე გასვრილობას ველარ შენიშვნენ, ჩათფუნებულია თავისთვის და გაციების ფიქრიც აღარ არის, ამას რაღა სჯობიაო ფიქრობენ. მაგრამ იმას როდი ფიქრობენ, რომ უძრავათ შეპყრობილი ბალანა განუწყვეტლივ სტომაქის ტკივილით იტანჯება მუდამ ქარებით, გვრემით, ჭვლებით და ტანში შეკრულობით. მისი შეკრული ასოები თავისს რიგზე ვერ იზრდებიან, ვერ მატულობენ, რადგან სისხლის მუშაობა გაძნელებულია და ყოველგვარ ვარჯიშობას მოკლებულნი არიან. ბალანა მთელი საათობით წევს, განავალით გასვრილი, რადგან ამას ვერვინ ხედავს. ამით ტანის კანი გაჭიმულ გაჟენთილია და რაც ყველაფერზე უარესია, ბინძურობას ითვისებს. რასაკვირველია ამგვარათ შეხვევის გამო ყმაწვილი თბილათაა, მაგრამ ნამეტან თფილათ: ბალანა განუწყვეტლივ ოფლში ცურავს, მაგრამ გაათავისუფლებენ თუ არა, უთუოდ უნდა დაგრილოს იგი.

წარმოიდგინეთ ახლა, რომ თქვენ თვითონ ასეთ ნაირათვე შეგბოჭეს, ბალანის მსგავსად და მაშინ მიხვ-

დებით თუ, რა სატანჯველში უნდა იყოს ბავშვი რამდენსამე საათს ერთსა და იმავე მდგომარეობაში წოლით, სრულიად უძრავად. ბავშვი განა თქვენზე ნაკლებათ იგრძნობს ამ ტანჯვის შემაწუხებელ სიმძიმეს? ამის გამოა რომ, რაც უნდა ძალიან ყვიროდეს ბალანა, შეუშვებ თუ არა ამ ბორკილებს, იგი მაშინვე დაჩუმდება. რა საამური სანახავია, როცა იგი ამ დროს სიამოვნებით ღუნავს და მართავს თავის ფეხებს, აიღებს და დაიღებს, მოკეცავს, გამართავს ხოლმე თავის პაწაწკინა ხელებს. ამისთანა შეკვრა ბავშვისა უფრო რუსობაში იციან, მაგრამ ალარც ჩვენი აკვანი ჩამოუარდება უკან ამგვარ უმგვანო საქციელს. აკვანშიაც ძლიერ შეპყრობილია ბავშვი, მაგრამ შეიძლება ისე მოახერხოთ, როგორც ჩაწვენა, ისე შეხვევა, რომ ბავშვი მაგრათ არ იყოს ჩაკრული და შეხვეული. მოვლაა გასაჭირი და ბავშვის ყურისგდება, თორემ ბავშვი შეიძლება შეუხვეველადაც და აკვანში ჩაუწვენლადაც გაიზარდოს; რწევა სრულებით საჭირო არ არის. მაგრამ ჯერ ჩვენი ხალხი ამისთვის არ არის იმდენათ მომზადებული, რომ ეს ცუდი ჩვეულება ბავშვის ალზრდისა შესცვალოს. იმედი იყო, რომ ნასწავლი დედები უჩვენებდნენ მაგალითს. მაგრამ მეტი შენი მტერი ნუ არის. სამწუხაროდ ახლანდელმა განათლებამ სულ შეაძულათ ჩვენს ქალებს ბავშვების

გაზდა! ზოგიერთები ისე იქცევიან, რომ დაბადებენ თუ არა ბავშვებს, მაშინვე ძიძას აძლევენ და შემდეგ მის აღზრდაზე აღარაფერს კითხულობენ. ამათ ის აღარ ახსოვსთ, თუ რა დიდი მოვალეობაა ბავშვის აღზრდა და რა მზრუნველობას თხოულობს დედისაგან.

---

## ბავშვების ტირილ-ყვირილი.

ყველამ იცის, რომ ბავშვები ხშირათ მთელ საათობით ძალზედ სტირიან და ყვირიან. ამით დამსწრეებს ძალიან აწუხებენ და აიძულებენ მათ მიმართონ უგნურ ზომებს იმათ დასაჩუმებლათ. ბავშვს ტირილის და ყვირილის გარდა სხვა საშუალება არა აქვს რა, რომ გააგებიოს სხვას თვისი ავადმყოფობა, ტკივილი, ნდომა, აჩემება და ჟინი. ყველას გამოუცდია, რომ სულ უბრალო სამიზეზოზე ბავშვები ამ საშუალებას ხმაროობენ. აბა გავარჩიოთ უმთავრესი გარემოებები, რაც აყვირებს ბავშვს.

ზოგჯერ თავსახურავ ან პერანგზე მიკერებული ბაფთა (კრუჟევა) ეხახუნება ხორცზე და ეს არის ბავშვის ყვირილის მიზეზი. მოხდება ხოლმე, რომ მაგრა გაჭერილი ზორტი, მძიმეთ შემოხვეული ყელ-

ხახვევი ანუ არტახი სწურავს და უჭირებს ბავშვის ნაზს სხეულს და ისეც ყვირის. ზოგჯერ სცივა მას და ეს აყვირებს, ზოგჯერ სწყურია, ზოგჯერ რითიმე გართობა უნდა და შისთანები. მართლაცა პირველ კვირეებში ბალანას ადვილათ შეიძლება ციოდეს, რადგანაც მარტოდ მარტო წევს იგი თავის პაწია ლოგინში; მაგრამ თუ აიყვანეს და გაუბა დედის ძუძუ მკერდთან, მალე წყნარდება. ბავშვს ისე აქვს წყურვილის გრძნობა, როგორც მოზრდილს. სადილობაში ან ნასადილევს ჩვენ უფრო ვგრძნობთ სასმელის მოთხოვნილებას; ბავშვიც ეგრეა; შისთვის დედის რძე იგივეა, რაც ჩვენთვის ყოველ დღიური საჭმელი. რაღა გასაკვირველია, რომ ნოყიერისა და მაგარ ნაწილებით სავსეს რძით გაძღომის შემდეგ ბავშვს მოსწყურდეს. ამიტომაც თუ მრთელი ბალანა ყვირის, მალე, შემდეგ ძუძუს მოწოვებისა, მაშინ მას უნდა მიაწოდო დაშაქრული წყალი ან არა და, გათხელბული და შეტკბილებული, ბრინჯის, შვრიის, ან ქერის, ბურღულის (ნაღერღი მარცვლის) ნახარში. მაგრამ თუნდაც ბალანა არ ყვიროდეს, თუ კი იციან, რომ დედას ერთობ ნოყიერი რძე აქვს, მაინც უნდა ხშირათ აძლიო სასმელი. რძისაგან წარმომდგარს ზღმურტლს და სხვა მუწუკებს თავზე ყველაფერზე უფრო ადვილათ ამ საშუალებით ააცდენ და მოარჩენ კიდეც. რასაკვირ-

ველია, ჯერ ბალანა არ სვამს არც შუშით, არც კოვზით, მაგრამ თუ მოთბინება ვისმე აქვს, ამას კი შეაჩვევს. თვით პატარა ბალნებმაც, სულ რამდენისამე კვირის რომ არიან, იმათაც კი სურსთ გართობა და იციან მოწყენა. ისინი გაფაციცებით ეძებენ სინათლეს და თვალს ადევნებენ მათის თვალების წინ მოძრაობას, ყურს დაუგდებენ ხოლმე სხვა-და-სხვა ხმაურობას, მაგ. მუსიკას და სხ. შათ უნდათ რომ კარში ჰაერზე გამოიყვანოთ. ხშირია, რომ ყვირილით გადაფიჩინებული ბალანა იმ წამსვე დაწყნარდება, თუ დედა მიუჯდა და მოფერება დაუწყო,

რაიცა შეეხება დროს თუ, როდის უნდა დაუწყო ყმაწვილს ჰაერზე გამოყვანა და შეჩვევა, ჩვენ ამას ვურჩევთ ყველას, რომ პაწია ბავშვები გამოიყვანონ გაზაფხულში, ზაფხულში და შემოდგომაზე არა უადრეს მეექვსე კვირისა დაბადებითგან. ზამთრობით კი მესამე, მეოთხე თვეზე და მხოლოდ დამტკბარ ტაროსში. თუ ავადმყოფია ბავშვი, ანუ თუ დიდი სიცივეა და ცუდი ტაროსი, მაშინ გამოყვანა საფათერაკოა. თუ ბალანა გაისვარა რითიმე, ან თუ მწერი რამე კბენს, იგი ჩვეულებრივ ყვირის, სანამ საცვალს არ გამოუცვლი. ძუძუ მწოვარა ბავშვებს ხშირათ ტანში ქარები უჯგუფდებათ. ამას იმითი შეატყობ, რომ მუცლის ქვედა ნაწილი ებერებათ. ნაწლევის კუთების ძალა ბავშვს ისე რიგიანათ ვერ

უმოქმედებს, როგორც დიდებს; ამის გამო მათ ადვილათ უგროვდებათ შიგ ნაწლევის ქარები, რომელიც ჭვალებს აჩენს. მაგრათ მოჭერილი არტახი ან სახვეველი კიდევ უფრო აძნელებს ნაწლევების კუმშვას და ქარის გამოშვებას. ამიტომაა, რომ ყმაწვილი კივის და ჩხივის. ესეც კი არი, რომ თვითონ ყვირილიც შველის ამ შეგუბული ქარების დაფუშვას და გამოცლას. მაშინ რომ ყმაწვილს მიაღებინო რამდენიმე კოვზი ცყრეცოს გადმონადული დაშაქრული წვენისა, შესაკრავები მოუფამფო და ზეთით მუცელი დაუზილო, ის მალე დამშვიდდება.

---

## ყმაწვილის ძუძუს წოვებაზე.

ძუძუს წოვება თუ თავის წესზე მიდის, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც შვილისთვის, ისე დედისთვის. ამაზე ძალიან დამოკიდებულია სიმრთელე და სხეულის კეთილმდგომარეობა ერთისაც და მეორესიც. როცა ახალდაბადებული ყმაწვილი დაბანილი და ჩაცმულია, მას უნდა დაალევინო ერთი სტოლის კოვზი არა ცივი დაშაქრული წყალი. ეს მას გას-

წვენდავს იმ წეპოიან ლორწოსგან, რომელიც მას პირში ჩაყოლია და ხახაში აქვს გაჩერებული. თუ ყანყრატოში ბევრი ლორწო აქვს გარჩენილი (რასაც შეატყობ იმითი, რომ ყმაწვილს სუნთქვა აქვს ხრინწიანი), მაშინ ბებიამ ან სხვა ვინმემ, ნეკზე წმინდა ტილო შამოიხვიოს, ფრთხილად რამდენჯერმე ღრმათ ხახაში ჩაუყოს და ამით ამოაცალოს; ბავშვს ამით არა გაუჭირდება რა. სმევა გრილის ჩაისა, ბურღულის ან რევანდის წვენისა ძალიან მაგნებელია. ყმაწვილის პაწაწკინა კუჭმა აბა როგორ უნდა მიიღოს და დაიტიოს ამოდენი სითხე.

როცა დედა ძალ-ღონეს შემოიკრებს დასვენებით და ძილით, ე. ი. 4—8 საათს უკან მშობიარობის შემდეგ, ბალანას მიიყვანენ პირველათ ძუძუზე. მშობიარის ძუძუებისგან პირველ დღეებში გამოცემულ სითხეს, ჯერ კიდევ არ აქვს ნამდვილის რძის თვისებები; სითხე უფრო მაგარ ნაწილებს შეიცავს, ვინემ ნამდვილი რძე. ის სითხე ჰგავს საპნის წყალს, უსქესია ვინემ ჩვეულებრივი რძე, ფერი მოყვითალო აქვს და გამაფაღარათებელი მოქმედება აქვს. ამ სითხეს უძახიან პირველ რძეს ანუ ხსენს. ამ ხსენის წოვა ძრიელ მარგებელია ახალდაბადებულისათვის. იმას აქვს სუბუქი საფაღარათოს

მოქმედება: რაც რამ, დედის საშოში ყოფნის დროს, ყმაწვილის ნაწლევების ხვრელში ნაღველი, ლორწო და სიყალბე შეგროვილა, ყველაფერი გააქვს გარეთ ამ ხსენს. ამით ყმაწვილის სტომაქი მზადდება რძის მისაღებათ. ხსენი თანდათან, მესამესა და მერვე დღეს შუა გარდაიქცევა ხოლმე ნამდვილ რძედ.

მელოგინობის დროს დედა მწოლარე აძლევს ბავშვს ძუძუს და ბავშვსაც დედის მკერდთან მიაწვენენ და ისე სწოვს ძუძუს. თუ ვინიცობაა ძუძუს თავი არ აქვს რიგიანათ გაკეთებული და ბავშვს წოვა არ შეუძლია, ან იმდენათ სუსტია, რომ რძის მოწოვის ღონე არ აქვს, მაშინ როგორიმე გზით მიაღებინონ რძე დედის ძუძუთგან გამოწოვილი. თუ დედას არა აქვს რძე, მაშინ ძროხის რძით უნდა კვებონ. ძუძუ დედამ ხშირად და უთავბოლოდ არ უნდა აძლიოს ბავშვს. ძლიერ კარგია, როდესაც ბავშვს დანიშნული დრო აქვს ძუძუს საწოვრად. ყოველი დედა უნდა ცდილობდეს, რომ ამ წესს მიაჩვიოს ახალდაბადებული.

## მზრუნველობა ძუძუებზედ.

ყველა მუცელქმნილებისაგან განთავისუფლებულ ქალს თუ სურს, რომ იგი იყოს ნამდვილი ქალი და დედა უთუოდ თვითონ უნდა აწოვებდეს ბავშვს ძუძუს. ბავშვის ჩასახვა, ორსულობა, შობა, ძუძუებიდგან რძის დენა და მასთან ბავშვის ზრდა დიდი შესანიშნავი მოქმედებაა ქალის სხეულისა, რომელზედაც უეჭველად არის დამოკიდებული მთელი ხალხის გამრავლება და მხოლოდ ამით აღასრულებს ქალი ბუნებითი დედის მოთხოვნილებას და თავის დიდ დანიშნულებას. კაცის გამჩენს ისე გასაოცრად და გასაკვირველად აუგია ქალის ტანი განსხვავებით კაცის ტანზედ, რომ ამ გასაოცარი იარღაღების უკვალ დატოვება ქალისაგან, უმიზეზოდ გაუქმება ბუნების წინააღმდეგობაა, რომელიც დაუსჯელად არ დარჩება საბოლოოდ მაინც. არც ერთ საჭმელს არ შეუძლია ყრმისათვის დედის ძუძუს რძის მაგივრობა. არც ერთი საჭმელი, რა მშვენიერადაც უნდა იყოს იგი შეზავებული და მომზადებული არ შეერგება ყრმას ისე, როგორც დედის ძუძუს რძე. რძე დღიდგან ყრმის დაბადებისა ბავშვის გაზრდამდის ერთნაირი არ არის. ახლად ორსულობისაგან განთავისუფლებული ადამიანის რძე დიდათ განირჩევა დიდი

ხნის მაწოვარი ქალის რძისაგან თავის შედგენილობით. მაგრამ გასაოცარი ბუნების კანონით ბავშვის ზრდისთანავე იცვლება დედის რძეც სასარგებლოდ ყრმისათვის მისი სხეულის მოთხოვნილებისამებრ. მაგალითებრ, პირველ დაბადებისთანავე ყრმისათვის საჭიროა ნამეტანი წყლიანი რძე და დედის ძუძუც ამისთანა რძეს იძლევა. შემდეგში საჭიროა სქელი რძე ბავშვისათვის და დედის ძუძუებიც ამისთანა პოხიერ რძეს იძლევა. დიდ შეცდომაში ვარდებიან ისინი, ვინც პირველად ძუძუს მიცემისათვის დიდი ხნის მაწოვებელ ქალს იწვევენ და მის რძეს აწოვებენ ახლად დაბადებულ ბავშვს. ამ დროს ბავშვს წყლიანი რძე ეჭირება, რომელმაც სასაქმებელი გასაფალარათებელი წამალივით უნდა იმოქმედოს ბავშვზედ და ამისთანა რძე ეხოლოდ მშობიარე ქალს აქვს და არა მას, რომელსაც დიდი ხანი უწოვებია ბავშვისათვის. ამისთანა სქელ რძეს ახალ დაბადებულ ბავშვის კუჭი ვერ მოინელებს და ბავშვს გაუჩნდება ყაბზობა და მუცლის ტკივილი.

დიდი ხანია გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ დედის რძით გაზრდა ახალ დაბადებულისა დიდათ უხდება და ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობას, მის კეთილად აღზრდას, არა თუ მარტო ფიზიკურად, არამედ ზნეობითაც. მართალია თავის შვილის ძუძუთ მზრდელს დედას არა მცირე შრომა და მოუსვენებ-

ლობა მოელის, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს დედამ, რომ დედისგან გაზრდილი შვილი უფრო საყვარელია, რადგან ამ დროიდგან ინერგვის ბავშვში სიყვარული დედისა და დედის მხრით შვილისა.

საზარალოა ძიძის რძე და მისგან ბავშვის გაზრდა საზოგადოდ ყრმის ჯანმრთელობისათვის, მაგრამ დედის ტანისათვისაც არ არის სასარგებლო ბავშვის გაბარება და წოვებისაგან თავის თავის განთავისუფლება. უნდა იცოდეს ყველამ, რომ ძუძუ მაწოვებელი ქალი ხშირად თავისუფალია დედათ წესისაგან კარგა ხანობით. ამისთვის ძუძუ მაწოვარი ადამიანები თავისუფალნი არიან ორსულობისაგან. იმათ კი, რომელთაც თავისი შვილი მიაბარეს ძიძას ძლიერ ხშირად მოუდისთ დედათ წესი, რომელიც გამოიწვევს მალე დროში დაორსულებას. ამას გარდა ნამეტნავად მოსული რძე რჩება გამოუწოვებელი ბავშვისაგან და ხშირად ისეთ ანთებას გამოიწვევს, რომ თითქმის ნახევრობით ძუძუ ლპება და საშიშარი იარები დაიწყებენ დენას, შემდეგ მშობიარეობის ესრეთ წოდებული განწმენდა ძლიერ სუსტად მიმდინარეობს, როდესაც დედა თითონ არ აწოვებს შვილს ძუძუს და ეს უკანასკნელი მიზეზი სხვა მიზეზებთან გამოიწვევენ დედაკაცის სნეულებათა, რომელიც ბოლოს შეიძლება მიზეზათ გარდაიქცეს ცოლქმრის სიძულილისაცა.

თუმცა ბუნების წინააღმდეგი და მავნებელია ბავშვის მიცემა გასაზრდელად ძიძისათვის, მაგრამ არის ხანდისხან ისეთი შემთხვევანიც, როდესაც ძალა უნებურად უნდა მოიყვანონ ძიძა ან გაგზავნონ ბავშვი გასაზრდელად. ეს მოხდება მაშინ, როდესაც დედა მძიმე ავათმყოფია, ანუ რძე სრულებით არა აქვს ბუნებითი ნაკლულევანობის მიზეზით. ამ შემთხვევაში უნდა ეცადონ, რომ იმისთანა ძიძა იშოვნონ, რომელიც ყრმის დედის განთავისუფლების დროს განთავისუფლებულა ორსულობიდგან. თუ ამისთანა დედაკაცს ვერ იშოვნიან, მაშინ უმჯობესია გამოცდილი ექიმის დაკითხვით საგანგებოდ მოუძზადონ რძე საწოვრათ ახალ დაბადებულს.

---

## ძუძუების სნეულება.

ძუძუები ხშირად ასტკივდება მელოგინეს და ანთების შემდეგ კიდეც დაუჩირქდება. ეს მოხდება უმეტესად უსუფთაობისაგან, ვიწრო ტანისამოსისაგან,

ნამეტანი წოვისაგან, განსაკუთრებით, როდესაც ბავშვი ლრძილებს მაგრათ უჭერს წოვის დროს, ძუძუებში რძის დიდხანს შედგომისაგან და სხვა მრავალ მიზეზთაგან. ძუძუები ხშირად დასკდება და დაიჭერცლება, ან დაუმუწუკდებიან ხოლმე.

ძლიერ სასარგებლოა ყოველ დღეს ბანა ცივი წყლით ძუძუებისა, აგრეთვე სასარგებლოა ვოდკა გარეული წყლით მობანა. მაგრამ ქონიანი წასასმელის ხმარება არ შეიძლება. მწბოლიარე ადგილებზედ შეიძლება წაუსვან ჯოჯოხეთის ქვისაგან მომზადებული წამალი, რომელიც მხოლოდ ექიმის რეცეპტით შეიძლება გამოიტანონ აფთიაქიდგან. დამუწუკებულს ადგილს სასარგებლოა წაუსვან გლიცერინის ზეთი, რომელიც ძუძუს კანს ძლიერ არბილებს.

---

ანთება ხშირად დაემართება ხოლმე ერთ ძუძუში, მაგრამ ხან-და-ხან ორივეში. ეს ნამეტნავად მოხდება რძის დაბუკებისაგან. მიზეზი ამისა ბევრნაირია: ხშირად შეშინება, შეცივნა და სულიერი აღშფოთება შეაყენებს რძის დენას. ეს ავადმყოფობა იწყება ძუძუების ტკივილით, რომელიც ხშირად ძლიერ მომეტებულია. ავადმყოფი ხშირად მცირე

შეცივნასა გრძნობს, შემდეგ სიცხეს. ამასთან დაერთვის თავის ტკივილი. ამ შემთხვევაში ძლიერ სასარგებლოა რძის გამოსაწოვარი პატარა შუშის მოსაწევი კოტოში. ეს კოტოში უნდა დაადგან ძუძუს თავზედ ისე, რომ ძუძუს თავი შიგ ჩავიდეს და შემდეგ დიდმა ვინმემ უნდა მოსწოვოს მაგრათ; როდესაც რძე დაიწყებს დენილს, უნდა თავი დაანებო მოწოვას. როდესაც კარგად გამოვა რძე, მოხსნან კოტოში და გადააქციონ რძე. შემდეგ გაუმეორონ სანამ ძუძუები არ დაიმცროს. თუ არ გაიარა სნეულებამ, ძუძუები უმეტესად გაუსივდებათ (გაუფუხდება) და აქა-იქ მაგარი კვინტლები გამოჩნდებიან. სისხლის ძარღვები ძუძუებზე დაიბერებიან, მუწუკები ჩირქდებიან და ბოლოს თავისით გაიკვეთებიან და გამოირწყვიან, საიდამაც მოდის ბლომათ ჩირქი. ჩირქი გამოვა წმინდა ან რძე ნარევი. შემდეგ გამორწყვისა ნამუწუკარი ადგილი ჩარღმავებული დარჩება. ხშირად წყლურება ერთს ადგილს კი არა მრავალს ადგილას იჩენს თავს და ძუძუში ხვრელებს გაიკეთებს და დიდხანს გასტანს ჩირქის დენა. ყოველს შემთხვევაში ძლიერ სასარგებლოა სალბუნების სადებები, რომელ-

ნიც აღწერილნი არიან № 68 ქვეშე. ძუძუები მაღლა უნდა იყოს აწეული. თუ მუწუკები თავისად არ გამოირწყვიან, მაშინ უნდა გამოცდილ ფერშალს ანუ ექიმს გააკვეთინონ და ჩირქი გამოუშვან. შემდეგ ბალღმის გამოშვებისა წყლული გამობანონ გვირილის ყვავილის გადმონადულარი ნელ-თბილი წყლითა და ადვან მოსაშუშებელი წამალი.

თუ ასე ადვილად გაიარა სნეულებამ, შემდეგ შეიძლება მისცენ მავშვს ძუძუ, მაგრამ ძუძუს თავზედ უნდა იყოს წამოცმული ისეთი რამე, რომ ბავშვს მისი საშუალებით შეეძლოს რძის მოწოვა. ამისთანა პატარა საწოვრები დღეს ყველგან იყიდება აფთეკებში.

# საჭირო დარიგება

## ძუძუ მაწოვებელი ქალისათვის.

ძუძუ მაწოვებელი ქალი ძლიერ უნდა უფრთხილდებოდეს თავის ჯანმრთელობას, ვინაიდგან მისს დარღვევას დიდი გავლენა აქვს რძის სიკარგეზე და რაოდენობაზე. იგი უნდა ერიდებოდეს უწმინდურ ჰაერში სუნთქვას და სიცხიდგან სიცივეში და სიცივეიდგან სიცხეში უკეთ გარდასვლასა. სიცივეში თფილათ იყოს ჩაცმული და ძუძუებიც უნდა ჰქონდეს თფილათ, სიცხეში მსუბუქ ტანისამოსს უნდა იცვამდეს. დამტკიცებულია ერთხელვე, რომ სასმელ-საჭმელს პირდაპირი გავლენა აქვს რძის შედგენილობაზე. ამისთვის ძუძუ მაწოვებელნი ძალიან უნდა უფრ-

თხილდებოდენ სასმელ-საჭმლის მიღებას. არასოდეს არ უნდა მიიღონ, ცხარე, მომეტებული მარილიანი შრატი, მხურვალე, მძიმე და ძნელად მოსანელებელი საჭმელი და აგრეთვე მაგარი სასმელები. ძუძუ მაწოვებელის საჭმელს უნდა შეადგენდეს კარგად გამომცხვარი პური, კარგად შემწვარი ხორცი, რძის ფაფა, კვერცხი, წვნიანი საჭმელი, ახალი თევზი, მოწეული მწვანილი, ხილი და სხვ. არ ვარგა საჭმლის მიღებისათანავე ანუ მომლალავი მუშაობის შემდეგ ბავშვის ძუძუს წოვება. საჭმელ-სასმელს გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს რძის რაოდენობაზე და სიკარგეზედ აგრეთვე სხვა-და-სხვა სულის მღელვარებას და ცხოვრებას. ბოტა მაგალითები არ ყოფილან, როდესაც ძუძუ მაწოვებელ ქალებს უეცარი შეშინებისა გამო, ან მსწრაფ გულის მოსვლაზე გაჭროობიათ სრულებით რძე. ამისთვის საჭიროა ძუძუ მაწოვებელი დამშვიდებული იყოს და ერიდოს გულის მოსვლას, შიშს და სხვა შემაწუხებელ ღელვას. ძუძუ მაწოვებელი ქალის ჯანმრთელობისათვის საჭიროა წყნარი ძილი, რაც ათვის იგი უნდა წვებოდეს ადრე დასაძინებლად და რვა საათზედ ნაკლები მაინც არ ეძინოს. ბავშვის ძუძუს წოვების დროს ქალმა უნდა

მიაქციოს ყურადღება ნამეტან სიფაქიზეს, რაც შეიძ-
ლება ხშირად უნდა ბანაობდეს და იცვლიდეს ტა-
ნისამოსს. ამასთანავე უნდა მიაქციოს ყურადღება
თავთავის დროზედ გარეულ გასვლას—ყვანას; ვინაიდ-
გან ყაბზობას და სიალხეს ცუდი გავლენა აქვს
რძეზედ.

## როგორ უნდა მოიქცეს დედა, რომელიც არ აწოვებს თავის შვილს მუძუს.

---

ბავშვის ყოლის შემდეგ პირველი ორი კვირის განმავალობაში მაინც ის დედა, რომელიც არ აპირობს თავის ბავშვის ძუძუს წოვებას, ძალიან თავდაჭერილად უნდა იყოს სასმელ-საჭმლის მიღებაზე, ვინაიდგან უზომო საჭმლის მიღება შეამთხვევს სასტიკ სნეულებას, როგორიც მაგალითად მუცლის ანთებაა და რომელიც ხშირად დასრულდება ხოლმე სიკვდილით. ამისთანა ქალები უნდა ხმაროობდენ მსუბუქ და ადვილად მოსანელებელ საჭმელს და სასმელს ერთიჯერაზე. პირველ ხანებში კარგია მათთვის მოხარშული ქათმის წვენი და მხოლოდ ერთი კვირის შემ-

დეგ ეჭმებათ მათ შემწვარი ქათამი, ხორცი და ხორ-
ცის წვენი. ორი კვირის შემდეგ კი შეუძლიათ ჩვე-
ულებრივ სმა-ჭამას დაუბრუნდნენ, თუმცა ყოველ
შემთხვევაში მაინც მათი საჭმელი უნდა შეეფერე-
ბოდეს, როგორც ადამიანის ტანს, აგრეთვე მის აგე-
ბულებას და საჭმლის მოსანელებელ იარაღთა ძალას.
ჯანმრთელი ქალისათვის ბევრი ხორცის საჭმელი
მავნებელია; სუსტი აგებულების ადამიანები კი უნდა
ერიდებოდნენ დამასუსტებელ საჭმელებს.

---

## როგორ უნდა ვასაზრდოვოთ ბავშვი, როდესაც მას ძუძუ მაწოვებელი არაყვინა ჰყავს.

---

როდესაც რაიმე მიზეზისა გამო ბავშვს არა ჰყავს ძუძუ მაწოვებელი, მაშინ უნდა ასაზრდოვონ იგი ძროხის, კამეჩის ანუ თხის რძით. ამისათვის აძლევენ ბავშვს რძეს კოვზით ანუ ამ შემთხვევაში საგანგებოდ ბავშვებისათვის მოწყობილი საწოვარით. ამ მოუმარჯვებელ საშუალებას მიმართავენ ხოლმე უკიდურესს მდგომარეობაში. ბავშვების საჭმელად ხმარობენ უფრო ხშირად ძროხის რძეს; რძე უნდა იყოს მოთფილო, მაგრამ მოუდულებელი, რადგანაც მოდულებული რძე უფრო ძნელი მოსანელებელია. რძე უნდა იყოს ახალი და ისეთი ძროხის, რომელიც რიგიანი ბუნებითი საჭმელით იკვებება. პირველი სამი

თვის განმავლობაში დაბადების შემდეგ რძეში უნდა ერიოს ორი წილი წყალი და შემდეგ ნახევარი წილი წყალი უნდა იყოს და ნახევარი რძე; რძე უნდა მისცენ ბავშვს დრო გამოშვებით: პირველ კვირეებში ყოველ ორი საათის შემდეგ და შემდეგ კვირეებში, სამი-ოთხი საათის შემდეგ. თუ ხშირად ეძლევა ბავშვს რძე, იმ შემთხვევაში თითო იჯრაზე მას უნდა მიეცეს ცოტ-ცოტა რძე. რძის ჭურჭელი უნდა სუფთად ინახებოდეს, აგრეთვე ყურადღებას უნდა აქცევდნენ ბავშვის პირის სიფაქიზეს რითაც აძლევენ ბავშვს რძეს, კოვზი იქნება, თუ რძის საწოვარი, ყოველთვის ხმარების შემდეგ უნდა ირეცხებოდეს ისე, რომ არ დარჩეს ზედ რძე და არ დამჟავდეს, რადგანაც ცოტაოდენი მიღებული სიმჟავე გამოიწვევს ბავშვის კუჭის ავადმყოფობას, მუცლის ხიალხეს, პირის საქმობას და სხვ...

# დ ა რ ი გ ე ბ ა

## ყმაწვილის ძუძუს გაშვებინებაზედ.

---

ყმაწვილის ძუძუს წოვების გაშვებინება დიდი საქმეა, როგორც თვითონ მისთვის, აგრეთვე დედისთვისაც. საზოგადოდ შემცდარნი არიან იმაში, რომ ერთბაშად უნდათ ყმაწვილს ძუძუ გააშვებინონ. მაშ როდის უნდა გააშვებინონ ყმაწვილს ძუძუ? ამის პასუხს თვითონ ბუნება იძლევა. ამოეჭრება თუ არა ბაეშვს რამოდენიმე კბილი, ყმაწვილი მოუხშირებს ძუძუს წოვას და უწინდურათ გულდადებით აღარ სწოვს. ამიტომ საზოგადოდ წლის დამლევითგან ყმაწვილს ძუძუს წოვა თანდათან უნდა გადააჩვიოთ. თუ დედა მაგარის აგებულებისაა და კარ მეძუძური, უეჭველია კიდევ კარგა ხანს შეუძლია გაუძლოს წოვებას. მაგ-

ჩამ მაინც ამ შემთხვევაში კი უნდა აძლიო ყმაწვილს ძუძუს გარდა ძროხის რძე და ბულიონი. ასე თუ არ უყავი, ყმაწვილს ძვლების ჩონჩხი რიგიანად არ შეუმაგრდება და «ინგლისური სენი» *) და დურბელი გაუჩნდება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ დედის რძეს აკლია ის მარილები, რომელიც ძვლების საქსულში შედის და ასაზრდოებს მათ. როგორც დედისთვის ისე ყმაწვილისთვის ერთნაირათ ცუდია, თუ ძუძუს წოვება უეცრად გააშვებიე, ძუძუების რძის მიდინება თავის რიგზე მიდის, როგორც წინეთ, რის გამოც ძუძუები სივდებიან და სიმსივნეს მოსდევს ძლიერი ტკივილები და ხშირად ძუძუების ანთებაცა. თუ ასე არ მოხდა, შეიძლება ძუძუებითგან ეს სითხე უეცრად სხვა საპატიო ასოებს მიადგეს. ამას კი მოსდევს ისეთი სიცოხლისთვის საშიში ავადმყოფობა, რომელსაც ექიმი ველარც წინდაწინ მიხვდება და ველარც მერე უშველის. ყმაწვილის სიცოცხლისათვისაც ხშირათ საშიშარია უეცრად ძუძუს გაშვებინება. ძუძუ ნაწყვეტი ყმაწვილი მჭლევდება, ფერ-

---

*) ინგლისური სენი ანუ რაქიტიზმი ქვია ძვლების დარიბლებას, რასაც მოსდევს იმათი დამრუდება.

ხორცი ეკარგება, კარგავს, ესრეთ წოდებულს «ნა-
წოვარ სხეულს» და ხშირ-ხშირათ ფალარათი ემარ-
თება. თავდაპირველ ყმაწვილის სიმრთელე მაგდენათ
საშიში არ არის, მაგრამ მალე შეატყობ, რომ კი-
სერი უწვრილდება, ხელ-ფეხის კანი საშინლად უჭკ-
ნება, მუცელი კი ებერება; ყმაწვილი წევს გალურ-
ჯებული და შეშლილებული; თანდათან საცოდავის
და ხრინწიანის ხმით ღნავის. იგი ხარბათ ყლაპავს
ყოველ-ავე, რასაც კი მიაწოდებ, მაგრამ მოუნელებ-
ლათ გადის თუ პირის ღებინებით, თუ ტანის ფალა-
რათით; ბოლოს კი კვდება. ამისთანა შემთხვევებში
მხოლოდ ძიძის ძუძუს წოვებით შეიძლება ყმაწვილი
სიკვდილს გადაარჩინო. ამისთანა საშუალო შედეგის
არ უნდა გეშინოდეს მხოლოდ მაშინ, თუ ძუძუს
ნელ-ნელა გააშვებინებ. ამ გაშვებინებას უნდა მოან-
დომო უკანასკნელი ოთხი კვირა მაინც. პირველ რვა
დღეს ყმაწვილს უნდა აძლიო თითოჯერ დღეში
ძუძუს მაგივრათ კაი ხბოს, ქათმის ან ხვადგის ხორ-
ცის წვენი, ბულიონი, სანახევროდ ძროხის წმინდა
რძეში არეული (ეს ნაზავი უნდა იყოს, ასე ნახევა-
რი გირვანქა). მეორე კვირაში ორჯერ უნდა დღეში
აძლიო, მესამეში—სამჯერ, მეოთხეში—ოთხჯერ,

მეხუთის კვირის დამლევში კი მთლათ გააშვებინო-
ყმაწვილს ძუძუ. ღამღამობით კი ძუძუ არ უნდა
წაართვა მთლათ. ეს ერთი იმიტომ, რომ ამ დროს
ხელოვნურის საჭმლის შემზადება მოუხერხებელია და
მეორეთ ყმაწვილს ამ დასაკლისის გაძლება ძალიან
უჭირდება ღამ-ღამე.

კბილების ამოჭრის დროს და როცა ყმაწვილს
აცივებს, ყმაწვილი ძუძუს არ უნდა იყოს მოკლე-
ბული. თუ ძუძუს გაშვებინება მიდის ასეთის თანის-
თანობით, მაშინ რძის ჩადგომაც ძუძუებში ნელ-ნე-
ლა იკლებს და ამ რიგათ ახალგაზდა დედაკაცი თა-
ვისუფალი რჩება მძიმე სატანჯველისაგან.

# ბავშვის ავადმყოფობანი

## ᲚᲘ

## დარიგება მათ მოვლაზე.

---

მოსაფიქრებლადაც საზარელია ის გარემოება, რომ დაბადებულის კაცობრიობის მთელი ერ ი მეოთხედი ჩადის საფლავში თავისს გაჩენის პირველსავე წელს; მაგრამ ის კიდევ უფრო საშინელებაა, რომ ბავშვების უმეტესი რ ცხვი კვდება ცუდის მოვლისაგან. ბავშვების სასიკვდილე ავადმყოფობის უმთავრესი მიზეზები ა რიან: სტომაქის მოშლა, რომელიც მოსდევს მომეტებულათ გაძღომას და უდროოდროთ საჭმლის ხმარებას, დედის ან ძიძის გაცივებას და

სიცხეს, როგორც თვით ყმაწვილისას, უსუფთაობას და მისთანებს. ამიტომაც ახალგაზდა დედას, შვილის აღზრდის დროს, მტკიცედ უნდა ახსოვდეს ჩვენგან ნაჩვენები წესები და გულსმოდგინეთ ასრულებდეს მათ, თუ უნდა წმინდათ დარჩეს ყოველის საყვედურისაგან. მართალია უფრო სასარგებლო იქნებოდა, რომ დედათა სასწავლებელში ქალებს ასწავლიდენ ყმაწვილების კარგად მოვლის წესებს, ვიდრე ფრანცუზულ-ინგლისურ ენებზე ლაპარაკს. ენების სწავლა კარგია მოგზაურებისათვის და დიპლომატებისთვის; მაგრამ გამოუდეგარია დედაკაცისთვის, რომელმაც შემდეგში უნდა ზარდოს შვილები. გარდა იმ ავადმყოფობისა, რომელნიც წარმოდგებიან ფიზიკურის აღზრდის წესთა დაუდეგრობით, არის კიდევ ზოგიერთი მემკვიდრეობითი და გადამდები სენები, რომელნიც შეიძლება ძალიან საშიშარი გახდეს ბავშვებისათვის...

ზოგიერთ მშობლებს, თავისის ცელქი ბავშვების დასაწყნარებლათ, აქვსთ ერთი მეტად ცუდი ჩვეულება: ისინი აფთხობენ ბავშვებს და ამას ხშირობენ დასჯის დატუქვისის საშაულებად. ამისთანა უგუ-

ნური ზომები თითონ ბოლოს მშობლებს დაატყდებათ თავზე. მაგალითად ყმაწვილი რომ ავად გახდეს და ექიმი მოიწვიონ, დაინახავს რა მას იგრე ნატუქსი ყმაწვილი, იგი მორთავს ხაშინელ ყვირილს, არ იკარებს ექიმს და მანამ არ დაშოშმანდება, სანამ ექიმი არ გავა ოთახითგან.

როცა დედა შენიშნავს, რომ ყმაწვილს აცივებს, მან ექიმის მოსვლამდე უნდა აასრულოს შემდეგი პირველათ ყმაწვილი დაუყონებლივ ლოგინში უნდა ჩააწვინო. არ უნდა ატარო იგი ოთახში და მით უფრო გარეთ არ უნდა გაიმოიყვანო, იმიტომ რომ ყოველი მოძრაობა აძლიერებს ციებას და ადვილად შეიძლება ყმაწვილი გაციდეს. მეორედ—ყმაწვილი მძიმე ბუმბულში არ უნდა ჩააწვინო და ცხელ ოთახში არ უნდა ამყოფო; მესამედ, წამოზდილ ყმაწვილს, არავითარი ცხელი საჭმელი და მაგარი სასმელი არ უნდა მისცეთ, მაგალითად: ხორცი და ხორცის წვენი. ძუძუმწოვარმა ბავშვს იშვიათად უნდა აწოვო და ცოტ-ცოტა ერთგზობით; მათ ძუძუს მაგიერ უნდა აძლიო

დაშაქრული წყალი. მოსვენება, გრილი ჰაერი საუკეთესო საშუალებაა ყოველგვარი ცეების წინააღმდეგ. *)

*) ამ დარიგების შედგენის დროს უმთავრესად გიხელმძღვანელეთ დოქტორის იოლან კონრად გერლინლის თხზულებითა, „საჴარგებლო დარიგება დედათათვის.“

სახალხო საქიმო წიგნი.

# კარაგალინი

ნაწილი მეოთხე.

წამლების აღწერა, მათი მომზადება, თვისება
და ხმარება.

---

# შინაური აფთიაქი.

---

შინაური აფთიაქები, რომელთაც ჩვენ მოუიყვანთ ამ ნაწილში, წინეთ რუსეთში ჰქონდათ მებატონეებს და შეძლებულებს. იგინი მზათ იყვნენ მიეცათ სამკურნალო საშუალება როგორც თავის ოჯახში მცხოვრებთა, ეგრეთვე ღარიბთათვის. დღეს, მართალი უნდა ვსთქვათ, რომ არიან მრავალნი როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც, რომელნიც ყოველთვის მზად არიან მისცენ შემწეობა გაჭირვებულ ავადმყოფთა. მე ვგონებ, რომ ამისთანა აფთიაქის ქონება ძლიერ საჭირო უნდა იყოს ყველასთვის.

დღეს ისეთი დრო არის, რომ ყოველი კაცი ცდილობს თავის ცხოვრება და მდგომარეობა გაუმჯობესოს და გაჭირვებისაგან გამოიყვანოს. სოფელში რა ქნას კაცმა? კიდევაც რომ იცოდეს, რა მოუხდება მას, სად, რას იშოვის? ყველამ ვიცით, რომ

კიდევაც ძლიერ გვინდოდეს, ორი სამი დღე და ხან მეტ დროზე ექიმს ვერ ვიშოვით და ხანდისხან სულაც ვერ იშოვი. ისიც ცხადია ყველასთვის, რომ ზოგიერთ სნეულებას, თუ მალე მიუსწრო კაცმა, ადვილათ მოარჩენს და უბრალო საშუალებითაც და, თუ დაგვიანდა, მთელი აფთეკის წამალიც რომ დაალევინო, შემდეგ სნეულს მაინც ველარას უზამ! ამისთვის ვისაც წინათ ეცოდინება ყველა საჭირო წამლები, მათი მომზადება, თვითონ წამლების თვისებაც და ვინაც კარგად დაკვირვებით წაიკითხავს ამ წიგნს, შეუძლია მოაწყოს პატარა შინაური აფთეკა და იქონიოს ყველა საჭირო წამლები მზად. ამ წამლების მოპოებაში ცოტა ფულია საჭირო და სარგებლობა კი დიდი იქმნება. განსაკუთრებით მღვდლებს შეუძლია იქონიონ ამისთანა შინაური აფთეკები, თვითონაც ისარგებლონ და თავის მრევლსაც დაეხმაროონ საჭიროების დროს, რასაკვირველია, თუ ტყუვილა არ მისცემენ, ფასით მაინც. ამ წამლების შესანახავად ერთი განსაკუთრებით მომზადებული ყუთი ან შკაფი არის საჭირო, რომელშიაც ყველა წამლები თავ-თავის ადგილას უნდა იყოს დაწყობილი.

ამისთანა აფთეკები თუ არ არის დღეს სოფლებში, ანუ სოფლის მცხოვრებნი თუ ექიმებს და მათ წამლობას პატივს არ სცემენ და მკითხავებს ერწმუნებიან, ეს მიტომ რომ, მათ არ იციან და არც გამოუცდიათ თაკის თავზე წამლების სარგებლობა.

ჩვენ, რამდენათაც შეიძლება, ჩვენის ხალხის გასაგებად, მოვიყვანთ ყველა წამლების აღწერას, რომელთა ხმარება უექიმოთაც შეიძლება; უნდა ვიცოდეთ ეგრეთვე მათი მომზადება, დარიგება და რეცეპტები. ყველა წამლები მოუმზადებელნი და მათი მომზადებაც №№-ზე დაწყობით იქნებიან აღწერილნი. სნეულებათა და მათი წამლობის აღწერის დროს იქნება ნაჩვენები, თუ რომელ №-სა ქვეშე ნაჩვენები წამალი უნდა ეხმაროს სნეულის მოსარჩენად. ნაჩვენები წამალი, თუ მომზადებული არ აქვსთ, უნდა მოამზადონ ისე, როგორც აღწერილი იქმნება მისი მომზადება. ეს ძლიერ გაუადვილებს კაცს წამლების მონახვას და მომზადებას.

წამლების მომზადებისათვის პირველად კაცმა უნდა იცოდეს წამლების წონა, წყეო და სხვა ანგარიში, ამისათვის ჩვენ პირველად ამის ცნობას და ანგარიშს მოვიყვანთ. აფთეკის საექიმო წონა და წყეო სულ სხვა არის და სამოქალაქო სხვა.

## საექიმო, სამკურნალო ნაწილის წონა.

ერთ გირვანქაში 12 უნცია.
» უ ნ ც ში 8 დრახმია (თითქმის 8 მისხალი).
» დრახმაში 3 სკრუპული.
» სკრუპულში 20 გრანია.

გრანი კიდევ განიყოფება და ზოგიერთი წამლის

ერთი გრანის მეასე ნაწილი იხმარება ავადმყოფობაში. გრანი პურის მარცვლის წონის ოდენაათითქმის.

სამოქალაქო გირვანქა სულ სხვა არის. ეფთეკის რვა გირვანქა უთანასწორდება სამოქალაქო შვიდ გირვანქას.

## მიახლოებითი წონის შეტყობა სხვა-და-სხვა წყლის ნაირი ნივთებისა.

10 წვეთი გოგირდის ეფირისა 3 გრანია.
10 » გოფმანის კაპლისა 4 »
10 » ღვინის სპირტისა 5 »

ათი გრანი ბანგის, ოპიუმის გადმონადულისა— ექვსი გრანია.

ერთი ჩაის კოვზი მდინარის წყალი—სამოც გრანს იწონის.

ერთი სტოლის კოვზი—ოთხი ჩაის კოვზია, ანუ ოთხი-ხუთი დრახმია. ერთ ჩაის ლამბაქში გამოდის ხუთიდამ ექვს უნცამდის.

ერთი სტილი ოც-და-თვრამეტი მისხალია.

## წამლების აღწერა, მათი თვისება ⁊ მოქმედება.

### ცხარე სუნიანი წამლები.

### № ა.

### ქ ა ფ უ რ ი.

(კამფორა *).

ქაფური არის მაგარი, ძლიერ სუნიანი ზეთი, რომელსაც ხმარობენ სხვა-და-სხვა სნეულებისათვის დიდი ხნიდამ. ქაფური ძლიერ სასარგებლო წამალი არის. ქაფური პარაშოკიევით დანაყილი და მოყრილი დაბეგვილ, ანუ დაქექილ და დაცემულ ადგილზე უცფათ განდევნის შეგუბებულ სისხლს ამ ადგილიდამ. ქაფური იაფია და ამისათვის ყველას ადვილად შეუძლია მისი ყიდვა.

### № ბ.

### ქ ა ფ უ რ ი ს ვ ო დ კ ა.

(კამფორნაია ვოდკა).

ქაფურის ვოდკა შესდგება ორი მისხალი ქაფურისაგან და ერთი გირვანქა წმინდა ვოდკისაგან. ეს

---

*) წამლების სახელების ქვემოდამ რუსულად იქმნება მოყვანილი მათივე სახელები ფრჩხილებ შუა, რომ უფრო ადვილად შეიძლონ მათი ყიდვა აფთიაქებში, რადგან იქ ხშირად ქართული არ იციან.

წამალი იხმარება წასასმელად და შემოსახვევად ქარების სნეულებისათვის, დაცემულის და დაბეგვილის მოსარჩენად და სხ...

## № 9.

## ქაფურის სპირტი.

(კამფორნი სპირტ).

ეს წამალი შესდგება ერთი უნცი ქაფურისა და ერთი გირვანქა წმინდა სპირტისაგან. ეს წამალი იხმარება იმ შემთხვევაში, სადაც ქაფურის ოდკას ხმარობენ. მაგრამ ეს უფრო საიმედო და სასარგებლოა. ქაფურის სპირტი თუ გინდ შინ მოამზადო, უნდა აიღო ერთი გირვანქა ღვინის სპირტი და უნდა ჩაყარო შიგ ერთი უნცი ქაფური. დაანძრიო, რომ ქაფური გადნეს შიგ. ამას უძახიან ქაფურის სპირტს. ამ წამლით ხშირად მოურჩენიათ ხოლმე კბილის ტკივილი. დაასველებენ პატარა ბამბას ამ სპირტში და იდებენ წამხდარ კბილზე. ამას ხმარობენ პირის გამოსარეცხადაც; პირის გამოსარეცხისათვის ერთ წვეთს ჩაურევენ ერთ სტაქან წყალში და ხმარობენ.

## თავბრუ-დასხმის და გულშემოერის მოსარჩენი წამლები.

## № დ.

## გოგირდის ეთერი (აფთეკაში იკითხე).

(სერნი კეფირ).

გოგირდის ეთერი ერთი ძლიერ სასარგებლო საშუალებათაგანი არის, როგორც შინაგან სახმარებლად ექიმის დანიშვნით, ისე გარეგანათ. ამას ხმაროობენ სასუნებლად შაკიკისაგან თავის ტკივილის დროს და თავბრუს დასხმის დროს; ამ შემთხვევაში ეს საშუალება იხმარება შიგნითაც, რამოდენიმე წვეთი შაქრის წყლით, ანუ შაქარზე დასხმული სამი წვეთიდამ ხუთ წვეთამდე და ათ წვეთამდეც. ზოგიერთ შემთხვევაში ამას წასასმელადაც ხმაროობენ შუბლზე და საფეთქლებზე.

ეს საშუალება აქროობს კაცის ტანში ქარს, მუცლის ბერვას, დააყუჩებს მუცლის ტკივილს, რომელიც ქარების სნეულებისაგან წარმოსდგებიან. ეს საშუალება ხშირად გადაუგდებს კაცს და შეუმსუბუქებს სლოკინს.

ამ წამლის ხმარების დროს მოკიდებულ სამთელთან არ უნდა მიხვიდე, თორემ წამალს ცეცხლი მოედება ერთბაშად. ეს წამალიც არა ღირს ძვირად.

# № ე.

## გოფმანის კაპლი.

(გოფმანოვი კაპლ).

ეს კაპლი შესდგება ერთი ნაწილის გოგირდის ეთერისა და სამი ნაწილი წმინდა სპირტისაგან. გოფმანის კაპლი ძლიერ სასარგებლო არის ფილენჯის ქარების სნეულებისათვის და ამასთანავე გამოამფხიზლებელი საშუალებაა. გოფმანის კაპლი ფრთხილად უნდა ჰქონდეს კაცს შენახული შუშის ჭურჭელში და გრილ ალაგას.

შინაგან სნეულებისთვის ამ კაპლს ხმაროებენ: კურუნჩხის სნეულებაში, როგორათაც გამოამფხიზლებელ საშუალებას, როგორც ღონის მომყვანს ძლიერ დასუსტების დროს, თავბრუს დასხმის დროს და სხ... შინაგანად მიიღებენ რვა წვეთიდამ ათ წვეთამდე შაქარზე დასხმულა, რომელსაც დააყოლებენ წყალს; ერთის მილების შემდეგ კიდევ მიიღებენ ხოლმე თუ საჭიროა არის, ანუ თუ ავადმყოფი უკეთ შეიქნა.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ გოფმანის კაპლი, ბლომად მილებული, ტანში ახურვებს კაცს დიდი ხნის ხმარებით ტანი მიეჩვევა ამ წამალს.

გარეგანად გოფმანის კაპლი იხმარება სასუნებელად თავბრუს დასხმის, გულის შემოყრის და გულის შეწუხების დროს. თავბრუს დასხმაზე უნდა სუნით

მოსწიონ და გულის წუხილზე და გულის შემოყრაზე, უნდა შაქარზედ დაასხან ხუთი-შვიდი წვეთი და ისე უნდა მიილონ. ამ საშუალებას ხმარობენ სევდის ქარების ავადმყოფობაშიაც.

## № ვ.

## კ ა ვ ლ ე ბ ი.

### (კაპლი).

ხშირად საჭირო არის ხოლმე ხმარება იმისთანა კაპლებისა, რომელიც კაცის სტომაქს და კუჭს ამაგრებენ. ამისათვის უსარგებლო არ დარჩება, რომ ამისთანა კაპლები ჰქონდეს შინ ნიადაგ კაცს და მოამზადებაც იცოდეს. კარგად გაკეთებული კაპლები დიდ ხანს არ ხდებიან, ნამეტურ თუ მათი ჭურჭელი კარგად თავ-დაცობილია.

აი როგორ უნდა მოამზადოს კაცმა კაპლები: უნდა აიღოს ექვსი მისხალი, ანუ ექვსი დრახმა კარგად გამხმარი აბზინდა ბალახი. სამი დრახმა ნარინჯის ქერქი, კანი, ანუ დაუმწიფარი ნარიჯი და სამი მრისხალი კოთხუჯი (მცენარის ძირია); ყველა ესეები უნდა დასჭრა წმინდათ, ჩაყარო ჭიქის ჭურჭელში და დაასხა ზედ წმინდა სპირტი; უნდა დაახურო თავი და გაუდგა მზეს, ანუ უნდა დადგა თბილ ადგილას, სადაც უნდა იყოს ოთხი დღე. მეოთხე დღეზე უნდა

გადასწურო კარგად და შეინახო შუშებში გრილ ადგილას კარგად თავ-დაცობილი.

№ 8.

## ნიშადურის სპირტი (აფთეკაშია).

(ნაშატირნი სპირტ).

ნიშადურის სპირტს აქვს ერთობ ცხარე სუნი, რომელიც ძლიერ სასარგებლო არის ხანგრძლივი თავბრუს დასხმის და სხვა ამნაირ ავადმყოფობის დროს. ეს სპირტი ფრთხილად უნდა ასუნებინონ კაცს, რომ ხორცის კანს არ დაესხას.

შიგნივ მილებული ეს საშუალება ერთ სტაქან წყალში ჩარეული ექვსი წვეთიდამ რვა წვეთამდე, გამოაფხიზლებს ხოლმე მთვრალ კაცს.

ეს წამალი უმეტესად იხმარება გარეგანად. ნიშადურის სპირტს ხმარობენ გველის ნაკბენსა და ცოფიანი ცხოველების ნაკბენზედაც. ამ საშუალებას ნახევარ წყალ-გარეულს ხმარობენ გარედან წასასმელად, როდესაც რამე გესლიანი ბუზანკალი უკბენს ვისმეს.

ნიშადურის სპირტი რომ აიღო ერთი ნაწილი და ამის წონის მერვედ ნაწილ ნუშის, ანუ ზეითუნის ზეთში ჩაასხა და აურიო, გაკეთდება თეთრი სუნიანი წასასმელი წამალი, რომელსაც ხმარობენ გარედან წასასმელად ქარების სნეულებისათვის.

## № Ბ.

## Ჭრილობის მოსარჩენი წამლები.

### შინაური ტყვიის წყალი,

### (სვინტოკა


ვადა).

ტყვიის წყალი ამნაირად მზადდება: ერთ ბოთლ წმინდა წყალში უნდა ჩაყარო ერთი მისხალ-ნახევარი წმინდა პარაშოკათ დანაყილი ტყვიის შაქარი (აფთეკაში ისყიდება)—უნდა აურ-დაურიო და იხმარო, როდესაც საჭირო იქნება.

## № Ⴓ.

## მელის კუდის, მარცვანუკის სპირტი.

### (მელისოვი სპირტ.)

ეს წამალი მზადდება ამ სახით: მელის კუდა უნდა აილო რამოდენიმე და გადმოადულო სპირტში ფრთხილად, რომ სპირტს ცეცხლი არ მოეკიდოს; როცა დაიმწნას კარგად, უნდა გადმოიღო და იხმარო, როდესაც საჭირო იქმნეს. მიღებული შიგნით ნახევარი სტაქანი წყლით ძლიერ უხდება დასუსტებულ კუჭს, თავის გარეტიანებას და დამძიმებას, ამასთან გვამის ქარების გასაქროობათაც კარგია და სწორი სისხლის მოძრაობისათვის, რომელიც მოშლილი იქნება მალ-

ლიდამ გადმოვარდნით, შეშინებით, თავში სისხლის დაცემით და დამბლით.

გარეგანად ეს საშუალება იხმარება იქ, სადაც ჭრილობის წყალი იხმარება.

## № 11.

## ბალამო, ბაზღამი ყოველ გვარი ჭრილობის მოსარჩენი, და ეგრეთვე გაცივებისა და ქარეებისაგან გაჩენილი ეურებისტკივილისათვის.

ეი როგორ მზადდება ეს წამალი: უნდა ბილო ერთი გირვანქა ახალი ბალახი, რომელიც იწოდება ძალლის ენად; ერთი გირვანქა ნედლი ახალი თამბაქოს ფოთლები, ერთი გირვანქა შალფეის, (სალთეის) ფოთლები ყვავილობის დროს მოკრეფილი; უნდა დასჭრა წმინდათ და დაასხა ექვსი ბოთლი ძლიერ კარგი თეთრი ღვინო ყირიმისა, ანუ ჩვენებური, უნდა ადულო თავდახურულ თიხის ჭურჭელში სამი საათი და შემდეგ გასწურო და ჩაასხა შიგ ერთი ბოთლი კარგი ზეითუნის ზეთი, უნდა ადულო იმდენი, რომ სულ მარტო ზეთი დარჩეს და წყალი სულ დაიხარშოს. მერე უნდა გადმოიღო ცეცხლიდამ და იმდენი ხანი უნდა გააჩერო, სანამ რაც დარჩენილი იქმნება ჭურჭელში, არ დაილეკოს ძირს. შემდეგ ფრთხილად უნდა გადმოიღო ზეთი და რაც ძირში დარჩება, უნდა

მიუმატო ყვითელი სამთელი, აურ-დაურიო კარგად და შეინახო საჭიროების დროს სახმარებლად. ყურის წამლობისათვის და კბილისათვის შეიძლება ფილთათი იხმაროს; ხოლო ჭრილობისათვის ჩერებზე წასმული იხმაროს დასადებად.

## № ᲘᲐ.

## ᲫᲛᲐᲠᲘ, ᲫᲛᲐᲠ-ᲛᲭᲐᲕᲔ.

## (ᲣᲙᲣᲜᲣᲡ).

ძმარ-მჭაველს აქვს ძლიერ ცხარე სუნი და ამით სასარგებლო არის თავბრუს დასხმის დროს, თავის სიმძიმისათვის და შაკიკისათვის. მას ხმაროობენ ჰაერის გასაწმენდათ სახლებში, სადაც მრავალი ხალხი იკრიბება ხოლმე. კაცის ტანზე არ უნდა დაღვარის კაცმა ძმარ-მჭაველ.

ზოგიერთი ქალები ძმარს ხმაროობენ სასმელათ, რომ მკრთალი, ნაზი ფერი დაედვასთ პირის სახეზე, რომელიც ზოგიერთებს ძლიერ მოჰსწონთ, მაგრამ უნდა იცოდეს ყველამ, რომ ამ საშუალებამ ნაზი ფერი კი არა მიწის ფერი დასდვა მის მსმელ ქალბატონებს და თან გადიტანა მრავალი. ჩვენში ზოგნი რამ ხმაროობენ ზაფხულობით ხაშმის მოსაკლავად, მაგსანამ ხაშმს მოკლავდეს ძმარი უფრო მალე კაცს კლავს იგი! არაფერი არ ახდენს ჩვენს სისხლს ისე,

როგორც ძმარი და ძლიერ ფრთხილად უნდა იყოს ამის ხმარებაზე კაცი. არსად არ ხმაროობენ ისე ცუდათ ძმარს, როგორც ჩვენში და რამდენია მისი ხმარებით ავად? მაგრამ ძმარს კი არ აბრალიან იგინი ამას, „აყოლას“ და „თვალის ცემას“ აბრალიან!..

## № 118.

## ჭიანჭველების სპირტი.

(მურაკეანი სპირტ).

ეს საშუალება კარგია და სასარგებლო სხვა-დასხვა შემთხვევებში; ამისი მომზადება ადვილია. ერთ ბოთლში უნდა ჩაყაროთ იმდენი ჭიანჭველები, რომ მესამედი ნაწილი ბოთლისა გაივსოს, მერე მასზე უნდა დაასხა კარგი სპირტი და თუ ეს არ იყოს, კარგი ქაფიანი პურის ეოდკა და გააევსო პირამდინ. უნდა გაუკიდო მზეს ანუ კარგა ხანამდის დადგა თბილ ადგილზე და, როდესაც კარგად დაიმწნას, უნდა გადმოწურო და შეინახო ბოთლებში სახმარებლად.

## კბილის ტკივილის წამალი.

## № 119.

### კრეკოზოტი (აფთეკაში იკითხე) ქეზაფის ზეთი.

(კრეკოზოტ).

როგორც არის შეტყობილი დოქტორებისაგან

ეს საშუალება ძლიერ სასარგებლო არის კბილის ტკივილისათვის. ეს წამალი სჯობს კბილის ყველა ტკივილის დასაყუჩებელ წამლებსა. უნდა წამხდარ კბილში ქინძის-თავით, ანუ სპიჩკის ტოლა ჩხირით ჩაიყვანო როგორმე ერთი წვეთი გამოხვრეტილ კბილში; თუ ეს არ მოხერხდება, პატარა ბამბა უნდა დაასოველო ამ წამლით და დაადვა წამხდარ კბილს ისე, რომ კბილის გამოჭმულ, გამოხვრეტილ ადგილში უნდა ჩავიდეს, სხვა ადგილზე არ უნდა მოგიხვდეს, თორემ ხორცს აფუჭებს ეს წამალი. ამ წამალმა თუ ხორცი დასწვა კაცს, ძლიერ ასტკივა, მაგრამ ძლიერ ჩქარაც ჰქრება.

## № ᲘᲓ.

## შ ა ბ ი.

## (კვასტი).

შაბს აქვს მომწეი ძალა, სხვა-და-სხვა ცხოველური სინოტიავის შემკვრელი; ამისათვის შაბი სასარგებლო არის სისხლის დენის დროს, ხანგრძლივ მუცლის ფაღარათობისათვის და მყრალ დამშალ ციებისათვის. შიგნივ შაბი ძლიერ სიფრთხილით უნდა ვიხმაროთ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მიუცილებლად საჭიროებს სნეულის მდგომარეობა.

გარეგანად შაბი იხმარება თვალის ტკივილზე, როდესაც ძლიერ ცრემლი მოსდის სნეულს. ამ შემ-

თხვევაში თვალისთვის გააკეთებენ ამნაირ თვალზე დასადებ წამალს: აიღე ნახევარი მისხალი შაბი და ერთი კვერცხის ცილი და ჩაყარეთ ნახევარ ბოთლ ვარდის წყალში. აურიეთ ერთმანეთში. თუ ვარდის წყალი არ იყოს, უბრალო გადადუღებული წყალი უნდა ვიხმაროთ. ბოლოს ამაში უნდა დაასველონ ტილოს ნაჭერი და ადვან თვალზე მორჩენამდინ.

## № 119.

## თეთრი შაბიამანი, ჟანგარო.

(ბელი კუპაროს. სერნოკისლი ცინკ).

თეთრი შაბიამანი გარეგანად იხმარება: ღერისთვის, თვალის ტკივილისთვის და სხ. თვალში ჩასასხმელად იხმარება ოთხი გრანი, გარეული ოთხ უნცა ვარდის წყალში. ეს წამალი ძლიერ მარგებელია თვალის ტკივილისათვის, როდესაც ძლიერ გაწითლებულია თვალი.

## № 120.

## წმინდა გვარჯილა.

(ოჩიშხანი: სულფატრა).

გვარჯილა ერთი უკეთესი საშუალებათაგანია შარდის მოსაყვანელად. ჯვარჯილას ხმარობენ შარდის

დაკავების დროს, რომლისათვის ხუთი გრანიდამ თვრამეტ გრანამდის მიილებენ ბრინჯის გადმონადული წყლით.

## № 118.

## ფისი. (გუმი-არაბიკუმ).

(კამედ).

ეს საშუალება დღეს სხვა-და-სხვა წამლის მოსამზადებლად იხმარება. ამას მარტო ცალკე არ ხმაროებენ ეხლა.

## № 119.

## ტანიდამ სასაქმებელი წამლები.

(სლაბიტელნია ლეკარსტვა).

## რ ე ვ ა ნ დ ი.

(რევენ).

რევანდი ძლიერ ხშირად იხმარება და ძლიერ სასარგებლო ნივთიც არის. რევანდი, მილებული შიგნიე, მოქმედებს როგორც საფალარათო და ამავე

დროს ჭამის დაკარგულ მადასაც უბრუნებს კაცს. იმას ხშირად ხმარობენ, როდესაც კაცს ჭამის მადა აქვს დაკარგული და სიმძიმეს ვრძნობს კუჭში. რევანდს იღებენ, ხოლმე ექვს-შვიდ დღემდინ—ექვსი გრანიდგან ოორმეტ გრანამდინ სადილობამდის.

კაცს რომ ტანიდამ ასაქმოს, საკმაოა ოცი გრანი დაქბილი რევანდი მიიღოს. თუ არ ასაქმა, ხელახლა მეორედ უნდა მიიღოს.

რევანდისაგან აკეთებენ შარბათს (სიროპს), რომელსაც თითო ჩაის კოვზს აძლევენ პატარა ბავშვთა ტანიდან სასაქმებლად. ამ შარბათს თითო ჩაის კოვზსა აძლევენ ვიდრემდის არ ასაქმებს ბავშვს.

## № 100.

## სასაქმებელი ზეთი.

### (კლეშჩევინნოე მასლო)

სასაქმებელი ზეთი, რაც უნდა მუცელში იყოს კაცი შეკრული, ორი სტოლის კოვზი საკმაო არის, რომ ასაქმოს.

სასაქმებელი ზეთი ტანიდან საქმობასათვის თითო-თითო სტოლის კოვზი უნდა მიიღონ ოთხ კოვზამდი, თუ ერთი სტოლის კოვზის მიღების შემდეგ ასაქმოს ავადმყოფს, მერე აღარ უნდა დაალევინონ.

## № კ.

## სინამაქის ფოთოლი.

(ალექსანდრიისკი ლისტ).

ერთი კარგი სასაქმებელი წამალთაგანია სინამაქის ფოთოლი. ეს არის ერთნაირი მცენარის ფოთოლი; ამ სასაქმებელ წამალს ხმარობენ მაშინ, როდესაც უნდათ, რომ სწორედ ნამდვილად ასაქმოს კაცს.

აი როგორ მზადდება ამისგან სასაქმებელი წამალი: აიღე სამი მისხალი სინამაქის ფოთოლი და დაასხი ზედ ხუთი უნცი ცხელი მდულარე წყალი. უნდა დადგა მეოთხედი, ანუ ნახევარი საათი, რომ კარგად დაიმწნოს. ბოლოს თუ გინდა, რომ ძლიერ ასაქმოს კაცს, უნდა გაურიო შიგ ცოტა რევანდი, ანუ ანგლიის მარილი და თითო კოვზი სტოლისა უნდა მიიღონ მეოთხედ, ანუ ნახევარ საათში, ვიდრემდის არ ასაქმოს.

## № კა.

## გლაუბეროვის მარილი.

(გლაუბეროვაია სოლ).

ეს მარილი შიგნივ მიღებული მოქმედებს ისე, როგორც ღვინის მარილი, მაგრამ უმეტესად ასაქმებს

ტანში. ეს წამალი ჰაერზე და თბილ ადგილას ძლიერ ფუჭდება; ამისათვის ძლიერ თავ-დაცობილი გრილ ადგილას უნდა იყოს შუშის ჭურჭელში. ამ მარილს ხმაროობენ: ა) როგორც საგრილებელ წამალს სისხლის ჭარბობის დროს; მაგარი ტანის კაცებს შეიძლება მისცენ ექვსი-რვა დღის განმავალობაში უშიშრად. ბ) კუჭის და წელების გასაწმენდელად, როდესაც ყაბზობა წარმოსდგება ნამეტანი ვაძლობისა და შეცივებისაგან.

ამისთანა მოქმედება აქვს ინგლისის მარილსაც და ამისთანა შემთხვევებში ხმაროობენ მასაც.

საჭიროების დროს აიღე სასაქმებელი ასტრახანის მარილი, ანუ სასაქმებელი ანგლიის მარილი რვა მისხალი, დაადნე ერთ ფინჯან თბილ წყალში და ცივი დილაზედ უზმოდ დაალევინე ერთიანად სნეულს.

## ჰირიდან სასაქმებელი წამლები.

(რვოტნია ლეკარსტვა).

№ ᲙᲒ.

### იპეკაკუანა, ჰირიდამ სასაქმებელის მცენარის ძირი, ოქროს-ძირა.

(რვოტნი კორენ).

ეს მცენარის ძირი იხმარება წამლად, როგორც ჰირიდამ სასაქმებელი. ჰირიდამ საქმობისთვის აძლევენ

რვა გრანიდამ თუთხმეტ გრანამდინ; პატარა ბავშვისათვის კი საკმაოა ორიდამ სამ გრანამდინ, ეს წამალი სხვა-და-სხვა კაცის ტანზე სხვანაირად მოქმედებს.*)

ამ წამალს აფთეკაში იშოვის კაცი, მაგრამ ექიმის დაუნიშნელად არ უნდა იხმარო.

## მეორე-ნაირი ბირიდამ სასაქმებელი წამლები.

აიღეთ ერთი კოვზი სელის, ანუ ზეითუნის ზეთი, ნახევარი კოვზი დანაყილი მარილი, ესეები ექეს კოვზ თბილ წყალში გაურიე და დილაზე უზმოდ დაალევინე ერთიანად ავადმყოფს.

## სიცხის და გულის ამოწვის წამლები.

### № კვ.

### სოდის ბარაშკი.

### (სოდოვიე ბარაშკი).

რაც უნდა გულის წვა ჰქონდეს კაცს მძიმე მოსანელებელის საჭმლისაგან ნახევარი ჩაის კოვზი სოდის ფხვნილი რომ ერთი სტაქანი წყლით მიილო,

---

*) მე ოვიცინ ამის დაწერამა მიგილე ერთ გრანზე კიდევ ნაკლები და ბირის ლებინება ამიტეხა.

მაშინვე გადაგიგდებს. სოდას ხმარობენ ქვის ავადმყოფობისაგან მოსარჩენად. სოდისაგან აკეთებენ შუშხუნა სასმელებს.

შუშხუნა სასმელი რომ გინდოდეს მოსამზადებლად, აი როგორ უნდა მოამზადო იგი: უნდა აიღო ლეიმონის ანუ ლიმონის მარილი ნახევარი მისხალი ერთი ნახევარ სტაქან წყალში უნდა ჩაყარო და მეორე ნახევარ სტაქან წყალში უნდა ჩაყარო იმდენივე სოდა; კარგად რომ გაერევიან წყალში, მაშინ ის სტაქანი, რომელშიაც მჟავე წყალი არის, უნდა ჩაასხა სოდიან სტაქან წყალში და მალე უნდა მიიდვა ტუჩზე და დალიო, თორემ დაიკარგება. რომელიმე სტაქანში თუ შაქარს ჩააგდებ და იმით დაატკბობ, სანამ ერთიერთმანეთს შეურევდე, კიდევ უკეთესი სასიამოვნო სასმელი იქნება.

აფთიქებში ერთნაირი სტაქანი იყიდება, რომელიც შუაში გაყოფილია. ამით, როდესაც ტუჩზე მიიდგამ, ორივედამ სვამ. ამ სტაქანში ერთ ნახევარში მჟავეს ჩაყრიან და მეორეში სოდას და რომ სვამს კაცი, პირშივე ანუ კუჭში დაუწყებს შუშხუნს. ამბობენ, რომ ასე დალევა უფრო სასარგებლო არისო. შაქრის მაგივრად ფორთოხლის, ლიმონის და ანუ მურაბის წვენი რომ დაასხა, სანამ ერთად შეაერთებდე, მეტის მეტი სასიამოვნო სასმელი მოამზადებდა.

## № კდ.

## ღვინის მარილი.

(ვინნი კამენ).

რამოდენიმე ნაწილი ღვინის მარილი რომ ჩაყარო დაშაქრულ წყალში, მოამზადდება სასიამოვნო მჟავე სასმელი ლიმონადის მსგავსი. ღვინის მარილისაგან და სოდასაგან მზადდება კიდევ შუშხუნა სასმელი, რომელიც ციების სიცხის დროს კარგი არის.

## № კე.

## ჭიის წამალი.

(ლეკარსტვო ოტ დლისტოვ).

### ხორასანის თესლი.

(ციტვარნოე სემია).

კარგი თესლი მოდის ხოლმე პატარა აზიდამ. ხორასნის თესლი იხმარება ჭიის წამლად ბავშვებისათვის, დღეში რომ ოცი გრანი მიიღოს ბავშვმა თაფლით, ყმარა რგვალი ჭიების დასახოცად.

ხორასანს გარდა დღეს უკეთესი და უფრო საიმედო წამლები არის გამოგონებული ჭიების დასაყრელად.

ხორასნის თესლისაგან მზადდება ერთ-ნაირი თეთრი პარაშოკის წამალი, რომლისაგან აკეთებენ რგვალ-რგვალ და ბრტყელ კანფეტებს, რომელნიც ძლიერ სასარგებლო არიან ბავშვებისათვის ჭიების დასაყრელად.

## № კვ

## შარდის სადენი ჩაი.

(მოჩეგონნი ჩაი).

ერთი ჭეჭვი დაჭრილი ოხრახუშის ფოთოლი ანუ ძირი უნდა ჩაყარო ორ სტაქან ადუღებულ წყალში, და რომ გაცივდეს, უნდა ასვა სნეულს; რასაკ ბევრს დალევს კაცი, იმდენად უკეთესია.

## № კზ.

აიღეთ ერთი ჩაის კოვზი ცერეცოს თესლი და ჩაყარეთ ნახევარ სტაქან ცხელ წყალში, რომ გაცივდეს, შემდეგ თითო სტოლის კოვზი უნდა მიიღონ ხოლმე. ძლიერ სასარგებლო არის რძის მოსაყვანად და ბავშვების მუცელში დამდგარი ქარის გასაქრობ-ლად.

## № 39.

# ქ ი ნ ა-ქ ი ნ ა.

(სოლიანოკისლი ხინინ).

ხინა, გოგირდ-მჟავე ხინა.

ქინა-ქინა, სერნოკისლი ხინინ.

ქინა-ქინა მზადდება ქინა-ქინის ხის ქერქისაგან. ეს არის თეთრი ფქვილივით, მეტის-მეტი მწარე. ისეთი წამალი არ არის ჯერედ გამოგონებული სნეულების მოსარჩენად, რომელიც ასე კარგად არჩენდეს სნეულებას, როგორც ხინა არჩენს ციებას. ციების მოსარჩენად ხმარობენ დღეში ექვსი გრანიდამ თორმეტ გრანამდე და თითოჯერ ორ გრანს ანუ მეტს გაციების თავისუფალ დროს. წინას, როდესაც პირიდამ ვერ ილებენ, ოყნით აძლევენ ავათმყოფს და ამბობენ, რომ კარგად მოქმედებსო. ხინას ბევრ-ნაირად ილებენ ხოლმე. ზოგი პირში ჩაიყრის და წყლით სვამს; ზოგი წყალში ჩაყრის, აურ-დაურევს და ისე ილებს; ზოგი პურისაგან მომზადებულ სახვევში ახვევს და ისე მიილებს, ზოგი კიდევ ქაღალდში ახვევს და ისე მიილებს. ჩემის აზრით და გამოცდილებით თუ კაცი სიმწარეს ერიდება და ეძნელება მისი მილება, მაშინ პურისაგან მომზადებულ სახვევში მილება ხინისა ყველას სჯობია. ხინა, რევანდში გარეული, ძლიერ სასარგებლო არის ციეე-

ბისათვის. ცხრა გრანი რევანდი უნდა აილო და სამი გრანი ხინა და ერთად უნდი მიაღებინო ავადმყოფს; რაც უნდა ცუდი ციება იყოს, არ შეიძლება, რომ ოთხ მიღებაზე, ანუ ხუთზე არ გაუშვას ციებამ.

## № 100.

## ა ბ ზ ი ნ დ ა.

(ბოლინ).

ეს მცენარე ძლიერ მწარე არის. ეს ძლიერ ამაგრებს კუჭს. ძლიერ სასარგებლო არის აბზინდა კუჭის დასუსტების მოსარჩენად; ციებაზედაც სასარგებლოა, როდესაც კაცს ჭამის მადა აქვს დაკარგული. ამ მცენარეს ხმაროობენ ჭიების წამლათაც.

აბზინდას ხმაროობენ წყალში, ანუ ღვინოში ზომზადებულს ჩაისავით, მაგრამ გაციებულს. უნდა აილო მისხალი ამ ბალახისა და ორ ვირვანქა ცხელ წყალში, ანუ ღვინოში უნდა ჩაყარო, ბოლოს უნდა გაწურო და იხმარო ცოტ-ცოტა დრო-გამოშვებით. ახალი მოთხრილი ამ ბალახის წვენი სასარგებლო არის ერთი კოვზი, რომ დალიონ ცუდი ციებისათვის.

---

## № ლ.

## მ ა გ ნ ე ზ ი ა.

(მაგნეზია).

მაგნეზიაც ძლიერ სასარგებლო არის გულის ამოწვის მოსარჩენად. ერთი ჩაის კოვზი უნდა ჩაყარო შაქრის წყალში, აურ-დაურიო და რომ გაიქნეს კარგად, უნდა დალიო. თანასწორ ნაწილებს რეევანდისას და მაგნეზიასას აურევენ ერთად წყალში და ისე მიიღებენ ხოლმე გულის ამოწვისა და წამოძმარების მოსარჩენად.

## № ლა.

## ბ ვ ი რ ი ლ ი ს ყ ვ ა ვ ი ლ ი.

(რომაშკოვი ცვეტ).

ამ მცენარის სარგებლობა არა თუ მარტო ამა ქვეყნებში, არამედ ჩვენშიაც ძლიერ კარგად იცოდნ და მრავალს აქვს გამოცდილი მისი სარგებლობა.

შიგნივ ძლიერ ხშირად ხმარობენ ბვირილის ყვავილსაც. ამას ხმარობენ განსაკუთრებით ფილენჯის ქარით ავადმყოფისათვის. გარეგანად ხმარებული ბვირილის ყვავილი ძლიერ აყუჩებს ქარის ტკივილს, ამ

ყვავილს ხმარობენ ჩაისავით, რომლისათვის ერთ ჩაის კოვზს ჩაყრიან სამ ფინჯან ადულებულ წყალში. ცხელ წყალში უნდა იყოს ჩაყრილი მეოთხედი საათი, რომ ძლიერ მაგარი არ გამოსცეს წვენი და ძლიერ არ იმოქმედოს.

ამისთანა გაკეთებული ჩაი გვირილისა ძლიერ უხდება: კურუნჩხის, კუჭის და წელების სნეულებას და სხვ. რაისაგანაც უნდა იყოს გამჩდარი: გაციებისაგან იქნება, ბუასილის სისხლისაგან, თუ შემდგარი დედათ წესისაგან. უკანასკნელ შემთხვევაში თუ დედათ წესი თავის დროზე არ გაჩენილა, ანუ წესის მოსვლა სხვა-და-სხვა კურუნჩხის ქარებით შედგება ხოლმე, ძლიერ სასარგებლო არის, რომ საღამოთი, დაწოლის დროს, თითო ანუ ორი პატარა სტაქანი ცხელი გვირილის ჩაი დალიონ.

გვირილის ჩაი კარგია პირიდამ სასაქმებელის წამლის მიღების დროს, რომ უფრო ადვილად, გაუჭირლად ასაქმოს სნეულს.

ჩვეულებრივი გვირილას გარდა კიდევ ხმარობენ რომის გვირილის ყვავილსა, რომელიც მომეტებული მწარე არის. ეს ძლიერ ახურვებს კაცს ტანში. ეს გვირილა უფრო სასარგებლო არის დედათ წესის მოსაყვანელად.

გარეგანათაც ძლიერ კარგია გვირილის ყვავილი: მას ხმარობენ პატარა ბალიშებისათვის, რომელსაც მიაკერენ ყბაზე კბილის ტკივილის დროს, მაგრამ

იმისთანა კბილის ტკივილისათვის, რომელიც ნერვის ძარღვების ტკივილისაგან არის.

მოხარშული რძეში ბრინჯით ქაშის მსგავსად ძლიერ სასარგებლოა ანთებისა და მომეტებული კუჭის ტკივილისათვის; ამისთანა დასაყუჩებელი გვირილის დასადებელი თბილი უნდა იყოს; არც უნდა იყოს ძლიერ სოველი და არც ნამეტანი ცხელი; ეს სადები უთუოდ ათს, ანუ ოცს წამში უნდა გამოიცვალოს ავათმყოფმა. თუ ეს რჩევა არ იქმნა ასრულებული, მაშინ ის ადგილი, სადაც თბილი დასადებელი ედვა, ადვილად შეიძლება გაცივდეს და უარესი სნეულება გაუჩნდეს.

გვირილის ყვავილს ხმარობენ ოყნაში და აბანოშიაც ქარების სნეულებათათვის.

## ოფლის სადენი წამალი.

## № ლგ

## დიდგულას ყვავილი.

(ბუზინნა ცვეტ).

დიდგულის ყვავილიც როგორც გვირილისა ძლიერ ხმარებულია ხალხში. დიდ გულას ყვავილს ხმარობენ ჩაესავით ისე, როგორც გვირილისას. ამ საშვალებას ხმარობენ განსაკუთრებით ოფლის მოსაყვა-

ნად; ეს იხმარება ყოველ იმისთანა ავათმყოფობაში, სადაც ოფლის დენა საჭიროა. მაგრამ ძლიერ ფრთხილათ უნდა დალიოს ავათმყოფმა, რომ არ გაცივდეს და უარესად არ გახდეს ავათ. კარგია, რომ საწოლში წოლის დროს დალიოს ეს ავათმყოფმა.

კარგი დრო მისი დალევისა არის ღამით, დაწოლის დროს; ავათმყოფი ღამით ზეზე არ უნდა ადგეს, დილაზე, სანამ ძლიერ არ გაუშრება ტანი, რაც უნდა პატარა ოფლი ჰქონდეს, მაინც არ უნდა ადგეს სნეული ლოგინიდგან.

გარეგნათ თაფლ-ძმარში გარეულს დიდგულის ჩაეს ხმაროობენ ყელის ტკივილისათვის, პირში გამოსავლებლად.

## მუწუკების დასამწიფებელი სხვა-და-სხვა საშუალებანი.

### № ლვ

### სასარგებლო სალბუნი დაცემული, ნალრძობი და მეწუკებიან ადგილზე სახმარებელი.

ეჭისთანა სალბუნი მზადდება ერთი გირვანქა კარგი ზეითუნის ზეთისა და ნახევარი გირვანქა უმარილისაგან, რომელიც დანაყვის შემდეგ ძლიერ წმინდათ უნდა გასცრან. ზეთი მოზდილ ჭურჭელში უნდა

ჩაასხან, თორემ ადუღების დროს ამოვა და კიდევაც დაიწვის. დანაყილი უმარილი ცოტ-ცოტა უნდა ჩაყარონ და ნიადაგ უნდა ურიონ; ასე უნდა ხარშონ ექვსი ანუ შვიდი საათი. თუ გინდა, რომ შეიტყო მომზადდა თუ არა, საბეჭდი ქაღალდი უნდა ჩაყო შიგ და თუ იქიდამ ამოღებული ეს ზეთი გაშრა და გაშავდა, მაშინ მომზადებული იქმნება. მერმე ტილოს პირის სახოცივით ნაჭერ-ქაღალდზე უნდა დაასხა და გააკეთო თხელ ტკბილის კვერივით; რომ გახმეს კარგად, ქაღალდი უნდა დააფინო და ისე დაახვიო პატარა ჯოხზე და შეინახო კარგად.

№ ლდ

სარბილებელი საშუალება, მკლავმო მათთვის, ვისაც პირის კანი ანუ ხელის კანი უსკდება.

ეს მისდ მომზადება: აიღეთ ქოქუზის ზეთი ერთი უნცი; ნახევარი უნცი სპერმაცეტი კარგი (აფთეკაში იკითხე); კარგი ნუშის ზეთი ორი უნცი; ერთად აურიეთ და ცოტა ცეცხლზე გადმოადუღე ყველანი, მერე გადმოდგი, გააცივე, და შიგ გაურიე ოცდა ათი წვეთი საკმეველის ზეთი, მეხაკის ზეთი ათი წვეთი და იხმარე წასასმელად.

№ ლე

## ოინჯის მალამო, სალბუნი (აფთეკაში იკითხე).

## (მელილოტნი ვლასტირ)

ეს სალბუნი იხმარება ძირმაგარა და თითქმის ყოველ ნაირ მუწუკების დასამწიფებლად. ამას ჩირქის სადენათაც ხმაროობენ.

ვიღეთ ერთი ნაწილი თეთრი სამთელი და ოთხი ნაწილი წმინდა გადადულებული ღორის ქონი, ერთად წამოადულე; რომ გაცივდეს, შეინახეთ მუწუკზე დასადებათ. ეს წამალი არის შპანსკის მალამოსაგან აძრობილი კანის მოსაშველებელიც.

## პირში სავლები წამლები.

### № ლვ

### დასარბილებელი პირში გამოსავლები.

| | | |
|---|---|---|
| აიღე | ხაშხაშის თავები | ნახევარი მისხალი. |
| » | სელის თესლი | ერთი » |
| » | წყალი | ორმოც-და-ათი » |

უნდა წამოადულო ესეები და მიუმატო ხაშხაშის სიროპი, მურაბა და იქლო ყოველ მეოთხედ საათში პირში, რომ არ გადაყლაპო, ხმის წასვლის და ყელის ანთების ტკივილის დროს.

### № ლგ

### წამხდარი და დამპალი ღრძილების მოსარჩენი საშუალება.

| | | |
|---|---|---|
| აიღე | ქინა | ორი მისხალი. |
| » | მარილის მჟავე | ერთი » |
| » | ვარდის ძმარი | ერთი » |
| » | წყალი | ერთი გირვანქა. |

ესეები არეული ერთმანეთში უნდა იქლოს

ხოლმე პირში ნახევარ საათში, როდესაც ყელში ეისმეს დამპალი მუწუკები აქვს და ღრძილებიც წამხდარი.

## № ლგ

## სურავანდიანებისათვის პირში საგლები წამალი.

| | | | |
|---|---|---|---|
| აიღე შაბი | . . . | 1 | მისხალი. |
| » თეთრი ღვინო | . | 1 | გირვანქა |
| » სინის ტინკტურა | | 4 | მისხალი. |
| » მირრის ტინკტურა | | 2 | » (აფ. იკითხე). |
| » ვარდ. თაფლი | . | 15 | მისხალი. |
| » ლაედანი | . . | $^1/_2$ | » (აფ. იკითხე) |

სურავანდით სნეულთათვის და ვისაც ენა დადგება, მათთვის სასარგებლოა პირში საგლებლად.

## კბილების სახეხი საშუალებანი.

## № ლდ

| | | | |
|---|---|---|---|
| აიღე მელი | . . | 5 | მისხალი. |
| » მაგნეზია | . . | 10 | » |
| » შაქარი | . . | 5 | » |
| » ღვინის მარილი | | $1^1/_2$ | » |
| » პიტნის წყალი | . | 5 | ნვეთი. |

ესეები უნდა აურიო ერთმანეთში და იხმარო კბილების საწმენდათ.

№ 8.

## კბილების კიდევ უკეთესი საწმენდი საშუალება.

აიღე დათვის თხილას ხის ნახშირი, ძლიერ წმინდათ დანაყილი ერთი უნცი.

ქლორიანი კირი (აფთეკაში იკითხე) ერთი გრანი. პიტნის წყალი რამდენი, რამდენიც საჭიროა ქმნეს ამათ ცომივით გასაკეთებლად; ყველა ესეები ძლიერ კარგათ არეული და მოზელილი უნდა იყოს შენახული კარგად დაცობილ ქოთანში, ანუ ბანკაში. როდესაც დაწვები, მაშინ ამით უნდა გამოირეცხო კბილები, ანუ ცოტა ლრძილებზე უნდა წაისვა და გამორეცხით არ უნდა გამოირეცხო დილამდის; დილაზე უნდა გამოირეცხო მეორე წამლით. აი ის წამალი:

| | |
|---|---|
| აიღე ვოდკა კარგი . | 4 უნცი |
| » პიტნის წყალი . | 4 » |
| » ხლორის წყალი . | 1 კოვზი (აფ. იკითხე) |

კბილებზე უნდა წაიცხო ცოტა კბილის სარეცხი წამალი, მოხსენებული № 8 სა შინა და მერე ამით უნდა გამოირეცხო ძლიერ.

თუ ყოველ დღეს წმინდა დანაყილი ნახშირით კბილებს ირეცხ, ესეც საკმაოა და ძლიერ სასარგებლო; მაგრამ თუ ეს საშუალებაჰ არ გვარგებს, მაშინ ზემო მოყვანილი საშუალებანი უნდა ვიხმაროთ.

## № მა

## ლრძილების დასამაგრებელი საშუალება.

### დესნო უკრეპლიაიუშრია სრედსტვა.

აიღეთ დათვის თხილას ნახშირი, წმინდათ დანაყილი მისხალ ნახევარი.

აიღეთ გარეული პიტნის ძირი მისხალ ნახევარი.

აიღეთ აგრეთვე სალთეის ფოთოლი დანაყილი მისხალ ნახევარი.

ყველა ესენი უნდა დანაყო და მით იხეხო ლრძილები. ეს ძლიერ ამაგრებს ლრძილებსა.

## № მბ

## კბილების საწმენდი საშუალებანი.

აიღე ხის ნახშირი 5 მისხალი.
» მაგნეზია . 2 »

კარგად დანაყე ერთათ. მიუმატე ნახევარი მისხალი პიტნის გადმონადული წყალი და აურიე ერთმანეთში და იხმარე კბილების დასახეხად დილას და საღამოს.

## № მგ

აიღეთ მელი ერთი მისხალი.
» ქაფური ნახევარი »

ესენი უნდა აურიო ერთმანეთში და შუშით შეინახო და იხმარო კბილების გასახეხად.

## ა ბ ა ნ ო ე ბ ი.

ექიმები, როგორც ავათმყოფობას შეხედავენ, იმის და შესაფერად უნიშვნენ სნეულს სხვა-და-სხვა აბანოს, შეზავებულს სხვა-და-სხვა ნივთებით და წამლებისგან.

უნიშნავენ აგრეთვე სარბილებელ აბანოს, სურნელებიანს, ნაცრის ტუტისას, მერკურისას, ვოგირდისას და სხვათა.

აი შედგენილობა სხვა-და-სხვა სამკურნალო აბანოებისა და ჩვენებაც, თუ რიდის იხმარებიან ესენი:

### № 1ლ

### მ ქ ა ვ ე ა ბ ა ნ ო.

აიღეთ მარილის მჟავე—ოთხმოცი მისხალი.

უნდა ჩაასხათ ვანაში და იხმარო სნეულის კანის ხანგრძლივი ავათმყოფობის დროს.

### № 1ე

### სხვა-და-სხვა სურნელოვანი აბანო.

აიღე სურნელებიანი ნივთები 3 გირვანქა (აფთეკაშია).
» ცხელი წყალი . . . 8 »

ესენი უნდა დაადგენო თორმეტი საათის განმავლობაში. მერმე უნდა გადაწურო და ჩაასხა ვანნაში.

ეს იხმარება სატკბურისაგან მოსარჩენად. ეს აბანო ძლიერ სასარგებლო არის იმისთანა პირთათვის, რომელნიც სუსტი ტანის არიან.

№ 33

## ნაცრის ტუტის აბანო.

გასაყოდელი სოდა გირვანქა ნახევარი უნდა ჩაყაროთ ვანაში.

ეს იხმარება იმ შემთხვევაში, როგორც ზემოთ თქმული აბანოები.

№ 34

## გოგირდის აბანო.

აილე გოგირდის კალი—ოც-და-ხუთი მისხალი, (აფთეკაშია).

ერთ ლიტრა წყალში გახსენით და ჩაასხით ხის ანუ თუთიასაგან გაკეთებულ საბანაოში.

ეს იხმარება სხეულის-კანის ავათმყოფობის დროს.

№ 35

## დასარბილებელი აბანო.

| | | | |
|---|---|---|---|
| დასარბილებელი ნივთები | 5 | გირვანქა. |
| სელის თესლი . . . | 80 | მისხალი. |

ხუთ ბოთლ წყალში ააღუღე, მერე გასწურე და ჩაასხი ვანაში. ძლიერ სასარგებლო არის იგი ანთებით ავათმყოფთათვის.

## № 301

## მდოგვის აბანო ფეხებისათვის.

აიღე მდოგვის ქბილი 30 მისხალი.
» ცხელი წყალი 2 გირვანქა ნახევარი.
ეს წამალი ხველების ჩასაყოფთაც იხმარება.

## № 6

## ნაცარ-წმენდილის აბანო ფეხებისათვის.

აიღე ნაცარი 60 მისხალი.
» ცხელი წყალი 7 გირვანქა ნახევარი.
» ნახშირ-მჟავე (პატაში) 7 მისხალი.
ამისთანა აბანო და ამ ზომისა იხმარება ხველებიანი ავათმყოფებისათვისაც.

## № 65

## უბრალო ორთქლის აბანო.

ავათმყოფებს დააჯენენ ცალკე ადგილზე, სადაც შეუშვებენ წყლის ორთქლს. აი უბრალო საშუალება ამის ასასრულებლად.

რამე ჭურჭლით ცეცხლზე უნდა იდგას წყალი და დულდეს, ამაში მილს უნდა ჰქონდეს თავი ჩაყოფილი და მილში ადიოდეს ორთქლი, თორემ სხვაგან არა. მეორე თავი ამ მილს საბანს ქვეშ უნდა ჰქონდეს შეყოფილი და გადიოდეს ორთქლი.

ეს აბანო ძლიერ სასარგებლო არის ქარებიანი სნეულისათვის და დაკუტებულთათვის. ეს აბანო ისე მოქმედებს, როგორც ოფლის მოსაყვანი საშუალება.

## № 66.

## სოველი შემოსადები, ტლე.

სოველი შემოსადები, ტლე ორნაირია, ცივი და თბილი. ცივი შემოსადებები მზადდებიან ყინვისა, თოვლისა და ცივი წყლისაგან, რომელშიაც უნდა იყოს გარეული ნიშადური, ანუ გვარჯილა და ან ძმარი.

ამისთანა სოველ ცივ შემოსადებებს ის სარგებლობა შეუძლია, რომ იგი სისხლს გაბნევენ ავათმყოფი ადგილიდამ, გააქრობენ სიცხეს და გაგრილებენ ავათმყოფ ადგილს, გაამაგრებენ დასუსტებულ ალაგს, დაცხრობენ ანთებას, გააქრობენ მუწუკს და არ დაამწიფებენ; ავგრეთვე დააყენებენ სისხლის დენასაც.

ცივი შემოსადები იხმარება მრავალ შემთხვევაში. იგი იხმარება მაგალითად ნალრძობ ადგილზე, ჭრილობაზე, განსაკუთრებით თავზედ, ძვლის გადატეხაზე; ძლიერ სასარგებლო არის ეს საშუალება თავის ტკივილისათვის, თუ თავის ტკივილი ნამეტანი სისხლის მოსვლით არის გაჩენილი.

როდესაც ყინვა, ანუ თოვლი იშოება და საჭიროა არის ცივი შემოსადები, პირ-და-პირ ისინი კანზე კი არ უნდა შემოადვან, უნდა გამოხვიონ ან ბუშტში, ანუ თხელ ტილოში და ისე შემოადვან სადაც საჭიროა. თუ თოვლი და ყინვა არ არის ცივი შემოსადები ცივი წყლისაგან კეთდება, მაშინ კარგი ტილოს პირსაბოცი უნდა შეკეცონ ხუთ ექვს რიგათ და დასოვლებული ცივ წყალში და მცირედ გაწურული უნდა ადვან საჭიროა ალაგს, მაგრამ შეთბება თუ არა, მაშინვე უნდა ჩამოიღონ და მეორე მომზადებული უნდა დაადვან. ასე უნდა უცვალონ ხშირად საჭიროებამდისინ. წყალი რაც ცივიც უნდა იყოს, კიდევ ნამეტნავად გაცივდება, როდესაც მასში გაურევენ ნიშადურს, ანუ გვარჯილას.

თბილი სოველი შემოსადები უფრო ხშირად არ იხმარება და თუ იხმარება, იმისთანა შემთხვევებში, სადაც ხმაროობენ თბილ შემოსადებს დასამწიფებლად. თბილ სოველ შემოსადებებს ხმაროობენ ნამეტურ იმისთანა პირნი, რომელთაც შეძლება, ანუ დროება არ აქვთ და სხვა-და-სხვა თბილი შემოსადების მოსამზადებელი მასალები არ იშოვებიან.

## № 68

## თბილი შემოსადები წამლები.

თბილ დასადებ წამლებს ეძახიან სოველს, დასარბილებელად და მშრალს—მუწუკის, ანუ ტკივილის გასაქრობად. დასარბილებელი, დასამწიფებელი თბილი დასადები წამლები მზადდებიან: დანაყილი სელის თესლისაგან, პურის გულისაგან, შავი რუსული პურის ფქვილისაგან, პურის გულის დარძისაგან, სტაფილოს ძირისაგან, თალგამისაგან, ჭარხლისაგან, ჭატოსაგან (ლარიბთათვის), დანაყილი მოლოქის ძირისაგან და ფოთლებისაგან, კაპუსტოს ფოთლებისაგან, შემწვარი ხაჩვისა და თაფლში მოზელილი პურის ფქვილისაგან.

როდესაც საჭირო არის გარედამ დასადები თბილი დასარბილებელი საშუალება, მაშინ რომელიმე ზემო მოხსენებულ ნივთთაგანი, რომელიც იშოვება, უნდა დანაყო, აურ-დაურიო კარგად ერთმანეთში, დაასხა ცოტა თბილი წყალი და ცეცხლზე მოხრაკოტაფით, ანუ ქოთნით, დაადვა პატარა ტილოს ნაჭერზე და შემოიდვა იმ ადგილას, სადაც ხორცის დარბილება და დამწიფება გვსურს. დასადები იმდენათ უნდა იყოს თბილი, რამდენსაც კაცი მოიტანენ; ერთ ადგილას რგვლათ არ უნდა იყოს დადებული, არამედ ტკივანი ადგილის ოდენზე უნდა იყოს გადა-

ლესილი ტილოს ნაჭერზე და ისე იდვას ხორცზე-
თბილი დასადები თხლათ არ უნდა იყოს გადალესილი
ტილოზე; უთუოდ ერთის ანუ ორი თითის სისქეზე
უნდა იყოს დაკრული. სანამ ერთი გაცივდებოდეს,
მანამდინ მეორე მომზადებული უნდა იყოს. როდესაც
ერთი გაცივდება, მეორე გამზადებული უნდა იყოს
თბილი და უნდა გამოუცვალონ. ასე უნდა უცვალონ,
ვიდრემდის საჭირო იქმნება. თბილი დასადები ერთ
საათში ოთხჯერ, ანუ მეტჯერ უნდა გამოუცვალონ.

თბილი დასადებლები არბილებენ ხორცსა და
კანს, გაათხელებენ კან-ქვეშ მოგროვილ გასქელებულ
წვენს, მოსწევენ კანისკენ და დაიჩირქებენ ამ გასქე-
ლებულ მოგროვილ კან-ქვეშ მყოფ წვენს.

ამისათვის ხმაროობენ თბილ დასარბილებელ და-
სადებლებს ყოველგვარ დასამწიფებელ მუწუკებზე,
ხმელი ხორცის კანის ანთებაზე, ჭრილობაზე, დამპალ
იარებზე, ნუჟრიან იარებზე, სახსრების ტეხაზე, მჭამ-
ლის მუწუკზე, ქარების ტკივილის დასაყუჩებლად,
ხორცის კანის დასარბილებლად და დასამწიფებლად
მაგარ მუწუკთა, ყელის, კისრის და კისრის ძარღვე-
ბის ანთების დროს, მუცლის, მკერდის, ასოს, კვერცხე-
ბის და საშოს ანთების დროს და სხვა.

მშრალი დასადები წამლები მზადდებიან ნაცრისაგან, ქერისაგან, ქატოსაგან, სხვა-და-სხვა სუნიანი ბალახებისაგან: პიტნისა, დიდგულისა და გვირილის ფოთლებისა და ყვავილებისაგან, რომელსაც მიუმა-

ტენენ ცოტა ქაფურს. ყველა ამ ზემოხსენებულ ნივთებს დანაყენ, ანუ დაჭრიან, გაურევენ შიგ ცოტა ქაფურს, გამოკერენ პატარა პარკში ბალიშის მსგავსად, წაცხებენ გარედამ ქაფურის სპირტს, დაადებენ ტკივან ადგილზე და შეუხვევენ. ამისთანა პატარა პარკები უნდა იყოს ცოტა მეტი ფართე ტკივანი ადგილებისა, და, რომ შეეახვევთ, ალარ უნდა მოეხსნათ უბრალოთ.

ამისთანა პარკები იხმარებიან გაციებისაგან გაჩენილი კბილის ტკივილის, მკერდის მტვლისათვის, მუცლის ჭრისა და შემობერვისა, კისრის და ყელის ძარღვების გასივების და ტკივილისა დროს, ქარებისაგან გაჩენილი ტკივილის გასაქრობად, ცივი სხვა-და-სხვა მუწუკების გასაქრობად და სხვა-და-სხვა იმისთანა შემთხვევაში, სადაც საჭირო არის, რომ მოგროვილი სისხლი ნატკენი ადგილიდამ გავფანტოთ აქეთ-იქით.

## № ნდ

## შვანსკის ბუზების წამალი.

(შვანსკია მუშკი).

ეს სასარგებლო ბუზები ჩვენშიაც ბევრია და ყველას შეუძლია ამ ბუზებისაგან წამლის მოპზადება, მაგრამ მის მომზადებაზე დიდი სიფთხილე უნდა იქონიოს კაცმა, რომ არა ივნოს რა. საუმჯობესო არის

აფთეკაში იყიდონ, რომელსაც უძახიან შპანსკის მუშკს, და მეორე ნაირს მილანსკის მუშკს. მილანსკისმუშკი პატარა შავნაჭრებში არის გამოხვეული, ისინი ცოტა უნდა მოათბო, გადალესო იმ ნაჭერზე, რომელშიაც არის გახვეული და უნდა მიაკრა, სადაც საჭირო იქმნება. ამისი ხმარება იმიტომ უფრო კარგია, რომ ხორციდამ არ ჩამოვარდება; თავისით მიადგება და თუ არ დაასოველებ ორჯერ და სამჯერაც იკარგებს კიდევ. ხორცზე მანობამდის უნდა იყოს დაკრული, სანამ ხორცს არ აბერავს და მერე უნდა აილონ. აბერილ ხორცში წყალი იქნება ჩამდგარი და ის მაგრატლით უნდა გასჭრან და გამოუშვან, მაგრამ კანი არ უნდა აეძროთ სულ ხორცზე.

როდესაც მუშკს ავიღებთ, თუ გვინდა, რომ მალე მოარჩეს ნამუშკარი ადგილი, მაშინ მაზედ უნდა დავადვათ მალამო, აღწერილი № 138-ს ქვეშე, ანუ უმარილო კარაქი, და თუ გვინდა, რომ დიდხანს წყალმა იდინოს და არ მორჩეს, მაშინ მოსარჩენი მალამოს მაგიერ ნამუშკარ ადგილზე უნდა ვადვათ თბილ-თბილი სადები, ანუ ალბესპერიის ქალალდი, ანუ დავადვათ მალამო დუგუნისა და დღეში თითო ჯერ გამოუცვალოთ.

სუსტი ტანის მქონე პირს მუშკის დაკერით შარდზე გასვლის დროს ტკივილი აეძრვის და ხანდის-ხან შარდიც შეუკავდება, მაგრამ მუშკის ალების შემდეგ მალე გაივლის და თუ არ გაივლის,

მაშინ ავადმყოფი ტან-ქვეით თბილ აბანოში უნდა ჩასვან და ამითაც მორჩება.

მუშაკის მოქმედება იმაში მდგომარეობს, რომ ნამეტანის წყლის გამოყვანით და ხორცის აღძერით აკრობს შიგნივ ხორცში გაჩენილ სნეულებას და იმ მაენებელ წვენს, რომელიც ვერ გამოდის გარეთ, მოსწოვს და ძალა-უნებურად გამოიყვანს გარეთ.

ადგილი, თუ სად უნდა დაეკრას მუშაკი, დამოკიდებულია ავათმყოფობაზე. თავის, თვალების და ყელის ტკივილზე მუშაკს დააკერენ კისერზე; მკერდის მჭვალის დროს, ხველებაზე, სუნთქვის გაძნელებაზე, მუცლის ჭრაზე, ტკივილზე, და ფალარათობაზე მუშაკს დააკერენ გვერდებზე, მუცელზე, ზურგზე და წელზე. ქარების სნეულებაზე, ტეხაზე სხვა-და-სხვა ცივ მუწუკებზე მუშაკს აკერენ თვით ავადმყოფს ადგილზე.

მუშაკი იხმარება ნამეტურ იმისთანა შემთხვევაში, როდესაც სინოტიავე ვეინდა გამოვიყვანოთ გარეთ და იმისთანა შემთხვევაში, სადაც სისხლის ჭარბობა იქნება შენიშნული.

გარეგან საშუალებათა შორის ამ წამალს არც ერთი წამალი არ შეედრება... მილანსკის მუშაკი თითო ორ შაურად ისყიდება აფთეკებში.

---

№ 60

# მ დ ო გ ვ ი.

(გარჩიცა).

მდოგვი ემსგავსება ცივ სადებსა. მდოგვი მზადდება მდოგვის ფქვილისაგან. წინედ ძმრით, მჟავე პურის ცომით აკეთებდნენ. დღეს მარტო მდოგვის ფქვილისაგან ამზადებენ თბილის წყლით. აი მისი მოამზადება: უნდა აიღო ორი პუშტი კარგი ახალი მდოგვის ფქვილი და თბილ წყალში უნდა მოზილო თხლად. ძლიერ უნდა ურიო კოვზი, ანუ მისი მოსამზადებელი პატარა სანაყი, რაშიაც იზილება. ბოლოს უნდა აიღო და წმინდა ტილოს ნაჭერზე, ანუ სხვა რამეზე უნდა დააცხო თანასწორათ და დაადვა, სადაც საჭირო არის. თუ დიდი ადგილი გვინდა დაიჭიროს მდოგვმა, ტილოს დიდ ნაჭერზე უნდა დაავაცხოთ და თუ ცოტაზე გვინდა, მოჩრილი უნდა გავაკეთოთ. ხორცზე უნდა იყოს დაკრული, სანამ კარგად არ გააწითლოს კანი. როდესაც კარგად გაწითლდება მდოგვს-ქვეშ კანი ხორცისა და ძლიერ ასტკივდება, რომელსაც თუთხმეტი წამიდამ ნახევარ საათამდის მოუნდება და ხშირად მეტიც, მერე უნდა აიღოთ, კარგად თბილი წყლით და ღრუბლით მოვსწმინდოთ ის ადგილი, სადაც იყო დაკრული მდოგვი და შემდეგ წაუსვათ

ამ ადგილას ზეთი, ანუ რომელიმე ქონი, რომ ტკივანი ადგილი დარბილდეს და დაცხრეს.

მდოგვს ხშირად აკერენ ხოლმე ფეხების გულებზე, ფეხების კუთებზე, თეძოებზე და ფერდებზე, მკერდზე, სხვა-და-სხვა ადგილას ბეჭებთან, წელზე, ზურგზე, ბეჭებშუა და კისერზე. თუ მდოგვი თავისით არ დაადგება, უნდა შეუხვიონ სახვევითა. ვისაც ტანი ძლიერ მგრძნობიარე აქვს და ტკივილს ვერ მოიჭირვებს, მდოგვს ზემოდამ დააფარებენ ქსიას, თხელ რამე ნაჭერს და ისე დაადებენ ხორცის კანზე. ეს ძლიერ აკლებს მდოგვს სიცხარეს. ეხლა, გაკეთებული მდოგვი იყიდება აფთეკაში. ამისთანა მდოგვს წყალში დაასოვლებენ და დააკერენ საჭირო ადგილას, რომელიც ძლიერ კარგად მუშაობს და იაფიც არის.

მდოგვი ძლიერ გააცხარებს და აღძრავს ჩვენი ხორცის კანს, სისხლის მოძრაობასაც ძლიერ აჩქარებს იმ ადგილას, სადაც დავაკრავთ მას. ამით შიგნიდამ გარეთ გამოიწვევს სისხლს და ტკივილსაც. ამისათვის ის იხმარება თავის ტკივილზე, ამისთანა შემთხვევაში მას დააკერენ კისერზე ფეხების და ხელის გულებზე. მკერდის მჭვალის დროს გვერდებზე დააკერენ ხოლმე. მდოგვს ხან-დის-ხან ცივ მუწუკებზედაც დააკერენ ხოლმე, რომ პატარა მოძრაობაში მოიყვანოს მუწუკი, როგორიმე გზით დაამწიფოს და ჩირქი კანისკენ გამოიწვიოს. ერთი სიტყვით მდოგვი ძლიერ კარგი საშუალება არის, ვინაც მოიხმარს და მიხვდება, თუ

როდეს უნდა იხმაროს და როდეს არა; ამასთან ძლიერ ადვილი საშოვარი და იაფიც არის.

## № 63

## სისხლის გამოშვება.

მკლავიდამ სისხლი არას გზით არ უნდა გამოუშვან ექიმის შეუტყობლად და ნება-დაურთველად. ექიმებიც იმისთანა შემთხვევაში უშვებენ მკლავიდამ სისხლს, როდესაც ძლიერ საჭირო არის და ავადმყოფი ძლიერ საშიშო მდგომარეობაშია. ამისათვის ჩვენ ამისთანა სისხლის გამოშვებაზე არაფერს ვიტყვით. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ არაფერი არ ასნეულებს საწყალ ჩვენ ხალხს და არ უჭირვებს საქმეს ისე, როგორც ეს ტყვილ-უბრალოდ სისხლის გამოშვება. ზოგიერთს მკბენარმა, ტილმა, რომ უკბინოს, ანუ ცოტა მგრძნობიარე ძარღვი ასტკივდეს, ანუ ქარისაგან სადმე ძარღვი გაესკვნას, რომელიც ხშირად სისხლის ნაკლებულობისაგან წარმოსდგება, იგი მოიყვანს დალაქს და აჯგვლეტინებს ვენის ძარღვში ნემტარს. საწყალი დიდის სიამოვნებით აქცევს ამისთანა ჩვენი ტანის საჭირო მასალას, რომელიც სამძიმოდ უჯდება ზოლოს. ხშირად დალაქი ძარღვს დააკილებს და რბილ ხორცში მისცემს ნემტარს, ანუ ძარღვის ორივე მხარეს გასჭრის. სისხლი ხორცში ჩაიკ�eა და მთელი მკლავი ლუარჯდება,

მაგრამ მათ მხეცურ მოქმედებას და უგნურობას ვილაცა კაცის თვალს დააბრალებენ, ანუ კაცის სნეულებას.

რაიცა შეეხება სისხლის გამოშვებას წურბლითა, ისინი ვერც ბევრს, ჯ ამასთან, არც წმიდა, სასარგებლო სისხლს გამოსწოვენ ჩვენი ტანიდამ. ისინი გარეთა კანის სისხლს გამოსწოვენ და იმასაც ყოველთვის შავს სისხლს, ვენის ძარღვებიდან, რომელის გამოშვება, მართლა, ხან-და-ხან სასარგებლოც არის ჩვენი ტანისათვის.

წრუბლებიც ყველა კარგნი არ არიან. ზოგი წრუბელი სუსტია, ასე რომ სისხლს ვერ გამოსწოვს კაცის სხეულისაგან. თუ ის ადგილი სადაც წურბლების მოკიდება გვინდა სუფთა და მობანილი არ არის ეგინი არ მოეკიდებიან, არც მაშინ, თუ ამ ადგილას რაიმე წამალი იყო დადებული და კიდევ მისი სუნი უდის.

პირველად უნდა დავაწვინოთ ავადმყოფი ისე, რომ ადვილად მიუდგეს კაცი იმ ადგილს, სადაც წრუბლის მოკიდება გვსურს. წრუბლის მოსაკიდებელი ადგილი უნდა მოებანოთ კარგად და ბოლოს მოვსწმინდოთ პირსახოცით, ანუ სხვა რამეთი. თუ ერთი წრუბლის მოკიდება გვინდა მაშინ ხელით უნდა მოვკიდოთ წრუბელი, ანუ გოგრის ღეროში ანუ სხვა რამე ამისთანა მასრაში ჩავსვათ წრუბელი და ისე მივადგათ ხორცზე. თუ ერთად მრავალი წრუბლების

ლასხმა გვინდა მაშინ სჯობს ბუტარა სტაქანში ანუ შუშის კოტოშში ჩავსვათ წრუბლები და ისე მივადგათ იმ ადგილას სადაც გვსურს ჭიების მოკიდება.

რიცხვი მოკიდებული წრუბლებისა დამოკიდებული არის საჭროებაზე, ავადმყოფობაზე და კაცის ასაკობაზე. ბავშვებს პირველი წლიდამ ათ წლამდე შეიძლება მოვკიდოთ წრუბლები იმდენი რამდენი წლისანი არიან, ე. ი., ერთი წლისას—ერთი წრუბელი მოვკიდოთ, ორისას—ორი, სამი წლისას—სამი და სხვა...

როდესაც წრუბლები დაიბერებიან სისხლით თვითონ ჩამოვარდებიან. თუ წრუბლის დიდხანს ხორცზე გაჩერება არ გვინდა და გვსურს, რომ მოშორდეს და ალარ სწოვდეს სისხლსა, ხელის მოწყვეტით არ შეიძლება მოვაშოროთ. ამისთანა შემთხვევაში თითი უნდა წაუსვ-წამოუსვათ ზურგზე, მარილ-წყალში ანუ შაქრის წვენში დასოვლებული და მაშინვე ჩამოვარდება.

როდესაც წრუბლები მოშორდებიან ნაწრუბლებში ადგილიდამ ცოტა სისხლი დაიწყებს დენას, მაგრამ ძალე შეწყდება. თუ არ გვინდა სისხლის ძალე შეწყვეტა უნდა ხშირად თფილი წყლით ვბანოთ ეს ადგილი და სისხლი დიდხანამდის არ შესწყდება.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ სისხლის დენა არ შესწყდება თავისით. აქ უნდა ვიხმაროთ სხვა საშუალება. თუ შაბის წყალმა აღწერილმა № 10-სა

ქვეშე არ დააყენა სისხლის დენა, მაშინ პატარა პრტყელი ნაჭერი აბედი უნდა დავადვათ წრუბლის ნაკბენ ადგილას და შევახვიოთ კარგათ სახვევით.

წრუბლებს მოკიდებენ ხოლმე სხვა-და-სხვა ანთების ავადმყოფობაებზე და ძლიერ თავის ტკივილის დროს; აგრეთვე ტკივილის დროს: კისრისა, მკერდისა, მუცლის და წელისა; ნალრძობ და დაბეგვილ ადგილებზე, ერთი სიტყვით, წრუბლებს მოჰკიდებენ ხოლმე ყველგან, სადაც შენიშნული იქნება მსწრაფლად რაიმე მიზეზისაგან გამჩდარი ხ ო რ ც ი ს სიწრთლე, სიცხე, ტკივილი და სიმსივნე, რომელნიცა ხშირად ანთებისაგან წარმოსდგებიან და არც ცრე-ცვი საფენით, წასასმელებით და არც სხვა საშუალების ხმარებით არ გაქრებიან.

ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ ავადმყოფ ადგილზე არ უნდა მოჰკიდონ წრუბლები. მაგალითებ: თვალზე თვალის ტკივილის დროს. და ასოზე, როცა საჭიროა ამ ადგილებზე წრუბლის მოკიდება უნდა მოკიდონ ცოტა დაშორებით ამა ადგილებისა.

წრუბლები მოკიდების შემდეგ ხელით უნდა დავცალოთ. ზოგნი ნაკარში ჩააგდებენ ხოლმე წრუბლებს და თვითონ დაიცლებიან. ამ სახითაც შეიძლება წრუბლების სისხლისგან დაცლა. ბოლოს უნდა გარეცხონ კარგად და წმინდა წყალში ბოთლებში, ანუ ლიდ ბანკაში შეინახონ იგინი. თუ საჭირო არის ნაწრუბლებ ადგილზე მოკიდებენ ხოლმე კოტოშს და ამით გამოუშვებენ სისხლს მომეტებულად.

## № ნგ.

## ოუნა და მისი ხმარება.

როდესაც პირიდამ მიღებული სასაქმებელი წამლები არ იმოქმედებენ, ანუ ავადმყოფს მისი დალევა და მოჭირვება არ შეუძლია სისუსტისა გამო, ამისთანა შემთხვევაებში უკანა კარიდამ მისცემენ სხვა-და-სხვა წამლებს ოუნით, რომლითაც სნეულის ტანი გაიწმინდება. ოუნა არის კალისაგან გაკეთებული საჭყეპელას მსგავსი ერთნაირი მილი, რომლის საშუალებით ადვილად შეიძლება უკანა კარიდამ წამლის მიცემა. ოუნით მისაცემი წამლები ნელ-თბილი უნდა იყოს. ამას ძლიერ ყურადღება უნდა მიაქციონ. ოუნით მისაცემი წამლები ბევრნაირია: ზოგს მათგანს ტანის გასაწმენდელათ მისცემენ, ზოგს თავბრუს დასხმის დროს გამოსაფხიზლებლათ, ზოგს ტკივილის დასაყუჩებლად. ოუნით ხშირად ბულიონს, ხორცის წვენს და სხვა-და-სხვა წამლებსაც აძლევენ როდესაც პირიდამ მათი მიღება შეუძლებელია.

## ტანიდამ სასაქმებელი ოუნით მისაცემი წამალი.

ბოიღე გვირილის ყვავილი ნახევარი მუჭა, სამი მისხალი დაფხეკილი მარანდული საპონი, ნახევარი

მისხალი დანაყილი მარილი; ჩაყარე ტაფაში ერთად აურიე, დაასხით სამი სტაქანი წყალი, ერთი წამოადულე, გასწურე და გაურია სამი კოვზი ზეთი და ნელ-თბილი მიეცით ოყნით საჭიროების დროს

## ა ნ უ

მოიღე ოთხი ფინჯანი თბილი წყალი, ნახევარი კოვზი დანაყილი მარილი, ოთხი კოვზი ზეთი სელის ანუ ზეითუნისა, ერთად შეაზავე და მიეცი ოყნით,

ამავე სახით მიეცემა წამლებიც და ბულიონიც (წვენი). სადაც კალის ოყნა არ იშოვება იმის მაგიერ შეიძლება ხმარება ძროხის ბუშტისა რომელსაც პატარა წმინდა მილზედ მოაწყობენ და ხმარობენ კალის ოყნის მაგივრად.

## ეივანა ხველების წამალი.

### № ნწ.

მოიღე დაფხვნილი ჭიაფერი . . . . თორმეტი გრანი.
«სოდის პარაშოკი» . . . . . ერთი სკრუპული
ა ნ უ . . . . . ოცი გრანი.
წმინდა წყალი . . . . . სამი უნცი.
შაქრის შარბათი (სიროპი) . . ერთი უნცი.

ერთათ აურიე და თითო სტოლის კოვზი დაალევინე ავადმყოფს სანამ ხველა მოუვიდოდეს თითო საათში ერთხელ.

## № ნმ.

## ქერის ანუ ბრინჯის წყალი.

მოიღე ერთი გირვანქა კარგად გარჩეული ქერი ანუ ბრინჯი და დაასხი ზედ კარგა ბარაქიანად წყალი; ხარშე დიდხანს სანამ ბრინჯი ანუ ქერი კარგად არ მოიხარშოს. ბოლოს გასწურე და დაწმენდილი ციგად ასვი სნეულს წყლის მაგიერ.

## № ლ.

მოიღე ნახევარი ანუ ერთი გირვანქა კარგად გაკეთებული ლ შედედებული ხმელი ბულიონი, დაასხი ზედ წყალი, მოხარშე ცოტად და როდესაც გაიქნეს წყალში მწვანილით შეკაზმული ასვი სნეულს, როგორც თქმულ არს საჭმლის მაგიერ.

## № ლა.

## ნუშის რძე.

(მინდალნოე მოლოკო).

მოიღე ნახევარი გირვანქა კარგი ნუში; დაასხი ზედ ცოტა მოცხელო წყალი, ამოიღე და დაფცქვენი კარგად. მერმე დანაყე წამლის დასანაყში და თან ცოტ-ცოტა ციგი წყალი ასხი, რომ დაინაყოს კარგად და რძე გამოიღოს დაასხი ზედ ოთხი, ანუ ხუთი უნცი ციგი წყალი, გასწურე და თითო სტოლის კოვზი

ასვი ავადმყოფს. ეს წამალი ერთ დღეს და ღამეს იქით აღარ ვარგა.

№ ᲚᲖ.

თუ ნუში არ არის, მოიღე ზეთი ნუშისა, ანუ ხაჭმელისა ერთი უნცი; გატეხე ერთი კვერცხი და გამოიღე მარტო გული და აურიე ზეთში, ცოტა წვეთ-წვეთი წყალი მიუმატე და თან ურიე კარგად. ასე ცოტ-ცოტა უმატე სანამ ოთხი უნცი წყალი არ დაასხა და ბოლოს ჩაასხი შუშაში და ახმარე სნეულს თითო სტოლის კოვზი თითო საათში დღისით. თუ რძის ფერი აქვს მომზადებულ წამალსკარგია და თუ ზეთი ცალკე დგას წყალში და კვერცხის გულს არ შეერია, მაშინ ის არ ვარგა.

## ოფლის სადენი ჩაე.

№ ᲚᲖ.

მოიღე ერთი მუჭი ცაცხვის ყვავილი, ჩაყარე ქოთანში და დაასხი ზედ ერთი ჩარექი წყალი, ადუღე სანამ ნახევარზე არ დადგეს, შემდეგ გასწურე და დამტკბარი თაფლით ანუ შაქრით ორი სტაქანი დაალევინე სნეულს.

## № ᲚᲓ.

მოიღე ახალი დაკრეფილი: შავთარა, ვარდ-კაჭ-კაჭის ძირი, და მჟაუნა ბალახი თითო მუჭა, კარგად გარეცხე რომ მიწა არ შეყვეს; შემდეგ ხის პინაში დანაყე უწყლოდ, გასწურე წმინდა ტილოში და დაალევინე სნეულს დღეში სამჯერ თითო ფინჯანი. თუ ავად-მყოფი ძლიერ სუსტად იყოს ეს წვენი უნდა გადმოადულო და ცივი უნდა დაალევინო.

## ხველების წამალი.

## № ᲚᲔ.

მოიღე 1 მისხალი . . . სოდის ფხვნილი (ბიკარბონატი)
ორი-სამი მისხალი . . . . . დანაყილი თათლიბი.
ბალბის ძირის გადმო-
ნადულის წყალი . . . . . ოთხი უნცი.

უნდა მიეცეს სნეულს სტოლის კოვზი ნახევარ საათობით.

## № ᲚᲗ.

პიტნა ერთი მხურვალე მცენარეთაგანია. მას ხმა-ობენ სხვა-და-სხვანაირად. ნამეტნავად მას სვამენ ჩაესაყით; ამისთვის ერთ პეშვ პიტნის გამხმარ ფოთ-ლებზე უნდა დაასხა ცხელი ადუღებული წყალი და ხუთი წამის შემდეგ გადმოასწურო სტაქანში და შა-

ქრით დამტკბარი ჩაესავით უნდა სვას ვისაც საჭმლის მონელება არა აქვს კარგად და ვისაც მუცლის ფალარათი აქვს ატეხილი.

## ხორცმეტის მოსარჩენი წამალი.

### № ᲚᲖ.

მოიღე ერთი ნატეხი შაბი და ნაკვერცხალზე კარგად დაწვით, სინოტიავე რომ გამოელიოს სრულებით დაფშვენი ფქვილის მსგავსად და შეინახე. როდესაც ხორცმეტი აქვს ვისმეს ცოტა უნდა მოაყაროს თვითონ ხორცმეტზე. როდესაც ხორცმეტი გაქრება ბოლოს უნდა მოწმინდო და შეახვიო.

### № ᲚᲒ.

აიღე წებოიანი ცაცხვის ხისგან მომზადებული შალამო (აფთექაში იკითხე) სამთელზე გაადნე და გადააგლისე ტილოს ნაჭერზე და იხმარე ჭრილობაზე დასადებათ, მაგრამ ჭრილობის პირები ერთი-ერთმანეთზე უნდა იყვნენ კარგად დაახლოებულნი.

### № ᲚᲗ.

თუ № ᲚᲒ-ში მოხსენებული მალამო არ იყოს აიღე მჟავე პურის ცომი, გადალესე თანასწორათ ტი-

ლოს ნაჭერზე, დაადეი მოწმენდილ ჭრილობაზე და შეუხვიეთ კარგად.

№ ᲛᲔ.

მოიღე თეთრი ნავთი, ანუ წამალი, რომელსაც ჰქვიან სკიპიდარი და იხმარე წასასმელად როგორც თქმულ არს.

## ᲭᲘᲠᲘᲡ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ.

№ ᲛᲐ.

მოიღეთ წმინდათ დანაყილი კილამურის ძირი რვა მისხალი, გაყავი თორმეტ ნაწილად და მიეცი დღეში ოთხჯერ თითო წილი წყლით.

№ ᲛᲑ.

მოიღეთ წმინდათ დანაყილი კატა-ბალახი რვა მისხალი, გაყავი თექვსმეტ ნაწილად და თითო წილი მიეცი დასალევათ დღეში ოთხჯერ.

№ ᲛᲒ

მოიღე ერთი ნაწილი ყვითელი ანუ თეთრი სანთელი და ოთხი ნაწილი კარგი უმარილო ღორის ქონი, თუ ღორის ქონი არ იყოს მის მაგიერ მოიღე სამი ნაწილი ზეითუნის ზეთისა, ერთად პატარა ტა-

ფაში დაადნე, აურ-დაურიე და ბანკაში შენახული იხმარე, როგორც თქმულ არს.

## № ᲠᲚᲔ.

## ᲓᲣᲒᲣᲜᲘ.

დუგუნი საგანგებოდ, ძალით გაჩენილი წყლულია. დუგუნს გააკეთებენ ხოლმე იმისთანა ადგილას საიდამაც წამხდარი სინოტიავე უნდათ გამოიწვიონ კაცის სხეულიდამ და ამით შეამცირონ სნეულის მთელი ტანის ავადმყოფობა. დუგუნს გააკეთებენ ხოლმე სხვა-და-სხვა ჩვენი სხეულის ადგილზე. მაგრამ როდესაც საჭიროება მოითხოვდეს დუგუნი არაოდეს არ უნდა გაუკეთონ სნეულს ძარღვის და ძვლის სიახლოვეს მაგალ. გულის კოვზთან, გვერდის ნეკნებზე, ყურების ძირთან, კიპკიბების სიახლოვეს და ზურგზე ხირხიმლის ძვლების სიახლოვეს.

დუგუნის გაკეთება ბევრნაირად იციან. ზოგნი ნეშტრით ცოტა ხორცს გასჭრიან იმა ადგილას სადაც დუგუნის გაკეთება უნდათ და სისხლის დენის შეყენების შემდეგ ფილთას ჩადებენ გაჭრილ ხორცში და შეახვევენ. მესამე დღეს მოხსნიან და გაჭრილ იარაში ჩასდებენ წყალში დამბალ მუხუდოს ანუ პატარა სანთელს და შეახვევენ.

ზოგნი სანთლის ღვენთით დასწვენ ხორცის კანს

და მომძვრალ კანზე დაადებენ პრტყელ სამთელს და ასე დიდხანს ადენენ წყალს.

დუგუნზე დასადებით კიდეე ხმაროობენ მალამოს, რომელიც მომზადდება ერთი გირვანქა ტყვიის მურდასანგისაგან და გირვანქა ნახევარის ზეითუნის ზეთისაგან. ეს მალამო თეთრი არის და წეპოიანი და დუგუნის ადგილს არ მოარჩენს, თუ ჩვენ გვინდა რომ წყალმა იდინოს დიდხანს. სოფლებში დედაკაცებმა ერთნაირი ბალახის ძირით იციან დუგუნის გაკეთება. დუგუნი ადვილად შეიძლება გააჩინოს კაცმა «მილანსკის მუშკით» და ალბესპერის ქალალდითაც, რომელნიც აფთეკაში ისყიდებიან.

დუგუნი ძლიერ მოუხდება ვისაც ნიადაგ თავის ტკივილი აქვს, ყურების ტკივილი და ბუბუნი, აგრეთვე ვისაც თვალების და ყელის ანთება აქვს. დუგუნს გაუკეთებენ ხოლმე მათ ვისაც დიდი ხნის ჩველა აქვს, ვისაც კუჭი სტკივა, დიდი ხნის დაძველებული ნუკრიანი და უბრალო იარების აქვს და სხ. თუ დუგუნი დიდხანს მოქმედებდა ერთბაშად არ უნდა მოარჩინონ, ამისათვის რომ ერთბაშად დუგუნის დახურვა კაცის ტანს ძლიერ აზარალებს.

# ს ა რ ჩ ე ვ ი:


| | | |
|---|---|---|
| | | გვერ. |
| წინასიტყვაობანი | . . . . . | I—XIV |

## ნაწილი პირველი.

| | | |
|---|---|---|
| მოკლე სწავლა კაცის ტანის აგებულებაზე საზოგადოდ ფიზიოლოგიიდამ და ანატომიიდამ. | | 1 |
| თავი ა. | თავის და ხერხემლის ტვინი და ნერვები. | 7 |
| » ბ. | სუნთქვა და სასუნთქავი იარაღები . | 10 |
| » გ. | საჭმელის და სასმელის იარაღები და მათი მონელების წარმოება (პროცესსი) | 14 |
| » დ. | სისხლის ტრიალი. სისხლის შედგენილობა. სისხლის მატრიალებელი ორგანოები . . . . . | 23 |
| » ე. | თირკმელი. შარდის მოქმზადება და დენა . | 30 |
| » ვ. | ჩვენი სხეულის კანი და ოფლის დენა . | 34 |

## ნაწილი მეორე.

## საჭირო და სასარგებლო სწავლა ჯ დარიგება ჯან-მრთელობის დაცვაზე.


| | | | |
|---|---|---|---|
| | | შესავალი სიტყვა ამა ნაწილისა | . 41 |
| თავი | ა. | რამოდენიმე სიტყვა კაცზე | . . 44 |
| » | ბ. | ჰაერი . . . . . | 49 |
| » | გ. | რამდენიმე სიტყვა საჭმელებზედ და მათ მილებაზე . . . . . | 54 |
| » | დ. | წყალი და სხვა-და-სხვა სასმელები, ჩაე და ყავა . . . . | 63 |
| » | ე. | ტანის ბანაობა. ცხელი აბანოები | . 74 |
| » | ვ. | სამშენებელი საშუალებანი | . . 76 |
| » | ზ. | გიმნასტიკური მოძრაობანი | . . 78 |
| » | Თ. | ძილი . . . . . | 84 |
| » | თ. | ტანისამოსი. . . . . | 88 |
| » | ი. | რამდენიმე სიტყვა ტანის აგებულებითი თვისებაებზე (ტემპერამენტ) | . 90 |
| » | ია. | საქმობა, მუშაობით მოძრაობა, გონებით მუშაობა, მიწის მუშაობა და გიგიენური დარიგება . . . | 94 |


## ნაწილი მესამე.

## სნეულებათა აღწერა ჯ მათი ექიმობა.


| | | | |
|---|---|---|---|
| | | შესავალი სიტყვა ამ მესამე ნაწ. | . 101 |

ვერ-
საზოგადო დარიგება წინეთ ავად გახ-
დომისა, სნეულების გაგრძელებისა და
შემდეგ მორჩენისა . . . 105


## განყოფილება პირველი.


გადამდები, სახადნი სნეულებანი, რომელთაც
მოიხდის კაცი სამუდამოდ.

თავი ა. წითელა და მისი ექიმობა . . 111
» ბ. ყელ-ჭირვება, ყელის ტკივილი (სკარ-
ლატინა) და მისი ექიმობა . . 119
» გ. ყვავილი, ავადმყოფის მოვლა და მისი
წამლობა . . . . 122
» დ. ძროხის ყვავილი და დარიგება მის
აცრაზე . . . . . 128
» ე. წყლის ყვავილი, ქუნთრუშა . . 131
» ვ. მახრჩობელი, ყივანა ხველა, ხველა-
ბატონები და მისი წამლობა . . 131


## განყოფილება მეორე.


გადამდები სნეულებანი, რომელთაც ერთჯერ
ავად-გახდომით ვერ მოიხდის კაცი.

თავი ზ. ხურვება და მისი ექიმობა . . 135
» ᲗᲘ. სისხლის ყვანა, მუცელა, მუცელ-კე-
თილი, მუცელა ბატონები და მისი
ექიმობა . . . . . 147

გვერ.

თავი თ. ხოლერა, საჭირო და სასარგებლო დარიგება ხოლერის გაჩენის დროს . 151

განყოფილება მესამე.

სხვა-და-სხვა შინაგანი სნეულებანი, რომელნიც სახადათ არ ითვლებიან.

თავი ი. ცივება და მისი ექიმობა . . 168
» ია. სკორბურთო, სურავანდი და მისი წამლობა . . . . . 188
» იბ. ყელის ტკივილი და მისი წამლობა . 180
» იგ. გაცივებისაგან გაჩენილი ცივება და ხველება და მისი ექიმობა . . 186
» იდ. მკერდის მჭვალი ფილტვების ანთებისაგან წარმოდგენილი, ფერდა და მისი წამლობა . . . . . 189
» იე. პირიდამ საქმობა და მისი წამლობა . 193
» ივ. პირიდამ და ტანიდამ საქმობა და მისი წამლობა . . . . . 194
» იზ. მსუბუქი ყვანა, ღურღურა და მისი წამლობა . . . . . 196
» იჱ. ბნედა, ავი ჭირი, ავი ზნე და მისი წამლობა . . . . . 197
» ით. ჭიით სნეულება და მისი წამლობა . 203
» ი. შაკიკით და საზოგადოდ თავის ტკივილის წამლობა . . . . 209
» ია. თვალის ტკივილი და მისი წამლობა . 210

გვერ.

## განყოფილება მეოთხე.

თავი კბ. ცოფით, ანუ ბრაზით კაცის აეადგახდომა, გაცოფიანება ⁄ მისი წამლობა . . . . 212

» კგ. გველის ნაკბენი და მისი წამლობა . 216

თავი კდ. ბუზთაგან ნაკბენი და მისი წამლობა. 218

## განყოფილება მეხუთე

## გარეგანი სნეულებანი.

» კე. ღერი, მუნი და მისი წამლობა . 219

» კვ. რამოდენიმე სიტყვა საზოგადოდ მუწუკებზე და მათ წამლობაზე . . 223

» კზ. უბრალო მუწუკი და მისი წამლობა . 227

» კთ. სიმსიონე, ბმო, კოპი, კუნძი და მათი წამლობა . . . . . 228

» თ. წყლული, დამპალი იარა და მისი წამლობა . . . . 230

» ლ. ნუკრიანი იარა, წყლული (ფისტულა) და მისი წამლობა . . . 232

» ლა. მჭამელი, ძვლის სნეულები და მისი ექიმობა . . . . . 234

» ლბ. ნალრძობები, საზოგადო დარიგება ნალრძობის გასწორებაზე და ჩაგდებაზე 237

» ლგ. ძვლების ვადატეხა და საზოგადო დარიგება მათ ექიმობაზე . . . 240

გვერ.

თავი ლდ. ახალი იარა ჭრილობისაგან, ცეცის ხორცის ჭრილობა და მისი ექიმობა 243

» ლე. დუდკო, ფრჩხილის ავად მყოფობა (საწერელა) და მისი ექიმობა . 245

» ლვ. დამწვრის წამლობა . . . 246

» ლზ. ნაცემის, ანუ დაჟეჟილის წამლობა . 248

» ლჱ. სისხლის დენა ცხვირიდამ და მისი წამლობა . . . . . 250

» ლთ. გაცივებით ხმის წასვლა და მისი წამლობა 251

## განყოფილება მეექვსე.

### საჭირო და სასარგებლო დარიგებანი თუ როგორ უნდა უშველოთ ნახშირის სუნისაგან და წყლისაგან დამრჩვალთა, გაყინულთა, თოკით დამრჩვალთა, მიმკვდარებულთა და თავ-ბრუ დასხმულთა.

თავი მ. ნახშირირის სუნისაგან თავის ტკივილი და მისი წამლობა . . . 252

» მა. რა საშუალება უნდა ვიხმაროთ წყალში დამხშთვალთა მოსაბრუნებლად? . 254

» მბ. გაყინვისაგან სხეულის დაძვრა და მისი წამლობა . . . . . 257

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | გვერ. |
| » | მზ. | როგორ უნდა გადავარჩინოთ სიკვდილს თოკით დამხჩვალი? . . | 260 |
| » | მდ. | როგორ უნდა გაარჩინონ მიმკვდარებული ნამდვილ მკვდრისაგან? . . | 261 |
| » | მე. | თავ-ბრუს დასხმა და მისი წამლობა . | 263 |
| » | მვ. | ათაშანგი (სიფილისი) და დარიგება თუ როგორ უნდა მოიქცნენ, ვისაც ეს სენი დაემართება . . . . | 264 |
| » | მზ. | რამდენიმე სიტყვა საწამლავებზე, მოწამლული კაცის ნიშნებზე და მის ექიმობაზე . . . . | 268 |


## დ ა მ ა ტ ე ბ ა.

### დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე.


| | |
|---|---|
| თვალების მუშაობაზე . . . . . | 273 |
| დღის და ხელოვნურ სინათლეზე . . . | 277 |
| წერა-კითხვის დროს ჯდომასა და თავის დაჭერაზე. | 284 |
| ტკივანი თვალების მოვლაზე . . . | 288 |
| თვალების ზოგიერთ ავადმყოფობაზე . . | 295 |
| თვალების ზოგიერთ უფრო მძიმე ავადმყოფობაზე. | 302 |
| ბეცობა და მისი გაჩენის მიზეზი . . . | 310 |

გვერ.

სასარგებლო დარიგება ორსულ და მშობიარე დედაკაცთათვის ⁄ ახალ დაბადებულ ბავშვთა მოვლაზე . . . 315
შეიძლება თუ არა ნამდვილათ შევიტყოთ ორსულობა პირველ თვეში . . . 316
სასმელ-საჭმელი ორსულთა . . . 320
ტანისამოსი . . . . 321
მოძრაობა და მოსვენება . . . 322
სუფთაობა . . . . . 323
ლოგინის მომზადება მშობიარეთათვის . . 324
მშობიარობა . . . . . 326
რას უფრო უნდა მიექცეს ყურადღება მშობიაროობის დროს . . . . . 331
საჭირო დარიგებანი ლოგინობის დროს . . 342
მშობიარეს სასმელ-საჭმელი . . . . 344
დაკვირება რიგიანად შარდზე გასვლასა და ყვანაზე 346
გაციების წინააღმდეგ სიფრთხილე . . . 348
სხეულის და სულის სიმშვიდეზე ზრუნვა . . 351
ზრუნვა საშვილოსნოს თავის დონეზე მოსვლისათვის . . . . . 354
ზელოგინის ტანისამოსი . . . 356
ყმაწვილის მოვლა . . . . . 357
ახალ დაბადებულის ბანაობა. . . . 358
ბავშვების ტანსაცმელი . . . . 361
ბავშვების ტირილ-ყვირილი . . . 364

| | |
|---|---|
| | გვერ. |
| ყმაწვილის ძუძუს წოვებაზე . . . | 367 |
| მზრუნველობა ძუძუებზედ . . . . | 370 |
| ძუძუების სნეულება . . . . . | 373 |
| საჭირო დარიგება ძუძუ-მაწოვებელი ქალისათვის | 377 |
| როგორ უნდა მოიქცეს დედა, რომელიც არ აწოვებს თავის შვილს ძუძუს . . | 380 |
| როგორ უნდა ვასაზრდოოთ ბავშვი, როდესაც მას ძუძუ-მაწოვებელი არაფინა ჰყავს. . | 382 |
| დარიგება ყმაწვილის ძუძუს გაშვებინებაზე . | 384 |
| ბავშვის ავადმყოფობანი და დარიგება მათ წინააღმდეგ . . . . . | 388 |


## ნაწილი მეოთხე.


| | |
|---|---|
| შინაური აფთექა . . . . . | 397 |
| საექიმო, სამკურნალო ნაწილის წონა . . | 399 |
| წამლების აღწერა, მათი მომზადება, თვისება და ხმარება . . . . . | 401 |
| № ა. ქაფური . . . . . | » |
| № ბ. ქაფურის ოდკა . . . . | » |
| № გ. ქაფურის სპირტი . . . | 402 |
| თავ-ბრუს-სხმის და გულ-შემოურის მოსარჩენი წამლები- | |
| № დ. გოგირდის ეთერი, (ეფირი) . . | 403 |
| » ე. გოფმანის კაპლი . . . | 404 |
| » ვ. კაპლები და მათი მომზადება . . | 405 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | გვერ. |
| № | ზ. | ნიშადურის სპირტი . . . | 406 |
| » | ც. | ჭრილობის მოსარჩენი წამლები . | 407 |
| » | თ. | მელის კუდის, მარცმანუკის სპირტი | » |
| » | ი. | ყოველგვარი ჭრილობის მოსარჩენი მალამო და მისი მომზადება . . | 408 |
| » | ია. | ძმარი, ძმარ-მჟავე . . . | 409 |
| » | იბ. | ჭიანჭველების სპირტი და მისი მომზადება . . . . | 410 |
| » | იგ. | კბილის ტკივილის წამალი. კრეოზოტი, ქეზაფის ზეთი . . | » |
| » | იდ. | შ ა ბ ი . . . . . | 411 |
| » | იე. | თეთრი შაბიამანი, ქანგარო . . | 412 |
| » | ივ. | წმინდა გვარჯილა . . . | » |
| » | იზ. | ფისი (გუმიარაბიკუმ) . . . | 413 |
| | | ტანიდამ სასაქმებელი წამლები. | |
| № | იტ. | რევანდი . . . . . | » |
| » | ით. | სასაქმებელი ზეთი . . . | 414 |
| » | კ. | სინამაქის ფოთოლი . . . | 415 |
| № | კა. | გლაუბეროვის მარილი . . . | » |
| | | პირიდამ სასაქმებელი წამლები. | |
| № | კბ. | ოქროს ძირა . . . . | 416 |
| | | სიცხის და გულის ამოწვის წამლები. | |
| № | კგ. | სოდის პარაშოკი . . . | 417 |
| » | კდ. | ღვინის მარილი . . . | 419 |
| » | კე. | ხორასანის თესლი . . . | » |

გვერ.

№ კვ, კზ შარდის სადენი ჩაე . . . 420
» კᲪ. ხინა, ციების წამალი . . . 421
» კᲗ. აბზინდა . . . . . 422
» Ლ. მაგნეზია . . . . . 423
» ᲚᲐ. გვირილის ყვავილი . . . 423
» ᲚᲑ. დიდ-გულას ყვავილი . . . 425
» ᲚᲒ, ᲚᲓ მუწუკის დასამწიფებელი სხვა-და-სხვა
საშუალებანი . . . 426—427
» ᲚᲔ. იონჯის მალამო . . . . »
» ᲚᲕ. დასარბილებ. პირში საცლები წამალი . 428
» ᲚᲖ. წამხდარი და დაშპალი ღრძილების
მოსარჩენი საშუალება . . . »
» ᲚᲪ. სურავანდიანებთათვის პირში საცლე-
ბი წამალი . . . . . 429
» ᲚᲗ, მ, მᲐ, მᲑ, მᲒ. კბილების სხვა-და-სხვა
საწმენდი და დასამაგრებელი საშუალებანი 430

## ᲐᲑᲐᲜᲝᲔᲑᲘ.

№ მᲓ, მᲔ. სხვა-და-სხვა შედგენილობის აბანოები 432
№ მᲕ, მᲖ, მᲪ, მᲗ, ნ. სხვა-და სხვა სნეულების
დროს სახმარებელი . . 433—434
№ ნᲐ. უბრალო ორთქლის აბანო . . »

| | | |
|---|---|---|
| | | ᲒᲕᲐᲠ. |
| № | ნბ. სოკელი შემოსადები, ტლე . | 435 |
| » | ნგ. თბილი შემოსადები წამლები . | 437 |
| » | ნდ. შპანსკის ბუზების წამალი და მათი ხმარება | 439 |
| » | ნე. მდოგვი და მისი ხმარება . . . | 442 |
| » | ნვ. დარიგება სისხლის გამოშვებაზე და შემთხვევა, თუ როდის უნდა გამოუშვან სისხლი . . . . . | 444 |
| » | ნზ. ოყნა და მის ხმარებაზე დარიგება . | 448 |
| » | ნᲗ. მყივანა ხველების წამალი და მისი მომზადება . . . . | 449 |
| » | ნᲘ. ქერის ანუ ბრინჯის წყალი . . | 450 |
| » | Ლ. ბულიონი, წვენი და მისი მომზადება. | » |
| » | ᲚᲐ. ნუშის რძე და მისი მომზადების დარიგება | » |
| » | ᲚᲑ. ნუშის რძის მომზადება კვერცხის გულისაგან . . . . | 451 |
| » | ᲚᲒ. ცაცხვის ყვავილის ჩაე, საოფლე . | » |
| » | ᲚᲓ. სკორბუთოს სურავანდის წამალი . | 452 |
| » | ᲚᲔ. ხველების წამალი . . . . | » |
| » | ᲚᲕ. პიტნის ჩაე . . . . . | » |
| » | ᲚᲖ. ხორც-მეტის მოსარჩენი წამალი . | 453 |
| » | ᲚᲗ. ჭრილობის შესახვევი მალამო . . | » |
| » | ᲚᲘ მჟავე პურის ცომის დასადები . . | » |

| | | |
|---|---|---|
| | | გვერ. |
| № ოკ. | თეთრი ნავთის წამლობა . . . | 454 |
| » ოკა. | ჭიის წამალი . . . . | » |
| » ოკბ. | ჭიის წამალი მეორე ნაირი . . | » |
| » ოკგ. | შპანსკის დადებისაგან აღებული კანის მოსაშველებელი მალამო . . | » |
| » ოკდ | დუგუნი და მის გახსნაზე დარიგება . | 455 |

# უმთავრესი შეცდომების გასწორება.

| გვერ. | სტრ. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|
| 2 | 9 | მაჯების | მენჯების |
| 3 | 2 | არ დაიწყოს წასმა | არ მოხვდეს |
| 4 | 4 | მომდომებით | ნებით |
| 5 | 5 | ტკივილისაგან | სნეულებისაგან |
| 6 | 22 | თუ ამისთანა | — |
| 7 | 3 | არის | არის თავის |
| — | 11 | მატარებელი | მატრიალებელი |
| — | 12 | თირკმელი | თირკმელები |
| 15 | 25 | ამისიი | ამისი |
| 20 | 18 | ზომიერ ჭამაში | ჭამის ზომიერობაში |
| 26 | 14 | სიერ | ბევრ |
| — | 22 | შემდეს | შემდეგ |
| 30 | 13 | ლაზიერთ | ჰაერის მსგავსად |
| 31 | 6 | აფსვიანი | აფსკიანი |
| — | 24 | აფსვიანი | აფსკიანი |
| — | 27 | ალისულს | ლულის |
| 37 | 22 | სნეულებარაც | სნეულებასაც |
| 53 | 16 | კისლეოოდი | კისლეროდი |
| 62 | 10 | გატეხილი | გატენილი |
| 63 | 2 | სასმელი | სასმელები |

| გვერ. | სტრ. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|
| 69 | 21 | მავნებელია, | მავნებელია. |
| — | 23 | ლევთისაგა, | ლევთისაგან |
| 71 | 23 | იგიპტიდამ | ეგიპტიდამ |
| 14 | 14 | საფხულობით | ზაფხულობით |
| 78 | 15 | ხალხიც | ხალხიც, |
| 79 | 23 | და | |
| 82 | 22 | კვდება | სნეულდება |
| 83 | 8 | ჩვენი ტანისთვის | |
| — | 16 | შარით | გორგალით |
| 87 | 7 | სხვაისაგან | სხვა მიზეზთაგან |
| 88 | 20 | ათაობს | ათბობს |
| 93 | 16 | გაძლიერება | გაძლიერებულია |
| — | 19 | ხორცეულებრივი | ტანის |
| — | 20 | ფიქრი | ფიქრით |
| 96 | 19 | გიკვირსთ | გიკვირს |
| — | 24 | გადომას | გახდომის |
| 103 | 22 | კაცის თესლის აღწერაზე, ჩუკუნობაზედ | კაცის თესლის დალვრაზედ, ჩუკუნობაზედ |
| — | 24 | შესახებ | დროს |
| 104 | 8 | თქმულს | აღნიშნულს |
| 111 | 10 | ბალიების | თმის |
| 113 | 7 | ნერწყვის | ნერწყვი |
| 116 | 2 | ვიხმაროთ, | ვიხმაროთ, რომ |
| 117 | 3 | ძლიერ | უფრო |
| 119 | 16 | ცუდად | სასტიკად |
| 120 | 13 | გაწითლებული, | გაწითლებულნი არიან, |

| გვერ. | სტრ. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|
| 120 | 18 | რაც ზემოთ ვსთქვით, ნიშნები მოიმატებენ ზმეტესად... | ზემო აღნიშნული სნეულების ნიშნები და გვემანი მოიმატებენ. |
| 122 | 10 | მის | სნეულის |
| 127 | 16 | ურიგთ | ურიგო |
| — | 21 | გაუკეთონ | გაუკეენონ |
| — | 23 | ექიმს | |
| 128 | 1 | ავადმყოფს | ავადმყოფს |
| 129 | 8 | ხვდება | ხდება |
| 133 | 6 | წასჭდებათ | წასქდებათ |
| 134 | 9 | მიზეზით: | მიზეზით. |
| 137 | 7 | ავქს | აქვს |
| 138 | 17 | გამხმარია | გაფიცხებულია |
| — | 24 | სნეულს | |
| — | — | ტანის | ტანში |
| 142 | 8 | ძოვლენ კარგ მყოფობაში | გამობრუნდებიან |
| 143 | 14 | არის გავრცელებული | ვრცელდება |
| 148 | 22 | გადადებისაგან | გადაძდებობისაგან |
| 153 | 16 | იარას | იაროს |
| 154 | 20 | № ნი | № ნთ |
| 155 | 4 | ჩვენში | იმერეთში |
| 167 | 22 | წყეთს | წვეთს |
| 177 | 4 | მოუხოვნიათ | ძოუთხოვნიათ |

61
Ხ 206

ფასი 1 მან. 20 კ.